

N1-2 2017

საქართველო

1852



- * ნინო ფარებაძეაშვილი - გალვანიკურისტის პოზიციაზე
- * ნინო სადლობაძეაშვილი - გაგა ნაწარმოშვილის
პოზიციაზე
- * ართონ ტარაშვილის პირა „სალიმ ნიმუშიაშვილის
პოზიციაზე“

პოზიციაზე//პოზიციაზე//ცავი//თარგმანი//ართონ



2017/1-2

ყოველთვიური ლიცეიაცემული –
საჭირო გენერაცია ქურთული

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე –
სცენა სპექტაკლიდან **პატრიკ**
ზიუსკინდის „კონტრაპასის“

მიხედვით
მეოთხე გვერდზე –
კადრი სანდრო ჯანდიერის
ფილმიდან **„კადეტი“**

ქურთული გამოდის
თმილისის მუნიციპალიტეტის
თინანსური მხატვარების

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

პრიტის, ესეისტის			
ნინო დარბაისელი არამედ რაღაც სხვა (შალვა ბაკურაძის „ქმრების საკითხავის“ ინტერპრეტა- ციის ცდა)	3	პოეზია ნუციკო დეკანოზიშვილი	75
ნინო სადლობელაშვილი „იყავი ჩიტი!“ (გაგა ნახუცრიშვილი – „სისულელის ტრაქტატი“ და „ბარნოვის 122“)	17	პოლი გივი ჩილვინაძე მოთხოვები	81
მანანა პაიჭაძე პატრიკ ზიუსკინდის მცირე პროზის ლირიკული ნარატივი	20	კავკასიური მოზაიკა ისა ქაძოვი გაბრიელიადა თარგმნები ქეთევან ქურდოვანიძემ და გია ჯოხაძემ	90
პოეტის ერთი ლექსი ბათუ დანელია სხვა ხალხი	27	თარგმანი კელტური პოეზია თარგმნა თამაზ ხარაიშვილმა	104
დრამატურგი დათო ტურაშვილი სელიმ ხიმშიაშვილის პროცესი	28	რუსული პოეზია (მ. ცვეტაევა, ი. ბროდსკი, ბ. პასტერნაკი, ს. ესენინი) თარგმნა ჯანა ამირეჯიბმა	108
პოეზია ბელა ჩეკურიშვილი	47	დინო ბუცატი მოთხოვები თარგმნა ლაშა ხეცურიანმა	117
პოლი დათო მამაიაშვილი წამკითხველი მოთხოვა	52	ვერკორი ის დღე მოთხოვა თარგმნა ალინა ქადაგიშვილმა	131
პოლი გიორგი არქანია ქრისტეს პერანგივით დაუსრულებელი მოთხოვა	68	არტლევი ალინა ქადაგიშვილი კადეტი, ანუ უმცროსი	135

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის
ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.

ნინო დარბაისელი-სტრონი



პრამედ რაღაც სხვა

შალვა ბაკურაძის „ქმრების საკითხავის“
ინტერვიუთაციის ცდა

სამშობლოდან მოშორებული ადა-
მიანისათვის ინტერნეტი დიდი შვებაა.
რანამს დროს მოვიხელთებ, დავუყვე-
ბი ხოლმე ქართულენოვან საიტებსა და
ფორუმებს. უამრავი ახალი ნაწარმოები
წავიკითხე – პროზაც, პოეზიაც.

ასეთი მრავალფეროვანი და ინტენ-
სიური თუ იყო ლიტერატურული ცხოვ-
რება საქართველოში, ვერც ვიფიქრებ-
დი. თანაც ინტერნეტი ხომ, ჯერჯერო-
ბით, მთლიანად ვერ მოიცავს მას, კი-
დევ რამდენი კარგი ქართველი ავტო-
რია, ჯერ ვირტუალურ სივრცეში რომ
არ შეუდგამს ფეხი, მაგრამ, ეტყობა,
ვიდრე მშობლიური ლიტერატურული
გარემოსაგან ჩემსავით დისტანცირე-
ბული არ გახდები, არც მეტ-ნაკლებად
მთლიანი სურათი ეძლევა თვალთახედ-
ვას და არც ნამდვილი ღირებულება
ჩანს იმისა, რაც იქ იქმნება.

ამას წინათ პორტალ „literatura.
ge“-ზე ერთი პოემა ვიპოვე – „ქმრების
საკითხავი“. პორტალის წესის თანახ-
მად, ახლად გამოჩენილ ნაწარმოებებს
ავტორი არ მიეთითება. რამდენჯერმე
წავიკითხე, მერე, რაკი ქაღალდზე გად-
მოტანილი ტექსტი მაინც სულ სხვაა,
ამოვგძეჭდე კიდეც და კიდევ ერთხელ,

„ფანქრით“ წავიკითხე: შედეგი იგივე
– როგორც მკითხველი, კვლავ მონუს-
ხული ვარ, ხოლო, როგორც ადამიანი-
მკვლევარი, რომელსაც არ შეუძლია არ
დასვას კითხვა: „რატომ?“ – პასუხს და-
ვეძებ. იქნებ, ამ დროს უმჯობესია, აქ
შეჩერდე, შეირგო ესთეტიკური სიამოვ-
ნება და არ ემსგავსო იმ მაყურებელს,
რომელიც ილუზიონისტის ნამოქმედა-
რით, თუმცა გაკვირვებული და ნაამე-
ბია, მაინც უტრიალებს კითხვას: „კი,
მაგრამ, როგორ?“

ამასობაში ავტორის ვინაობაც გა-
მოვლინდა – შალვა ბაკურაძე – რო-
გორც ჩანს, დაახლოებით ჩემი თაობის
პოეტი, რომელსაც პირადად არ ვიც-
ნობ, თუმცა საიტ „eblitfo-ზე“ მოთავსე-
ბული მისი ყველა ნაწარმოები უკვე წა-
კითხული მაქვს. ჩემი შთაბეჭდილებით,
პოემა „ქმრების საკითხავი“, მე რომ ამ-
დენი კითხვა აღმიძრა, მის ტექსტებში
ცენტრალურ ადგილს იკავებს.



პირველი კითხვა სათაურიდანვე წა-
მოიჭრება.

საკითხავი ქართულ ენაში რამდენ-
სამე მნიშვნელობას მოიცავს: ის, რაც

წასაკითხია (მაგ. „საკითხავი ძველ ქართულ ლიტრატურაში“); შესაკითხი, ანუ კითხვა (ყოფნა-არყოფნა – საკითხავი აი ეს არის); ამას დავუმატოთ „წყევლა-კრულვიანი საკითხავიც“, „ოთარაანთ ქვრივიდან“ და თვალნათელი შეიქნება, რომ პოეტური სამყარო, რომლის კარიც ჩვენთვის ამ სათაურით უნდა გაიღოს, არ გვპირდება იმ სიცხადეს, რაც იმ რომ მოითხოვს.

არც ლირიკული გმირი წარმოგვიდგება ცხადი სახით, არ ვიცით მისი სახელი ან თუნდაც რაიმე ეპითეტი, სახელის ფუნქციას რომ იტვირთებდა პოემაში, არაფერი ვიცით მის გარეგნობაზეც, ლამის ერთადერთი ნიშანი, რომელიც მკითხველის წარმოსახვაში მას კერძო გამოსახულებას მიანიჭებდა, „გაოფლილ შუბლთან გიშრისფერი თმაა“, რომელიც ბავშვობაში რომ მუხლი გადაიტყავა, ჭრილობაზე იოდის წასმისას სკოლის ექთანმა ხელისგულით გადაუწია.

ყოველივე, რასაც მისი მიწიერი არსებობისა და მოკვდომის (არა – სიკვდილის) შესახებ შევიტყობთ პოემიდან, გარეგნულად ძალზე ფრაგმენტული იქნება და არც ეს ფრაგმენტები გაჰყვება ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, თუმცა იმ ადრეული მოგონებით დაიწყება, როგორ ხედავენ ბავშვები ფანჯრის დაორთქლილი შუშიდან ახლად გარდაცვლილი ბებიის სულს, ზამთრის თოვლიან დილით ეზოში ფეხშიშველა მდგარს, როდესაც მისი სხეული შინ, უფროსების თვალწინ თახში ასვენია (პირველი სიგნალი იმ უჩვეულო სპირიტუალური მდგომარეობისა თუ/და მხატვრული პირობითობის შესახებ, რომელშიც იმყოფებიან პოემის მთავარი გმირები და რომელში ჩართვა მკითხველსაც მოუწევს). მართალია, პოემაში გადმოცემა პირველი პირით ხდება, ავტორი ორ ინსტანციად, სხეულად და სულად (ან ასტრალურ და ეთერულ სხეულებად?) გაყოფილი მთავარი უსა-

ხელო პერსონაჟის სახელით მეტყველებს, მისი მონოლოგებისა თუ დიალოგების „ფიქსატორია“ (ეს მაშინ, როცა პოეტური, ოკაზიონალური სახელდება, სახელის მინიჭება ადამიანების, საგნებისა და მოვლენებისთვის – ეს ერთგვარი მეტონიმიური მეტაფორიზაცია შალვა ბაკურაძის, როგორც ავტორისათვის ნიშნეული მხატვრული ხერხია). შემდგომში მსჯელობა რომ შეძლების-დაგვარად გასაგები გავხადოთ – პერსონაჟი, ავტორისაგან განვასხვავოთ, მას „ძე“ ვუწოდოთ (ამისთვის, როგორც შემდგომ შევეცდები ვაჩვენო, პოემაც გვაძლევს საფუძველს).

მთელი პოემის მანძილზე ავტორი თავად არსად მეტყველებს „ძის“ ამ ორი ინსტანციისაგან დაშორებულად, დამოუკიდებლად. არც რაიმე შინაგანი ლირიკული კონფლიქტია გადმოცემული ამ მხარეებს შორის, რომ დაპირისპირების ფონზე მეტად საცნაური ყოფილიყო ავტორის განსხვავებულობა. იგი ზემოთ აღნიშნულ ინსტანციათა შორის ადგილებს კი იცვლის, მაგრამ არასოდეს უცხოვდება, არ დისტანცირდება მათგან. პოემაში ასახული მდგომარეობა უკვე გარესივრცეში გადაწყვეტილი, დასრულებული კონფლიქტის – ომის შედეგია, ხოლო უკვე მომხდარი, დასრულებული ტრაგედიდან გამომდინარე, დრამატული მდგომარეობა სულისა – არის ის ბირთვი, რომლის ირგვლივაც თავს იყრის ყოველი სახე, კონცეპტი, მცირე და დიდ ამბავი თუ ეპიზოდი.



პოემის კლასიკურ ფორმას მიჩვეული მკითხველისათვის, რომელიც მოელის ტრადიციულ განვითარებას სიუჟეტისა, აქ ძნელი (თუ არა შეუძლებელი) იქნება, მიჰყევს კონფლიქტის განვითარებაში საფეხურთა თანმიმდევრობას. თანამედროვე პოემას ეს აღარც მოეთხოვება და ამას თავისი ახსნა აქვს. პოემის განვითარებამ კარ-

გა ხნის წინ მიაღწია სრულყოფილების იმ დონეს, როცა, პრაქტიკულად, შესაძლებელია ნაწარმოების სხვადასხვა ასპექტს მიენიჭოს თავისუფლება, რადგან მკითხველის ცნობიერებაში უკვე არსებობს ძირითადი მოდელი, თარგი, რომლის მიხედვითაც ხდება ნარატივის რეკონსტრუირება, რამე სახის ნარატივის არსებობა კი იმ მინიმალურ მოთხოვნად დარჩა, რომელიც პოემას განასხვავებს უბრალოდ ვრცელი ლექსისაგან.

ნაწარმოებში დრო-სივრცული და სიტუაციური არე ორი ნარატივის პარალელიზაციით იქმნება. პირველი მათგანი ბიბლიური, ახალი ალთქმისეულია და შესაბამისად მაცხოვრის, როგორც ძის ამბავს ეხება. მეორე, თანამედროვე რეალური ცხოვრებიდან მომდინარე ამბავია ადამიანის ძისა, რომელმაც ბავშვობა და ყრმობა გაატარა ერთ ქალაქში. ამ ქალაქში მას ჰქონდა სახლი, შემდეგ ეს სახლი ომის გამო დაკარგა, გახდა მეომარი, იბრძოდა „სამშობლო-სათვის“ და ამ ბრძოლაში... მოკვდა, მაგრამ არც მოკვდა. მისი არსება გადავიდა მდგომარეობაში, რომელსაც, გრანელის სიტყვებს თუ გავიხსენებთ, შეიძლება ვუწოდოთ „არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“ – დაუსრულებელი, „საბოლოო სიზმარი“.

ავტორი-ფიქსატორი „ძისთვის“ მედიუმია, რომლის მეშვეობითაც „ხმას აწვდენს“ მკითხველს, აზიარებს სათქმელთან, რომელიც ამ პოემის კონცეპტუალური ხერხემალია:

როდესაც ადამიანს ყოფით რეალობაში სხვა ადამიანები ართმევენ სამყაროს შემოქმედისაგან მინიჭებულ უფლებას – იყოს ცოცხალი, იგი მხატვრულ რეალობაში პოეტი-შემოქმედის მიერ მინიჭებული ძალით უფლებამოსილია, იყოს „ცოცხალი მკვდარი“ და უწყვეტ დიალოგში ჩაერთოს ყოველივე ამაქეებინიერთან.

მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი
და ვეღარასდროს ვისურვო
დაბადება
მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი
და ბნელ ოთახში ძველებურად
ყვაოდნენ ქოთნის იუბი.

ასეთია შალვა ბაკურაძის პოეტური თანატოლოგია, ანუ სიკვდილმეტყველება.

●
პოემაში სახეობრივი სისტემა ძირითადად ბიბლიურ სახე-კონცეპტთა ტრანსფორმაციით იქმნება. მისი საყრდენი სახე-მეტაფორები, რომელიც თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, ბუნდოვან შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე, ახსადი გახდება თუ მათ პირველწყაროებს მივაგნებთ.

მივყვეთ ტექსტს თანმიმდევრობით.
ერთ-ერთი პირველი სახე – „რუსი ბალახი“ – ასე ჰქვია მერძევე მოხუცს, კარდაკარ ყველს რომ დაატარებს, ანუ ადამიანი, როგორც ბალახი, პირდაპირ მომდინარეობს ახალი ალთქმიდან და ფსალმუნებშიც დასტურდება. (პეტრე:1,24,ფს.:103,15)

ამ მოხუცს რძე და ყველი მოაქვს დილილაობით, რძე კი ისევე, როგორც თეთრი ყვავილები, სითეთრე, მარიამ ღვთისმშობელს მიემართება.

მოულოდნელი სიტყვები, რომელიც ცოტა ხანში გახმიანდება: „ღმერთი, რომელიც ხედავს ნასვრეტებს ჩვენს ყველივით ქათქათა გულზე“ – მხოლოდ ღვთისმშობელთან დაკავშირებით იხსნება“. სიჩვილე და სითბო „წუთი-წუთზე ამოსაყვანი ყველისა“ ღვთისმშობლისმიერი გრძნობებია. რძე და მისი პროდუქტებიც, ძველი ქრისტიანული წესით, სწორედ ღვთისმშობლის შესაწირავად ითვლებოდა.

გარდა ამ პოემისა, რძე, რძით კვება, რძისებრი სითეთრე, როგორც დე-

და მარიამის კონოტაციები, შალვა ბაკურაძის სხვა რელიგიური შინაარსის ქმნილებებშიც ცენტრალურ ადგილს იკავებს.

„წარმოიდგინეთ თქვენი სახლი, როცა მოკვდებით“, – ამბობს მოხუცი მერძევე. სხეული, როგორც სულის სახლი, იმდენად გამჭვირვალე სახეა, აღბათ, ამაზე ყურადღების შეჩერებაც არ ელირებოდა, პოეტი სახლის მხატვრულ სახეს რომ არ უკავშირებდეს დედის საშოსაც, როგორც პირველსახლს, სადაც სამუდამოდ დარჩენა ან დაბრუნებაც შეუძლებელია.

აქ ქართველ მკითხველს უთუოდ გაახსენდება ფინალი ბესიკ ხარანაულის „ხეიბარი თოჯინისა“, სადაც ალექსანდრე, ანუ ალე ნატრობს დროს, როცა ისე იჯდა დედის საშოში, „როგორც მინატურა ოქროს ჩარჩოში“.

„მე უფლება მაქს, ვიყო მკვდარი, ვიდრე მომკლავდნენ, ვიდრე აქ ვარ, ვითომ ცოცხლად, შენთან ერთად, შენს საშოში“, – მიმართავს „ძე“ დედას „ძე“ ამ პოემის ფინალში.

სახეთა შორის ძირითადია აგრეთვე ქალაქი, სამყაროს ღვთაებრივი წესრიგის, კოსმოსის მიწიერი გამოვლინება. ბიბლიური გამოცდილების მიხედვით, როდესაც კოსმოსს ქაოსი ენაცვლება, ქალაქში ბატონდება ურნებულება, ცოდვა, დანამაული, იგი უნდა განადგურდდეს, მოისრას ღვთაებრივი ცეცხლით... ამას შიშობდა პოეტი-წინასწარმეტყველი ესაია – ისრაელზე (10:18,19), შემდგომ იეზიკიელი – იერუსალიმზე მეტყველებისას (15:6). ამას, ოლონდუკვე მომხდარს, გლოვობს „პოეტი გვიანმეტყველი“ – შალვა ბაკურაძე: „ვისკენ გავახილო ჩემი ქალაქის დათხრილი თვალები“.

ამ პოემის მიხედვით, კეთილი და ბოროტი ანგელოზი „ძეს“ ქალაქში ზრდიდნენ და ეს ქალაქი (ძნელი არ არის მასში სოხუმის, გნებავთ, გაგრის ამოცნობა... დაზუსტებას აქ არსებითი

მნიშვნელობა არცა აქვს) იერუსალიმის თანამედროვე ადეკვატი, გამსჭვალული იყო ყოველივე იმით, რაც მას გარს ერტყა. იყო შიშისპირა, სიძვისპირა, კვლისპირა, ღვთისპირაც კი და სწორედ ამიტომ განიწირა დასაღუპავად. მის „ძეებს“ უფროსებმა, როგორც შავ-თეთრი გასაფერადებელი აღბომი „დროშა“ აჩუქეს, რათა სისხლით შეეღებათ, „სანგრებისკენ ეთრიათ დასაღვრელი სისხლი თავისი საგმირო სხეულებით“:

მე მინახავს მწვანე მოლზე
შინდისფერი თბილი ლაქები.
ეს არ იყო ჩვენი დროშის
ნაგლეჯები,
ეს იყო აბზაცები მეგობრების
საბოლოო სიზმრებიდან.

და მაინც, სახე სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი, რომელსაც სხვა ნაწარმოებებშიც უბრუნდება პოეტი, არის „ძის“ მამინაცვალი, გნებავთ, მამობილი და მისი ბიბლიური პირველსახე – იოსები, მარიამის, დედა ღმრთის-მშობლის ქმარი.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იოსების პიროვნება ქართულ პოეტურ აზროვნებაში შალვა ბაკურაძის ქმნილებებამდე ასე გამოკვეთილი არასოდეს ყოფილა. იქნებ ამის მიზეზი იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ ჩვენი სასულიერო ტრადიციით, თუმცა მაცხოვრის გენეზისი იოსების ხაზით გამოკვეთილი იყო, მისი პიროვნული ღვაწლი მაცხოვრის მიმართ მაინც ჯეროვნად არ ფასდებოდა.

იოსები კი თავად იყო უფლის რჩეული. როგორც მამობილმა, მან იტვირთა ძნელი საქმე – აღეზარდა იესო, რომელიც არ იყო მისი ბიოლოგიური შვილი. ადამიანურად, მისთვის არ უნდა ყოფილიყო ადვილად გადასატანი ფიქრი იმაზე, რომ მისი დანიშნული მარიამი მუცლით სხვის ნაყოფს ატარებდა, მაგრამ

მას, როგორც რჩეულ მამობილს, უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უზენაესის ნება აუწყა. სახარებიდან ვიცით, რომ მას სამგზის ეცნო ამგვარად უფლის ნება. პირველი უკვე აღვნიშნეთ; მეორედ – როცა ებრძანა, ეგვიპტეში გაეხიზნა ცოლ-შვილი და მესამედ – როცა უკან, სამშობლოში უნდა დაებრუნებინა ისინი. უკანასკნელი, ახალი აღთქმისეული ცნობა იოსების შესახებ უკავშირდება დროს, როცა იესო უკვე თორმეტი წლისა. ბიბლიოლოგების აზრით, იგი არ მოსწრებია მაცხოვრის ჯვარცმას, ადრევე გარდაიცვალა. შალვა ბაკურაძის ერთი ლექსი „იოსები“ ინტერტექსტუალურად „ქმრების საკითხავთან“ არის დაკავშირებული. ჩვენი წერილის დასაწყისში აღმრული კითხვაც, ნაწარმოების სათაურის შესახებ, აქ პოულობს პასუხს.

პოეტური სახეთქმნადობის შესახებ ჩვენი მსჯელობა ძალზე ნაკლულოვანი იქნება, საგანგებოდ რომ არ აღვნიშნოთ, შალვა ბაკურაძის გამორჩეული, შემოქმედებითი დამოკიდებულება ქართული ენის, როგორც ყოველგვარ გამოსახველობით საშუალებათა წიალი-სადმი.

ჩემი ფიქრით, ამ მხრივ ის გიორგი ლეონიძის მემკვიდრეა, მომდინარე არა იმდენად პოეტური, რამდენადაც პროზაული ქმნილების, „ნატვრის ხისაგან“. საყურადღებოდ მეწვენება, რომ იგი ერთ თავის ნაწარმოებში, სახელწოდებით „თევზაობა“, რომელიც ასევე ინტერტექსტულად დაკავშირებულია ამ პოემასთან, ქმნის ოქროს თევზის მაძიებელ პერსონაჟს – ელიოზს, რომლის პირველსახესაც სწორედ „ნატვრის ხის“ ამავე სახელის მქონე პერსონაჟი წარმოადგენს.



რამდენიმე სიტყვით, მინდა, პოემის სალექსო ფორმას შევეხო. ლექსი გრაფიკულად წარმოდგენილია, როგორც

თავისუფალი. ცალკეული გრაფიკული ბლოკები არ წარმოადგენენ სტროფებს, ტრადიციული გაგებით. ამიტომ უმჯობესია, მათ ლექსმცოდნეობაში მიღებული ტერმინი – სტროფოიდი ვუწოდოთ. ამ პოეტური ტექსტის სტროფოიდები, ძირითადად, ე.წ. „ნამდვილი“ ვერლიბრის ნიმუშია, სადაც ძნელია აღმოაჩინო რაიმე კონვენციური საზომის კვალი. გამონაკლისის სახით არის ორიოდე სტროფოიდი, რომელიც ვერლიბრის გარდამავალ სახეობას მიეკუთვნება, რადგან მისი რიტმი იქმნება თავისუფალ ლექსში კონვენციური ჩანართების (ძირითადად ე.წ. თოთხმეტმარცვლედებისა და ათმარცვლედების) მონაწილეობით, მაგალითად ასე:

სწორედ ამიტომ ვიმეორებ:
სიცოცხლე ჩემი საუკეთესო
თვისებაა

და ვიწყებ ისევ შენი შვილიდან.
ის ღმერთი როა, აშკარაა და მოდის
რათა გადაღლილი და
დამძიმებული, დაკოურილი
ხელისგულები შემოვავლო
სიყვარულს, როგორც ანთებულ
სანთელს.

ის ბავშვია და უფროსებმა,
როგორც ბავშვური საიდუმლო
სიცოცხლე ანდეს
და სიზმრად როცა შენს მუცელზე
ყურმიდებული
ვისმენ მის ყოფნას, ვრწმუნდები
რომ ადამიანთა
ყველა ღიმილი და ყველა ცრემლი
ამ ცეროდენა მფეთქავ გულში გა-
ერთიანდა.
რომ შენ იცოცხლებ უსიკვდილოდ,
მე კი მომკლავენ

ლექსში არის ერთადერთი, გრაფიკულად გამიჯნული ათმარცვლიანი სტროფი, სპონტანურად გარითმული:

ყველა მოკვდებით ადრე თუ გვიან

და ვერ მიხვდებით საითკენ მიდის
ეს გზა, რომელსაც სიცოცხლე
ჰქვია
და ეს სიკვდილი, რომელსაც ჭყინტი
ყველის ყიდვისას დუმილით
გამცნობს
მერძევე კარის ზარზე რომ რეკავს,
ის ყიდის კარაქს ყველსა და მაწნეს
და ნაცვლად წარსულს ყიდულობს
შენგან.

ეს პოემა გამოდგება იმის საილუს-
ტრაციოდ, თუ კონვენციური სავსეასო
რიტმისაგან გათავისუფლება როგორ
იწვევს ლექსში მეორადი მარიტმიზებე-
ლი ელემენტების გაატექიურებას. სინ-
ტაქსურ-ინტონაციური, სახეობრივი პა-
რალელიზმების სიუხვე, განმეორებანი
სხვადასხვა დონეზე, ბიბლიის, კერძოდ
მისი ყველაზე პოეტური ნაწილის, „ქე-
ბათა ქების“ სინტაქსური კონსტრუქცი-
ების გამოყენება ერთობლივად ქმნიან
გამორჩეულ რიტმულ-ინტონაციურ სუ-
რათს... თვალსაჩინოებისთვის დავაკ-
ვირდეთ ერთ მცირე მაგალითს:

მისი თვალები მინდვრის ცისფერი
ყვავილებია
ჩემს სასკოლო ჰერბარიუმში.
მისი ტუჩები კარადაზე
ჩამომხრჩვალი ვაშლის ჩირია
და მაყვლის ბუჩქთან აბუზული
ბელურებია მისი სიტყვები.

ვგონებ, ძნელი არ არის აქ მკითხვე-
ლისათვის ერთდროულად „ქება ქება-

თაის“ სახეობრივი ოპოზიტისა და რიტ-
მული ანალოგის დანახვა:

11. თავი მისი – ოქროვსა ოფაზი-
სად, თხზული თმათა მისთად, ვითარცა
ჭედილი, შავ, ვითარცა ყორანი;

12. თუალნი მისნი, ვითარცა ტრე-
დისანი, სავსებასა ზედა წყალთასა გან-
ბანილნი სძითა, მჯდომარე სავსებასა
ზედა წყალთასა;

13. ღაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი
ნელსაცხებელთანი, ფშვან სულნელე-
ბასა ნელსაცხებელთ მგბოლველთასა,
ბაგენი მისნი – შროშან და მომწოლ-
ვარე მურითა სავსედ.“

დასასრულ, მინდა, ეს წერილი
„ქმრების საკითხავის“ მხოლოდ ცალ-
კეული ასპექტების სუბიექტური ინ-
ტერპრეტირების მოკრძალებულ ცდად
ჩამეთვალოს, რადგან დარწმუნებული
ვარ, მკითხველი, რომელი მოინადინებს
მისი და ზოგადად, შალვა ბაკურაძის
მთელი შემოქმედების უფრო სიღრმი-
სეულ წვდომას, აღმოაჩინს გაცილებით
მრავალფეროვანსა და ვრცელ პოეტურ
სამყაროს, რადგან, მჯერა, რომ ტექ-
სტის სიცოცხლის საიდუმლო, მარ-
თლაც, შესაძლო ინტერპრეტაციათა
დაუსრულებლობაში ძევს.

P.S. რაკი ბუნებრივად საფიქრებე-
ლია, მკითხველთა ერთი ნაწილი არ
იცნობს შალვა ბაკურაძის პოემას, რო-
მელსაც ეს წერილი ეძღვნება, აქვე
ვურთავ მის ტექსტს:

ქმრების საკითხები

1.

ამ გამოშიგნულ ვაგონებში ცხოვრობენ გზები
ბალახმოვლილი
და უიმედოდ დავიწყებული.
რუხი ბალახი – ასე ჰქვია მერძევე მოხუცს,
კარდაკარ ყველს რომ

დაატარებს და გარდაცვლილთა ამბებს გვიყვება.
მისი თვალები მინდვრის ცისფერი ყვავილებია
ჩემს სასკოლო ჰერბარიუმში.
მისი ტუჩები კარადაზე ჩამომხრჩალი ვაშლის ჩირია
და მაყვლის ბუჩქთან აბუზული ბელურებია მისი სიტყვები.

ის ამბობს,
თითქოს გვქონდეს გული
და ეს გული გრძნობდეს სიყვარულს,
თითქოს გვყავდეს ღმერთი, რომელიც
ხედავს ნასვრეტებს ჩვენს ყველივით ქათქათა გულზე,
თითქოს ვგრძნობდეთ ბავშვობას, როგორც
ძირგახვრეტილ ჩექმებს წვიმაში.

„წარმოიდგინეთ თქვენი სახლი, როცა მოკვდებით“ –
იტყვის და თვალებს გააპარებს შენობებისკენ,
რომლებშიც კედლებს ისეთივე გრილი კანი აქვთ, როგორც
ადამიანს სიცოცხლის შემდეგ...

„წარმოიდგინეთ თქვენი სახლი, როცა მოკვდებით,
თქვენი კეთილი ფანჯრები და სავარძლები, როცა
მოკვდებით,
ეს თქვენითსავსე ოთახები, როცა მოკვდებით,
როცა ამ ჭერქვეშ ვერ შემოხვალთ...

გახსოვთ ბაბუას მზიანი და ფართო ოთახი?
იმ დილით ახალგაღვიძებულებმა კარი რომ შეაღეთ,
მან კი გთხოვათ,
ნუ შემოხვალთ, ბებო მოკვდაო,
გარეთ თოვდა
და დაორთქლილი შუშიდან დაინახეთ
ეზოში,
საადრეო ვაშლის ადგილას პერანგისამარა იდგა ბებო
და ბავშვივით ფეხისწვერებზე წამოწეული
ცდილობდა შეეხედა ოთახში, სადაც
დედა ტიროდა.
თქვენ კი ფიქრობდით თოვლზე, რომელიც
როგორც იქნა, მოვიდა
და ბებოზე,
რომელმაც ყველას დაგასწროთ ადგომა
და ფეხშიშველი გავიდა თოვლში
ხელისგულზე ფანტელების შესაგროვებლად.
სიკვდილიც მაშინ ეს გეგონათ:
როცა ფანტელები ხელისგულზე აღარ დნებიან.
მერე გამოანათა მზემ და მოვიდნენ
ახლობლები, მეზობლები და ნათესავები

და თითოეულმა საკუთარი წილი სიკვდილი წაიღო
თქვენგან,
წაიღეს, მაგრამ არც ერთს სახლამდეც არ მიჰყოლია,
სახლი კი უფრო დაცარიელდა,
არც ბებო იყო, აღარც სიკვდილი და აღარც თოვლი....

გახსოვთ ბაბუას მზიანი და ფართო ოთახი?
მატარებლით გაემგზავრეთ უცხო ქალაქში,
ფანჯრებიდან ისევ ნაცნობი ცა მოჩანდა,
დედიკოც ისევ ახლო იყო
და თქვენ შეგეძლოთ მის კალთაში დიდხანს გეთვლიმათ.

გახსოვთ ის კაცი, ტამბურში ასტრას რომ ეწეოდა,
თან ისე მძიმედ ახველებდა, იფიქრებდი
ნახველს გულსაც ამოაყოლებსო.
გახსოვთ, მისი რუხი პალტო,
უღალი თმები და სისხლისფერი წყლიანი თვალები?
გახსოვთ ის კაცი, მაშინ შეშლილი რომ გეგონათ –
ახლა მკვდარია.
ის შუალამით თქვენს კუპეში შემოეხეტა
და იღრიალა:

„ყველა მოკვდებით ადრე თუ გვიან
და ვერ მიხვდებით, საითკენ მიდის
ეს გზა, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია
და ეს სიკვდილი, რომელსაც ჭყინტი
ყველის ყიდვისას დუმილით გამცნობს
მერძევე, კარის ზარზე რომ რეკავს,
ის ყიდის კარაქს, ყველსა და მაწონს
და ნაცვლად წარსულს ყიდულობს შენგან.

მე კი ვიყიდე ერთხელ სიბერე,
რაც რამ მებადა, გავყიდე და შუა ომში უწვერული
ყმაწვილებისგან
ნაოჭები და სევდა ვიყიდე,
გულგრილობა და სიკვდილის შიში ვიყიდე
და შემდეგ უკვე მათ საფლავთან მქონდა ცრემლები
და წუთიწუზე ამოსაყვანი ყველივით თბილი სიტყვებიც,
მათი კანივით ქორფა ვარდებიც
და შეძენილი გულგრილობაც
და მაშინ მითხრა სასაფლაოზე მოხეტიალე ათი წლის
პიქმა:

„დილით, როდესაც მეძინა, დედამ
მერცხალი ხარო, – ასე თქვა ძია,
მე კი თქვენს გამშრალ თვალებში ვხედავ,
რომ მეც მოვკვდები ადრე თუ გვიან

და ვერ მივხვდები, საითკენ მიდის
ეს გზა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია
და ეს სიცოცხლე, რომელსაც ჭყინტი
ყველის გემო აქვს და მაწვნის სუნი,
ღამლამობით რომ მაჭმევენ ძალით
და ჭამის შემდეგ მერევა გული
და ვარწყევ, როგორც ფეხმძიმე ქალი
მთელს დედის რძეზე ნაყიდ ბავშვობას“.
ჰომ, დედათქვენი ახლა შორსაა,
ცოცხალია და რძისფერ ღრუბლებში დაფარფატებს
რძისფერი ფრთებით,
მამათქვენი კი ჩააძალლეს...
ისინი მიხვდნენ და ჩააძალლეს,
მიხვდნენ – ჰო, მიხვდნენ, თუ ვინც იყო,
რომ თქვენს მამობას იპრალებდა
და სააღდგომო ღორივით დაკლეს
მდინარის პირას, რომელსაც ჰქვია:
ჩვენთან არს ღმერთი...

თქვენ კი ზღვისპირას უნდა იცხოვროთ
და უნდა ჭამოთ თაფლი და თევზი,
ესაა მამის ბოლო სურვილი,
ესაა მამის ბოლო ლექსი:

„სიცოცხლე ჩემი საუკეთესო თვისებაა და გეკითხები,
ცოცხლებს შორის განა იცნობ ვინმე ისეთს, ამ
თვისებაში ეჭვს
რომ შეიტანს,
შენი ქმარი ვარ და ყოველ დილით ამ სიზმრებისგან
დაცლილ
ზეცას, ამ სიხარულს და ამ ქალაქს ვიწყებ შენიდან.
და ამ უკვდავი ღმერთითა და მოკვდავი ძმებით
გულისრევამდე ბედნიერი ვარ,
ვერ გავრკვეულვარ, ღვთის სიძულვილს გამოვხატავ
თუ თქვენს სიყვარულს, როცა ხეიბარ
სიტყვებს ვაგროვებ ლოცვისათვის და როცა ღამით
შენთან წოლის ვითხოვ უფლებას
და ვისმენ, ეჭვი გულის ბნელი სარდაფებიდან
ნესტიანი ხმით მესაუბრება,
რათა მეასედ დამარწმუნოს, რომ ყველა ქმარი მოკვდავია
და სიკვდილიდან რომ ვარ მოსული,
რაც თავი მახსოვეს, ცოცხალი ვარ. რა ვუპასუხო!
შემრთეს ქალი, რომელიც მიყვარს და ის არის
სხვისგან ორსული...
და ბნელ ოთახში ატუზული, იღლის ქვეშ ცოლის
დაკარგვის

შიშის ლაქას ვეხები, როგორც ნიშნობის ბეჭედს,
მაგრამ ის მაინც ყოველ ღამით სხვასთან მიდის
და მთვარის შუქზე წმინდანივით მიარხევს ბეჭებს,
ხოლო მე ისიც აღარ ვიცი, რა უნდა ვიგრძნო,
სად მტკიოდეს,
უბრალოდ ვზივარ, ვეწევი და ვხედავ ფანჯრიდან
კუპრისფერი ზღვა როგორ რიყავს მეომართა წაშლილ
გვამებს,
მესმის დაჭრილთა
მიწისფერი ხროტინი და შენ გეკითხები, რისთვის დაჭირდა
უფალს ამდენი ბედნიერი, ამდენი მოწმე მისი ღრეობის,
მე ხომ არაფერს, არაფერს არ დავიშურებდი,
რომ ერთხელ მაინც,
ერთხელ მაინც გადავხვეოდი
მათ, ვისი ხსოვნაც გადააქციეს საფლავის ჯვრებად,
მარმარილოდ ანდა გრანიტად,
რათა სიცოცხლე, როგორც უბნის ბებიაქალი,
დახმარებოდათ
გამოძრომაში სიკვდილის თბილი ჭუჭრუტანიდან
და შეეყვარათ ისე, როგორც მიყვარხარ ახლა,
ყველაზე შორი, ყველაზე უცხო
და რაც ამ გრძნობას სიხარული და ცრემლი ახლავს,
ამ გულის გარდა, არავინ უწყის.

სწორედ ამიტომ ვიმეორებ: სიცოცხლე ჩემი
საუკეთესო თვისებაა
და ვინწყებ ისევ შენი შვილიდან.
ის ღმერთი როა, აშკარაა და მოდის, რათა გადაღლილი და
დამძიმებული, დაკოურილი ხელისგულები შემოვავლო
სიყვარულს, როგორც ანთებულ სანთელს.
ის ბავშვია და უფროსებმა, როგორც ბავშვური საიდუმლო,
სიცოცხლე ანდეს
და სიზმრად, როცა შენს მუცელზე ყურმიდებული
ვისმენ მის ყოფნას, ვრწმუნდები, რომ ადამიანთა
ყველა ღიმილი და ყველა ცრემლი
ამ ცეროდენა მფეთქავ გულში გაერთიანდა;
რომ შენ იცოცხლებ უსიკვდილოდ, მე კი მოკვლავენ
როგორც მოკლეს ქმრები ჩემამდე და ახლა ნებსით
თუ უნებლიერ შუალამით თავდახრილი ვდგავარ ზღვასთან
და საკუთარ თავს დავეძებ მკვდრებში,
რომ მივასვენო მამის სახლში, რომელშიც კედლებს
ისეთივე გრილი კანი აქვთ, როგორც ადამიანს
სიცოცხლის შემდეგ.
რომელშიც სკამებს კუპოს ირგვლივ ალაგებენ და
ფერად-ფერად
ყვავილებში მჯდომ ორ წინაპარს,

მშობელთა კვდომას რომ შეესწრნენ
და ვერაფრით წარმოედგინათ ჩემი სიკვდილი,
ალბათ, უფრო ამიტომ სჯერათ,
რომ აღარა ვარ და ცივ ნუგეშად იტოვებენ მტვრიან
ფარაჯას,
მაისურს და თიხიან ჩექმებს,
ჩარჩოში სვამენ ძველ ფოტოებს, ჭერს ღებავენ და
კედლებზე ქალალდს აკრავენ, ეგებ
ოთახის ძვლებმა მათზე უკეთ შეინახონ ჩემი სიცოცხლის
ნაფლეთები, რუს ბათქაშზე ნესტად რომ რჩება,
საფლავს ჯებირებს უშენებენ, რომ დავიწყებამ არ
დატბოროს
და ყოველწლიურ სერობებზე სანთელივით უნთებენ
ხელფასს
გარდაცვლილის სულს, შენ კი ცოცხლობ, რათა გიყვარდეს
ყველა, ვინც შენში ჩემი ცოლი ვერ დაინახა,
ყველა, ვინც მომკლა ან ვერ მომკლა,
ვინც ვერ დამთმო დავიწყებისთვის და ვინც კინალამ
ღმერთად მომნათლა...“

თქვენთვის არავის უთხოვია, ბუნებრივი სიკვდილით
მოკვდითო.
თქვენთვის არავინ გაიმეტა ნაოჭები, სიბერე ან ჭალარა,
როცა სიძულვილს აუდუდარ რძესავით გასმევდნენ,
როცა შიშისპირა ქალაქში გზრდიდნენ

ისინი იდგნენ თავდახრილი თქვენს ლოგინთან
და გიმლეროდნენ ნაზის ხმით:

– დაიძინე!

მე გაგზავნი, როგორც მგელს ცხვრის ფარაში.
დაიძინე!

მე გასწავლი სხვისი სიკვდილით გახარებას.
და კვლისპირა ქალაქში გზრდიდნენ.

თქვენ კი გინდოდათ, ყოფილიყავით
მამათქვენზე სულ ცოტა უფრო ბედნიერი,
გყოლოდათ ცოლი, თეძოების ნაზი რხევით გაძლებასა და
სიკვდილს რომ გასწავლიდათ,
გესუნთქათ მისი მკერდიდან გადმოლვრილი რძისფერი
ღამეები,
მაგრამ სიძვისპირა ქალაქში გზრდიდნენ.

ისინი მუდამ უკითხავად შემოდიოდნენ
და ბოლთას სცემდნენ თქვენს სიზმრებში,
ღვთის სიყვარულს გირევდნენ პურში ღვარძლივით,

ღვთისკენ ლოცვებს აშრიალებდნენ ზურგზე ფრთებად
და ღვთისპირა ქალაქში გზრდიდნენ
ღვთისპირა ქალაქში“.

2.

„სადღაც იპოვეს უფროსებმა შავ-თეთრი დროშა
და გასაფერადებელი ალბომივით
გვაჩუქეს ბავშვებს“.

ჩვენ კი გავიხსენეთ ისტორიის სახელმძღვანელო
და სკოლაში დაზეპირებული ლექსები
და ყოველ შემთვედრს ცხვირწინ ვუფრიალებდით
სამშობლოს სიყვარულს
მოკვდავ მეზობელს ნაჭრის ბურთივით ვტენიდით პირში
ჩვენს უმიზებო უკვდავებას
და ნესტიანი სანგრებისაკენ მივათრევდით
დასაღვრელ სისხლს
საგმირო სხეულებით.

მე მახსოვს შენი სისხლი.

მოედანზე როცა მუხლი გადაიტყავე,
სკოლის ექთანმა იოდით მოგბანა ჭრილობა და
გაოფლილ შუბლთან გიშრისფერი თმა ხელისგულით
გადაგინა.
ეს რა მტირალა ყოფილხარო, – ჩაგიცინა
და მამაჩვენს სამსახურში გადაურეკა.
მამამ კინოში წაგვიყვანა და ვნახეთ ფილმი ომზე.
წლების შემდეგ კი ერთმანეთი წავიყვანეთ ომში,
როგორც კინოში.

მე მახსოვს შენი სისხლი,
თბილ ხნულში შავი ღივებივით რომ მოჩანდა.
სისხლიც როგორ გაგშავებია-მეთქი, გავიფიქრე,
ვიდრე ზურგზე მოგიყიდებდი უკვე ცივს და
სიკვდილგაუღენთილს,
შენ კი საბოლოო, უსასრულო სიზმარს ხედავდი.

„მე მინახავს მწვანე მოლზე შინდისფერი, თბილი ლაქები.
ეს არ იყო ჩვენი დროშის ნაგლეჯები,
ეს იყო აბზაცები მეგობრების საბოლოო სიზმრებიდან“ .

ვინ დავაჯერო, რომ ღმერთი ვარ?
ერთი აბზაციც ვერ შევცვალე შენს სიკვდილში,
ერთი მძიმეც ვერ წავშალე,
ერთი პატარა, მწვანე მორჩიც ვერ გადმოურგე ჩემი
გულიდან.

ვინ დავაჯერო, რომ ღმერთი ვარ?
ვისაც ღიმილი შევუთვალე, ცრემლი მაუწყა.
ვისთვისაც ცრემლი გავიმეტე, ყველა მკვდარია.
მე კი უმიზნოდ უნდა ვსუნთქავდე გაზაფხულს
წლიდან წლამდე.

ვინ დავაჯერო, რომ ღმერთი ვარ?
ყოველ დილით პურს ვყიდულობ მაღაზიაში,
მივირთმევ ვახშამს,
ვიღებ ხელფასს
და გულს ვინახავ სიყვარულისთვის.
ჩემს შიშველ ზურგთან ბევრი იწვა
და მკერდიც უკვე სხვისი ვნებებით მაქვს გაჯირჯული,
ოცნებებს კი ისე ვაფურთხე, გამვლელები მესალმებიან,
დარბაისელი კაციაო, – ასე ამბობენ.

„სამშობიარო, სადაც დავიბადე,
დაბომბვის დროს დაინგრა.
როგორ აღარ ვიფიქრო სიკვდილზე?!”

ვინ დავაჯერო, რომ გაქრობის არ მეშინია,
როცა შიშები ქინქლებივით ეხვევიან
ჩემს ლამპასავით მბჟუტავ სიცოცხლეს,
როცა იმედი საგულედან ხურდა ფულივით ამომაცალეს,
როცა ლექსებს ფესვებივით ვიწვდი მიწისკენ,
მიწისკენ, სადაც თქვენ მეგულებით
და შემორჩენილ სიხარულებს შემოდგომის
ფოთლებივით ვაშრიალებ.

3.

ვის ვუმღერო ჩემი გათოშილი გული,
ვის ავუნთო ჩემი დავიწყებული ლოცვა,
ვისკენ გავახილო ჩემი თვალდათხრილი ქალაქი?

მე უფლება მაქვს, ვიყო ერთ-ერთი,
მივითრევდე
კორპუსების ტეხილ კონტურებს,
ვრითმავდე
სიკვდილთან მისასვლელ დღეებს.

გვერდით ოთახში პერანგს აუთოებს დედა.
ხანგრძლივი თვალებით იატაკს ჩაჰურებს.
მას ყველაფერი დაავიწყდა,
დაავიწყდა, რომ მკვდარი ვარ და ყველაფერი მორჩია უკვე,
რომ მამაჩემის ძაძა ვერ მოირგო,

რომ ველარცერთი ჩემი ღიმილი ვერ მოინატრა.
ვის მოვუთხრო ჩემი სახლის ჩამქრალი ფანჯრები?

მე უფლება მაქვს, ვირბინო შენსკენ
ქანცგანწყვეტამდე,
სიყვარულამდე ვათეთრო შენსკენნათევი გზები.
დედა!
მიყვარხარ დედა,
რძისფერი კანი და მიწისფერი თვალები რომ გაქვს.
მიყვარხარ, დედა,
მამა რომ მოკლეს, მეც რომ მომკლეს და შენ მაინც
ცოცხალი ხარ.
მიყვარხარ, დედა,
ის ქალიც, ჩემთან ვინც დაწვება,
ვინც შემიყვარებს და შემდეგ დედა რომ გახდება და
მიყვარხარ, დედა,
ყველა სიმღერა შენსკენ რომ მოდის,
ყველა ლოცვას რომ შენ ლოცულობ,
ყველა ფანჯრიდან შენ რომ ჩანხარ,
მიყვარხარ, დედა!

მე უფლება მაქვს, ვიყო მკვდარი
და ველარასდროს ვისურვო დაბადება.
მე უფლება მაქვს, ვიყო მკვდარი
და ბნელ ოთახში ძველებურად ყვაოდნენ ქოთნის იები.
მე უფლება მაქვს, ვიყო მკვდარი,
ვიდრე მომკლავდნენ,
ვიდრე აქ ვარ,
ვითომ ცოცხლად, შენთან ერთად,
შენს საშოში.
მიყვარხარ, დედა!

არაფერია უფრო უღრუბლო, ვიდრე ჩემი სიყვარული,
უფრო უღრუბლო, ვიდრე ჩემი სიყვარული.

ნინო სადლობელაშვილი

„იყავი ჩიტი!“
 გაგა ნახურიშვილი –
 „სისულელის ტრაქტატი“,
 „ბარნოვის 122“ (გამომც.“ინტელექტი“)



სიყვარული იმიტომაა უცნაური,
 რომ ის არსებობს.
 ერლომ ახვლედიანი

როგორ გინდა, დაჯდე და სერიოზული წერილი დაწერო (შიგ შენი ლიტერატურული ცოდნა, საკმაზად სამი-ოთხი თეორიული ტერმინი, რამდენიმეც – ცნობილი (ან უცნობი!!) ციტატა გაურიო) პოეტზე, რომელიც უხსოვარი დროიდან შენივე ბავშვობასავით გიყვარს და ეს სიყვარული ხელს გიშლის, იყო სერიოზული და მით უფრო, ლიტერატურულ-თეორიული (მიუხედავად იმისა, რომ მასთან სწორედ ეს – ლიტერატურული ფიქრები გაკავშირებს და ამ საერთო ვნებაზე არაერთხელ გემრიელადაც გისაუბრია)?

ძნელი ამბავია აქ და ახლა სერიოზულობა, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელში არა მხოლოდ პოზის, არამედ დამოკიდებულებასაც ვგულისხმობ – რაც უნდა იყოს, ყველაზე სერიოზული მე სწორედ იმ ადამიანების მიმართ ვარ, ვინც თავისი არსით და ცხოვრებით, გაბედა და სიყვარულად დარჩა.

გაგა ნახურიშვილზე, მეგობრებში და უახლოეს წრეებში – ნახცოზე – მოგახსენებთ.

ცოტა ხნის წინ მისი ჩანაწერების ორი კრებული გამოვიდა, ჯერ „სი-

სულელის ტრაქტატი“ და სულ ახლახანს – „ბარნოვის 122“. ორივე გამომცემლობა „ინტელექტმა“ დაბეჭდა.

პოეტის ჩანაწერები კიდევ უფრო საინტერესო ამბავია მკითხველისთვის, მით უფრო, თუ მას ყველასთვის საყვარელი და თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორი სთავაზობს. გაგა ნახურიშვილი კი ის პოეტია, ვინც ზუსტად ისევე ცხოვრობს, როგორც საკუთარ ლექსებში წერს, და პირიქით.

სწორედ ამ უშუალობის, გულწრფელობის და სინალდის გამო მოიპოვა მან თავიდანვე მკითხველის ნდობაც და სიყვარულიც და კიდევ არის რაღაც მისტიკური და იდუმალი ამ კავშირში, ტანდემში – პოეტი და მკითხველი (ამ შემთხვევაში – ნახცო და მკითხველი), ჩანაწერების ორივე კრებულში სწორედ ეს იდუმალია გაცხადებული, ანუ საიდუმლო სისულელისა (როგორც დაასათაურა თავად ავტორმა), რაც თანაბარი სიმძლავრით ასატანს და აუტანელს ხდის ყოფიერებას ჩვენს დროში, გნებავთ – მარადისობაში.

თაობებზე ლაპარაკი ხშირად ამაო გარჯა და უკიდურესად პირობითი რამაა ხოლმე, მაგრამ ხანდახან, როცა კონკრეტულ დროში რამდენიმე ნათელი სახე (სახელი) მოიყრის თავს და რაღაც ერთი მიზნისკენ დაიძვრება, ჩვენ მათ ერთობას უკვე თაობას ვუწოდებთ და

ამ ერთობლიობაშიც გავიაზრებთ მეტად ეგზისტენციალურ ამბებს და საკითხებს...

ყოველთვის მიმართდა, რომ გაგას თაობა სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ, ზოგადად, ჩვენს უახლოეს დროში, ე.წ. 90-იანელების თაობა, რომელსაც მძიმე და ღრმა საბჭოთა წარსულიდან თავისუფალი სამშობლოს შემუსვრილი ოცნება ერგო და ამ ოცნების ნამსხვრევებზე რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, საბედისნერო გამოატარა კიდეც. ამ ყველაფერს წლები და მომავალი გადააფასებს, თუმცა ეს უკვე ხილულად ჩანს და დღეს მათ მიერ ნაცხოვრები და ნაფიქრი დროის სინათლეს ჩვენც ვინაწილებთ. ვინ არიან ეს ბიჭები? ეს კარგი პოეტები და მნერლები, იმ ცნობილი ევროპულ-ამერიკული „დაკარგული თაობის“ გმირებივით ნაომარები და ათასჯერ დაჩეხილები, დაკარგულებიც, დავინყებულებიც და ხელახლა გაცოცხლებულებიც (ტიციან ტაბიძის ცნობილი, ფატალური ლექსის გამოძახილივით: „სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლული ვარ სამჯერა, ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა“) – ირაკლი ჯავახაძე, ბექა ქურთული, რეზიკო თაბუკშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, არჩილ ქიქოძე, ზაზა ბიბილაშვილი, ბესო ხვედელიძე, გიო მგელაძე და კიდევ ბევრი, ალბათ რამდენი გამომრჩა, რამდენი ღონიერი სახელი (ომებში დალუპულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ...), ვისთან ერთადაც ახალი და ნათელი საქართველოს (რა ბუნებრივი პათეტიკაა და როგორ უხდება ამ ყველაფერს ეს პათეტიკა აქ და ახლა!) მზე უნდა ამოსულიყო, მაგრამ მზის ამოსვლამ, როგორც ზღაპრებშია, დააგვიანა...

ხოლო პოეტმა ეს ყველაფერი ასე თქვა:

ცა დაეცემა უცებ მიწაზე
და რჩება მაღლა სიცარიელე...
(გაგა ნახუცრიშვილი „თეთრი ცხელება“).

ოდესმე, ალბათ, დაინტერება საგა 90-იანელების თაობისა, თუმცა მა-

ნამდე იმ დროსა და ადამიანებზე ეს მწერლები თავად ჰყვებიან თავიანთ მოთხოვნებსა და რომანებში, ლექსებში, ფილმებში და ჩანაწერებში.

ეს დრო – ნარსული, როგორც სიზმარი, გაგა ნახუცრიშვილის ჩანაწერებშიც გადმოსახლდა. ორივე კრებული სწორედ იმ გარდასულს, ძვირფასს, განსაკუთრებულს ეძღვნება, რაც იყო და აღარ არის, რაშიც ცხოვრებამ თავისი ოქროსფერი ნაფეხური ჩატოვა.

ორივე წიგნი ზუსტად იმ სიყვარულითაა დაწერილი, რა სიყვარულზეც თავშივე მოგახსენებდით – ნახცოს რომ უკავშირდება და ნახცო რითაც უკავშირდება დანარჩენ სამყაროს. ამ დამოკიდებულებით მის ნაწერს ყოველთვის გამოარჩევ, ეს ადამიანური კრძალვა და სიფაქიზე (ამ სიტყვების ყველაზე კაცური გაგებით) არავისში აგერევა, ასე მხოლოდ გაგა ნახუცრიშვილს შეუძლია გაიხსენოს და ილაპარაკოს – იმ ადამიანებზე, თბილისზე, იმ... იმ საქართველოზე.

ეს ახალგაზრდობის ჩანაწერებია. არა კონკრეტული ადამიანის, არამედ, ზოგადად, ამ მოვლენის – ახალგაზრდობის, როცა ყველაფერი ყალყზე დგას და თავის სამიზნეს გულშეშვერილი თავის წილ წამს ელოდება; როცა „არსად გეჩქარება“, რადგან შენა ხარ მთელი დროის ბატონ-პატრონი. ეს წიგნები იმ საიდუმლოს გამხელაცაა, თუ როგორ შეგიძლია დარჩე მუდამ ახალგაზრდად, როგორ დაამახსოვრო თავი ადამიანებს, სამყაროს. ესაა ამბები დიდ და უწყინარ ახალგაზრდულ ამბოხზე, პირველ რიგში, საკუთარ თავთან. ესაა, როგორც თავად ნახცო ამბობს – მისი „თამაში ჭვავის ყანაში“.

ბევრი ვიდავეთ,
სისადავე გაქრა დავაში
და გვეგონა ომი თამაში...
რწმენა, გართობა,
ეს იყო ჩვენი ახალგაზრდობა...
პირველი, რაც ამ კრებულებში თვალში მოგხვდებათ, სიზმრების სიმრავლეა. ბევრი ნოველა თუ მინიატურა ასეც იწყება – „ისევ დამესიზმრა“...

შესაძლოა, ესაა სიზმრები იმაზე, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო სა-მყარო და ცხოვრება უფრო უკეთესი, მხიარული და ბედნიერიც... შესაძლოა, ეს სიზმრები სულაც არაა და პირიქით, რომელილაც პარალელური სინამდვი-ლის ტალღებია, რომელსაც პოეტის გამძაფრებული გუმანი „იჭერს“. თავად კი ასე ხსნის ავტორი: „დღევანდელობა მოსაწყენია, რაღაცნაირი – ბანალურობით აგრესიული, სიყალბით გაუდენილი და უტვინო ამბიჯიურობით გატენილი!.. ალბათ ამიტომაც, ეს ჩემი მო-გონებები სიზმარივითაა. სიზმარივით, რომელიც ნამდვილად არსებობდა“.

სიზმრები ყველაზე უცნაურ და ბა-ნალურ ამბებზე, მაგალითად – ვერის ბალში წიგნის ბაზრობაზე, ან ბამბუკის ტყეზე გაგრაში, ან, ბოლოს და ბოლოს – ფეხბურთზე, მის აღმატებულება ფეხ-ბურთზე, რომელიც ასე ძალიან უყვარს ნახცოს და რომელზე წერაც წარმოუდ-გენელი აღტყინებით უხარია. უფრო სწორად, ისეთ ფეხბურთზე წერა, რო-მელიც ოდესალაც იყო, ოდესალაც ახსოვს ან დაესიზმრა. „მოლდოვასთან თამა-შის წინ ძალიან უცნაური რამ დამეს-იზმრა. ჩვენი ნაკრები 90 წუთი ბურთს აკონტროლებდა და მეტოქეს მწვავედ უტევდა. ელვისებური სისწრაფით გა-დადიოდა დაცვიდან შეტევაში და შეტევიდან დაცვაში. იყო გონივრული კომბინაციები და ლამაზი, ეფექტუ-რი ფინტების კორიანტელი, როგორც იტყვიან, იყო ყველაფერი, რისთვისაც ფეხბურთი გვიყვარს“.

საერთოდაც, ეს წიგნი იმაზეა, რაც გვიყვარს ან გვიყვარდა, რაც ყოვლად აუტანელ საბჭოთა წარსულშიც კი ანათებდა, როგორც ადამიანად ყოფ-ნის კეთილი ამბავი. ამ კრებულებში ყველაფერი გასულიერებულია, ცოცხა-ლია და ადამიანის სიმაღლემდეა (თავად ადამიანია ბუნებრივად აღმატებული) – „ჩემი ბიჭვინთელი მეგობარი მოხუცი ფი-ჭვი დამესიზმრა, ნეტავ ცოცხალი თუა? ნეტავ ვახსოვარ?..“ – იწყებს ერთ ჩანაწ-ერს და არის ამ სტრიქონებში სევდას-

თან ერთად რაღაც ძალიან ფატალური – მოხუცი მეგობარი ნაძვი ბიჭვინთაში ხომ მთელი აფხაზეთია, რომელიც ახლა მხოლოდ ჩვენს სიზმრებში ცხოვრობს, თავის მიწიან-ადამიანებიანად, მთებიან-ზღვიანად, და მას პოეტი თუ გამოიხმობს ტკივილიანი ხსოვნისთვის...

ამ წიგნებში ცოცხლობენ ის ნათელი და კარგი ბიჭები, ვინც ნახცოს დრო შე-ქმნა – პაკო სვიმონიშვილი, გიორ თურქა-ძე, მიშიკო ქორიძე (ხულიგანა), პეტრო... აქვს ამ ხსოვნას გულისგამგლეჯი სევდაც და იუმორიც. ნახცოს იუმორითაც გა-მოარჩევ (თვითირონიითაც) – თხრობის მანერაშიც და მონათხრობ ამბავშიც ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ როლს თამაშობს, რადგან თავისთავად სხარტ და ცინცხალ ისტორიებს კიდევ უფრო მეტად აფერადებს და, არასდროს რომ არ დაგავიწყდება, ისეთ ამბებად აქცევს – „ფეხმძიმე ცოლი“, „7 ნოემბერი“, „თე-თრი პუდელი“ და კიდევ უამრავი სხვა...

ეს კრებულები გულგრილს არავის დატოვებს. საამისოდ მათში ყველაფე-რია, და კიდევ ის იდუმალება, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. ეს იდუმალებაა, ბრძენს რომ სისულელით ამკობს და სერიოზულს – არასერიოზულობით, დროს რომ ყოფისგან ათავისუფლებს და მარადისობის შუქით აბრნყინებს. ეს იდუმალება ან გაქცს, ან არა. თუ გაქცს, და მით უფრო, თუ პოეტი ხარ, მაშინ ძალიან გაგიმართლა შენც და შენს მკითხველსაც – ჩათვალე, რომ ეს შუქი არასდროს შენყდება, შენ კი მისი გამტარი ამ ილბლის გამო აღმოჩნდი.

შუქი ადამიანებს ყოველთვის სჭირდ-ებათ. დღეს ხომ ძალიან და, ალბათ – ხვალ უფრო.

თავად გაგა ნახუცრიშვილი ამას ასე იტყვის:

დავრჩებით ასე კვლავ მე
და სივრცე,
სადამდეც გავძლებთ, ალბათ
ვიქნებით,
„იყავი ჩიტი! – ამბობდა ქრისტე,
სად მიფრინავენ ნეტავ ჩიტები.

მანანა პაიჭაძე



პატრიკ ზიუსკინდის მცირე პროზის ლირიკული ნარატივი

როდესაც გვეჩვენება, რომ ნაწარმოებმა
თავის დროს გაუსწრო, ეს იმიტომ ხდება,
რომ დრო ჩამორჩა მას.

უან კოქტო

თანამედროვე გერმანელი მწერლის პატრიკ ზიუსკინდის შემოქმედებისა-დამი ინტერესი განუზომლად დიდია მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც.

გერმანელი მწერალი და სცენარის-ტი პატრიკ ზიუსკინდი დაიბადა შტარნბერგის ტბის პირას მდებარე პატარა ქალაქ ამბაში 1949 წლის 26 მარტს. იგი არის ცნობილი შვაბი პიეტისტის იოჰან ალბრეხტ ბენგელის (1687-1752) და რეფორმატორ იოჰანეს ბრენცის (1499-1570) შთამომავალი. მამამისი, მწერალი და მთარგმნელი ვილჰელმ ემანუელ ზიუსკინდი (კლაუს მანის ახლო მეგობარი) დიდხანს მუშაობდა გაზეთში „Süddeutsche Zeitung“.

პატრიკ ზიუსკინდი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჯარში მსახურობდა. შემდეგ მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლობდა შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას. მოგვიანებით ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობდა საფრანგეთში ექს-ან-პროვანსის უნივერსიტეტში, სადაც დარგობრივი ცოდნის გარდა

გაიღრმავა ფრანგული ენის ცოდნაც. პატრიკ ზიუსკინდი დაეუფლა აგრეთვე ინგლისურ, ესპანურ, ლათინურ და ბერძნულ ენებს.

მაგრამ გაურკვეველი მიზეზის გამო საუნივერსიტეტო განათლება არ დაუსრულებია.

იგი ცხოვრობს განმარტოებულად მიუნხენში, ზეპაიმში და მონცოლიეში (საფრანგეთში). მისი ცხოვრების მეგზური არის მიუნხენელი გამომცემელი ქალი ტანია გრაფი, რომელთანაც ზიუსკინდს საერთო ვაჟი ჰყავს. პატრიკ ზიუსკინდს არ უყვარს ფოტოსურათების გადაღება, ხალხში გამოჩენა, ის ხშირად ამბობს უარს ჯილდოებზე – ასე მაგალითად, 1978 წელს მან უარი განაცხადა ტუკანის პრემიაზე და FAZ-ის – ანუ „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგის“ ლიტერატურულ პრემიაზე იმავე 1978 წელს. მან ასევე უარი თქვა საფრანგეთის პრემიაზე საუკეთესო ლიტერატურული დებიუტისათვის. პატრიკ ზიუსკინდი არ დასწრებია თავისი გახმაურებული რომანის, „სუნამოს“, ეკრანიზაციის (რეჟისორი

– ტომ ტიკვერი) მსოფლიო პრემიერას, რომელიც მიუნხენში 2006 წლის 7 სექტემბერს შედგა. მთელი ცხოვრების განმავლობაში მას მხოლოდ ოთხი ინტერვიუ აქვს მიცემული უურნალისტებისთვის. მეგობარი ცოტა ჰყავს, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ფრანგ მწერალსა და ილუსტრატორს უან-უაკ ზემპეს, რომლის რამდენიმე ნაწარმოები ზიუსკინდმა თარგმნა გერმანულ ენაზე.

პატრიკ ზიუსკინდმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო, როგორც სცენარისტმა. 1976 წელს ის დაუმეგობრდა რეჟისორ პელმუტ დიტლს და მათ ერთობლივად გადაიღეს სატელევიზიო სერიალები: „ჩვეულებრივი სიგიურ“ (1979), „მონაკო ფრანცე – მარადიული დენდი“ (1983), „კირ როიალი“ (1985), „როსინი, ანუ მზაკვრული შეკითხვა: ვის ვისთან ეძინა“ (1997), „სიყვარულის ძებნისა და პოვნის შესახებ“ (2005).

პატრიკ ზიუსკინდის, როგორც მწერლის, სახელმა იქნება 1985 წელს მისი რომანის „სუნამო. ერთი მკვლელის ამბავი“ (Das Parfum. Die Geschichte eines Mörders) გამოქვეყნებისთანავე. მას შემდეგ ეს ნაწარმოებიც (რომელიც დღესდღეობით მსოფლიოს ორმოცდაათზე მეტ ენაზეა თარგმნილი) და მისი ავტორის სახელიც მსოფლიოს ბესტსელერების სიაში ლიდერობას ინარჩუნებს. პატრიკ ზიუსკინდის ეს ნაწარმოები გერმანულენოვანი საგანმანათლებლო სისტემის სავალდებულო შემადგენელი ნაწილი გახდა – იგი სკოლების სასწავლო პროგრამაში შეიტანეს. მისი შემოქმედების კვლევაც ამ პერიოდიდან იწყება. ამ ეტაპისთვის

შეიძლება გამოვკვეთოთ დაახლოებით ოცი ან ოდნავ მეტი სერიოზული გამოკვლევა.

პატრიკ ზიუსკინდის, როგორც მწერლის შემოქმედება შემოიფარგლება შემდეგი ნაწარმოებებით:

1. „კონტრაბასი“ Der Kontrabass (1981) ერთაქტიანი მონოდრამა;
2. „სუნამო“ – Das Parfüm (1985) რომანი;
3. „მტრედი“ – Die Taube (1987) ნოველა;
4. „ამბავი ბატონი ზომერისა“ – Die Geschichte von Herrn Sommer (1991) ნოველა;
5. „სამი მოთხრობა და ერთი დაკვირვება“ – Drei Geschichten und eine Be trachtung (1995);
6. „სიყვარულისა და სიკვდილის შესახებ“ – Über Liebe und Tod (2006). ესეი.

ეს უკანასკნელი მან ოცნლიანი დუმილის შემდეგ დაწერა. ვერ ვიტყვი, რომ ეს ესეი ზიუსკინდის შემოქმედებას რამეს მატებდეს, ალბათ, უფრო პირიქით. ბევრი მკვლევარი და ლიტერატორი მიიჩნევს, რომ ზიუსკინდი ახალ ნაწარმოებს აღარასოდეს დაწერს.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმას, რაც მან უკვე დაწერა.

წინამდებარე სტატიაში მინდა შევხმავ მის მცირე პროზას, კერძოდ კი მის თხზულებას „სამი მოთხრობა და ერთი დაკვირვება“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1995 წელს, მაგრამ მასში გაერთიანებული მოთხრობები სხვადასხვა დროს შეიქმნა. ¹

წიგნი „სამი მოთხრობა და ერთი

¹ არსებობს ამ წიგნის რესუდან ბეჭაშვილის მიერ შესრულებული ქართული თარგმანიც, რომელიც გამოიცა გამომტცემლობა „ლოგოსში“ 2007 წელს თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით. თარგმანში მას „სამი ამბავი“ ჰქვია (გამორჩენილია მეოთხე ტექსტის სახელწოდება – ერთი დაკვირვება). საერთოდ მინდა ალვიშონო, რომ ქართულ ტექსტს აშკარად აკლია პროფესიონალი რედაქტორის ხელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მასში არ შეგვხდებოდა უხვად სემანტიკური აცდენები და უზუსტობები, რაც უკვე სათაურებშივე ჩანს, თუმცა ამ თარგმანის ამ ფორმატში განხილვა ძალზე წაგიფვანდა.

დაკვირვება“ – „Drei Geschichten und eine Betrachtung“ – შედგება ოთხი ტექსტისგან, რომლებიც, ჩემი აზრით, წარმოადგენს ფენომენალურ ფილოსოფიურ ტექსტებს, პაროდიულ მხატვრულ ფილოსოფიურ ეტიუდსა თუ ესეს, რომელთა თემატიკაცა და პრობლემატიკაც ზოგადი შტრიხებით მათსავე სათაურებიდან შეიძლება ამოვიკითხოთ.

1. „სწრაფვა სიღრმისადმი“;
2. „შერკინება“;
3. „მეტრ მიუსარის ანდერძი“;
4. „ლიტერატურული ამნეზია“.

ქრონოლოგიას თუ მივყვებით, ასეთი სურათი იკვეთება:

1. „Das Vermächtnis des Maitre Müssard“ – „მეტრ მიუსარის ანდერძი“ – დაინერა და გამოქვეყნდა 1976 წელს. პირველად დაიბეჭდა უურნალში: „Neue Deutsche Hefte“, № 149, Berlin, 1976.

2. „Ein Kampf“ – „შერკინება“ – დაინერა და გამოქვეყნდა 1985 წელს. პირველად დაიბეჭდა უურნალში „Das Tintenfass“, Das Magazin für den überforderten Intellektuellen, № 12, Diogenes Verlag, Zürich 1985.

3. „Der Zwang zur Tiefe“ – „სწრაფვა სიღრმისადმი“ – დაინერა და გამოქვეყნდა 1986 წელს. პირველად დაიბეჭდა წიგნში „Das Buch der Niedertracht“, Verlag Klaus G. Renner, München, 1986.

4. „Amnesie in litteris“ – „ლიტერატურული ამნეზია“ – დაინერა და გამოქვეყნდა 1986 წელს. პირველად დაიბეჭდა უურნალში „L'80, Zeitschrift für Literatur und Politik, Heft 37, Köln, 1986.

ანუ თანმიმდევრობა ოდნავ, მაგრამ მაინც შეცვლილია. ისმის კითხვა – რატომ განალაგა ავტორმა ამ წიგნში მოთხოვები სხვაგვარად, რატომ დაარღვია ქრონოლოგიის პრინციპი? თემატურობის გამო, მათი ნარატივის სტრუქტურის გამო თუ იმიტომ, რომ მწერალმა საჭიროდ ჩათვალა, თავისი ლიტერატურული პირმშო ცოტათი „მიემალა“ და არ დაეწყო პირდაპირ

„მეტრ მიუსარის ანდერძი“?

თემატურობას თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩინთ, რომ ოთხივე ოპუსში საქმე გვაქვს ანტიგმირებთან (რაც ზიუსკინდისთვის დამახასიათებელია და ამაში არანაირი ორიგინალობა არ იმაღლება). ოთხივე მოთხოვების გმირები შეპყრობილები არიან გარკვეული ფობიებით და კომპლექსებით. სიუჟეტები ვითარდება უბრალოდ სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ეპოქაში.

1. პირველი მოთხოვება: დრო – თანამედროვეობა, გერმანია, ქალაქი შტუტგარტი, გმირი – 1;

2. მეორე მოთხოვება: დრო – თანამედროვეობა, ადგილი – პარიზი, ლუქსემბურგის ბაღი; გმირების რაოდენობა – 2;

3. მესამე მოთხოვება: დრო მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთი, დასასრულს ზუსტი თარიღია მითითებული – 1753 წლის 30 აგვისტო, ადგილი – პასი, პარიზის სიახლოვეს (დღეს უკვე პარიზის უბანია), გმირი – 1;

4. მეოთხე მოთხოვება: დრო – თანმედროვეობა, გერმანია, გმირი – 1.

1. „სწრაფვა სიღრმისაკენ“ – ტექსტის საზრისი შეიცავს მინიშნებას იმაზე, რომ მოთხოვების გმირს – ახალგაზრდა ნიჭიერ დამწყებ მხატვარ ქალს (უნებლიერ) უბიძებეს იმისკენ, რომ დამართოდა დეპრესია, შეეწყვიტა შემოქმედებითი საქმიანობა და ბოლოს ტრაგიკულად დაესრულებინა სიცოცხლე თვითმკვლელობით – იგი სატელევიზიო კოშკიდან ძირს გადაეშვა. მართალია, ქალი მაშინვე გარდაიცვალა, მაგრამ იგი პირდაპირ კი არ დაენარცხა მოედნის ქვაფენილზე, არამედ იმ დღეს ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა მისი სხეული კიდევ ერთხანს ათრია შვრის მინდორზე და შემდეგ ნაძვების ტყის პირას დაანარცხა. ყოველივე ეს გამოიწვია ერთი კრიტიკოსის მიერ წარმოთქმულმა ფრაზამ: „რასაც თქვენ ქმნით,

უდავოდ ნიჭიერია და ბევრის მთქმელი, მაგრამ ჯერჯერობით სიღრმე გაკლიათ“. სწორედ ეს გახდა მისი შინაგანი ნერგის, საკუთარ თავში დაეჭვების, დეპრესის, გადაგვარების და ბოლოს სუიციდის მიზეზი. სულხან-საბას „ენით დაკოდილი“ გვახსენდება ქართველებს პირველ რიგში ამ მეტაფორიზებული ტექსტის სემიოტიკური კოდის ალსანიშნად.

2. „შერკინება“ – ტექსტის გმირები არიან მოჭადრაკები. ლუქსემბურგის ბალში გრძელ სკამზე შეკრებილია მოყვარულ მოჭადრაკეთა ჯგუფი. ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს თამაშს: ერთი მოჭადრაკე – ახალგაზრდა, ლამაზი მამაკაცი, რომელიც საოცარი დამაჯერებლობით და უპირატესობის გრძნობით თამაშობს. მეორე მოჭადრაკე – მოხუცი, სამოცდაათი წლის უანი, რომელსაც აქ ყველა იცნობს, რომელთანაც ყველას უთამაშია და ვერავის მოუგია მისთვის. ზიუსკინდი ფოკუსში აქცევს არა მხოლოდ მოთამაშებს, არამედ მაყურებელთა და გულშემატკივართა ჯგუფს, რომლებიც ამ უცნობი მოთამაშის მხარეს იჭრენ იმ მარტივი მიზეზით, რომ უნდათ დამარცხებული ნახონ უანი, რომლისთვისაც ჯერ არავის მოუგია. ახალგაზრდა კაცი თამაშობს სწრაფ ტემპში, ნაკლებს ფიქრობს და დიდძალ რისკზეც მიდის. უანი თამაშობს დინჯად, დაფიქრებულად, ყველაფერს კარგად წონის. ფინალი: ახალგაზრდა კაცი აგებს სრულიად ბანალურ პარტიას ბანალური შეცდომების გამო, მაგრამ ამ წაგებას თეატრალური უესტით აგვირგვინებს – ის უბრალოდ დაფაზე წააქცევს მეფეს. შემდეგ ადგება და წავა. ყველა განბილებული და დაბნებულებია. ახლალა უკვირთ, რომ სჯეროდათ, თითქოს ეს ყმანვილი შეძლებდა წასაგებად განწირული პარტიის მოგებას. ყველა მიდის და ტოვებს უანს. ის დინჯად ალაგებს ფიგურებს კოლოფში. კიდევ ერთხელ

აანალიზებს თავის სვლებს და შინისკენ გაეშურება. გზად კი გაიფიქრებს, რომ დღეს სინამდვილეში მარცხი განიცადა, რადგანაც ამ უვიც ყმანვილს გაუყადრა თავი და გადაწყვეტს, ამიერიდან ჭადრაკის თამაშს თავი დაანებოს. „ამიერიდან ის სხვა პენსიონერების მსგავსად ბულეს ითამაშებს, ამ უწყინარ თავის შესაქცევ თამაშს, რომელიც ნაკლებ მორალურ დალისხმევას საჭიროებს“.

3. „მეტრ მიუსარის ანდერძი“ – ფაქტობრივად, ისტორიულ ქრონიკას მოგვარულ მოჭადრაკეთა ჯგუფი. ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს თამაშს: ერთი მოჭადრაკე – ახალგაზრდა, ლამაზი მამაკაცი, რომელიც საოცარი დამაჯერებლობით და უპირატესობის გრძნობით თამაშობს. მეორე მოჭადრაკე – მოხუცი, სამოცდაათი წლის უანი, რომელსაც აქ ყველა იცნობს, რომელთანაც ყველას უთამაშია და ვერავის მოუგია მისთვის. ზიუსკინდი ფოკუსში აქცევს არა მხოლოდ მოთამაშებს, არამედ მაყურებელთა და გულშემატკივართა ჯგუფს, რომლებიც ამ უცნობი მოთამაშის მხარეს იჭრენ იმ მარტივი მიზეზით, რომ უნდათ დამარცხებული ნახონ უანი, რომლისთვისაც ჯერ არავის მოუგია. ახალგაზრდა კაცი თამაშობს სწრაფ ტემპში, ნაკლებს ფიქრობს და დიდძალ რისკზეც მიდის. უანი თამაშობს დინჯად, დაფიქრებულად, ყველაფერს კარგად წონის. ფინალი: ახალგაზრდა კაცი აგებს სრულიად ბანალურ პარტიას ბანალური შეცდომების გამო, მაგრამ ამ წაგებას თეატრალური უესტით აგვირგვინებს – ის უბრალოდ დაფაზე წააქცევს მეფეს. შემდეგ ადგება და წავა. ყველა განბილებული და დაბნებულებია. ახლალა უკვირთ, რომ სჯეროდათ, თითქოს ეს ყმანვილი შეძლებდა წასაგებად განწირული პარტიის მოგებას. ყველა მიდის და ტოვებს უანს. ის დინჯად ალაგებს ფიგურებს კოლოფში. კიდევ ერთხელ

„თავისი უცნაური აღმოჩენებით განუწყვეტლივ დაკავებული მიუსარი იმდენად ანთებული და აღგზნებული იყო ამ ფიქრებით, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს მის თავში ერთ სისტემად უნდა ჩამოყალიბებულიყო, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სიგიურ/მანიად უნდა ქცეულიყო, რომ არა სიკვდილი, რომელმაც – მისი ჭკუისა და გონების საბედნიეროდ, ხოლო ამავე დროს კი მისი მეგობრების საუბედუროდ, რომელთაც გულწრფელად უყვარდათ და პატივს სცემდნენ მიუსარს – უცნაური სისასტივით წაართვა მათ მისი თავი“. შემდეგ კი მეტრ მიუსარი გვიყვება თავის თავგადასავალს, თუ როგორ გახდა ოქრომჭედლის შეგირდი, შემდეგ თავად იქცა ცნობილ პრომინენტულ უველირად, მაგრამ ორმოცდაათ წელს მიტანებულმა გადაწყვიტა, მამული შეეძინა პასიში და დაესვენა. გააშენა ბალი, უნდოდა ვარდების დარგვა, მაგრამ ვარდებმა ვერ გაისარეს. მაშინ მეტრ მიუსარმა დაიწყო ნიადაგის შესწავლა და აღმოაჩინა, რომ მთელი ნიადაგი ყველგან ქვადქცეული ნიჟარებისგან შედგებოდა. მიუსარმა თავისი გათხრების არეალი გააფართოვა

და გადათხარა პარიზის შემოგარენი და მიმდებარე ტეროტორიები. ექსპონატებით გავსო სახლი. ამ მუშაობაში გავი-და რამდენიმე წელი. მიუსარი დაკუტდა, ველარ დგებოდა, ხელებიც აღარ ემორ-ჩილებოდა, მხოლოდ მარცხენა ხელითლა წერდა გაჭირვებით პატარა მაგიდაზე, რომელსაც სანოლში საბანზე უდგამდნენ. ბოლოს წოლაც აღარ შეეძლო, რადგან ხერხემალს ველარ შლიდა. ასე სამკუთხად მოკუნტული გარდაიცვალა კალმით ხელ-ში. კუბოც უჩვეულო ფორმის შეუკვე-თეს, რადგან გარდაცვლილის გვამი ვერ გაასწორეს, ხოლო, როდესაც უნდოდათ მისი ხელიდან კალა-მი გამოეღოთ, თითები დაიშალა და იმავე სუბს-ტანციად იქცა, რისგანაც მის მიერ აღმოჩენი-ლი ექსპონატები შედგებოდა – ქვადქცეულ ნიუარებად. „გა-ნიუარიანება“ – „Vermuschelung“ – ეს არის მეტრ მიუსარის ან-

დერძის ძირითადი გზავნილი, მისი არსი. ამ საშიშროებისგან უნდოდა კაცოპრიო-ბის დაცვა, მისი გაფრთხილება, უნდოდა ეთქვა, რომ ბუნება ადამიანის მტერია, რადგან ყველაფერი, რასაც ჩვენ ბუნებას ვეძახით – ჰერი, წყალი, მცენარეები და ასე შემდეგ, მხოლოდ ცრუ ზედა-პირია, ხოლო ყოველივეს საფუძველში კი მხოლოდ ქვადქცეული ნიუარები, ანუ განიუარებიანება უდევს. ირონიაც ამაშია! და ამავე დროს ირონიული პარაფრაზი ბიბლიური სენტენციისა – „მიწა ხარ და მიწად იქეც!“ საბრალო მეტრ მიუსარი – ფსევდომეცნიერად, კერძოდ კი კონხიო-ლოგად ქცეული ოქრომჭედელი, რომლის

პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი, როგორც ოქრომჭედლის შეგირდისა, სწორედ ოქროს ნიუარაში მოთავსებული ლალის თვალი იყო!..

4. „ლიტერატურული ამნეზია“ – ამ მოთხოვნის გმირი (რომლის სქესი არ ვიცით და ეს არც არის მნიშვნე-ლოვანი; ვიცით მხოლოდ, რომ ადრე უურნალ-გაზეთებში უმუშავია რედა-ქტორად და სცენარებიც დაუწერია) შეპყრობილია ლიტერატურული ამ-ნეზის სენით. იგი ცდილობს პასუხი გასცეს შეკითხვას: თუ რომელმა წიგ-



პატრიკ ზიუსკინდი

ნმა დატოვა მასზე წარუშლელი შთა-ბეჭდილება, რომელმა აღაფრთოვანა თუ პირიქით, აღაშფოთა. გმირი ცდი-ლობს, გაიხსენოს ყველა წიგნი, რაც კი წაუკითხავს და საკუთარი ბიბლიო-თეკის წიგნის თაროებს ათვალიერებს. ხან სიუჟეტის ფრაგმენტი ახსენდება, მაგრამ არ ახსოვს სათაური, ხან ავტო-რის სახელსა და გვარს ვერ იხსენებს, მაგრამ ახსოვს, რომ იყო ვინმე ავსტ-რიელი ფსიქოლოგი, რომელმაც მნიშვ-ნელოვანი წიგნი დაწერა, მაგრამ აღარ ახსოვს, რაზე. შემდეგ იხსენებს ისტო-რიულ პიროვნებებს. ცდილობს გაარკ-

ვიოს, თუ რა იცის ალექსანდრე მაკე-დონელზე, რომელზეც უამრავი წიგნი აქვს წაკითხული ან ასწლიან ოშზე და დასძენს, რომ არაფერიც არ იცის. ბოლოს ამ ფიქრებით და გახსენების მცდელობებით დაღლილი გმირი იხსენებს ერთი ლექსის ბოლო ფრაზას, რომლის არც ავტორი ახსოვს, არც სათაური, თუმცა მოთხრობის დასაწყისში ამავე ლექსის სათაურის ნაწილი ახსენდება – აპოლონი. ბოლო ფრაზა კი ასე უღერს: „შენ უნდა შეცვალო შენი ცხოვრება!“ გათვითცნობიერებული მეოთხველი მიხვდება, რომ საუბარია რაინერ მარია რილკეს ლექსზე „აპოლონის არქაული ტორსი“ („Archaischer Torso Apollos“ 1908): „Du mußt dein Leben ändern“.

პატრიკ ზიუსკინდის ნარატივი თოხივე შემთხვევაში აგებულია ლეგატოს პრინციპზე, მისი სინტაქსის და სემანტიკის დატვირთვა იზრდება პირველიდან მეოთხე მოთხრობამდე, იცვლება ასევე ნარატივის ტემპორიტმი და ყოველივე ამას ამავე მზარდი პრინციპით თანხლებას უწევს ირონიული ინტრირება.

რაც შეეხება ამ მოთხრობების ნარატივს და დიეგეზის, მინდა თრიოდ სიტყვით განვმარტო:

„დიეგეზისი“ ბერძნული სიტყვაა და მონათხრობ ამბავს ნიშნავს. ი. ლინტველტის თანახმად, თხრობის ჰეტეროდიეგეტური და ჰომოდიეგეტური ტიპები თხრობის ორ ძირითად ბაზისურ ფორმას ან სახეს წარმოადგენს. ჰეტეროდიეგეტური თხრობისას მთხრობელი არ გვევლინება მონათხრობ ამბავში, როგორც აქტორი, ე.ი. ის არ გამოდის მოქმედი პირის ფუნქციაში, ხოლო ჰომოდიეგეტური თხრობისას ერთი და იგივე პერსონაზე მომავალი და ფუნქციას ასრულებს: ის, ერთი მხრივ, არის ნარატორი (მე მთხრობელი – უე-ნარრანტ) და ამდენად პასუხიმგებელია (მო)თხრობის ორგანიზაციაზე, ამავე დროს იგივე პერსონაზე გვეცხადება აქტორის როლში, (მე, რომლის

შესახებაც მიმდინარეობს თხრობა – უე-ნარრე) და მონათხრობ ამბავში მოქმედი პირის როლს ასრულებს.

პრობლემა მთხრობელი პირის პოზიციაში კი არ მდგომარეობს, არამედ მკითხველის ორიენტირში, რომელიც მიიღწევა თხრობის ფოკუსის, ანუ იმავე თვალსაზრისის (point of view, Gesichtspunkt) მანიპულირების ხარჯზე ან სულაც მისი სამუალებით. თვალსაზრისის პრობლემა ი. ლინტველტმა დაიყვანა დისკურსების ტიპოლოგიის საკითხამდე, ანუ დისკურსიულ ტიპოლოგიამდე, ამასთან, მან გაართიანა მის მიერ გამოყოფილი ორი ძირითადი თხრობის ფორმა (ჰეტეროდიეგეტური და ჰომოდიეგეტური) აქტორიალური, აუქტორიალური და ნეიტრალური თხრობის ტიპებთან, რამაც მთლიანობაში შეადგინა მისი ნარატიული ტიპების სქემა.

ორიოდ სიტყვა აუქტორზეც: აუქტორი – (ლათ. აუცტორ) ნიშნავს შემქმნელს, შემოქმედს, მნერალს. ნარატოლოგის ტერმინია, რომელიც 1915 წელს შემოიღო ფ. კ. შტანცელმა და რომელიც უკვე შემდგომ აიტაცეს და განავრცეს სხვა მეცნიერებმა. ეს ტერმინი თავისი მნიშვნელობით უტოლდება აბსტრაქტულ ავტორს, ფ. კ. შტანცელმა ცნება „**აუქტორი**“ შემოიღო იმისათვის, რომ გაემიჯნა სხვადასხვა ნარატიული ტიპი, ანუ განესაზღვრა და გამოეცვეთა სათხრობი მასალის პრეზენტაციის ხერხები იმის მიხედვით, თუ ვინ წარმოადგენს მკითხველისათვის თხრობის პროცესში ორიენტაციის ცენტრს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **აუქტორი** არის მხატვრული ნაწარმოების ორგანიზატორი, ის სთავაზობს მკითხველს თავის ინტერპრეტაციას, თავის თვალსაზრისს მოსათხრობ და სათხრობ მოვლენებსა და მოქმედებებზე, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა პერსონაზის მიერ.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს მხატვრულ ტექსტთან, რო-

მელშიც თხრობა მიმდინარეობს მე-
სამე პირში, საქმე გვაქვს თხრობის
ჰეტეროდიეგეტურ აუქტორიალურ
ტიპთან, ხოლო იმ შემთხვევაში, რო-
დესაც მხატვრულ ტექსტში თხრობა
მიმდინარეობს პირველი პირში, საქმე
გვაქვს ჰომოდიეგეტურ აუქტორიალურ
ტიპთან.

ლინტველტისეული სქემის თანა-
ხმად, შეიძლება ვთქვათ, რომ პირვე-
ლი მოთხრობა „სწრაფვა სიღრმისაკენ“
დაწერილია მესამე პირში და წარმოად-
გენს აუქტორიალურ ჰეტეროდიეგე-
ტურ ტიპს.

მეორე მოთხრობა – „შერკინება“
დაწერილია მესამე პირში და წარმოად-
გენს აუქტორიალურ ჰეტეროდიეგე-
ტურ ტიპს.

მესამე მოთხრობა – „მეტრ მიუსა-
რის ანდერძი“ დაწერილია პირველ
პირში (მე – მთხრობელი – Je-narrant)
და წარმოადგენს აუქტორიალურ ჰო-
მოდიეგეტურ ტიპს (თუ არ ჩავთვლით
ეპიგრაფსა და ბოლოთქმას, რაც ავტო-
რის ომნიპრეზენციაზე მეტყველებს).

მეოთხე მოთხრობა – „ლიტერატუ-
რული ამნეზია“ დაწერილია პირველ
პირში (მე – მთხრობელი – Je-narrant)
და წარმოადგენს აუქტორიალურ ჰო-
მოდიეგეტურ ტიპს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას,
რომ ამ ოთხ მოთხრობას აერთიანებს
როგორც წარატიული ტიპების თანა-
მიმდევრობა, ასევე თემატურობაც
– სიმარტოვე და კომპლექსების თუ
ფონიების დაძლევა, რაც ლოგიკურ
სტრუქტურას იძენს მათ თანმიმდევ-
რობაში: ადამიანის სურვილი – ჩანვდეს
სხვა ადამიანებს შორის ცხოვრების
არსის სიღრმეს, ბრძოლით მოიპოვოს
და დაიმკვიდროს თავისი ადგილი, ან-
დერძით გადასცეს შთამომავლობას
მის მიერ დაგროვილი ცოდნა და დაკ-
ვირვებები და ბოლოს თითქოსდა დაი-
ვიწყოს ყველაფერი, რაც კი რამ უთქ-
ვამთ და გაუკეთებიათ მის წინაპრებს.
მეხსიერებაში მხოლოდ ერთი სენტენ-
ციალა რჩება: „შენ უნდა შეცვალო შენი
ცხოვრება!“



ბათუ დანელია

სხვა ხალხი ვუძღვნი ახალგაზრდობას

სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული.
გალაკტიონი

სხვახალხი მოვიდა, სრულიად სხვახალხი,
სხვანაირ გაგებით, სხვანაირ მაღალხმით,
სხვაგვარად სდუმან და უსმენენ ლაპარაკს,
ასევე სწუხან და ხარობენ
სხვაგვარად,
სხვაგვარი თვალებით გასცემერენ სივრცეებს
და სხვაგვარ დადიან! და სხვაგვარ იცმევენ!
და სხვაგვარ იგებენ ყოფნას და არყოფნას,
და სხვაფერ აქცევენ სიტყვებსაც უარგონად
და სხვაფერ ისვრიან მზერასაც ირიბულს,
ხოლო ჩვენ გვგონია, ისინი პირუჟუ
შვრებიან ყველაფერს, რასაც ჩვენ ვშვრებოდით
და ჩვენთვის რაც ნიშნავს
რევანში და ნეპოტიზმს,
მათ ღიმს გვრის. მათ ვნებებს ეკოც და კეპოტიც
ვერ აცხრობს. ისინი ქარხნით და დეპოთი
არ იამაყებენ, მაგრამ მათ გამჯდარი
ექნებათ ძვალ-რბილში სიმართლის ლაშქარი,
ნათელი გონებაც და დიდი შეგნებაც,
მადლიც და გაძლებაც უზღვავი ექნებათ
და სწორედ ამიტომ, სწორედაც ამიტომ
ჩვენ, უნაყოფოებს, ამაოდ ჰყვავითო,
გვეტყვიან ისინი უთუოდ ხვალანზეგ,
რადგან, რომც ეკიდონ ბეწვზე და ბალანზე,
მშობლიურ მიწა-წყალს ერთ ბეწოს, ერთციდას
არავის მისცემენ მილიონ ვერცხლისდა
მილიონ ოქროსთვის და არსად, არასდროს
მრუდედ არ გაზომავს ამათი თარაზო...
და, როგორც შრიალი ძველ ბალში ახალხის,
გარშემო ყოველგან იგრძნობა სხვახალხი.

დათო ტურაშვილი



სელიმ ხიმზიაშვილის პროცესი

პროცესის მონაწილეები:

მოსამართლე, ანუ რეჟისორი
პრალმდებელი, ანუ პროკურორი
ვექილი, ანუ ადვოკატი
მოწმე-მომხსენებლები:
ბერტა ფონ ზუტნერი
გიმნაზისტი
კახაბერ ბუაჩიძე, ისტორიკოსი
ბატონი თედო სახოვავა

სცენა წარმოადგენს სარეპეტიციო რთასს, სადაც მაგიდის გარშემო მსახ-იობები სხედან (თაბახის ფურცლებით ხელში) და რეჟისორს უსმენენ.

რეჟისორი:

– წარმოიდგინეთ თითქმის ასი წლის წინანდელი საქართველო, როცა ჩვენს ქვეყანაში ძალიან ხშირად საზოგადოებრივ კლუბებსა და თეატრებში, ისეთი ღირებულებული სასამართლოები იმართებოდა, სადაც განიხილებოდა არა მხოლოდ ღირებულებული პერსონაჟების, არამედ ისტორიული პირების გახმაურებული საქმეებიც და ასეთ თეატრალურ პროცესებს უამრავი ადამიანი ესწრებოდა.

გიმნაზისტი გოგო:

– რატომ, მოდაში იყო?

რეჟისორი:

– გარდა იმისა, რომ სასამართლო პროცესის დადგმა მაშინ მართლა მოდაში იყო, თეატრი იყო ერთადერთი საჯარო სივრცე, სადაც ქართულ ენაზე ლაპარაკს, რუსები არ გვიკრძალავდნენ.

ბატონი თედო სახოვავა:

– და ამიტომაც ასეთ წარმოდგენებს უამრავი ადამიანი ესწრებოდა მაშინ-დელ საქართველოში და ხალხსაც ისე მოსწოდდა ეს სანახაობა, რომ მერე, მსახიობების მიბაძვით, თვითონაც, სახლებშიც კი მართავდნენ ხოლმე მსგავს სასამართლო პროცესებს.

რეჟისორი:

– როლები უკვე განაწილებულია, ტექსტებიც ყველას გაქვთ და მგონი, ყველაფერი გასაგებია...

პრალმდებელი, ანუ პროკურორი:

– ყველაფერი არ არის გასაგები და ვინ იქნება მოსამართლე, ამის შესახებ განაწილებაშიც არაფერი წერია. მაინ-ტერესებსა და არ შეიძლება ვიცოდე? თუ საიდუმლოა?

რეჟისორი:

– საიდუმლო არ არის, მოსამართლე მე თვითონ ვიქნები. გთხოვთ, ფეხზე

ადგეთ და მოემზადოთ – სასამართლო
პროცესი იწყება!

ყველანი დგებიან და სკამებს სცენაზე
ისე გადააადგილებენ, როგორც ამას
რეჟისორი უკარნახებს მათ და მსახ-
იობები მაგიდასაც ისე შეატრიალებენ,
რომ მაყურებელმაც უკეთ წარმოიდგი-
ნოს სასამართლო დარბაზში მიმდინარე
პროცესი.

რეჟისორი-მოსამართლე:

– როგორც უკვე იცით, დღეს განვიხი-
ლავთ თავად სელიმ ხიმშიაშვილის საქმეს
და როგორც ასევე უკვე გითხარით, ამ
პროცესს ესწრება ქალბატონი ბერტა
ფონ ზუტნერი და რადგან იგი ქალბა-
ტონია და თანაც სტუმარი, პირველად
სწორედ მას უნდა მოვუსმინოთ.

ბერტა ფონ ზუტნერი:

– ჩემთვის უდიდესი პატივია, ვის-
აუბრო ისეთი ადამიანის შესახებ, ვინც
უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს
აღდგენასა და გათავისუფლებაში, მაგრამ
ცოტა მიკვირს კიდეც, რომ სელიმ ხიმ-
შიაშვილის გარდაცვალებიდან ჯერ ასი
წელიც არ გასულა და საქართველოში
ზოგიერთებს არც კი ახსოვთ მისი დამ-
სახურება და ღვაწლი...

მოსამართლე:

– მიუხედავად იმისა, რომ ქართულად,
მართლაც, მშვენივრად საუბრობთ, თქვე-
ნი სახელისა და გვარის მიხედვით თუ
ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ
წარმოშობით ქართველი არ ბრძანდებით.
თუ შეიძლება, მოახსენეთ სასამართლოს,
როდის და სად დაიბადეთ და რა გაკავ-
შირებთ საქართველოსთან.

ბერტა ფონ ზუტნერი:

– დავიბადე პრალაში 1843 წელს,
მაგრამ ვიზრდებოდი ვენაში და საქა-
რთველოში კი აღმოვჩნდი გათხოვების
შემდეგ, რასაც ჩემს მეუღლეს, არტურ

ფონ ზუტნერს უნდა ვუმადლოდე.
ჩვენ საიდუმლოდ ვიქორწინეთ ვენაში
და იძულებულები გავხდით, სხვაგან
მოგვეძებნა თავშესაფარი და არტურის
გადაწყვეტილებით, ეს იყო ზუგდიდი.

ბრალმდებელი:

– რატომ?

ბერტა ფონ ზუტნერი:

– რატომ ზუგდიდი?

ბრალმდებელი:

– არა, რატომ საიდუმლო ქორწინება?

ვექილი (მოსამართლეს):

– ვაპროტესტებ, თქვენო ღირსებავ.

მოსამართლე (ბერტას):

– რატომ მაინცადამაინც ზუგდიდი?

მოწმე ბერტა:

– ჩემი ან გარდაცვლილი მეუღლე
არტურ ფონ ზუტნერი პირადად იცნობ-
და სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე
ჭავჭავაძე-დადიანისას და როგორც ჩანს,
სწორედ ამან განაპირობა ჩვენი მაშინ-
დელი არჩევანი.

მოსამართლე:

– რას საქმიანობდით ზუგდიდში?

ბერტა:

– ჩემი მეუღლე ხელმძღვანელობდა
სალომე და აშილ მიურატების სასახ-
ლის მშენებლობას ზუგდიდში, ხოლო
მე მუსიკასა და გერმანულს ვასნავლი-
დი ბავშვებს იმ ოჯახებში, სადაც ამის
სურვილი მათ მშობლებს ჰქონდათ.

ბრალმდებელი:

– თუ თქვენ ზუგდიდსა და სამეგრე-
ლოში ცხოვრობდით და მოღვაწეობდით,
რა ისეთი კომპეტენცია გაგაჩნიათ აჭარის
საკითხებთან დაკავშირებით, რომ სელიმ
ხიმშიაშვილი სასამართლოს პროცესშიც

კი იღებთ მონაწილეობას?

ადვოკატი (მოსამართლეს):

- ვაპროტესტებ!

მოსამართლე (ადვოკატს):

- ყველაფერს რატომ აპროტესტებთ?!

ადვოკატი:

- იმიტომ, რომ ეს შეკითხვა შეურაცხმულია.

ბერტა:

- შეურაცხმული მართლაც იქნებოდა, მართლა რომ არაფერი მცოდნოდა აჭარისა და სელიმ-ფაშას შესახებ, მაგრამ ჩემი ან განსვენებული მეუღლისაგან იმდენი ვიცი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რომ ვექილის დაცვა, ალბათ, არც დამჭირდება. თქვენ კი ის უნდა იცოდეთ, რომ ჩემი ქმარი არტურ ზუგნერი აჭარის მკვლევარიც იყო და მგონი პირველი ევროპელიც გახდათ, ვინც ცალკე წიგნი მიუძღვნა აჭარასა და აჭარლებს.

მოსამართლე:

- გარდა იმისა, რაც თქვენი ქმრის წიგნშია აღწერილი და აქ წარმოდგენილი, რა შეგიძლიათ გვითხრათ კონკრეტულად სელიმ სიმშიაშვილთან დაკავშირებით და რა გსმენიათ მის შესახებ იმავე თქვენი მეუღლისაგან?

ბერტა:

- როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ ძირითადად ზუგდიდში ვცხოვრობდით, მაგრამ იმ ათი წლის განმავლობაში, რომელიც ჩვენ საქართველოში გავატარეთ, ჩემი ქმარი გამუდმებით მოგზაურობდა ყველგან ამ ქვეყანაში და განსაკუთრებით ხშირად კი აჭარას სტუმრობდა. მისი დაინტერესება გასაგები იყო – ის წიგნს წერდა აჭარლებზე და წიგნისთვის მასალებს აგროვებდა, მაგრამ იგი არა მარტო წერდა, არ-

ამედ ისე გატაცებით ყვებოდა კიდეც აჭარულ ისტორიებს, რომ ყველაფერი დღემდე ძალიან კარგად მახსოვს.

ბრალმდებელი (აწყვეტინებს ბერტას):

- მაპატიეთ, მაგრამ რომელ წლებში ცხოვრობდით საქართველოში, ანუ დაახლოებით რა პერიოდში სტუმრობდა ხოლმე თქვენი მეუღლე ბათუმსა და აჭარას?

ბერტა:

- თქვენი შეკითხვის კონტექსტი, რასაკვირველია, გასაგებია და რასაკვირველია, მაშინ, იმ წლებში, სელიმ – ფაშა ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ზემო აჭარაში, მაშინაც კი, ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ასაკოვანი ადამიანები, რომლებსაც არათუ ახსოვდათ ცოცხალი სელიმ სიმშიაშვილი, არამედ თვითმხილვებიც კი იყვნენ 1815 წელს ხიხანის ციხეში განვითარებული მოვლენებისა. მეტიც, ჩემი ქმარი პირადად იცნობდა რამდენიმე ზემოაჭარელს, რომლებიც სპეციალურად მიიყვანეს იმ ადგილას ბაკიძაკოში, სადაც სელიმ სიმშიაშვილს თავი მოჰკვეთეს. ჩემი მეუღლე იმასაც ამბობდა ხოლმე, რომ საქართველოსთვის ასეთი კაცი სიკვდილით დასაჯეს და საქართველოში ყველაზე არც კი იცის სელიმი ვინ იყო.

ბრალმდებელი:

- და ხშირად გიყვებოდათ თქვენი ძვირფასი მეუღლე იმის შესახებ თუ როგორ მოჭრეს ადამიანს თავი და თქვენთვის ეს ძალიან საინტერესო იყო?

ადვოკატი:

- ვაპროტესტებ!

ბერტა (მოსამართლეს):

- ვუპასუხო?

მოსამართლე (ბერტას):

- თუ ამის სურვილი გაქვთ, რასაკვირველია...

ბერტა:

– როგორც საქართველოზე შეყვარებულ ადამიანს, საუკეთესო ქართველების შესახებ მაშინ ყველაფერი მაინტერესებდა, მაგრამ, როგორც ცნობისმოყვარექალს, ძალიან მიზიდავდა გმირების პირადი ცხოვრებაც და ამის შესახებ მეთვითონ ვკითხე ერთხელ ჩემს მეუღლეს.

ადვოკატი:

– თუ თქვენ გულისხმობთ სელიმ ხიმშიაშვილის პირად ცხოვრებას და ამის მოყვარულას აქ აპირებთ, მე შეგახსენებთ რომ ამ პროცესის მიზანი სულ სხვა გარემოებათა დადგენაა.

ბრალმდებელი (ადვოკატი):

– ვინ რა ჩვენება უნდა მისცეს სასამართლოს, მგონი, ეს მოსამართლის გადასაწყვეტია და არა თქვენი.

მოსამართლე (ბერტას):

– თუ თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ, ბრძანეთ...

ბერტა:

– დიახ, საჭიროდ მიმაჩნია, რომ აქ ვილაპარაკოთ არა მხოლოდ მისი საზოგადო ღვაწლის შესახებ და მსურს, რომ სწორედ აქ, ამ პროცესზე, მისი პირადი ცხოვრებაც გავიხსენოთ, რადგან კაცის საქციელსა და ცხოვრებას ზოგადად, ხშირად სწორედ მისი სიყვარული განსაზღვრავს.

ადვოკატი, ანუ ვექილი:

– მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოში არ უყვართ პირადი ცხოვრების გამომზეურება.

ბრალმდებელი, ანუ პროკურორი:

– თუმცა სხვისი პირადი ცხოვრება ყოველთვის ძალიან აინტერესებთ...

მოსამართლე (ბერტას):

– რა იცით სელიმ ხიმშიაშვილის

ოჯახური მდგომარეობის შესახებ ისეთი, რაც ჩვენს სასამართლოს დაეხმარება და შესაბამის სამსახურს გაუწევს ჭეშმარიტების დადგენაში?

ბერტა:

– ვიცი ის სიმართლე, რაც ჩემი განსვენებული მეუღლისგან მსმენია და შემიძლია თქვენც მოგახსენოთ, რომ იმ ქალის გამო, რომელიც სელიმ ფაშას შეუყვარდა, მან ნამდვილი ევროპელი რაინდივით იბრძოლა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ქალისთვის ბრძოლა საკმაოდ უცხოა ისლამური სამყაროსთვის და როგორც წესი, აღმოსავლეთის კაცები სასურველ ქალში ფულს იხდიან ხოლმე და პატარძალსაც, უბრალოდ, ყიდულობენ. სელიმ ხიმშიაშვილმა კი იმ ქალისთვის, რომელსაც ელმასი ერქვა და ალბათ ალმასივით მშვენიერი იყო, ბოლომდე რაინდულად იბრძოლა.

ბრალმდებელი:

– ალმასი თუ ელმასი?

ადვოკატი:

– რა მნიშვნელობა აქვს?

ბრალმდებელი:

– მაინც?

ბერტა:

– მნიშვნელოვანი ის არის, რომ თქვენს „ვეფხისტყაოსანშიც“ სწორედ ეს ხდება და შოთა რუსთაველი სინამდვილეში სპარსულ და აღმოსავლურ ამბავს კი არ აღწერს, არამედ ძველევროპულს, სადაც ქალი კი არ უნდა გეყიდა, არამედ უნდა გებრძოლა მისთვის...

ბრალმდებელი (მოსამართლეს):

– მგონი, აქ ლიტერატურის გაკვეთილზე არ ვართ და არც „ვეფხისტყაოსნის“ გარჩევა დაგვავალა რომელიმე მასწავლებელმა.

მოსამართლე (ბერტას):

- საქმესთან დაკავშირებით ისაუბრეთ, თუ შეიძლება.

ბერტა:

- დიახ, საქმესთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რადგან სელიმ ხიმშიაშვილის სიყვარულის ისტორია, კიდევ ერთხელ, სწორედ იმის დადასტურებაა, რომ მას და კიდევ ბევრ აჭარელს მაჰმადიანური სარწმუნოება მხოლოდ გარეგნულად, მხოლოდ ფორმალურად ჰქონდათ მიღებული და სინამდვილეში კი ისინი ისევ ძველი ქართული და ქრისტეანული წესებით ცხოვრობდნენ და სელიმის სიყვარულის მაგალითზე ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს...

ბრალდებული (მოსამართლეს):

- მგონი, აქ არც რელიგიის გაკვეთილი გვაქვს და არც რომელიმე მათგანის ქება ან კრიტიკა მოუციათ დავალებად.

ბერტა:

- არა, რას ბრძანებთ, კრიტიკა რა საკადრისია. ჩვენ, ევროპელები, ნებისმიერი რწმენისა და აღმსარებლობის ადამიანებს ვცემთ პატივს და ამით ვამაყობთ კიდეც. მე მხოლოდ ტრადიციები შევადარე ერთმანეთს და ფაქტის მოყოლა დავიწყე, თორემ იმის თქმა, რომ რომელიმე რელიგია მეორეზე უკეთესია, არც მითიქირია...

მოსამართლე (ბერტას):

- ფაქტის თხრობა გააგრძელეთ, თუ შეიძლება.

ბერტა:

- ფაქტი კი ის იყო, რომ, როგორც უკვე გითხარით, სელიმ ხიმშიაშვილმა, თავის ხალხთან ერთად, ის ქალი გამოიხსნა და მერე ცოლად შეირთო, რომელიც აჭარიდან ახალციხეში, შაქირ ათაბაგთან მიჰყავდათ ჰარამხანისთვის და სელიმს კი ის ძალიან უყვარდა. შაქირ ათაბაგმა,

რასაკვირველია, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ბოლოს აჭარაში თვითონ ჩააკითხა სელიმს ელმასის გამო, მაგრამ სელიმ ხიმშიაშვილმა ქალის დათმობაზე ისევ უარი თქვა. ამან ათაბაგი საშინალად განარისხა, რადგან მაშინ აჭარა ახალციხეს ემორჩილებოდა ოსმალური წესით და შაქირიც ურჩ აჭარელს დასჯით დაემუქრა – თუ ნებით არ დამითმობ, იმ ქალს ძალით წავიყვან და ჩემს ჰარამხანში ხარჭად დავისვამო. ათაბაგის მუქარას სელიმ ხიმშიაშვილმაც მუქარით უპასუხა – ეს ულვაში მომპარსე, თუ მალე შენი ციხე არ ავიღო და შენი ჰარამხანის კარიც არ გავალოო...

ეკრანზე, შესაძლოა, ჩნდებოდეს აშკარად შეყვარებული, ახალგაზრდა წყვილი ჯინსებში. ისინი მთიანი აჭარის რომელიმე ხიდზე სხედან და ერთმანეთს ისე უყურებენ, როგორც ეს მხოლოდ პაემანზე ხდება. მერე ხელჩაკიდებულები სეირნობენ და ბოლოს ბიჭი გოგოს ბეჭედს ჩუქნის და გოგო საბასუხოდ ბიჭს კოცნის, თუმცა ეს თანამედროვე პაემანი, შეიძლება, სხვა ადგილასაც იყოს გადაღებული (მუსიკის თანხლებით) და არა აუცილებლად ხიდზე. ამ კადრების პარალელურად კი ბერტა ახლა უკვე სელიმის სიყვარულზე ლაპარაკობს:

ბერტა:

- ეს იყო დიდი და ნამდვილი სიყვარული ორივეს მხრიდან, ისეთი, რომლის შესახებაც წიგნებს წერენ, სპექტაკლებს დგამენ და ახლა უკვე კინოებსაც იღებენ ლუმიერების წაბაძვით. ეს იყო დიდი და ნამდვილი გრძნობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთხელ გაწინდეს შენს ცხოვრებაში, მაგრამ, თუ ჩნდება, იგი ისე აძლიერებს ადამიანს, რომ ამ ადამიანისთვის შეუძლებელი და მიუღწეველი უკვე აღარაფერი არსებობს. აქ და სხვაგანაც კამათობენ ახლა, მაგრამ სელიმ ხიმშიაშვილის ისტორიის მკვლევარები მომავალში კიდევ უფრო ბევრს

იკამათებენ იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როდის დაინტერ მან ბრძოლა თავისუფლებისთვის და ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი მე უკვე ახლა მაქვს. სელიმ ხიმ-შიაშვილმა ამ ბრძოლის გადაწყვეტილება სწორედ მაშინ მიიღო, როცა ეს მშვენიერი ქალი შეუყვარდა. და საერთოდ, მხოლოდ შეყვარებული კაცი შეიძლება იყოს ასეთი ძლიერი და თავისუფალი...

ბრალმდებელი (აწყვეტინებს ბერტას):

- ბოდიში და სელიმის პირადი ცხოვრების დეტალებიც თქვენი მეუღლისაგან იცით?

ბერტა:

- პირადად, რასაკვირველია, არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ ჭვანის ხეობაში, სოფელ ვარჯანაულთან, ახლაც არსებობს ელმას-ხანუმის მიერ აგებული ულამაზესი თაღოვანი ხიდი. ხოლო, რაც შეეხება პირადი ცხოვრების დეტალებს, რამდენადაც მახსოვს, სელიმ ხიმშიაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ ბატონმა კახაბერ ბუაჩიძემ მიამბო, როცა ის ზუგდიდში ჩამობრძანდა.

ბრალმდებელი:

- თქვენ დაპატიჟეთ?
- ადვოკატი:**
- ვაპროტესტებ შეკითხვას!

ბერტა:

- ბატონი კახაბერ ბუაჩიძე, როგორც ისტორიკოსი და პედაგოგი, სწორედ იმ ოჯახში მოიწვიეს მაშინ, სადაც მე პატარებს მუსიკას ვასწავლიდი...

ბრალმდებელი:

- თბილისიდან რომ არ ჩამოეყვანათ, ზუგდიდში ისტორიის მასწავლებელი არ იყო?!

ბერტა:

- ყველას სურს, რომ თავიანთ შვილებს საუკეთესო პედაგოგები ჰყავდეთ.

ბრალმდებელი:

- და სანამ თქვენი ქმარი აჭარაში მოგზაურობდა, თქვენს შეკითხვებს კახაბერ ბუაჩიძე პასუხობდა?

ადვოკატი:

- ვაპროტესტებ!

მოსამართლე (ბერტას):

- კიდევ რა გითხრათ ბატონმა კახაბერმა სელიმ ხიმშიაშვილის შესახებ ისეთი, რაც კარგად დაგამახსოვრდათ და რაც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ სასამართლოსთვის?

ბერტა:

- ბევრი რამ, მაგრამ, რამაც მაშინ განსაკუთრებით დამაინტერესა, მისი მონაწილეობა იყო ერეკლე მეფის დაკრძალვის ცერემონიალში.

ბრალმდებელი:

- ერეკლე მეფის დაკრძალვაში მაშინ თითქმის მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა და სელიმ ფაშამ ამით ასეთი განსაკუთრებული მაინც რა გააკეთა?!

ბერტა:

- ერეკლე მეორის დროს აჭარასმალეთის იმპერიის ნაწილი იყო და სელიმ ხიმშიაშვილმა კი ერეკლე ისე დაიტირა, როგორც თავისი მეფე და ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ აჭარლების, არამედ დანარჩენი ქართველებისთვისაც.

ბრალმდებელი:

- ერეკლე მეორეს არა მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ, სიცოცხლეშიც ძალიან დიდ პატივს სცემდნენ და მათ შორის არაქართველებიც. სხვათა შორის, ევროპელი მშართველები სწორედ მას მიიჩნევდნენ კავკასიის ნამდვილ ლიდერად და მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად არც რუსები იშურებდნენ საჩუქრებს და არც ოსმალები. მაგალითად, რუსე-

თის დედოფალმა ეკატერინემ ერთხელ ერევლეს სამოვარი გამოუგზავნა და ეს რომ ოსმალეთის სულთანმა გაიგო, სასწრაფოდ გასცა ბრძანება, რომ ერევლე მეორისთვის უძვირფასესი ქურქი ჩამოეტანათ სტამბულიდან ტფილისში...

ადვოკატი (აწყვეტინებს):

– იმედია, თქვენ თვითონაც დამეთანხმებით, რომ სასამართლოს მთავარ თემას ახლა ნამდვილად გადაუხვიეთ.

ბერტა (აგრეთვე ბრალმდებელს):

– და თქვენ საერთოდ გადაუხვიეთ, თუ თქვენთვის ჯერ კიდევ გაუგებარია სელიმ ხიმშიაშვილის ღვაწლი და როლი საქართველოს ისტორიაში.

ბრალმდებელი (ბერტას):

– იმედია, რომ თქვენ მიერ ამ ზმნის ასე უადგილოდ გამოყენება თქვენი ქართულის მასწავლებლის დამსახურება უფროა, ვიდრე თქვენი.

მოსამართლე (ბერტას):

– დიდი მადლობა მოპრძანებისთვის და თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლის, კიდევ ერთხელ მოგვიწევს თქვენი შეწუხება ამ საქმესთან დაკავშირებით.

ბერტა:

– მე შემიძლია ახლავე მოგახსენოთ ყველაფერი, რაც ვიცი.

მოსამართლე:

– დარწმუნებული ვარ, რომ შეგიძლიათ, მაგრამ ახლა სხვა მოწმეებსაც უნდა მოვუსმინოთ.

ბერტა ფონ ზუტნერი გაკვირვებული და ცოტა ნაწყენი სახით ტოვებს მოწმის ადგილს და იქვე, დარბაზში ჯდება და მის ადგილს კი, კახა ბუაჩიძე იკავებს.

კახაბერ ბუაჩიძე:

– გამარჯობა!

მოსამართლე:

– თუ შეიძლება, მოახსენეთ სასამართლოს თქვენი ვინაობა.

კახაბერ ბუაჩიძე:

– კახაბერ ბუაჩიძე, ისტორიკოსი.

მოსამართლე:

– ამჟამადაც თქვენი პროფესიით მოღვაწეობთ?

კახაბერ ბუაჩიძე:

– დიახ, ამჟამადაც პედაგოგი ვარ და ისტორიას ვასწავლი.

მოსამართლე:

– რისი თქმა შეგიძლიათ სელიმ ხიმშიაშვილის საქმესთან დაკავშირებით?

კახაბერ ბუაჩიძე:

– რადგან საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის მკვლევარიც გახლავართ, შემიძლია ბევრი ეპიზოდის შესახებ მოგახსენოთ, მაგრამ მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემის აზრით, მაინც მისი გმირული აღსასრულია და ამიტომაც სწორედ აქედან დავიწყებ.

მოსამართლე:

– ბრძანეთ!..

კახაბერ ბუაჩიძე:

– გარდა ზემოთქმულისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხში გავრცელებულია არასწორი ვერსია იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უღალატა სელიმ ხიმშიაშვილს მისმა ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, რომელმაც მტერს ხიხანის კარი გაუღო. სინამდვილეში, სელიმმა თავისი ნებით დატოვა ხიხანის ციხე, რომ ამ ნაბიჯით უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეხსნა და ასეც მოხდა – სელიმ ფაშას თავი მოჰკვეთეს, მაგრამ, მისი თავდადების სანაცვლოდ, უამრავი ადამიანი გადაურჩა გარდაუვალ სიკვდილს. უპირველესად, სწორედ ამის ხაზგასმა მინდოდა, რადგან

დარწმუნებული ვარ, რომ ღალატის ვერ-სია მოგონილია და თანაც იმ მიზნით, რომ ქართველებს კიდევ ერთი სახ-ელოვანი გმირი აღარ ჰყოლოდათ და ამ ცრუ ვერსიის გავრცელებას ოსმალებიც უწყობდნენ ხელს და რუსებიც. არც ერთ მათგანს არ სურდა, რომ სელიმ სიმშიაშ-ვილის მაგალითზე, საქართველოსთვის ბრძოლა გაგრძელებულიყო აჭარაში და იგი ერთნაირად მიუღებელი იყო რო-გორც ოსმალეთის, ისევე რუსეთის იმ-პერიისთვის.

ბრალმდებელი:

– თუმცა ზოგიერთები დღესაც ამტ-კიცებენ, რომ სელიმ სიმშიაშვილის დამარცხება მხოლოდ ღალატით შეი-ძლებოდა, როგორც ეს ქართველებში არცთუ იშვიათად ხდებოდა ხოლმე და სელიმ სიმშიაშვილის შემთხვევაშიც მისი ბედი მოღალატემ გადაწყვიტა.

კახაბერ ბუაჩიძე:

– ღალატის ვერსია პირველად გა-მოაქვეყნეს დიმიტრი ბაქრაძემ და გიორგი ყაზბეგმა და, მართალია, ორივეს ღვანწლი მნიშვნელოვანი იყო აჭარის საკითხთან დაკავშირებით და მით უმეტეს მაშინ, 1874 წელს, როცა მათ იქ იმოგზაურეს, მაგრამ მათ დაუშვეს შეცდომები. მაგალითად, დიმიტრი ბაქრაძემ იმერხეველები აღწერა, როგორც საუკეთესო მექისეები, რომ-ლებზეც, მისი აზრით, ძალიან დიდი მოთხოვნა იყო სტამბულში. გიორ-გი ყაზბეგს კი თავის ტექსტში კიდევ უფრო მეტი შეცდომა აქვს დაშვებული აჭარის აღწერასთან დაკავშირებით და მაგალითად, ერთგან იგი ამბობს, რომ აჭარლებმა ცეკვა და სიმღერა არ იციანო. როგორც მოგეხსენებათ, 1878 წლამდე, აჭარა მოწყვეტილი იყო დან-არჩენ საქართველოს და ამიტომაც მათ ფარულ მოგზაურობას მაშინდელ ოს-მალეთის იმპერიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ასეთი

შეცდომების ავტორებს, ადვილი შესა-ძლებელია, რომ ვერ დაედგინათ სელიმ სიმშიაშვილის სიკვდილის ნამდვილი გარემოებებიც და მათი არასწორი ვერ-სია მერე სხვებმაც გაიმეორეს...

ბრალმდებელი:

– და თქვენ რა არგუმენტები გაქვთ სხვა ვერსიების სასარგებლოდ?

კახაბერ ბუაჩიძე:

– სელიმ სიმშიაშვილის სიკვდილის ვერსიასთან დაკავშირებით – უკვე და-დასტურებული ფაქტია, რომ მას თავი მოჰკვეთეს არა სიხანის ციხეში, რო-გორც ამას ამტკიცებდა, მაგალითად, დიმიტრი ბაქრაძე, არამედ სოფელ ბაკიბაკოში, სადაც ნებისმიერი ბავშვიც კი გაჩვენებთ იმ ადგილს, რომელსაც სერიყანა ჰქვია და იმ საშინელი განა-ჩენის აღსულებას კი 1815 წელს ბევრი თვითმხილველი ჰყავდა.

მოსამართლე:

– გეთანხმებით, რომ ახლა საბოლოოდ დადგენილია სელიმის თავის მოკვეთის ადგილი, მაგრამ მაინც რჩება კითხვები იმ ღალატთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც იგი სიკვდილით დასაჯეს, მიუხედავად იმისა, რომ, თქვენი მტ-კიცებით, მან თავად გადადგა ეს ნაბიჯი.

ადვოკატი:

– მე კი მაქვს კითხვა თანმიმდევრო-ბასთან დაკავშირებით და მაინტერესებს, რატომ დავიწყეთ სელიმ სიმშიაშვილის პროცესი მისი სიცოცხლის ბოლო დღეე-ბის განხილვით, როცა ნებისმიერი ადა-მიანი ჯერ იპატება და მერე კვდება“.

გიმნაზისტი:

– ეს შეკითხვა მეც გამიჩნდა, მაგრამ მოსამართლის ნებართვის გარეშე, მისი ბიოგრაფიის შესახებ ხომ ვერ ვისაუ-ბრებდი?

პრალმდებელი:

- როდიდან გვყავს საქართველოში ასეთი ზრდილობიანი ახალგაზრდები?!

გიმნაზისტი (სიამაყით):

- მე ქუთაისის კლასიური გიმნაზიის მსმენელი გახლავართ.

მოსამართლე (გიმნაზისტი):

- ბრძანეთ, რისი თქმაც გნებავთ, ოღონდ ჯერ იმაზე მიპასუხეთ, საერთოდ რატომ დაინტერესდით სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრებით?

გიმნაზისტი:

- უპირველესად, დიდი მადლობა ამ შესაძლებლობისთვის, რომ ამ ისტორიულ პროცესში მონაწილეობის უფლება მომეცით და შევეცდები, თქვენს შეკითხვას მოკლედ და გასაგებად ვუპასუხო. ჩემი დაინტერესება სელიმ ხიმშიაშვილის ღვაწლითა და ბიოგრაფიით განაპირობა ბატონ აბელ სურგულაძის, ბატონ რამაზ სურმანიძისა და ბატონ იოსებ ხიმშიაშვილის წიგნების წაკითხვამ და მათ უნდა ვუმადლოდე კიდევ ჩემ აქ ყოფნას. სხვათა შორის, მათი დამსახურებაა ისიც, რომ არა მხოლოდ სელიმ ხიმშიაშვილის, არამედ აჭარის ისტორიის შესწავლაც დავიწყებ და ხიხანის წარსულიც გამოვიკლიე, რადგან სწორედ ხიხანის ციხეს უკავშირდება აჭარელი ხიმშიაშვილის თავგადასავალი. თუმცა ხიხანის ულამაზესი ციხე აბუსერისძების აშენებულია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში და სხვათა შორის, მათ ჯერ ეკლესია ააშენეს იქ და მერე ციხესიმაგრე...

მოსამართლე (აწყვეტინებს):

- ალბათ, ამ საკითხებთან დაკავშირებით ბატონი თედო სახოკია უკეთ ისაუბრებს, რომელიც აქ პრძანდება.

პრალმდებელი:

- თუ ბატონი თედო აქ პრძანდება, ალბათ უმჯობესი იქნებოდა, რომ

პირველი სიტყვა ამ პროცესზე სწორედ მისთვის დაგვეთმო.

მოსამართლე (ცოტა დაცინვით):

- მადლობა რჩევისათვის, მაგრამ თქვენი დახმარების გარეშეც. ჩვენი სურვილიც სწორედ ეს იყო, რომ ეს სასამართლო პროცესი ბატონ თედო სახოკიას გაეხსნა, მაგრამ მან ისურვა ბოლოს გამოსვლა და თუ აზრს შეიცვლის, ბატონ თედოს შეუძლია თავისი სიტყვა მაშინ პრძანოს, როცა ამას თვითონ ჩათვლის საჭიროდ.

ბატონი თედო სახოკია ხელით ანიშნებს მოსამართლეს, რომ მას შეუძლია გააგრძელოს პროცესი და გიმნაზისტიც, მადლობის ნიშნად, ბატონ თედოს თავს დაუქნევს.

მოსამართლე (გიმნაზისტი):

- შეგიძლიათ, გააგრძელოთ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შორიდან დაიწყეთ.

გიმნაზისტი:

- მადლობა კიდევ ერთხელ, მაგრამ ასე შორიდან იმიტომ დავიწყე, რომ იქნებ აბუსერიძე ტბელი თავის ლიტერატურულ ტექსტებსა და ასტრონომიულ ტრაქტატს სწორედ ხიხანის ციხესიმაგრეში წერდა – სწორედ იქ, სადაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა სელიმ ხიმშიაშვილმა. აქამდე ისიც არ ვიცოდი, რომ თამარ მეფე სწორედ ხიხანის ციხეში გარდაიცვალა და იგი იქვე დაკრძალეს კიდევ...

პრალმდებელი (აწყვეტინებს):

- მაგრამ ეს ხომ უბრალოდ ლეგენდაა.

ადვოკატი:

- ზოგჯერ ლეგენდა უფრო რეალურია, ვიდრე რეალური ფაქტები.

ბრალდმდებელი:

- თუმცა ასეთი ლეგენდა, დამეთანხმებით, რომ საქართველოს ყველა კუთხეში არსებობს და ზოგან რამდენიმეც კი.

ადვოკატი:

- გეთანხმებით და ნამდვილად ასეა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თამარ მეფის საფლავი აჭარაში არ უნდა ვეძებოთ.

ბრალმდებელი:

- და რატომ უნდა ვეძებოთ მაინცადამაინც აჭარაში და რატომ არ უნდა ვეძებოთ სხვაგანაც?! თქვენი ლოგიკაც ცოტა გაუგებარია ჩემთვის.

გიმნაზისტი:

- ჩემთვისაც გაუგებარი იქნებოდა, რომ არა ჩემი დაინტერესება სელიმ სიმშიაშვილით და რომ არა აჭარაში შარშან მოგზაურობისას აღმოჩენილი ფაქტი – აქ უამრავი ხიდია, რომელიც თამარის მიერ არის აგებული.

ბრალმდებელი:

- თუ რომელიმე ხიდს თამარ მეფის სახელი ჰქვია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხიდი თამარ მეფის აშენებულია.

ადვოკატი:

- იქნებ ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიკოსის აზრი მოგვესმინა.

კახაპერ ბუაჩიძე:

- გასაგები მიზეზების გამო, თამარ მეფის სახელი ჰქვია უამრავ ხიდსა თუ ციხესიმაგრეს საქართველოში, რაც უპირველესად თამარის ეპოქაში აგებაზე მიუთითებს და ხშირ შემთხვევაში, როცა ქტიტორი და აღმშენებელი სხვაა, ის მაინც თამარ მეფეს მიეწერება.

გიმნაზისტი:

- მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ შოთა

რუსთაველმა თამარ მეფე, პირველად აჭარაში ნახა.

ბრალმდებელი:

- აი, ეს ამბავი კი ნამდვილად პირველად მესმის.

გიმნაზისტი:

- შეიძლება თქვენ ისიც არ იცით, რომ აჭარაშიც, ხინოს ხეობაშიც არის სოფელი რუსთავი და შოთა რუსთაველი შეიძლება სწორედ იმ რუსთავიდან იყო და ამიტომაც შეხვდა პირველად თამარ მეფეს ნინოწმინდაში.

ბატონი თედო სახოკია:

- აჭარაში ერთხელ ისიც მოვისმინე, რომ რუსთაველმა თამარი პირველად მაშინ დაინახა, როცა თამარ მეფე ფურტიოს ხიდზე გადადიოდაო...

მოსამართლე:

- ბატონი თედო, რადგან ჩაერიეთ და სიტყვაც შეგვანიერ, იქნებ, თქვენი სათქმელიც უკვე ბრძანოთ მთავარ საკითხთან დაკავშირებით.

ბატონი თედო სახოკია:

- დიახ, თავი მაინც ვერ შევიკავე და ეს, ალბათ, თამარ მეფის ხსენების ბრალია და, სხვათა შორის, მისი ბრძანებით, ხიხანის ციხიდან ზარზმამდე მაშინ გვირაბიც კი გაიყვანეს.

მოსამართლე:

- თამარ მეფის ხსენება და მის შესახებ საუბარი ჩვენთვის ყოველთვის სასიამოვნო იქნება, მაგრამ, რადგანაც ჩვენი პროცესი სელიმ სიმშიაშვილს ეძღვნება, იქნებ, თქვენც კონკრეტულად მის შესახებ ისაუბროთ. ბოდიშს გიხდით, რა თქმა უნდა...

ბატონი თედო სახოკია:

- პირიქით, მე გიხდით ყველას ბოდიშს, მაგრამ, ვინაიდან ხიხანი და თა-

მარი ვახსენეთ, შემიძლია დაგიდასტუ-
როთ, რომ მეც მომისმენია ლეგენდა
იმის შესახებ თუ როგორ გარდაიცვალა
თამარ მეფე სწორედ ხიხანის ციხეში.

გიმნაზისტი (მოსამართლე):

- ბატონ თედოს უკვე ვუთხარი და
თუ თქვენი ნებაც იქნება, შემიძლია
ფოტო და კინომასალაც წარმოვუდგი-
ნო სასამართლოს.

მოსამართლე (გიმნაზისტი):

- რასთან დაკავშირებით?

გიმნაზისტი:

- სწორედ იმასთან დაკავშირებით,
რაზეც ჩვენ აქ ვსაუბრობთ და, იმედია,
წინააღმდეგიც არავინ იქნება.

პროკურორი:

- კი, ბატონი.

ადვოკატი:

- რასაკვირველია.

კახაბერ ბუაჩიძე:

- რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო...

ეკრანზე გიმნაზისტი სასამართლოს
ნევრებსა და დარპაზში მყოფებს უჩვე-
ნებს სწორედ იმ ადგილებს, რომელზეც
უკვე იყო საუბარი ამ პროცესზე: ხიხა-
ნის ციხეს, ფურტიოს ხიდს, ხინოს ხეო-
ბას და ა.შ.

მოსამართლე (გიმნაზისტი):

- დიდი მადლობა თქვენ და ახლა კი
ბატონ თედოს უნდა მოვუსმინოთ.

ბატონი თედო სახოვია:

- სანამ სელიმ ხიმშიაშვილის შესა-
ხებ ვისაუბრებ, მინდოდა ორიოდ სიტყვა
მაინც მეთქვა იმ დროსა და გარემოზე,
სადაც მას მოუხდა თავისი მოღვაწეობის
დაწყება და როცა სელიმი ახალციხის
ფაშა გახდა, უკვე თითქმის სამი საუკუნე

იყო გასული მას შემდეგ, რაც ახალციხის
საფაშო ოსმალეთის იმპერიის ნაწილს
წარმოადგენდა. ახალციხის საფაშოს,
ოფიციალურად, ჩილდირის ვილაიეთი
ერქვა და აჭარაც მის შემადგენლობაში
შედიოდა, როგორც ადმინისტრაციული
ერთეული, რომლის მმართველიც მე-
თვრამეტე საუკუნის ბოლოს სელიმის
მამა, აბდულა ხიმშიაშვილი გახდა. წყა-
როები ერთხმად მიუთითებენ, რომ მისი
დაწინაურება მისი გონებისა და შრომის
დამსახურება იყო და მისი შვილიც ლირ-
სეული მამის ლირსეული მემკვიდრე აღ-
მოჩნდა – მიუხედავად იმისა, რომ აბდუ-
ლას ქართული სახელი არ ერქვა და არც
ქრისტიანი იყო, მას მაინც ქართულად
უძგერდა გული და, როგორც ჩანს, სელიმ
ხიმშიაშვილს მამისგან, ესეც მემკვიდრეო-
ბით ერგო. სელიმმაც თავისი ხუთი წლის
ვაჟი, აბდი, გურიის მმართველის ასულზე,
პატარა კესარიაზე დანიშნა და იგი იმთა-
ვითვე დაუმოყვრდა სვიმონ გურიელს და
გურიის მთავარი სვიმონი კი დარწმუნე-
ბული იყო, რომ ძალიან სწორ არჩევანს
აკეთებდა. ზემოთქმულისთვის მიზეზიც
და მიზანიც საკმაოდ ბევრი არსებობდა,
მაგრამ მთავარი, მაინც, ალბათ, ოსმალე-
თის იმპერიის სურვილი იყო, ქართველი
ბეგები და ფაშები, მთავრები და მეფეები
ერთმანეთისთვის წაეკიდა, როგორც ამას
მერე რუსეთის იმპერიაც წარმატებით
აკეთებდა. ოსმალებიც და რუსებიც ხში-
რად წარმატებით იყენებდნენ ქართუ-
ლი ხასიათის ზოგიერთ თავისებურებას
ქართული კუთხეების დასამორჩილებლად
და ამ მიზნით ისე წააქეზებდნენ ხოლმე
ქართველ ლიდერებს ერთმანეთის წი-
ნიაღმდეგ, რომ მათ შორის ომი ზოგჯერ
გარდაუვალიც კი ხდებოდა. სელიმ ხიმ-
შიაშვილს კი ოსმალებმაც და რუსებმაც
დასახუსივე შეამჩნიეს ისეთი ლიდერის
თვისებები, რომლის გამოყენებაც მათ
ბევრი პრობლემის გადაჭრაში დაეხმარე-
ბოდა, თუმცა სელიმ ხიმშიაშვილი იმაზე
ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე მათ ეგონათ.
კერ კიდევ 1787 წელს, როცა რუსები

პირველად მიადგნენ ყარსს, მას, როგორც ერთ-ერთი სანჯაყის მმართველს, რასაკ-ვირველია, ევალებოდა ოსმალეთის იმპერიის ინტერესების დაცვა და შესაბამისი ბრძანება სტამბულიდან მიიღო კიდეც, მაგრამ სელიმმა ავადმოყოფობა მოიმიზება და რუსების წინააღმდეგ მაშინ, პრინციპულად არ იბრძოლა. პრინციპული იყო მერეც, 1812 წელსაც, როცა, ასევე სულთნის ბრძანებით, რუსებისთვის უნდა შეეტია, მაგრამ მან კვლავ შეიკავა თავი და გასაგებია რატომაც – სელიმმა იცოდა, რომ რუსები ოსმალების წინააღმდეგ სწორედ ქართველებს იყენებდნენ და სელიმი კი ყველაზე მეტად ქართველების სისხლისღვრას ერიდებოდა...

პრალმდებელი:

- ბატონო თედო, ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ, თუ სელიმ ხიმშიაშვილი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას ერიდებოდა, მაშინ რითი აისნება მისი თავდასხმები ახალციხეზე მესხეთში ხომ ოდითგანვე ძირძველი ქართველები ცხოვრობდნენ?

ადვოკატი:

- ვაპროტესტებ!

პრალმდებელი:

- რას აპროტესტებთ? ჩემს შეკითხვას თუ სელიმ ხიმშიაშვილის თავდასხმებს ახალციხეზე?

მოსამართლე (ბატონ თედოს):

- გთხოვთ, უპასუხოთ, ბატონო თედო.

პატონი თედო სახოკია:

- უნდა მოგახსენოთ, რომ სელიმ ხიმშიაშვილი, სინამდვილეში, არა ახალციხელებს, არამედ ახალციხის ფაშას ებრძოდა, რის გამოც მესხეთში, ისეთი უკმაყოფილება იყო, რომ ხალხმა დახმარებისთვის და თანაც არაერთხელ, სწორედ სელიმს მიმართა. სელიმს კი

სამართლიანი მმართველის სახელი იმიტომ ჰქონდა, რომ ყოველთვის უპირისპირდებოდა მექრთამე მოხელეებს და მათ აჭარაშიც ებრძოდა, მესხეთშიც და ყველგან, სადაც კი მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა. როცა მისი ძალა სტამბულშიც საგრძნობი გახდა, სულთანმა სელიმს სამთულიანი ფაშას ხარისხი უბოძა, რაც მის უმაღლეს აღიარებას ნიშნავდა...

პრალმდებელი:

- ბოდიში, რომ კიდევ ერთხელ გაწყვეტინებთ, მაგრამ სულთანმა სელიმ ხიმშიაშვილს, სინამდვილეში, სამთულიანი ფაშობა იმიტომ მიანიჭა, რომ მისი ერთგულება მოეპოვებინა.

ადვოკატი:

- ნებისმიერ ფაშას ისედაც ევალებოდა სულთნის ერთგულება და სელიმი კი ოსმალებმა პირადი ლირსებების გამო დააჯილდოვეს.

პატონი თედო სახოკია:

- პირადი თვისებების გარდა, იყო რელიგიური ფაქტორიც და ვინც იცნობს ზაქარია ჭიჭინაძის წიგნს ქართველთა გამუსულმანების შესახებ, ადვილად მიხვდება თუ რატომ ჰქონდა ოტომანთა პორტას ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება სელიმ ხიმშიაშვილის მიმართ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ქართველების ნაწილი, არა საკუთარი ნებით, ისლამის გზას დაადგა, ქართველ მაჰმადიანებს შორის რამდენიმე ჯგუფი გამოიკვეთა: ერთნი ცდილობდნენ, რომ ისლამი ისმალებზე მეტად დაეცვათ და ნამდვილ ფანატიკოსებად იქცნენ; მეორენი ცდილობდნენ, რომ ფარულად მაინც დაეცვათ ქრისტეს რჯული და მისი ერთგულები ყოფილიყვნენ ოსმალეთის იმპერიაშიც; მესამენი თვლიდნენ, რომ მთავარი არა რელიგია, არამედ კარიერაა და ასეთი ქართველები ძალიან მალე ისე დანინაურდნენ, რომ სულთნის დიდვეზირებიც კი გახდნენ, თუმცა

იყვნენ ისეთებიც, ვინც ფიქრობდა, რომ ყველაფერი დროებითი და წარმავალია და მათ შორის ოსმალეთის იმპერიაც და მალე მესხეთიც და აჭარაც კვლავ საქართველოს დაუბრუნდებოდა...

ბრალმდებელი:

– მიუხედავად იმისა, რომ სამი საუკუნე უკვე გასული იყო?

ბატონი თედო სახოვია:

– დიახ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სამი საუკუნე იყო გასული ოსმალური დომინაციის შემდეგ, სელიმ ხიმშიაშვილივით სხვა ქართველებსაც სჯეროდათ, რომ მაინც დედა საქართველოს დაუბრუნდებოდნენ ადრე თუ გვიან. სხვათა შორის, ტაო-კლარჯეთისა და სხვა, ისტორიულად ქართული მიწების შედარებით ადვილად მითვისება ოსმალეთის იმპერიის მიერ ბიზანტიიელების დამსახურებაც იყო. ერთმორწმუნე ბიზანტია საუკუნეების მანძილზე ისეთი მონდომებით ებრძოდა პატარა საქართველოს, რომ მისი სამხრეთი ნაწილი საბოლოოდ და საბედისწეროდ დაასუსტა, რითიც ოსმალებმა ისარგებლეს კიდეც...

ბრალმდებელი (მოსამართლეს):

– მგონი, ბატონმა თედომ ისევ გადაუხვია და ამჯერად ბიზანტიას მიადგა.

ადვოკატი:

– ისტორიული ექსკურსის გარეშე ძნელი იქნება სელიმ ხიმშიაშვილის ყველა ქმედების სწორი ანალიზი და რადგან ის არ იყო მარტივი პიროვნება, ზოგჯერ მისი გაგება, უბრალოდ, ძალიან რთულია...

მოსამართლე:

– მაგალითად, რას გულისხმობთ?

ბატონი თედო სახოვია:

– მაგალითად, ვგულისხმობ მის ურთიერთობას სოლომონ მეორესთან, რომელიც ღიად დაუპირისპირდა რუსეთს და რომლის მთავარი იმედი იყო სელიმ ხიმშიაშვილი, მაგრამ სელიმმა არც ერთხელ არ იბრძოლა რუსების წინააღმდეგ. მართალია, სოლომონ მეფეს ძალიან თანაუგრძნობდა კიდეც და მან უშუამდგომლა სულთანთან, როცა სოლომონს იმერეთში აღარ დაედგომებოდა, მაგრამ სელიმ ხიმშიაშვილმა რუსეთის წინააღმდეგ მაშინაც კი არ გაილაშქრა, როცა ნაპოლეონი უკვე მოსკოვს მიადგა...

ბრალმდებელი:

– მაგრამ, თუ იმასაც გავიხსენებთ და გავითვალისწინებთ, ამ სიკეთის საპასუხოდ, როგორ მოექცნენ რუსები სელიმ ხიმშიაშვილს, უნდა ვიფიქროთ,



რომ სელიმი არ იყო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი.

ბატონი თედო სახოკია:

– მართალია, ერზერუმის ფაშამ, ვინც სელიმ ხიმშიაშვილს თავი მოჰკვეთა, ამის გამო რუსი მთავარმართებლისგან ქების წერილიც კი მიიღო, მაგრამ თუნდაც ეს ფაქტი სელიმის პოლიტიკურ მოკლემხედველობაზე კი არ მეტყველებს, არამედ რუსების უმადურობაზე და მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, შეუძლებელი იყო, ხიმშიაშვილს სცოდნოდა რუსეთის იმპერიის ეს თვისება – მოსკოვისთვის სულეირთია, შენ როგორ მოიქცევი და ის მაინც ისე მოგექცევა, როგორი სასტიკიც არის...

ადვოკატი:

– თქვენის ნებართვით, იმ ფაქტსაც გავიხსენებ თუ რა კავშირები არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, მაგალითად, ფეხურებან ბაბა-ფაშასა და რუს გენერლებს შორის, რაც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერიას ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობა ახლა და ჩვენს დროში არ დაუწყია...

ბრალმდებელი (ადვოკატს):

– თქვენი ლოგიკით კი პირიქით გამოდის და სელიმ ხიმშიაშვილსაც მაშინვე, იმთავითვე უნდა სცოდნოდა, რომ რუსები მას არ დაეხმარებოდნენ და ლოგიკურიც იქნებოდა, რომ სელიმი ოსმალეთს საერთოდ არ დაპირისპირებოდა.

ადვოკატი (ბრალმდებელს):

– სამშობლოს მხოლოდ ერთი ლოგიკა აქვს და ეს არის თავისუფლება და ეს იყო სელიმ ხიმშიაშვილის მთავარი ლოლიკაც. სხვათა შორის, თქვენგან განსხვავებით, ამას მაშინვე მიხვდნენ რუსებიც და ოსმალებიც და ამიტომაც ორივე იმპერია დაუპირისპირდა სელიმ ხიმშიაშვილს, როგორც კი ერთმანეთთან ზავი დადეს...

მოსამართლე (ბატონ თედოს):

– ბოდიშს გიხდით. კიდევ ერთხელ და გთხოვთ, განაგრძოთ.

ბატონი თედო სახოკია:

– დიახ, სწორედ ასე იყო და 1812 წელს, როგორც კი რუსები და ოსმალები ერთმანეთს დაუზავდნენ, სელიმ ხიმშიაშვილს ორივემ გააფთრებით დაუწყიო ბრძოლა – ერთად და ცალ-ცალკე და სულთანმა სპეციალური ფირმანიც კი გამოსცა მის შესაბყრობად...

კახაბერ ბუაჩიძე:

– ალბათ, ხიმშიაშვილი და მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ ხიხანის ციხე, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა სელიმ ხიმშიაშვილმა, მოგვიანებით სწორედ რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებას შეეწირა და 1878 წლის ომის შემდეგ დაინგრა.

ბრალმდებელი:

– შეიძლება სასამართლოს უადგილოდ მოეჩვენოს ჩემი შეკითხვა, მაგრამ, რადგან ხიხანის ციხე კიდევ ერთხელ ახსენეს აქ, მინდა გვითხოთ: რამდენად მართალია ის, რასაც გიორგი ყაზბეგი წერს სელიმ ხიმშიაშვილის ცხენის შესახებ, რომ მან თავისი ცხენიც კი შეიყვანა ხიხანის ციხეში.

კახაბერ ბუაჩიძე:

– თქვენ, ალბათ, კარგად არ გესმით და ვერ წარმოგიდგენიათ, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ხიხანის ციხესიმაგრე და მისი ფუნქცია კი, რომის სენატის ფუნქციაში გერევათ და სელიმის ცხენიც კალიგულას ინციტატუსი გგონიათ.

მოსამართლე (ბრალმდებელს):

– დიახ, თქვენი შეკითხვა სრულიად უადგილო იყო, მაგრამ იმედია, რომ სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეთ.

ბრალმდებელი:

– იმედია, რომ ეს კითხვა მაინც არ მოგეწვენებათ უადგილოდ, რადგან, თუ თქვენ თვლით, რომ სელიმ ხიმშიაშვილი მხოლოდ ფორმალურად იყო მუსულმანი, მაშინ, როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ახალციხის რეზიდენციაში გადასვლის შემდეგ მან იქ, პირველ რიგში, მეჩეთი ააშენა?

კახაბერ ბუაჩიძე:

– თქვენის ნებართვით, უფალო მოსამართლევ და პატივცემულო საზოგადოებავ, ბატონ პროკურორს სიამოვნებით განვუმარტავ იმ მიზეზს, რომელსაც უკავშირდება ამ მცდარი აზრის წარმომავლობა. ახალციხის მეჩეთი, სინამდვილეში, ჯერ კიდევ აზი აპმედ ფაშას დროს, 1752 წელს ააგეს იტალიელმა არქიტექტორებმა, მაგრამ ახალციხის აღების შემდეგ სელიმ ხიმშიაშვილი ისევე დიდსულოვნად მოქეცა ადგილობრივ მაჰმადიანებს, როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელი თბილისის მუსულმან მოსახლეობას და სწორედ ამიტომაც გაჩნდა ეს ლეგენდა, თუმცა აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ სელიმი სულაც არ ჰყოფდა ქართველებს რელიგიური ნიშნით და პირიქით – მთელი ცხოვრება მათ გაერთიანებაზე ოცნებობდა...

ადვოკატი:

– და არა მარტო ოცნებობდა, არამედ იბრძოდა კიდეც ამის მისაღწევად, სანამ ცოცხალი იყო და სანამ თავი არ მოჰკვეთეს 1815 წლის 3 ივნისს.

მოსამართლე (ბატონ თედო სახ-ოვას):

– სხვათა შორის, ბატონო თედო, რამდენადაც დეტალურად ცნობილია სელიმ ხიმშიაშვილის გარდაცვალების გარემოებები, იმდენად საკამათოა სელიმის დაბადების ზუსტი დრო და ადგილი და მინდა ამასთან დაკავშირებთაც მოვისმინო თქვენი აზრი.

ბატონი თედო სახ-ოვა:

– 1897 წელს პირადად მოვინახულე სოფელი ქოჩახი, სადაც, ჩვენი ვარაუდით, დაიბადა კიდეც სელიმ ხიმშიაშვილი და პირველდაწყებითი განათლებაც, სავარაუდოდ, აქ მიიღო. ცნობილია, რომ მერე ის სტამბულის დარულ-ბადის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელშიც იღებდა განათლებას, მაგრამ დასაწყისს სანავლისთვის, მოგეხსენებათ, რომ დიდი ძალიან მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი კი, წერა-კითხვას საქართველოში დედები ასწავლიდნენ ხოლმე შვილებს და სელიმის დედის სახელი კი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია და მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი ბეჟანიძის ქალი გახლდათ, თუმცა, ალბათ, მამის ღვაწლიც იყო ამ მხრივ და საერთოდ კი ოჯახში მიღებული ქართული განათლების დამსახურებაა სწორედ ის, რომ სელიმი შესანიშნავად წერდა ქართულად და ამის დამატებიცებელი მისი ხელით დაწერილი რამდენიმე წერილი დღემდე არსებობს.

ბრალმდებელი (ბატონ თედოს):

– ოჯახში მიღებულ ქართულ განათლებაზე აქცენტის გაკეთებით თქვენ, ალბათ, კიდევ ერთხელ გსურთ იმის ხაზგასმა, რომ სელიმის მამა, აბდულ ხიმშიაშვილიც, ქართულად მოაზროვნე მუსულმანი იყო.

მოსამართლე (ბრალმდებელს):

– თქვენ რა არგუმენტები გაქვთ ამის საპირისპიროდ?

ბრალმდებელი:

– მე მაქს არა მხოლოდ არგუმენტები, არამედ ფაქტებიც და, ალბათ, თქვენთვისაც კარგად ცნობილია, რომ აბდულა ხიმშიაშვილი მოკლეს გურიაში, კერძოდ კი აკეთში, სადაც ის გურულებზე თავდასხმაში მონაწილეობდა.

კახაბერ ბუაჩიძე (მოსამართლეს და ბატონ თედოს):

– თუ შეიძლება, თქვენი ნებართვით, მე ვუპასუხებ.

მოსამართლე (ბუაჩიძეს):

– ბრძანეთ, კი ბატონო.

კახაბერ ბუაჩიძე:

– ნამდვილად ასე იყო, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის დრო და გარემო, როცა, ტყვეების მოტაცების მიზნით, ქართველები ერთმანეთსაც ესხმოდნენ თავს, სანამ ეს სამარცხვინო წესი თუ უწესობა სამუდამოდ არ აკრძალა სოლომონ მეფემ და, გარდა ამისა, აბდულქეგ ხიმშიაშვილი, სელიმის მამა, მაშინ გურიაში არა საკუთარი ნებით, არამედ სულთნის ბრძანების გამო გადავიდა...

მოსამართლე (ბრალმდებელს):

– კიდევ გაქვთ შეკითხვები?

ბრალმდებელი:

– დიახ, კიდევ მაქვს შეკითხვა ბატონ თედოსთან და კიდევ ერთხელ მინდა დავუბრუნდე სელიმ ხიმშიაშვილის გარდაცვალების ზოგიერთ გარემოებას და კონკრეტულად კი ღალატის საკითხს. აქ უკვე ითქვა, რომ მან თავად გადაწყვიტა ხიხანის ციხიდან გამოსვლა, რათა სხვებისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, მაგრამ მაინტერესებს, ბატონმა თედომ პირადად თუ მოისმინა მაშინ ღალატის ვერსიები.

ბატონი თედო სახოკია:

– 1897 წელს, როცა მე აჭარაში ვი- მოგზაურე, რასაკვირველია, ღალატის ვერსიაც მოვისმინე, მაგრამ მოლალატის სახელი და ვინაობა, მაშინვე დავი- ვიწყე გასაგები მიზეზების გამო. მთა- ვარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მე იმ ვერსიის მომხრე ვარ, რომლის შე- სახებაც აქ უკვე ითქვა და, რომელიც თვითონაც მოვისმინე მაშინ, აჭარაში ყოფნისას.

გიმაზისტი:

– ბოდიშის მოხდით მინდა ერთი განმარტება გავაკეთო, რადგან, თუ სა- სამართლოს ამ ვერსიის წარმომავლობა აინტერესებს, იგი სინამდვილეში უკავ- შირდება რუსების გენერალ რტიშვილს, რომელმაც თავის მოხსენებაში პირ- ველმა შეთხზა ეს ამბავი და თუ რა- ტომ, ამის შესანიშნავი ახსნა აქვს ბა- ტონ რამაზ სურმანიძეს. ეს ის რუსი გენერალია, რომელმაც, სხვათა შო- რის, ისევე მიატოვა ბრძოლის ველზე სელიმ ხიმშიაშვილი, როგორც მანამდე ტოტლებენმა ერეკლე მეორე. და კიდევ ერთი და ისევ ბოდიშის მოხდით, რა- საკვირველია – მიუხედავად ჩემი ღრმა პატივისცემისა ბატონი თედოს მიმართ, ვერ დავეთანხმები სელიმის დაბადე- ბის ადგილთან დაკავშირებითაც და, ვფიქრობ, რომ რამაზ სურმანიძის მო- საზრება აქაც უფრო ლოგიკურია. სე- ლიმ ხიმშიაშვილი რომ ქოჩახში დაბა- დებულიყო მაშინ მას სწორედ ქოჩახში დაკრძალავდნენ, რომელიც ბაქოდან სულ რაღაც სამ კილომეტრშია და არა ნიგაზეულში, რომელიც მისი გარდა- ცვალების ადგილიდან საკმაოდ შორს არის...

მოსამართლე შეცდება, საუბრის თემა შეცვალოს, ბატონ თედოს რომ არ ეწყინოს გიმაზისტის ნათქვამი და აშკარა სიყვარულითა და პატივისცე- მით მიმართავს თედო სახოკიას:

მოსამართლე (ბატონ თედოს):

– მაშინ აჭარას სწორედ ამ მიზნით ესტუმრეთ, რომ სელიმ ხიმშიაშვილის შესახებ მასალები შეგეგროვებინათ თუ სხვა საკითხებსაც იკვლევდით?

ბატონი თედო სახოკია:

– სიმართლე რომ გითხრათ, არა მხოლოდ სელიმის საკითხი მაინტერე- სებდა, არამედ ყველაფერი, რაც აჭა- რას უკავშირდებოდა ისტორიული თუ

კულტურული თვალსაზრისით და მაშინ ბევრი რამ აჭარის შესახებ დანარჩენი საქართველოსთვის, უპრალოდ, უცნობი იყო. სხვათა შორის, ისიც კი მაინტერესებდა, თუ რა საზღვაო ტერმინებს ხმარობდნენ აჭარლები, რადგან ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ქართველები ზღვას არასაკმარისად ეფექტურად ვიყენებდით და სწორედ მაშინ აღმოვაჩინე აჭარულში უამრავი საზღვაო სიტყვა, თუმცა ისიც აღმოვაჩინე, რომ აჭარულ ხაჭაპურს ნავის ფორმა, შესაძლოა, ლაზურის გავლენით აქვს და, ფაქტია, რომ ლაზები ჩვენი მოდგმის ხალხს შორის ყოველთვის ყველაზე მეტად კონტაქტობდნენ ზღვასთან...

პრალმდებელი (ბატონ თედოს):

– კი მაგრამ, რა უფრო მნიშვნელოვანია ისტორიისთვის, ფაქტი თუ ვერსია, რომელიც პირადად უფრო მოგრონთ და თქვენთვის უფრო სასურველია?!

ბატონი თედო სახოკია:

– ლაზურ ხაჭაპურს გულისხმობთ?

პრალმდებელი:

– ვგულისხმობ იმას, რისთვისაც დღეს აქ ვართ შეკრებილი და მინდა სასამართლომ შეძლებისდაგვარად ზუსტად აღადგინოს სელიმ სიმშიაშვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები.

ბატონი თედო სახოკია:

– კი ბატონო, მაგრამ მანამდე მინდა შეგახსენოთ, რომ რუსების ტყვეობიდან თავდახსნილმა სოლომონ მეფემ ახალციხიდან ნაპოლეონ ბონაპარტეს წერილი მისწერა, სადაც აუხსნა, რომ მისი მშობლიური იმერეთი და საქართველო, რომელსაც ახლა თსმალეთისა და რუსეთის იმპერიები იყოფდნენ, სინამდვილეში ევროპის უძველესი ნაწილი იყო და ამიტომაც სოლომონი ფრანგებსა და ევროპელებს სთხოვდა შველას და რეალურ დახმარებას. ამ წერილის თანავტორი

კი იყო სელიმ სიმშიაშვილი, რომელიც ძალიან მალე დარწმუნდა, რომ ვერც ნაპოლეონი და ვერც სხვა რომელიმე ევროპელი ლიდერი ვერც მას და ვერც სოლომონ მეორეს ვერაფრით უშველიდა. დაბმარების იმედი ფუჭი და ამაო იყო და ხიხანის ციხეში გამაგრება და ბრძოლის გაგრძელება კი უფრო მეტ სიკვდილსა და მსხვერპლს მოიტანდა. ამიტომაც გადაწყვიტა სელიმ სიმშიაშვილმა, რომ საკუთარი სიკვდილით სხვების სიცოცხლე ეხსნა.

მოსამართლე:

– როგორც უკვე ითქვა, ჩვენი სურვილია და, ალბათ, დარბაზიც დაგვეთანხმება, რომ მნიშვნელოვანია თუ სასამართლოზე მოხდება სელიმ სიმშიაშვილის უკანასკნელი დღეების დეტალურად აღდგენა, მაგრამ ვგულისხმობთ არა მხოლოდ ტექსტს, არამედ ისტორიის გაცაფხლებასაც და იმედია, რომ ზემოთქმულის განხორციელებაში ყველანი დაგვეხმარებით, თუმცა მანამდე მინდა, ბატონ კახაბერს ვთხოვო იმის აღწერა, რაც სელიმის სიკვდილით დასჯას წინ უსწრებდა.

კახაბერ ბუაჩიძე:

– მას შემდეგ, რაც სულთანმა სელიმ სიმშიაშვილის დაპატიმრებას მოაწერა ხელი, მაჰმუდ მეორემ ერზერუმის სერასკირს რამდენიმეათასიანი ჯარი მისცა ამ განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით და სელიმიც ხიხანის ციხეში გამაგრდა. რუსებისაგან მხარდაჭერის მიღება გამორიცხული იყო, რადგან რუსეთის იმპერიას თსმალებთან უკვე დადებული ჰქონდა საზავო ხელშეკრულება და თანაც სელიმ სიმშიაშვილს რუსები არასოდეს აპატიებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილთან მეგობრულ ურთიერთობას. ასეც რომ მომხდარიყო, უკვე სამოცავი წლის სელიმ სიმშიაშვილი რუსებს ველარ ენდობოდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მათ სოლომონ მეორე

მოტყუებით დააპატიმრეს და იმერეთის სამეფო კი რუსეთს იძულებით შეუერთეს. ამიტომაც სელიმს მარტო მოუწია ბრძოლა ოსმალეთის რამდენიმეათასიანი არმიის წინააღმდეგ და მიუხედავად იმისა, რომ მას სულ რამდენიმე ასეული ერთგული მეომარი ჰყავდა ხიხანის ციხე-სიმაგრეში, პირველი რამდენიმე შეტევის მოგერიება ქართველებმა მაინც შეძლეს. ეს კი განაპირობა არა მხოლოდ სელიმ ხიმშიაშვილის სამხედრო ნიჭმა, არამედ ხიხანის ადგილმდებარეობამაც და ამაში დარწმუნება ადვილია, თუ ამ კადრებს ყურადღებით დავაკვირდებით (ეკრაზზე ჩანს ხიხანი), თუმცა უფრო ზუსტი და სწორი წარმოდგენა რომ გვქონდეს იმის შესახებ, თუ რა მოხდა აქ 1815 წელს, მაინც უკეთესია, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც პირადად მოვინახულოთ ეს საოცარი ადგილი.

მოსამართლე:

– ბატონ კახაბერსაც ვთხოვთ, რომ გვითხრას, რა მოხდა იმ დღეს, 1815 წლის 3 ივნისს, ხიხანის ციხეში.

კახაბერ ბუაჩიძე:

– პირველ რიგში, იმის თქმა მინდა, რომ სელიმ ხიმშიაშვილმა ამ ნაბიჯით ყველა ის ნაბიჯი გამოისყიდა, რომლის გამოც მის მიმართ მის სიცოცხლეშივე არსებობდა გარკვეული პრეტენზიები და კრიტიკული დამოკიდებულება. როცა ადამიანი სიკვდილით ისჯება მხოლოდ იმის გამო, რომ მისი სამშობლო მისი მთავარი არჩევანია, ყველა მისი შეცდომა ქრება და შთამომავლობაც მხოლოდ იმას იმახსოვრებს, რაც მისთვის სამაყო და სამაგალითოა. შთამომავლობისთვის სელიმ ხიმშიაშვილი იქცა ისეთ გმირად, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდებოდა აჭარას და არა მხოლოდ აჭარას და სიტყვა, რომელიც მაშინ სელიმმა წარმოთქვა, მთელი საქართველოს დევიზად იქცა.

მოსამართლე:

– სანამ მოსამართლე განაჩენის გამოსატანად გავა, იქნებ, ვინმეს სურს კიდევ რაღაცის თქმა ამ საქმესთან დაკავშირებით?

ბერტა:

– მინდა გთხოვოთ ყველას, წარმოიდგინოთ უკანასკნელი სცენა ხიხანის ციხის დატოვებამდე, როცა სელიმი და ელმასი უკანასკნელად განმარტოვდნენ ერთმანეთისთვის უკანასკნელი სიტყვების სათქმელად. ახლა ისინი, სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს და ამიტომაც დიდხანს არ უსაუბრიათ. უხმოდ უყურებდნენ ერთმანეთს, სანამ დუმილი ელმასმა არ დაარღვია.

– აი, გამომართვი, – უთხრა სელიმს და ის ბეჭედი გაუწოდა, რომელიც ოდესლაც სელიმმა მას თვითონ აჩუქა.

– არა, – თავი გააქნია სელიმმა უარის ნიშნად, მაგრამ ელმასი მაინც შეეცადა რომ მისთვის ამ გადაწყვეტილების მიზეზი აეხსნა: – როცა ჯალათი შენს ჯიბებში ვერაფერს აღმოაჩენს, მინდა მან და ყველამ იცოდეს, რომ ერთადერთი, რისთვისაც ცხოვრებაში იბრძოდი, სიყვარული და თავისუფლება იყო...

გიმნაზისტი:

– მე კი მინდა გავიმეორო სელიმ ხიმშიაშვილის უკანასკნელი სიტყვა, რომლითაც მან თავის ჯალათებს მიმართა – „მე მჭრით თავს და ჩემს თავს ადვილად მოაშორებთ ჩემს ტანს, მაგრამ აჭარას სამუდამოდ, მაინც ვერავინ ჩამოაშორებს დედა-საქართველოს“.

ადვოკატი:

– ეს ტერმინიც – დედა-საქართველო – სწორედ სელიმ ხიმშიაშვილის შემდეგ დამკვიდრდა.

პრალმდებელი:

– ამაში დარწმუნებული ხართ?

მოსამართლე (ბრალმდებელს):

- შეგიძლიათ აღარ იკამათოთ და სასამართლოს საბოლოო განაჩენს დაელოდოთ,
- მერე დარბაზს მიმართავს:
- სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად!

სანამ მოსამართლე დარბაზიდან გასულია, ეკრანზე ჩანს სერიყანა – ადგილი, სადაც სელიმი სიკვდილით დასაჯეს და მერე ჩანს სტამბულის სულთნების სასაფლაო. გიმნაზისტი კი დამსწრე საზოგადოებას დეტალურად უხსნის ყველაფერს.

გიმნაზისტი:

- სელიმ სიმშიაშვილის ტანი მისი მშობლიურ სოფელში დაკრძალეს, მისი მოკვეთილი თავი კი სტამბულში ჩაიტანეს და როგორც ვარაუდობენ, ის დაკრძალულია სტამბულის ცენტრში, ჩემბერლიტაშის სასაფლაოზე, სადაც სულთან მაჰმუდ მეორისა და სხვადასხვა დიდვეზირების საფლავებია...

მოსამართლე ბრუნდება და ყველას ერთად მიმართავს.

მოსამართლე:

- სასამართლომ იმსჯელა სელიმ სი-

მშიაშვილის საქმესთან დაკავშირებით და მოწმეთა და მცოდნეთა, მხარეების მიერ წარმოდგენილ არგუმენტთა განხილვის შემდეგ დაადგინა – სელიმ სიმშიაშვილის ღვანლისა და გმირობის, მისი ცხოვრებისა და ისტორიის შესახებ ისწავლებოდეს ყველა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს სპეციალური პროგრამა დიასპორის სამინისტროსთან ერთად და სახელმძღვანელოების გარდა, შექმნას სპეციალური შემეცნებითი ხასიათის დოკუმენტური ვიდეოფილმები. სასამართლო აგრეთვე მიმართავს, როგორც სახელმწიფო, ასევე დამოუკიდებელ გამომცემლებს, დაინტერესდნენ იმ წიგნების დაბეჭდვით, სადაც აღნერილი იქნება სელიმ სიმშიაშვილის ცხოვრება და მოღვანეობა და სასამართლო ასევე მიმართავს, როგორც საზოგადოებრივ, აგრეთვე კერძო ტელეკომპანიებს, მოამზადონ სპეციალური გადაცემები სელიმ სიმშიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად. ეს განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება!....

ბელა ჩეკურიშვილი



მეწამული

ეს პაპაჩემის ქვევრის ღვინოა,
მისი დიდი, მზით გამთბარი ხელებით დაწურული
და სააღდგომოდ, ჭიქას პურზე რომ წამოუქცევდა,
ერთი წვეთი ქათქათა სუფრას მეწამულ ვარდად
დაემჩნეოდა,
ჩვენ კი ტუჩებს გვიღებავდა და გვჯეროდა, დევის
სისხლს გსვამდით,
დევის ძალა რომ გაგვჯდომოდა კნაჭა ფეხებში;

ეს დიდიპაპის ჩოხაა დიდბების ძელი სკივრიდან.
გაზაფხულზე, წვიმები რომ გადაივლიდა,
იმ სკივრის გახსნას სამი წყვილი თვალი ისე უდარაჯებდა,
რომ ხანდახან ამოსუნთქვაც გვავიწყდებოდა.
შეჯიბრი კი იმაზე იყო, ვინ პირველი დაინახავდა,
ატლასის შავ კაბებსა და ხელით ნაქარგი თავსაფრების
თეთრი გროვიდან
უცებ როგორ ამოფრინდებოდა მეწამული ჩოხის კალთები,
თითქოს სკივრი სისხლით აივსოო,
თავსახურსაც გადაფარავდა და იატაკზე დაიღვრებოდა.

ეს ჩემი ძმის დროშაა,
საუკუნის დასაწყისში დახოცილთა წაანდერძალი,
საუკუნის მიწურულს რომ „საქართველოს“ ძახილით
და სიმღერ-სიმღერით სტუდენტების საფლავებზე
აფრიალებდა,
იქ, სადაც აღარც საფლავი ჩანდა,
აღარც ტაძარი და არც იმათი გვარ-სახელები,
მაგრამ მაინც იქ მოინდომეს მსხვერპლად შენირვა.

ეს პირველი ყვავილია,
ზამთრის პირას ჩემს ქალაქში რომ გამოჩნდება
გლეხის ბიჭის ალალი ღიმილით
და შეყვარებულ ბიჭებსაც რომ აიყოლიებს.
დღის ბოლოს კი
სკოლიდან სახლში მთელი ჩანთა ყოჩივარდა მიმქონდა
და მინის ვაზებში ვანანილებდი.

ეს ღვთისმშობლის თავმანდილია
შუა საუკუნეების გაცრეცილი ფრესკიდან,
მისი ასლი კი ნათლობის მერე ჩემს საწოლთან ჰკიდია
და სიმშვიდის მადლით მამხნევებს,
რომ ავსული ვერასოდეს გამეკარება.

ეს ღრუბლებში დამალული მზეა,
ჩემი ალმოსავლური ქალაქის თავზე
გადმოყუდებულ მთის წვერზე რომ წამით შედგება,
ვიდრე იმ ღრუბლებს გაუყვებოდეს.

და მე ამ ფერს ჯავშანივით ვირგებ ტანზე,
რადგან ასე უფრო ძნელი ვიქნები ჩასაყლაპად
(იოლად ვერ დავიღეჭები),
უფრო რთული – დასამტვრევად
(ძალისხმევად, იუნებ, არც ვლირდე),
უფრო სახათაბალო – გასასრესად
(ურტყამ, ურტყამ და ფეხებს მაინც ასავსავებს)...

შენ შემომხედავ და იტყვი:
გონიერ ქალს მეწამული ტანსაცმელი აღარ შეჰქორის,
აუბრალოებს იმიჯს და სტატუსს,
რად ეძებ ჯავშანს? იყავი ღია, როგორც მდინარე,
და მიმღები, როგორც სარკე ანარეკლების,
გაახილე თვალები ფართოდ,
შემოუშვი ახალი ფერი,
მოიშორე ჩოხაც და დროშაც,
გაშალე მკლავი, შემოიცვი ჭრელი სამოსი,
გაზაფხულობით გაგახარებს ყველა ყვავილი
და შეგიღებავს ტუჩებს კიდევ ბევრი სასმელი,
რად ხარ ასე შეკუმშული ლოკოინას ნიუარასავით?
გაშალე ფეხები,
თამამად, ფართოდ, მწყობრად
გადააბიჯე...

მე – შურნალის გარეპანი

ყოველ ჯერზე,
როცა ჩემთან მოდიხარ და ვიწრო ტახტზე
გვერდიგვერდ ვსხდებით,
ისე მიყურებ,
თითქოს კედელზე გაკრული უურნალის გვერდს
მოჰკარი თვალი,
სადღაც, ძველ კაფეში შემთხვევით რომ შეიარე
და შეაჩერდი, ვიდრე სადილს მოგიტანდნენ.
ტექსტი ჯერაც იკითხება,
ფოტოებიც გარკვევით მოჩანს,
მაგრამ, ისე ცერად გაუკრავთ,
ვერაფერს არკვევ და იძაბები.
თითქოს ამ ფერადმა ფოტოებმა – უცნობი ქვეყნის
მთიანი ლანდშაფტით –
ის დღე ვაგახსენა,
ბურთს რომ პირველად დაარტყი ფეხი,
ვერ მოზომე და ჭიშკარს შეასკდა.
ყოველ ჯერზე,
როცა სიგარეტს ერთად ვუკიდებთ,
გგონია, რომ სადღაც, ძველ კაფეში,
კედელზე გაკრული უურნალის გვერდს ათვალიერებ,
მაგრამ ბოლომდე წაკითხვას კი ველარ ახერხებ,
ისე ურგებად, ცერად გაუკრავთ,
თითქოსდა რამე უშნო ლაქების ანდა ღრმულის
დასაფარავად.
გული გწყდება,
თუმცა იცი, ეს თავისტეხა სულ ფუჭია,
ვერ ჩამოხსნი და თან ვერ წაიღებ,
სახლში მშვიდად რომ წაიკითხო,
მაინც რას წერენ მთებზე დაკლაკნილ ამ უცნობ გზებზე,
ღრუბლების ქვეშ ასე საშიშად რომ გაწოლილან.

მე – მზის სარკმელი

შენი ხელები ჩემს წელზე
და თავი – კალთაში –
ერთი შეხედვით რა ბანალური სურათია,
მაგრამ ყველაფერი იცვლება, როცა ეს ხელები,
როგორც შორეულ ზღვაოსანთა ნავები,
ჩემს სხეულზე ცურვას იწყებენ
საიდუმლო კუნძულების აღმოსაჩენად.
მაშინ მე, ჩვეულებრივი ქალი,
იმ სიხარულის მიზეზი ვხდები, უძვირფასესი
განძის პოვნას რომ მოჰყვება

მეკობრეთაგან მიტოვებულ გამოქვაბულში.
მაშინ მე, არაფრით გამორჩეული, რიგითი ქალი,
ათასფრად ვიწყებ ციმციმს და ბრჭყვიალს
და ვიჯერებ:
მზის სარკმელი ვარ
და სამყაროს შუქით ავსება ჩემს ტანზე გადის.

მე – ფეხშიშველი

ვიდრე ჩვენ დარცხვენილ სახეებს საბნის ქვეშ ვმალავდით,
ჩვენი ფეხსაცმელები
მშვიდად იდგნენ შემოსასვლელში
გვერდიგვერდ,
თანასწორად –
ჩემი მოკლეყელიანი ჩექმები
და შენი მძიმეძირიანი „ბატინკები“.
მათ შეეძლოთ,
რამდენიმე საათით მაინც მდგარიყვნენ ასე
და არ ეფიქრათ, შესაძლებელია თუ არა ერთად ყოფნა –
თუნდაც დროებით.

მე – აღუჩალი

როცა პირველად შემიყვარდა,
ალუბლის ხე ვიყავი,
ხელებგაშლილი ვკეკლუცობდი
და ოცნებით მათ შევყურებდი,
ზემოთ,
უკიდეგანი სილაჟვარდეში რომ დასრიალებდნენ
ქოროდ ან წყვილად,
თავისუფლებაზე გაბმული მღერით
და ლურჯი ცის თალს ბასრად კანრავდნენ.
ვფიქრობდი, ერთი მათგანი მაინც თუ თვალს შემავლებს,
დაინახავს მისკენ მიმართულ ვარდისფერ მკლავებს,
გააურქოლებს, წამოვა ჩემკენ,
დაეშვება
და ფრთებს შემახებს,
ნახავს, თურმე რა ლამაზი ვარ,
რა საამო, სურნელოვანი,
აკი, ფუტკრები მუდამ თავს მეხვევიან,
დაუღალავად ჩამპზუიან,
რომ ჩემზე ტკბილი, ჩემზე სათუთი ამ ეზოში არვინ
შრიალებს!
ვუცქერდი ცას და
მივიწევდი ზემოთ და ზემოთ,

ვიქენევდი მკლავებს, ვშრიალებდი ათასი ფოთლით,
ვარხევდი ტანს და მონდომებით ვიწეოდი ფეხისწვერებზე.
„ოჳ, ნეტავი კი თვალს შემავლებდეს,
ოჳ, ნეტავ, ოდნავ, სულ ოდნავ, დაბლა დაეშვებოდეს,
ოჳ, რომ იცოდეს, რომ იცოდეს, მას როგორ ველი!
ოჳ, რომ არა ჩემი ფესვები, ავიჭრებოდი მაღლა, ზეცისკენ,
მასთან ერთად ვილივლივებდი უკიდეგანო სავანეში,
გავყვებოდი შორეული ქვეყნებისაკენ,
ოჳ, რომ არა ეს ფესვები, მძიმე ფესვები,
ამ ეზოს რომ მიმაბეს და არსად მიშვებენ!“
ქარმა ისმინა ჩემი ძახილი,
ჩამესვია, დამატრიალა,
მიწას მომწყვიტა
და გამაქროლა.

ფრინველებისთვის თვალი მეტად აღარ მომიკრავს.
მეორედ რომ შემიყვარდა,
გზისპირას ვეგდე,
როცა მოვიდა და შემარხია,
მიწა-ტალახი მომაშორა,
სახლში წამილო,
დალენილი ჩემი ტანისგან
ჯადოსნურხმიანი სალამური რომ გამოეთალა...

მესამედ პატარა ბიჭი შემიყვარდა,
სკოლის სცენაზე განმარტოებით რომ იდგა
და უბით სათუთად დამატარებდა,
მერე კი, ვიდრე ტუჩის მომადებდა, თვალებს ხუჭავდა.
მე ვწკრიალებდი მის თითებში ისე ლალად და ისე ვნებით,
როგორც ეუვნები საშობაო ირმქის ეტლზე,
საქორწინო ფიცის სიტყვები
და ქალაქის შადრევნის ჭავლი,
მოსეირნე გოგონებს რომ კაბებს უსველებს.
მას შემდეგ თრთოლით უამრავი თითი შემეხო,
ჩემს მოქნილ ტანზე არაერთ ტუჩის მოუკლავს ჟინი,
მაგრამ იმგვარი ალტაცებით და სიხარულით
არასოდეს მიხმიანია...

მეოთხედ?
მეოთხედ უკვე ცეცხლი იყო,
შემოდგომის ღუმელის ცეცხლი,
მწველი, ბრიალა, ყოვლისმომცველი,
ოთხი პატარა ხუჭუჭა თავით გარშემორტყმული,
ჩამფერფლავი, დამნაცრებელი...

დათო მამაიაშვილი



...ამბავი ეძღვნება საკაცობრიო ისტორიის ტოტალიტარულად მრისხანე და აბ-სურდულ მონაკვეთს, რომლის ტოტალიტარულ მრისხანებასაც ამჟამად გვერდს ავუვლით და ვისაუბრებთ მის ტოტალიტარულ აბსურდულობაზე, ანუ იმ დროზე, როცა მსოფლიოს გეოგრაფიული მექანიზების მონუმენტურ წითელ საზღვრებში მოყოლილი ხალხისათვის იკრძალებოდა ის, რაც არ შეიძლება აიკრძალოს, ის, რის აკრძალვასაც აზრი არა აქვს და ის, რაც უნდა იკრძალებოდეს კიდეც. ასე რომ, ველარავის გაეგო: რა იყო ასაკრძალი, რატომ, როგორ, სად, ვისთვის, როდის, რამდენჯერ და რამდენად იყო ასაკრძალი. მთავარია, იცოდნენ, რომ იყო აკ-რძალვა და თუ რისა – ამას უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, თუმცა ადამიანები მაინც ცხოვრობდნენ, მაგრამ გონების მუზარადის გაყინულობით. რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ, მაგრამ გონების მუზარადის გაყინულობით. დიახ, ესე იგი... თუმცა უბრალოდ შეიძლება ითქვას, რომ ისინი მაშინ მაინც ცხოვრობდნენ – ადამიანები...!

წამპითხველი

ლიტერატურული სცენარი
ჟანრი: „ფელეტონი. მოსაწყენი თხრობა“
არვო ალტონის ნოველის მიხედვით

ვაგზლის უშველებელჭერიანი დარბაზი ჩვეულებისამებრ ფუსფუსებს და ხმაურობს. დარბაზის ყოველდღიურ ხმაურში გარედან ჩამომდგარი მატარებლის ქშენამაც შემოაღწია. მგზავრთაგან ზოგი დინჯად, ზოგიც სწრაფად მიდი-მოდის. დღის სინათლით განათებული მთავარი შესასვლელის მაღალი კარიდან არცთუ შესამჩნევად შემოვიდა მწვანე ზურგჩანთიანი, მაღალი ტიპი და, თითქოს ეს საქმე ბევრჯერ სხვაგანაც უკეთებიაო, ზურგჩანთა

დადო, სკამზე აუღელვებლად შედგა, ამოილიავებული წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო.

კაცმა მაღალი, ცივი ხმით დაიწყო სათავეადასავლო მოთხრობის კითხვა: „იმ კუნძულზე კაციჭამია ტომები ცხოვრობდნენ მხოლოდ...“ – თან ქალთან მჯდომ პატარა გოგონას თვალი ჩაუკრა და ისევ კითხვა განაგრძო. ბავშვი ინსტინქტურად ფეხზე წამოუდგა „მასწავლებელს“. ქალმა ბავშვი მცირე ყოყმანის მერე დასვა და თავადაც ინ-

ტერესით დაუწყო ყურება (და მოსმენაც) მაღალ სკამზე შემდგარ მაღალ მამაკაცს. კაცი ძალიან ჩვეულებრივად ჰყვებოდა, ანუ კითხულობდა, მიუხედავად მისი უჩვეულო სიტუაციისა. კაცი კითხულობდა...

უამრავი ჩანთა, რომლებიც სხვა-დასხვა ხელებზე იყვნენ მორგებულნი, სხვადასხვა მიმართულებით მიდი-მოდიოდა. ისინი ხან ერთად შეჯვაფულებოდნენ, ხანაც სისწრაფეს იცვლიდნენ, ხან საერთოდაც ჩერდებოდნენ და ვიდრე მათი პატრონები ერთმანეთს მოიკითხავდნენ, ოდნავ ტოყავდნენ. მალე ისევ ამოძრავდებოდნენ ან რომელიმე სკამზე მიესვენებოდნენ, როგორც დაღლილი ან უბრალოდ მომლოდინები ადამიანები ისხდნენ აქ და ელოდნენ... მებარგულების შეძახილები საერთო პოლიფონიაში თანადროული ჩასართავებივით გაისმოდა:

— გზა, ხაბარდა, ქალბატონო, ბრრრ...
და ა. შ. მთლიანობაში აქ ყველაფერი გა-მუდმებულ მოძრაობასა და გამუდმებულ ერთფეროვან უძრაობას ემორჩილებოდა. ვაგზლის მაღალ, რუს სატინისფერ კედლებში თავისებურად იყო მოთავსებული თავისი დროის ეპოქა — მოფუსფუსე და ერთ ადგილზე გაქვავებული: ხილული სამყაროს უმნიშვნელოვანესი არსობა — ადამიანები და ყრუ მონოტორული ციკლური რითმი. მოძრაობისა და უძრაობის ერთად არსებული კენტავრი. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, აქ, როგორც ყველა სხვა ვაგზლის დარბაზში, იყო ყოველწამიერი სიახლე და არაფერი ახალი.

ერთ ადგილას ადამიანთა ჯგუფი შეფერხდა და შეჯვაფდა.

კაცი ჰყვებოდა... ზოგი უსმენდა მას. აი, რამდენიმე ქალს კაცი მიუახლოვდა ბილეთებით ხელში და შენიშნა, რომ ისინი კაცს უსმენდნენ.

— ვინ არის ეს? — იკითხა გაკვირვებულმა. — მოიცა საინტერესოა.

— ადექით, მატარებელი გაგვასწრებს, — და თავადაც მიუგდო ყური რამდენიმე წინადადებას.

(კაცს) ზოგი ყურადღებით უსმენდა უკვე. აი, რამდენიმე მათგანი მატარებლის კივილმა წამოაგდო ფეხზე და დიქტორის გამოცხადებასთან ერთად შესძახეს:

— აუ, არ გაგვასწროს! — და გაცვივდნენ.

ვიღაცამ ძალზე მშვიდად ჩაუარა წინ მკითხველს. ვიღაცამ შენიშნა:

— მასეთი ტყეები ჩვენთანაც ქეა, — და ხელი ჩაიქნია. ალბათ, მთხრობელი გაუვალ ჯუნგლებზე ჰყვებოდა რამეს. გამოჩინდნენ სხვაგვარად დაინტერესებულნიც: ვიღაც ყმანვილი კაცი თან-მხლებ გოგონას მკლავზე ჩამოეკიდა:

— წამოდი, წამოდი, რა გაჩვენო. იქ ვიღაც მაღალი კაცი შუა დარბაზში სკამზე ფეხით დგას ?!

— ვიცი, ვიცი და მე თავიდან ამოძრავებული ქანდაკება მეგონა, წარმოგიდგენია?..

გვერდითი შემოსასვლელიდან ორი დამლაგებელი ქალი შემოვიდა. ერთმა იმნამსვე შენიშნა სკამზე შემდგარი მთხრობელი და გაკვირვებული შეჩერდა, მეორე კი თავის „ვედროს“ აწყნარებდა, რადგან წყალი ტყლაშატყლუშით გადმოიღვარა ფილაქნის იატაკზე. მერე ისიც გასწორდა და თავისნაირ ლურჯხალათიან დამლაგებელს გაკვირვებით შეხედა და მისი თვალმზერის გაყილებით სკამზე მდგარი შენიშნა. ოო, ეს დამლაგებელი მკაცრი ჩანდა. ერთმანეთს გადახედეს და მეორემ დოინჯი სულ სხვა მნიშვნელობითი განწყობით შემოიდო წელზე.

— ნახა რა, აღსარების საკითხავი ადგილი, — თქვა პირველმა. მეორე, უფრო გამბედავი, კი პირდაპირ მივიდა კაცთან და მკაცრად უთხრა: — აქ რა ამბავია?

მაღალმა კაცმა ყურადღება არ მიაქცია. ის ახლა ერთ სახუმარო ამბავს ჰყვებოდა და ილიმებოდა. მკაცრმა დამლაგებელმა წაბიჯით უკან დაიხია, მარცხენა ხელი ისევ თეძოზე შემოიდო, თვალები

დაქაჩია და შეჰვირა:

– ძირს, ეს სკამი დასაჯდომად დადგეს და არა... აბა, ძირს! – მიუთითა მარჯვენა ხელით.

მაღლალი კაცი სკამიდან საკმაოდ მშვიდად ჩამოვიდა, ისე, რომ კითხვა არ შეუწყვეტია. პირზე ისევ ლიმილი ეკერა. დამლაგებელმა განზე მდგარი სკამი ისევ მწყობრს დაუბრუნა (მიწოლით, მიხრივინებით) და დარბაზს და თანადამლაგებელსაც ამაყად გადაავლო თვალი, მაგრამ მისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია (და არც ტაში დაუკრავს ვინმეს). მკაცრი მაინც არ გატყდა, ჯიბრზე არ უსმენდა იმ კაცს. ვედროში ტილოს დასველება და ჯოხით იატაკის რეცხვა დაიწყო. მკაცრად და ხმაურიანად წმენდდა, თან ჩაილაპარაკებდა ხოლმე:

– მე აქ დამალაგებელი გახლავარ და არა ვიღაც... – აი, მას მეორეც მიეახლა, ერთხანს შედგნენ, კაცს შეხედეს, რომელიც მაინც კითხულობდა, მერე ისევ ერთმანეთს და წყნარმა რომ თქვა, რა ვქნათო, მკაცრმა მიუგო:

– წამოდი, ახლავე სადგურის მორიგესთან. საწმენდი იატაკის ჯოხები იქვე მიატოვეს და აი, მიუახლოვდნენ „სადგურის მორიგეს“ ეტიკეტიან კარს, ერთად შეაღეს და სწრაფად მოახსენეს:

– იქ, მოსაცდელ დარბაზში ერთი კაცი ხმამაღლა კითხულობს.

სადგურის მორიგემ მაგიდასთან მჯდომა, ტანმორჩილმა, ქალალდებში ფუსფუსის მოყვარულმა იერსახიანმა კაცმა თავი ასწია, ქუდი შეისწორა, კეფაც მოიქექა და დეკლარაციული ტონით იკითხა:

– რას კითხულობს?!

– არ ვიციოთ.

– ვინ არის, თუ იცით?

– არც ეგ ვიციოთ.

მორიგე სხვანაირად გამოერკვა და თვალი ნელ-ნელა ააცილა შემოსულებს. ქუდი შეისწორა, კაბინეტის კარი მცირეზე გამოალო და დარბაზში ფრთხილად გაიხედა. ოო, დარბაზის ერთ კუთ-

ხეში მართლაც იდგა ვიღაც ახმახი და წიგნს კითხულობდა, თანაც ხმამაღლა! ო. ო..?! სადგურის მორიგე ინსტინქტურად კარს მიეფარა. ჩაფიქრდა.

– მდაა, – გამოერკვა უცებ. დამლა-გებლებს უთხრა: თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ, ამას მე გავარკვევო და, როცა ისინი გავიდნენ, ჩაფიქრებულმა ნიკაპი წინ გამოაგდო, ერთი შეხედვით, უდარდელად გადახედა თავის ქალალდებს, მაგრამ, რადგან ღრიჭოდან ის კაცი ისევ მოსჩანდა და ხმაც შემოდიოდა და ვერც ვერაფერი მოიფიქრა, ალბათ, ტელეფონთან მივიდა და დარეკა. – ჩემთან შემოდი, სწრაფად! – გადასცა ვიღაცას ყურმილში.

დაუბრუნდა მაგიდას, ქალალდები შეასწორა, სკამზე დაჯდა, მუჭში ჩაახველა, კალმით გეგმაზომიერი სიყალბით გაურკვეველი გრაფიკის ხაზი გაავლო და შემოსულ მილიციელს მიესალმა:

– შემოდი, შემოდიო, – უთხრა. ესეც კაი ზანტი ვინმე იყო: რა მოხდა ისეთი, ჭადრაკის პარტიის დამთავრება მაინც გეცლიაო, – უთხრა. მორიგემ მშვიდად მოახსენა:

– იქ, ჩვენთან, მოსაცდელ დარბაზში, ერთი კაცი ხმამაღლა წიგნს კითხულობს, გთხოვთ გაარკვიოთ რაშია საქმე.

პაუზა.

– ახლავე, – უთხრა მილიციელმა და დარბაზში გავიდა.

იგი გრძელი სკამების რიგებს შორის მშვიდად მიაპიჯებდა და, როგორც წესრიგის დამცველთ სჩვევიათ, გამომცდელი თვალით აკვირდებოდა აქეთიკით.

მისი გამოჩენისთანავე მგზავრებს ჩურჩულმა გადაუარა. ბარგი მისწიმოსწიეს, ვიღაცამ დაჭმუჭნილი გაზეთი ურნაში ჩააგდო; კაცმა ბავშვს, რომელიც ხაჭაპურს ილუკმებოდა, ფეხი ჩამოალებინა სკამიდან. მილიციელმა მკითხველს დინჯად შემოუარა, მერე

მრავალმნიშვნელოვანი მზერა მიაპყრო და მის წინ სკამზე ჩამოჯდა.

მგზავრთაგან ბევრმა ახლა მიღიცი-ელს მიაპყრო მზერა. ის კი კითხულობდა დაძაბულ ადგილს მოთხოვიდან – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

– ესე იგი, კედელთან მდგომი უფრო-სი, მასზე ჩაბლაუჭებული კლიმი, კაცი ფოტოაპარატით... – ხელებსაც ენერ-გიულად იშველიებდა. მიღიციელი მის ემოციებს დადარაჯებული სცდიდა, მაგრამ საბაბი ვერაფერი გამოუნახა, რომ ხელი ჩაევლო. ბოლოს მიხვდა, მგზავ-რები ყურადღებას აღარ აქცევდნენ. იმ ბავშვმა ფრთხილად გამოხედა ჯერ და ფეხი ისევ შემოდო სკამზე. მამამისმა ხაჭაპურის პარკი დაბლა დააგდო, თუმ-ცა ურნასთან ახლოს. ხმაურმა იმატა. ვიღაც ქალი მის შორისახლოს ბარგით შეჩერდა, თითქოს მისი ადგილი უნდოდა გამოეყენებინა. მიღიციელმა დარბაზის რეაქცია იგრძნო. სახე გაიმკაცრა, ქუდი შეისწორა, დინჯად წამოდგა და კაბი-ნეტში დაბრუნდა. მორიგე ქალალდებში საქმიანობდა.

– ვერაფერი მიზეზი ვერ მოვუნახე, როგორ დავაპატიმრო?

– ჰა? – თავი ასწია ქალალდებიდან სადგურის მოადგილემ – აა, ის კაცი... მერე?

– როგორ დავაპატიმრო, არ ჩხუ-ბობს, არ ყვირის, არ იგინება, არც იფურთხება, არ სვამს... არც შარვალი სძვრება და არც სუნი ასდის, ამის დე-დაც ვატირე, ბოლოს და ბოლოს. დგას და კითხულობს – რა ვქნა?

სადგურის მორიგემ ამასობაში ყურ-მილი აიღო და ანგარიშმიუცემლად უს-მენდა მიღიციელს.

– მაშასადამე, არც ყვირის, არც ჩხუბობს, არც იფურთხება, ხომ?

– დიახ.

– სადგურის იურისტია საჭირო, – თქვა მორიგემ და ნომერი აკრიფა (პა-უზბა).

– როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემ-თხვევაში, თუ კაცი არ ჩხუბობს, არ ყვირის, არც იფურთხება, მაგრამ დგას მოსაცდელ დარბაზში და წიგნს ხმამალ-ლა კითხულობს?

იურისტის კაბინეტი: ახალგაზრდა ქალი ყურმილთან:

– როგორ, დგას და რას კითხუ-ლობს? მოიცათ, ესე იგი რას შვრება?

– პაუზა. – მდაა, და კითხვისას მთავარ შემოსასვლელ კართან დგას თუ დარ-ბაზს ეკუთვნის? – ისმოდა მყვირალა ხმა ყურმილში.

– არა, – უთხრა მორიგემ.

– ხალხს თუ უახლოვდება კით-ხვისას? – ისევ გამოჩინდა ენერგიული ახალგაზრდა ქალი.

– ...

– დაა, სულ კითხულობს თუ საზეპი-როებსაც ამბობს?

– აჲაა...

მორიგის კაბინეტი. ხმა ყურმილიდან:

– თუ ექსკლუზიური დისტრიბუტორია და გამოტივირებულია, ეს სანქცირებული შემთხვევაა. თუ ექსკლუზიური დისტრი-ბუტორი არაა – ეს არასანქცირებული მოვლენაა და ეტაპობრივი მიღვომა სჭირ-დება, რა თქმა უნდა, თანალოიალური პუნქტუალურობით იურისპრუდენციის განაწესის ფარგლებში თანმხვედრი პრე-ზოლუციების გათვალისწინებითურთ, ანუ კოორდინალური სისტემურობით, სინ-ქრონში ადეკვატურად პრევენციული ზო-მების დისკრიმინაციულ-დიაგნოსტიკური მეთოდიკის რეგიონული პარამეტრების გათვლასთან არსებული შესაძლო ორ-მაგი პარალელების გათვალისწინებით.

– აჲა. აა, ა-გასაგებია, – უპასუხა მორიგემ, ყურმილი დაკიდა და მერე და-აყოლა: – გმადლობთ.

უცნაურად შეიმშენა. კვლავ შეისწო-რა ქუდი, კეთა მოიქექა. მერე თავისთვის ალაპარაკდა.

– ბოლოს და ბოლოს მივალ და ვეტყვი, მეგობარო, – თან ფანჯარა გამოალო, საიდანაც გამოჩინდა მრგვალი მოედანი

მოსიარულე ხალხით და თბილი ურია-
მული შემოიჭრა. – ნუ კითხულობ ასე
ხმამაღლა, წაპრძანდით, მეგობარო, მთა-
ვარ მოედანზე, აქედან ორ ნაბიჯზეა. ის
სხვების უბანია, დადექი და იკითხე, შე
დალოცვილო, რამდენიც გინდა, შეიძ-
ლება მეც მოვიდე და გისმინო... – მერე
მილიციელს მიუბრუნდა. – მაგრამ...

– ჰო, – დაასწრო მილიციელმა. – რომ
გკითხოს იმ კაცმა, რა განსხვავებაა აქ
ვიკითხავ თუ სხვაგანო, მერე რას იზამ?

– ბიჭი ხარ და უბასუხე, თუმცა,
კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი,
დგას ეს უპატრონო და კითხულობს,
მერე რა? მაგრამ... – რომ არ კითხუ-
ლობდეს, ის არ სჯობს?

ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

მორიგემ ისევ შეისწორა ქუდი კე-
ფაზე, შუბლი მოისრისა, თან ბოლთას
სცემდა ოთახში.

– რა ვქნათ ახლა, ვის დავურეკოთ?

– არ ვიცი, – მიუგო დინჯად მილი-
ციელმა. – ვფიქრობ და არც ერთი მუხ-
ლი არ ესადაგება. აუ, ეს რომ დედაქა-
ლაქში მომხდარიყო?! – თქვა უეცრად
და მორიგეს გადახედა. მანაც უცნაუ-
რად ამოხედა და სახე აარიდა.

– მართლა... – ცოტა გამოცოცხლდა
მილიციელი. – ეგებ ქალაქის ხელისუფ-
ლებამ ილონოს რამე?

სადგურის მორიგეს თვალები გა-
უბრნებინდა – ეტყობოდა, იმედი მიეცა
(„ეგრე, შე კაცო!“)

– თუ კაცი ხარ, მოიყვანე ვინმე, –
ხელის გაშვერით სთხოვა მორიგემ.

მილიციელი უსიტყვოდ ადგა და გა-
ვიდა. მორიგემ მაგიდას შემოუარა, ფან-
ჯარა მიხურა, მერე მაგიდასთან დაჯდა
და ყურებზე ხელები აიფარა. თვალები
მილულა, თითქოს სიჩუმეში მედიტირებ-
სო. თან ირწეოდა. ასე იყო ერთხანს.
მერე მხრებში გასწორდა, ღრმად ამოი-
სუნთქა, მუჭში ხმამაღლა ჩაახველა და
მილიციელი რომ კაბინეტში შემოვიდა –
ორთან ერთად – ცხადია, ისევ ჩვეულ
ფორმაში მიეგება.

მორიგე შემოსულებს სწრაფად წა-
მოუდგა.

– გამარჯობათ. ჩვენთან დარბაზში
ერთი კაცი ხმამაღლა კითხულობს.

– ნიგნს, – დააზუსტა მილიციელმა.

ახალმოსულებმა ერთმანეთს გადა-
ხედეს.

– საზოგადოებრივ წესრიგს თუ არ-
ღვევს? – იკითხა ერთმა.

– ეს ძნელი დასადგენია, – აიჩეჩა
მხრები მორიგემ.

– ამხანაგებო, ეს თქვენი უბანია, –
თქვა მეორემ. – ეს კაცი რომ ქალაქის
შუაგულში ხმაურობდეს, მაშინ ჩვენ
მივაქცევდით ყურადღებას და ყველა-
ფერსაც დავადგენდით.

მორიგე მილიციელისკენ შემოტრი-
ალდა.

– იქნებ, როგორმე ქუჩაში გავატყუ-
ებინოთ, – ხმადაბლა უჩურჩულა მილი-
ციელს.

ახალმოსულებმა ერთმანეთს გადა-
ხედეს, თითქოს რაღაც იგუმანეს.

– შორიდან მაინც შეათვალიერეთ,
ეგებ, გვირჩიოთ რამე, – ითხოვა მო-
რიგემ.

– ჭუაზე თუ არის? – იკითხა პირ-
ველმა.

– ჩემი აზრით, არ გაგვიძალიანდება,
– დაამშვიდა მორიგემ, თან მათენ ნა-
ბიჯი წადგა.

– განათლებულ კაცს ჰგავს, ნიგნებს
კითხულობს, – ჩაურთო სადგურის მი-
ლიციელმა.

– თუ ასეა, რატომ გამოგვიძახეთ? –
იკითხა მეორემ.

– იმიტომ, რომ ჩვენ ვერ დავაპატიმ-
რეთ, მიზეზი ვერ გამოვუნახეთ.

– მერედა, ჩვენ რა შუაში ვართ? მით
უმტეს, თქვენი უბანია. – თქვა ისევ
მეორემ.

– რა იცით, რას კითხულობს? რა მი-
ზეზით...? – სიჩუმეში გასროლასავით
გაისმა მორიგის ხმა და სამივეს რაღა-
ცას მიხვედრილივით გადახედა.

– ოო, ოო... ეს ჩვენ არ გვეხება,

ასეთ შემთხვევაში სხვები ერევიან“, – ხმას დაუდაბლეს ახალმოსულებმა.

სადგურის მორიგე თავჩაღუნული იჯდა. მერე ახალმოსულებს წამოუდგა.

– შეგიძლიათ წახვიდეთ. ბოდიში, რომ შეგანუხეთ, – კაცები უხმოდ გავიდნენ.

– კი, მაგრამ, ჩვენც შეგვიძლია მოვუსმინოთ და გავიგოთ, რას კითხულობს? – ურჩია მილიციელმა.

– ეგრე ვერა... შეიძლება კითხულობდეს ტყეზე, ჯუნგლებზე, მხეცებზე, მაგრამ ყიფულისხმებოდეთ ჩვენ. ეს ალეგორიაა!.

– ?!..

– თქვენც შეგიძლიათ წაპრძანდეთ! – ოფიციალურად მიმართა მილიციელს.

მილიციელი ფიქრებიდან გამოვიდა, „ჩესტივით“ აიქნია ხელი. – მაშინ, წავალ, ჭადრაკს გავაგრძელებ, – ჩაილაპარაკა და გავიდა.

სადგურის მორიგე მარტო დარჩა. წამით ჩამოჯდა. ისევ ყურებზე აიფარა ხელი. ოდნავ ირწეოდა. ისევ მიიღო ხელი ტუჩებზე და დაბერილი ლოყებიდან ჰაერის თბილი ნაკადი ნელა გამოუშვა, მაგრამ დამშვიდების ნიშნად თვალები აღარ მიულულავს. პირიქით, უეცრად მუჭში საყვარელი ჩახველების ნაცვლად იმიტაციურად ჩააფურთხა. მერე კარებს მიაპყრო მზერა და წამოდგა. მოწესრიგდა. პიჯაკი ჩამოხსნა და შემოიცვა. სამსახურებრივი სამკლაური შემოიხსნა და წითელლენტიან ქუდთან ერთად დაკიდა. სამოქალაქო ფორმა მომცრი სარკეში შეათვალიერა.

საშუალო სიმაღლის იყო, არც ძალიან გამხდარი. შავი შეთხელებული თმა, როგორც ყოველთვის, დავარცხნილი ჰქონდა, მზერა კი თითქოს განზრახ დაყენებული ბავშვური სიმკაცრით, რომელიც ამ ორს შორის – ბავშურობასა და სიმკაცრეს შორის – ხშირად დაბნეულად იყინებოდა და სასაცილო გაკვირვებას უფრო გამოხატავდა. ამ დროს თავისებურად უხდებოდა, როცა

ნიკაპსაც წინ წამოაგდებდა ხოლმე.

მორიგემ ჯერ კარის ღრიფოდან გაიხედა, მერე თმაზე ხელი ეტიკეტურად გადაისვა და დარბაზში გავიდა. მკითხველის შორიახლოს ჩამოჯდა. დარბაზს გახედა და მერე მკითხველს ფეხებიდან ააყოლა მზერა – ისიც თითქოს თავისუფლების ქაღლმერთის ქანდაკებასავით აიშოლტა (მაღალი კი იყო) და მორიგე შეკრთა – თვალები ზემოდან მასზე იყო მისობილი და ხმა ალაპარაკდა:

– საზიზღარი გერმანია გადმოვიდა ჩვენს საზღვრებზე, – მერე დარბაზს მიუბრუნდა. – მაგრამ ფეხს ვერ მოიკიდებს, ჩვენს მშვენიერ მინა-წყალზე. ჩვენი გმირები დასცხებენ თოვებით, ტანკებით და ზარბაზნებით, თუ საჭირო იქნება – მტერს მეც ყელში დავეტაკები! – დარბაზში სიცილი ატყდა. – ასეთია დუმბაძე მეგობრებო, – თავადაც გაიცინა მკითხველმა და განაგრძო: – სახლში იციან, რომ წერ, ზურიკელა?

სადგურის მორიგემ ვერ შენიშნა, რომ ხმამაღლა ფიქრი დაიწყო: „უნდა დავრეკო, აბა, რა ვიცი, ამ სასაცილო ამბის მიღმა რა იმაღება... იქნებ, რამე აკრძალულიც კი იყოს, იმ კაცებმა ხომ თქვეს ასეთი რამები სხვების საქმეაო ჰმ, გერმანია?!”

გვერდით მჯდომი გაკვირვებული უყურებდა თავისთვის მოლაპარაკე სადგურის მორიგეს, რომელმაც მსუბუქად ტაშიც შემოკრა.

– არა, ოჯახის პატრონი კაცი ვარ, – წამოდგა და კაბინეტისკენ სწრაფად გაემართა. ოთახში ისევ ალაპარაკდა: – ხოდა, სხვებმა იმტვრიონ თავი. არა, ბედი არ გინდა, რაღა ჩემს მორიგეობაზე მოხდა ყველაფერი, – ტელეფონზე დარეკა: – სახლში ხარ, ძვირფასო, ბავშვებიც სახლში არიან? კი, მეც კარგად ვარ, რა მიშავს. კი, უბრალოდ დაგირეკე... აბა, საღმომდე.

– რაღა ჩემს მორიგეობაზე ხდება ეს

ამბავი. დარბაზში ათასი ჭკუის ხალ-
ხი ზის. ვინმებ რომ, ადგეს და, დამას-
წროს... არა ეს არ მარგია, ეს არ მაწ-
ყობს!.. მერე ისე შეატრიალებენ საქ-
მეს, თითქოს სულაც ჩემი ნებართვით
კითხულობდეს. უნდა დავრეკო, შარია,
შვილების პატრონი კაცი ვარ, – და
ყურმილს დასწვდა.

გამოჩნდა მატარებლის ვაგონების
მწერივი. ახალი მატარებელი, რომელიც
ჩამოდგა. ბაქანზე მოსიარულე ხალხი.
ზოგიერთები ადიან ახლად ჩამომდგარ
მატარებელში. დარბაზი, ხალხი და წიგ-
ნის მკითხველი.

აი, კაბინეტში სამი სამოქალაქო
ფორმის, მაგრამ „საინტერესო იერის“
მამაკაცი დგას. თავი დაუკრეს მორი-
გეს და დარბაზში გავიდნენ. მორიგე
ხელები მოიფშვნიტა.

იმ სამიდან ერთ-ერთი კაცთან შო-
რიახლოს ჩამოვჯდა. ერთი სატელეფო-
ნო ჯიხურში ჩაიკეტა. მესამემ თავი მო-
იმდინარა. ის მეორე რეკავდა.

მორიგე ყურმილს იღებს:

– დიახ, ჩვეულებრივადაა... ჯერ-
ჯერობით, ხომ. ძალიან კარგი, ძალიან
კარგი.

დარბაზი: პირველი შენიდბულ ფო-
ტოაპარატს იღებს და სურათს უღებს
წამკითხველს. ხალხი მიდი-მოდის სად-
გურს გარეთ. მატარებლის ეშელონი
დაიძრა.

დარბაზში წამკითხველი კაცი ამ-
ბობს:

– ფილოსოფიაზე შევყოვნდებით,
რითი დავინყოთ: კანტი, ჰეგელი თუ
სჯობს ჯერ მოთხობები, მაგალი-
თად... გურამ დოჩანაშვილი?

მეორე დამკვირვებელი ჯიხურიდან
რეკავს.

მორიგე ყურმილს იღებს:

– დიახ, – თან პირველ შემოსულს
ხელით ანიშნებს შემოდიო. ყურმილს
დებს სიტყვებით, – ძალიან კარგი, ძა-
ლიან კარგი, განაგრძეთ დაკვირვება.
– ის მეორე მაგიდაზე დებს სურათებს,

გაზეთებსაც. – ამდაგვარი პუბლიკაცი-
ებია... რასაც კითხულობს.

დარბაზში სკამზე მჯდომი მოხუ-
ცი კაცი, რომელსაც საწერ-კალამი
აქვს მომარჯვებული, ნაზად ეკითხება
მთხოვნელს:

– ფილოსოფია რა არის?
– ფილოსოფია არის მეცნიერება,
რომელიც...

– შეისწავლის ფილოსოფიას; თავის
თავს, ჰე-ჰე, – წამოიძახა ვიღაცამ ახ-
ლო სკამიდან, რამაც სიცილი გამოიწ-
ვია. გაელიმა წამკითხველსაც...

მესამე მეთვალყურეს კვლავაც ვი-
თომ სძინავს. დროდადრო გამოიფხიზ-
ლებს ხოლმე.

კაბინეტში პირველს ისეთივე წიგ-
ნი შემოაქვს, როგორსაც მთხოვნელი
კითხულობს: – აი, ეს წიგნია, ამას კით-
ხულობს. მორიგე ხელში შეატრიალებს
წიგნს და მაგიდაზე გამრავლებულ უფრო
მეტ ფოტოსა და უურნალზე დებს.

გარეთ ისევ რიხინებენ ვაგონები და
ხალხიც ფუსფუსებს. მესამე მეთვალ-
ყურე თვალს ახელს და მყისვე დგება.
მეორეც გამოდის ჯიხურიდან.

სამივე კაბინეტშია.

– რა ვქნათ? – დასვა კითხვა სად-
გურის მორიგემ. მესამემ მიუგო: – თუ
საჭირო იქნება კვლავაც დაგეხმარე-
ბით, ჯერჯერობით კი მშვიდად იყავით,
ყველაფერს გამოვარკვევთ, საქმე კონ-
ტროლებებშაა.

ისინი წავიდნენ. დარბაზში მკით-
ხველმა წიგნი გადაფურცლა. იმ მო-
ხუცმა ეს რატომლაც თავისთვის ჩაი-
ნიშნა. სხვაც ბევრი უსმენდა კაცს, რო-
მელმაც განაგრძო:

– კულუქსლანი, – ასე ენოდებო-
დათ ზანგებზე მონადირეებს.

კაბინეტი:

მორიგემ ყურები მოისრისა, კეფაც
მოიქექა, ნიკაპი წინ გამოაგდო, მა-
გიდას მუშტი მიჰკრა, ბოლოს პიჯაკი
შეისწირა, დაჯდა და მუჭში ტრადი-
ციული ჩახველების შემდეგ საჩვენებე-

ლი თითით ტაბლოზე მშვიდად აკრიფა ნომერი, თან დამარცვლით ააყოლა: – რეი-ნი-გზის სამ-მა-რთვე-ლორო (ეტ-ყობა, დისკზე ბოლო ნული იყო) და რაც შეიძლებოდა მშვიდად მოახსენა:

– ჰმ, გამარჯობათ. ცენტრალური ვაგზლიდან გირეკავთ. დიახ... გმად-ლობთ. მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვეულებრივი დღე დაიწყო, მე ჩემს საქ-მეებს ვაკეთებდი, ვმუშაობდი. მოვიდა ვიღაც მაღალი კაცი, დადგა დარბაზში და წიგნის სმამალლა კითხვა დაიწყო. გამოვარკვიე, რომ ჩვეულებრივ წიგნებს, ლიტერატურას კითხულობს. არ იგინება, არც მუშტებს იქნეს, არც ჩხუბობს, არც რაიმე სხვა მსგავს მოვ-ლენას აქვს ადგილი. არც ერთი მუხ-ლი არ უდგება. არც პრეზოლუციასა და დისტრიბუციას აქვს ადგილი (სხვა-თა შორის), მაგრამ მე მაინც ვშფოთავ – ჩემი უბანია, დგას ფეხზე და რაღაც წიგნებს კითხულობსა!?

სმა ყურმილიდან:

– მაშასადამე კითხულობს, ვისი ნე-ბართვით?

მორიგემ მწარედ, ქალივით ამოიგ-მინა:

– არ ვიცი, უნებართვოდ, გაურკვე-ველია.

– გმადლობთ, ყურმილი დადო. წარ-ბშეკრული დაჯდა და დაელოდა. და აი, ისევ დაურეკეს. სმა ყურმილიდან: – ჩვენ ვითათბირებთ, რაიმეს გადავ-წყვეტთ.

მორიგემ ყურმილი გაღიმებულმა ნელა დადო:

– ესე. თქვენ მოითათბირეთ, ესეც ასე, – კარებს გახედა და მუშტი ზე ას-წია. – თათბირი, თათბირი, თათბირი! ძალიან კარგი.

კარი ოდნავ გამოაღო. მაგიდას ცო-ტა მიაწვა და ისე დაჯდა, რომ იმ კა-ცისთვის ეყურებინა. ის კი დარბაზში კითხულობდა და კითხულობდა, ახლა უფრო ცივი სმით, მოსასმენად განაწ-ყობდა ხალხს:

– რუსი მეზღვაურები მაინც მიიკ-ვლევდნენ გზას თოვლში, ჩრდილოეთ პოლუსისაკენ. შეუპოვრად, დაუინებით მიიწევდნენ წინ, – ხმა ნელ-ნელა მი-ილულა, მაგრამ ჯერ კიდევ ისმოდა... ყურებზე ხელმიფარებულ მორიგეს ჩასთვლიმა, მერე უცებვე გამოფხიზ-ლდა, თვალით შეამოწმა ღრიჭოდან დანახული მთხრობელი, საათს ახედა და ვიღაც შემოვიდა კიდეც.

– ო, ჩემი ღამის მორიგეც მოვიდაა, – ადგა მორიგე და ხელი ჩამოართვა. – სადგური ამაღამ შენია, – ეხლა მო-მისმინე: ეს კაცი... – ღრიჭოდან დაანა-სა მთხრობელი. – დილით მოვიდა და მთელი დღეა კითხულობს. მე ყველა-ფერი გამოვარკვიე, – ხელი მაგიდაზე დაწყობილ მასალებზე მოატარა. – ასე-ვე, ვერაფერიც ვერ გამოვარკვიე, მაგ-რამ ზევიდან მითხრეს ვითათბირებთო. ისინი ითათბირებენ, ასე რომ, თუ რამე შეიცვალა, დამირეკე. ღამის სამი საა-თიც რომ იყოს დამირეკე, გესმის? არ მოგერიდოს. აბა, ჰე, – ქუდი ჩამოკიდა, პიჯაკიც შეისწორა, ხელი ჩამოართვა, აბა შენ იციო – გაუმეორა და გავიდა.

– კი ბატონი, – მთელი ტანით გა-მოჩნდა ღამის დარაჯი.

საძინებელი ოთახი. პატარა მაგიდა-ზე ტელეფონი დგას. იგი აწერიალდა – ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... სადგურის მორიგემ გამოიფხიზლა და კედლის სა-ათს შეხედა – ზუსტად ღამის სამი საა-თი იყო. ყურმილი აილო:

– დიახ, ხო, წავიდა... სად წავიდა? ვინ? აა ჰოო, ის კაცი.

– არ ვიცით, საით? – ხმა ყურმილი-დან. – წელან წავიდა.

– როგორ ფიქრობთ, საით წავიდა, რა მიზეზით წავიდა? – უცბად გამოფ-ხიზლდა მორიგე.

– ალბათ, თავისი წიგნი დაასრულა...

– ოჳ, კიდევ კარგი. მადლობა ღმერ-თს. ესე იგი, მშვიდობაა. ყველაფერი ნორმაშია.

მან ყურმილი დადო და მეუღლის

იქით, დიდ საერთო ლოგინზე მძინარე ბავშვებს გადაავლო თვალი, მერე თვალი წავიდა და აი კიდევ სამ ბავშვს სძინავს, მათ გვერდით მოხუც ქალს, მასთან ვიღაც კაცს და მას შემცვლელი მორიგე ფრთხილად ეხება სანიშნე ჯოხით:

– მატარებელი, მატარებელზე არ დაგიგვიანდეთ, გამოიღვიძეთ, გამოიღვიძეთ!..

სადგურის მორიგე დილით მხიარულად შევიდა კაბინეტში.

– ტაპკ, – მიუჯდა მაგიდას, ფურცლები მისწი-მოსწია და ტელეფონს დასწვდა.

– სამმართველოა... დიახ, ის კაცი წავიდა, მინდა გითხრათ, რომ უკვე წავიდა. როგორ, კომისია რა საჭიროა, თუ ის კაცი წავიდა? – და თან ადგა.

– ეს კომისიის საქმეა, – მოისმა ხმა ყურმილიდან. – დღეს არ არის, შეიძლება, ხვალ მოვიდეს.

ამ სიტყვებზე სამმართველოს მუშაკთა ოთახი გამოჩნდა. მოსაუბრეთა ცოტა მოშორებით მრგვალ მაგიდასთან ხუთი-ექვსი კაცი ზის, ისმის მათი ხმაურიანი რეპლიკები. ვიღაც მაგიდაზე მთელი ტანით გადაწვა:

– მე ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, – ახლა სხვა გადააწვა იღლით მაგიდას და ხელი გაშალა. – როგორ გეკადრებათ, სხვაა, როცა თავისთვის კითხულობს და სხვაა, თუკი აუდიტორია იქმნება.

– ეს კომისიის საქმეა, – გაუმეორეს ოთახიდან.

– რაღა საჭიროა, თუკი წავიდა. რა ვიცი, ახალი შარი ხომ არაა? არა, არაფერი. ბოდიში. უბრალოდ, ხომ წავიდა-მეტქი და...

– დღეს არ არის, შეიძლება ხვალ მოვიდეს. დაწყებულ საქმეს შუაგზაზე ვერ მივატოვებთ, გენაცვალე, თანაც საინტერესო შემთხვევაა, – აუხსნეს ყურმილში.

– კარგი, თქვენი წებაა, – ყურმილი დადო და დააყოლა: – აბა თქვენ

იცით... ეგ უკვე თქვენი საქმეა.

თავის ქალალდებს მიუჯდა. ის მა-სალები ერთ უჯრაში ჩაყარა, კალაში მოიმარჯვა და სკამზე გადაწვა. ოთახში წყნარი დამლაგებელი შემოვიდა.

– აბა, როგორ არის საქმები? – დეკლარაციულად შეეხმიანა მორიგე.

– ის კაცი ისევ მოვიდა, – თეატრალური ღიმილით უთხრა დამლაგებელმა.

– რაა! – მორიგეს სახე ჩამოეწელა და ნიკაპი წინ წამოუვიდა.

ოთახში მიღიციელი ჭადრაკს მარტო თამაშობს. აი, შემოუარა მაგიდას.

– შახ, და... მატ! – და კმაყოფილმა დახურა ქუდი. გარეთ გამოვიდა.

ის მორიგესთან შევიდა და ჩამოჯდა. ერთმანეთს თვალი გაუსწორეს. პაუზა.

– მე ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდა, – უთხრა წყნარად მიღიციელმა.

– ვითომ რატომ? – გაიკვირვა სადგურის მორიგემ.

– „ეს კაცი ხვალაც მოვა, ზეგაც, შეიძლება ყოველდღე იაროს“, – მრავალ-მნიშვნელოვნად თქვა მიღიციელმა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

– რატომ, რატომ! – აღმოხდა მორიგეს სხვადასხვა ინტონაციით.

– ეს ფსიქიური დაავადებაა!

მორიგე გაოცებული შეჰყურებდა მიღიციელს. თავი ჩალუნა და პირზე მუჭი მიიჭირა. მიღიციელმა ხელები გაშალა:

– იდეაფიქსი... – სადგურის მორიგე შეკრთა. – სამყაროს შეცვლა, სახალხო განათლება, კულტტრეგრობა, საზოგადო მოღვაწეობა და სხვადასხვა, – მშვიდად ჩამოთვალა მიღიციელმა. მორიგეს თითქოს თვალები დაუმშვიდდა. ჩააფიქრასავით მიღიციელის პუბლიცისტურმა ახსნა-განმარტებამ. ვერ გაიგებდი, ახლა უსმენდა თუ არა „თავის მიღიციელს“ და უცებ, თითქოს წამოსცდაო, ჩურჩულით ჯიქურ იკითხა: – ნეტავ, მე ხომ არაფერ შუაში ვარ?! – თავისივე ნათქვამმა ცივ წყალგადასხმულივით უცებვე გამოაფხიზლა და ნაძალადევი ხალისით საპასუხო სიცილიც დაატანა, მაგრამ მი-

ლიციელი უნებურად ფეხზე წამოაყენა ამ უცნაურად მისტიკურმა შეკითხვამ და თუმცა შესძლო და მორიგეს უხეირო სი-ცილთან ერთად თავისი წუთიერი გაოცება მანაც გადაყლაპა, მზრუნველობითი სიმკაცრით მცირეოდენი დარიგება მაინც ჩამოათეზისა: – აბა, ეს, ესე როგორ შეიძლება, რამდენი უცნაური ადამიანი გამოჩნდება ჩვენს გარშემო, ჩვენი თავი ხომ არ უნდა დავიდანაშაულოთ ამის გამო? ეს ამბავი მალე და ჩვეულებრივად დამთავრდება. ჯერჯერობით, მართალია, საქმე უცნაურადაა, მაგრამ მაინც ნორმის ფარგლებში რჩება. ერთი პერიოდი მეც კინალამ დავიბენი, უფრო სწორად, კინალამ შევეგუე ამ ყველაფერს, მაგრამ, ხომ იცი, პროფესიონალობა და ოპტიმიზმი ერთადაა კარგი, ჰოდა, მეც მაინც მოვინდომე და დარბაზში ზოგ-ზოგიერთებს გამოკითხვა ჩავუტარე ამ საქმესთან დაკავშირებით. დიახ; პრინციპში ჩემი მოვალეობაცაა. შეგიძლია სამმართველოში იმათ მიაწოდო. თან საქმეში ჩვენი წვლილის შეტანაშიც ჩაგვეთვლება. ჩემი ინიციატივით შევადგინე. აგერ, გაეცანი განცხადებას. აქ იყოს საჭირო შემთხვევისათვის, რა ვიცი... – და ორად გაკეცილი თეთრი ფურცელი მიაწოდა. მორიგემ ნელა ჩამოართვა ქაღალდი.

– მე ახლავე შემოვალ. შენ გაეცანი, – მეგობრულად დაამთავრა მილიციელმა და ოთახიდან გავიდა. მარტო დარჩენილი დარცხვენილი მორიგე გაორებულ სახეზე სიმკაცრიდან გაოცებისაკენ გარდამავალ ჩვეულ გამომეტყველებას ეპრძოდა და ანგარიშმიუცემლად მილიციელის ფურცელიც გადაშალა:

„მე, ანუ ქალაქის მთავარი ვაგზლის უფროსმა მილიციელმა გამოკითხვა ჩავუტარე ბოლო ხანებში შემოჩვეულ წიგნების მკითხველ საეჭვო და არანორმისებური ქცევის ობიექტთან ახლოს და ხშირად დაფიქსირებულ, ასევე საეჭვოდ არასტანდარტული ქცევის ადამიანებს. კერძოდ, დავინტერესდი, აპირებდნენ თუ არა ეს „მსმენელები“

საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მატარებლით გადაადგილებას და სწორედ ამ მიზეზით იმყოფებოდნენ თუ არა ვაგზალში, თუ არადა, დაესახელებინათ სხვა კონკრეტული მიზეზი მოცემულ ადგილზე ყოფნისა ან ეღიარებინათ, რომ უსაქმოდ იდგნენ. გამოკითხულთაგან სამოქალაქო ჩარჩოებისათვის მიღებული სტანდარტული ტიპის მიზეზი არც ერთს არ დაუსახელებია. მოგახსენებთ ერთი გამოკითხვის ვარიანტს, საჭირო შემთხვევაში – საჭირო ოქმისათვის. მოგახსენებთ ამას კითხვა-პასუხის სახით:

მე: თქვენი ბილეთები, მოქალაქეებ?

პასუხი: ბილეთი არ გვაქვს.

მეორემ: რა ვიცი, არ აგვიღია.

მე: აბა, რას უდგახარო?

პასუხი: ვუსმენთ ამ კაცს (და გაიღიმეს ჩემი მიმართულებით, ანუ თავი გაიქნიეს იმ კაცის მიმართულებით, ხოლო გამიღიმეს მე).

მე: თუ ბილეთი არ გაქვთ, გაიარეთ, მოქალაქევ. დიახ, დაიშალეთ.

ისინი: ხომ არაფერს ვაშავებთ?

მე: აბა! გაიარეთ, გაიარეთ.

მათ მართლაც გაიარეს.

მეორე შემთხვევა: მე გამოვკითხე სკოლის მოსწავლე ორ ახალგაზრდა ვაჟს, რომლებიც იქ სხვა დროსაც შემინიშნავს ხოლმე და ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე, რომ ისინიც ამიტომ გამომეკითხა.

მე: ბაზვები, მოდით ჩემთან (უსიტყუვოდ მოვიდნენ). რატომ უსმენთ ამ კაცს? (მივუთითე ობიექტისკენ, ანუ წიგნების წამკითხველისკენ).

ისინი (ერთი მათგანი): რატომ? მოგვწონს, ძია (გამიღიმა ჩემი მისამართით).

მეორე: დიახ, მოგვწონს. მართალია, მოთხოვებს რადიოშიც კითხულობენ, მაგრამ აქ შეიძლება რამე ჰკითხო კიდეც, თუ ძალიან დაგაინტერესებს და კიდევ ნაწარმოების გმირებს ისე ვერ განასახიერებს, როგორც თეატრში ან კინოში ხდება, მაგრამ მაინც ნამდვილია. ვიქნებით, რა...

მე: დიახ, გასაგებია, მაგრამ ახლა მოუსვით სახლისკენ. მაშ დამიტეთქი (არ დამიყვირია) და გაკვეთილები ისწავლეთ. გაკვეთილები!

ბავშვები უხალისოდ, მაგრამ მაინც წავიდნენ.

გაიარეს სხვა დანარჩენებმაც.

შემდეგ კი თავად მომიახლოვდა ერთი გამხდარი მოხუცი და მკითხა, რა არის ეგზისტენციალიზმი... ზუსტად ასე მკითხა, რადგან მეორედაც გავამეორებინე და ჩავიწერე, რამეთუ მეგონა, ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას ეხებოდა. როგორც სჩანს, იმ კაცში ავერიე. პასუხი არ გამიცია. აღსანიშნავია, რომ სამუშაო დღის ბოლოს მე, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც შევიარე უბნის ბიბლიოთეკაში და გავარკვიე, თუ რა არის ეს ე. წ. ეგზისტენციალიზმი, მაგრამ საკითხის გამორკვევისა და დაზუსტების შედეგად მივიწინე, რომ იგი მე ანდა ჩემს სამსახურს და არც ამ საქმეს არ ეხება და, ამდენად, საჭიროდ ალარ მივიწინე, რომ ესეც დამეფიქსირებინა თქვენთვის.

გმადლობთ. უფროსი მილიციელი“.

მორიგემ ფრთხილად გადაკეცა ფურცელი. ერთხანს იმავე მიმართულებით ჩუმად იმზირებოდა და შემდეგ კი აშკარად დაეტყო, თავს ძალა დაატანა. წამოდგა და პიჯაკის ბოლოები ნელ-ნელა ჩამოქაჩა, შეუსაბამოდ ხმამაღლა ჩაახველა და ყურმილი აიღო. თვალდახუჭულმა ღრმად ამოიხრა და მძიმედ დაატრიალა დისკო, ზუმერს დაელოდა და მოახსენა:

– იგი ისევ აქაა.

– ძალიან კარგი, – გამოჩნდა სამართველოს ოთახი. იქ კვლავაც ფუსტუსია მაგიდასთან. ყურმილიანმა სხვებს გასძახა: – ის ისევ მოვიდაო... დაბრუნებულა.

– რა კარგიაა, – მოისმა რეპლიკები.

მორიგემ კვლავ დარეკა: ახალი ხომ არაფერია? ნაცნობი ხმა ყურმილიდან... მერე ყურმილი დადო, ამ დროს ოთახში უხმაუროდ შემობრუნებულ მილიციელს

შეხედა და სიზმარეულივით მოახსენა: მაგ კაცის დაბრუნება დიდი ხანია ვიცით და მეტი ცნობები საჭირო არ არისო.

ერთმანეთს უხმოდ შეჰყურებდნენ რამდენიმე წამის განმავლობაში. მილიციელი უხერხულად შეიშმუშნა.

– და ჩემს განცხადებაზე რას იტყვი, რამდენად გასაგებადაა ყველაფერი?

– რა? ა, განცხადება... ძალიან! – შეიშმუშნა მორიგეც. მერე ზურგი შეაქცია და ფანჯარა გამოაღო.

მწვანე ზურგჩანთიანი კვლავაც კითხულობდა.

წამის მორიგე მგზავრებს ჯოხით ფრთხილად აღვიძებს. სადგურის დიქტორი წყნარად აცახდებს:

– მატარებელი ნომერი ოთხი დასავლეთის მიმართულებით ჩამოდგა.

დღე: წამკითხველი კაცი ფეხზე დგას.

– დღეს მე წაგიკითხავთ წაწყვეტს გენიალური რომანიდან „დონ კიხოტ ლამანჩელი“, ან „მარტოობის ასი წელიწადი“, ან „სამოსელი პირველი“. ეგებ „დარისპანის გასაჭირი“? გააჩნია რომელი უფრო გვჭირდება ამჟამად, გამომდინარე წინარე ვითარებიდან, მოდით იყოს... – თვალი გადაავლო დარბაზს.

კომისიის ოთახი:

– მე ამ ახალგაზრდის შენიშვნები ძალიან მომწონს. გაიცანით, იგი ქალაქის კულტურის განყოფილებიდანაა, გვეხმარება. ერთობლივად უნდა ვითანამშრომლოთ.

წარდგენილი ახალგაზრდა მუშაკი უცერემონიო უშუალობით და ენერგიულად:

– მე დამჭირდება ყველა დეტალი და ინფორმაცია. ამასთანავე, ჩემი კაცი, რომელიც მუდმივად დააკვირდება და აღნუსხავს მსმენელთა რეაქციას დარბაზში, – თან ერთ-ერთზე მიუთითა, ეტყობოდა, იგი მან მოიყვანა და თან შუბლზე ჩამოშლილი თმა თვის ენერგიული გაქნევით შეისწორა.

სადგურის მორიგე სახლში რეკავს:

– როგორ ხარ, ძვირფასო, ბავშვე-

ბი როგორ არიან? მე ჩვეულებრივად... ცოტა დაძაბული დღეა. ისეთი არა-ფერი, უბრალოდ დავრეკე, უბრალოდ დავრეკე-მეთქი, ნუთუ არ შეიძლება რომ მოგიყითხოთ?!

დარბაზი: რეაქციის აღმნესხველი შე-ემატა დარბაზს. ის კითხულობს. სჩანს დაინტერესებული სახეები.

ზარი მორიგესთან. ხმა ყურმილიდან:

– მალე შევაჯამებთ შედეგებს.

– ძალიან კარგი (მე იმედი მაქს კო-მისიის ნაყოფიერი მუშაობისა).

– რას ამბობ, სანჩო, ეს ხომ დულ-სინეაა, ეგ კი შენი სახედარი, – ამაზე ხალს გაეცინა. გაიცინა წინა რიგში მჯდომმა დამკირვებელმა, მას შეს-ცინა იმ ვიღაც ფილოსოფიის შემკით-ხველმა ჩია მოხუცმა და გაიცინა მის გვერდით იმ სამიდან ერთმა მოთვალ-თვალემაც.

კომისიის ოთახი: ახალგაზრდა მუ-შაკი:

– მოსაცდელ დარბაზში ხმამაღლა კითხვას დადებითი და უარყოფითი შე-დეგები აქვს. ამ მოვლენის დადებითი მხარეა: მგზავრთა კულტურული გარ-თობა, განათლების წინსვლა, მხატვრუ-ლი ლიტერატურის ხალხში გატანა-გავ-რცელება.

– ერთი წუთით, – ეს ტელეფონთან რომ ხშირად მოდიოდა ხოლმე, რკინიგ-ზის სამმართველოს უფროსი წამოდგა, – ბატონებო, ნაყოფიერი და იდეური მუშაობისათვის, რკინიგზის სამმარ-თველოს პედ-კოლექტივის სახელით, მე ვაჯილდოებ ამ ახალგაზრდას, – და თან რაღაც გადასცა. ტაში შემოსცხეს.

– ოჳ, კარგი, კარგი, რა საჭირო იყო ასე უცებ... – თავი ჩაღუნა ახალგაზრდამ და კვლავ საქმეზე გადავიდა, თუმცა ჯერ ხელი ჩამოუსვა, მიეხალისა პატარა ელ-ვარე მედალს (რომლისფრადაც თავადაც შეეფაკლა ლოყები). მერე თავი ასწია და მომეტებული ენთუზიაზმით განაგრძო: – მაშ, ასე. მე მსურს, საპოლოო გადაწ-ყვეტილების გამოტანამდე, რაშიც ეჭვი

ალარ მეპარება, მაინც დავუკავშირდეთ და გამოკითხვა ჩავუტაროთ ჩვენთვის პოპულარულ მწერლებსა და სახეებს. აი, მაგალითად, ბ-ნი სერგო?

– ომ, სერგო, სერგო! – გაისმა ოთახში მაგიდასთან მხსდომთაგან.

ზარი ტელეფონზე. ჩანს მაღალთა-როებიან ოთახში წიგნებთან ვიღაცამ ყურმილი აიღო:

– და-დაა, დიახ, აჰა. რა საოცარია,

აა, და ესე იგი მე. კარგი, კარგი. მო-დით, ბატონ კახასაც შევუთანხმდეთ, ესიამოვნება.

„მის გვერდით“ მოსჩანს სხვა ოთახი:

– დიახ, კახაბერი გახლავართ, – და ასეთ კადრებში ასეთივე სხვა რამდენი-მეც ჩაეტია თავის ოთახიანად (კოლაჟი ეკრანზე).

ზარი მორიგესთან (მორიგე პირგაუ-პარსავია):

– დიახ, ისევ ისე კითხულობს. იცით, მე მგონი, მსმენლებმა შესამჩნევად იმა-ტეს... კარგი! – დებს ყურმილს. ოთახში წრიალებს, ყურებზე წაივლებს ხელებს და ისრესს. ხელებიც მოიფშვნიტა, ვერ გაიგებდი, უხაროდა თუ ეშინოდა მო-რიგეს, მერე ჩვეული იმიტაციით მუჭ-შიც ჩააფურთხა, ოღონდ მოკლე-მოკ-ლედ და მსუბუქად. აი ასე: ტპუ-ტპუ-ტპუ-ტპუ. ტპუ!

გამოჩნდა იმავე კომისიის წევრთა ახალი, სხვა ოთახი.

ახალგაზრდა მუშაკი:

– მაშ ასე, – დატალღული თმა უკან გადაიყარა. – პირველი ა): თუ მოსაც-დელ დარბაზში წიგნების ხმამაღლა კითხვა მავნე მოვლენად ჩაითვლება, ამის თაობაზე შემუშავებულ უნდა იქ-ნას ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები. მეორე, ბე): თუ ეს მოვლე-ნა დადებითად იქნა შეფასებული, ამ შემთხვევაში საჭიროა ჩემი, ანუ ჩვე-ნი (თითქოს გამოასწორაო) დებულე-ბის თანახმად, მგზავრებს მოაშორონ თვითმარქებია, საეჭვო წიგნის მკითხვე-ლები და შეურჩიონ უფრო შესაფერისი

ხალხი, – თან პუბლიკას გადახედა.

ვიღაცებმა ტაშიც შემოჰკრეს: „ძალიან კარგია“. „მარტივია და ნალდი“. „კარგია, ერთ აზრამდე მივედით“.

– ბატონებო, – კუთხიდან გამოვიდა ვიღაც კაცი და საზოგადოებას წარუდგა. – ქალაქის მუსიკალურ ტექნიკუმთან არსებული სტუდიის წარმომადგენელი გახლავართ, – და თავი დაუკრა.

– მე ჩემი იდეა მაქვს. მგონი, ძალიან მოგეწონებათ და წაადგება თვით საქმესაც!

– ბრძანეთ! – მასთან ძალიან ახლოს მივიდა ახალგაზრდა მუშაკი.

– მე მგონი, უპრიანი იქნებოდა, შესაბამის ლიტერატურას ფონად შევურჩიოთ შესაბამისი მუსიკა?! ...თუ ნებას დამრთავთ... – და ფარდაგი ააცალა კუთხის პატარა მაგიდაზე დადებულ აპარატს.

წუთიერი სიჩუმე ახალგაზრდა მუშაკმა დაარღვია:

– ძალიან საინტერესოა, – და მყისვე მოსცილდა იმ კაცს, გრძელი მაგიდის ბოლოში გადაჯდა და სხვებსაც მიუთითა: – „ დაბრძანდით, ბატონებო, დაბრძანდით! მე მაქვს სხვადასხვა ვარიანტი, – თქვა მუსიკის კაცმა. – კლასიკა, ფოლკლორი, როკი, პოპმუსიკა და სხვა. აი, მან ლილაკს დააჭირა და სიჩუმეში იგრგინა ბახმა, რამდენიმე წამის შემდეგ ბახის მელოდიებს კაცის ყვირილის ხმაც დაერთო: – ან სხვა, სხვა ლიტერატურის შემთხვევაში, სხვა ნაწარმოები... და აი, შოპენი... შემდეგ ჯაზიც, მელოდიები ერთმანეთს ცვლიდა: „თბილისოო, მზის და ვარდების მხარეოო...“ როკი, კრიმანჭული. – არის აი, ასეთი მუსიკაც, – და გაისმა რიტმული რეპი.

ყველა ფეხზე წამოდგა და.

– ბრავო, გენიალურია, შესანიშნავი, ბრავისიმო...

მუსიკის კაცი დაღლილივით იქნევდა თავს დაბლა და იღიმებოდა, თუმცა, ეტყობოდა, ძალიანაც ღელავდა.

რეპის მელოდიის ფონზე ჩია მო-

ხუცი შედის ოთახში, რომლის კარზეც აწერია: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და პირველსავე შემხვედრთან კითხულობს:

– თუ შეიძლება, ამიხსენით, რა არის იურიდიული პრეზოლუცია? – და პასუხის მოლოდინში იღიმება. ვიღაც მას მაგიდასთან მიიპატიუებს და ახსნას უწყებს. მოხუცი თავაზიანად და შემპარავად იღიმება.

მუსიკის ფონზე ახ. მუშაკი შენობის შესასვლელში პატარა ფანჯარასთან ჩერდება. მას ფულს მიაწვდიან. იგი დიდსულოვანი დაუდევრობით გადახედავს თანხას და ენერგიულად აუყვება კიბეს ოთახამდე, რომელსაც აწერია: „კომისია მუშაობს“.

(კლასიკური მუსიკის ფონი). ვაგზალი: მწვანე ზურგჩანთიანი კითხულობს, ხელებსაც იშველებს. ბევრი ხალხი უსმენს. ეტყობა, უკვე ისეთებიც, რომელთაც არსად არ ეჩქარებათ. ორი თეთრპერანგიანი ახალგაზრდა ყმაწვილი, მხარზე გადაკიდებული სასკოლო ზურგჩანთებით, რომანტიკული აღტაცებით შეჰქონიერებენ და უსმენენ კაცს.

მორიგე ყურმილში ლაპარაკობს. დებს ყურმილს, შუბლს ისრესს, ხელებსაც იფშვნეტს ენერგიულად, თუმცა ნიკაპსაც წამოაგდებს ხოლმე წინ და დროდადრო მუჭმიდაც იმიტაციურად და მსუბუქად, სწრაფ-სწრაფად აფურთხებს. ფანჯარას ყასიდად ამონტებს – დაკეტილია თუ არაო.

შემოდის შემცვლელი მორიგე.

მკითხველი მაღალი ხმით კითხულობს შექსპირის „ვენეციელ ვაჭარს“.

(რეპის ფონი) ახ. მუშაკი უკვე თამამად, ცალი თითით აკაკუნებს მინის სარკმელზე, იღებს ფულს და კიბეზე არბის. მის უკან კაბინეტის კარი მიიხურება და მელოდიაც უნისონისკენ წავა და შეწყდება, რადგან გზას დაუთმობს ლინგვისტთათვის კარგად ნაცნობ, სალაპარაკო საშუალების ძირითად კომპონენტს...

– ამხანაგებო, – ამბობს ერთ-ერთი

კომისიის წევრი. – გავიდა რამდენიმე თვე და თუ საქმეს არ შევუდექით, მომზადებული კადრისათვის ქურქი გვექნება შესარჩევი.

– ჩვენ ამაზეც ვიზრუნეთ, – მიუ-გო რკინიგზის უფროსმა ღიმილით. – გთხოვთ, – და ოთახში შემოვიდა ნაცნობი ჩია მოხუცი, გამონწყობილი რომა-ელი კონსულის მსგავსი საშემოდგომო მანტით.

– ჩვენ გვეხმარება დიზაინერთა კლუ-ბი „სარმა“.

– ძალიან კარგი. მაშ ასე, ყველაფე-რი მზადაა, – თქვა ახ. მუშაქმა ენერ-გიულად. –

– მაშ, იწყება... ეს გამოწვევა იყო მისი მხრიდან და ჩვენ ვიღებთ მის გა-მოწვევას!

– და... – შენიშნა ვიღაცამ. – რომ არ შეეშვას ამ საქმეს და დაამახინჯოს მხატვრული კითხვის... სტილი და მანერა?

– ჩვენ საერთოდ მოვამორებთ მას. აპა, რა, აპა, რა. მთავარია, მან ახლა იკითხოს. იკითხოს, მეგობრებო, ეს სტი-მულატორია. ჩვენი მომზადებული კადრი – როცა საქმე საქმეზე მიდგება – აჯო-ბებს მას. ასეთ ხალხს მე კვლავაც მო-ვიყვან, დიახ, ორი მათგანი ამ წუთებში უკვე აქ იქნება, მსგავსი ჩაცმულობით, – მიუთითებს „რომაელ სენატორზე“

სრულიად უცირად მუსიკის კაცმა თა-ვის მაგნიტოფონს ძალზე აუნია. ჯერ ყველა შეკრთა, მერე შეითერეს. ახ. მუ-შაკი უფრო ხმამაღლა აყვირდა:

– პირველი კითხვა სწორედ იმ დარ-ბაზში დაიწყება, სადაც ის თვითმარქევია დგას და ჩვენებური შეჯიბრებით გან-ვდევნით მას!

– როდის? – დაიძახა ვალაცამ.

ახ. მუშაკი ოდნავ შეყოვნდა... მუსი-კას ჩაუნიეს.

– ხვალ, – თქვა მან და ის და რკინიგ-ზის უფროსი ერთად წამოდგნენ.

დილაა. მორიგე თავის ქუდს იხუ-რავს, ქალალდებს ასწორებს. აი, მა-გიდას მიუჯდა და შემოვიდნენ ორივე

დამლაგებელი და მილიციელი ერთად. მორიგემ მათ შეხედა და სახეზე დაეწე-რა, რომ გულმა რაღაც ცუდი უგრძნო: – რა მოხდა?! – მკაცრად მიმართა ყველას.

– არ არის! – თითქოს ნიშნის მოგე-ბით მშვიდად მიუგეს დამლაგებლებმა.

– არც წუხელ მოსულა, – დაამატა მილიციელმა. – არც დღეს. მე ვიცი, სა-ერთოდ წავიდა;

– როგორ, ეს შეუძლებელია?!

– ასეა, – თქვა მილიციელმა. – არა-ვინ არაფერი იცის.

მორიგე კარს ეცა და დარბაზი მო-ათვალიერა.

– სასწრაფოდ სამმართველოში უნ-და დავრეკოთ, – თითქმის შემოვარ-და უკანვე და ყურმილს დასწვდა. – ალო... იგი წავიდა, საერთოდ წავიდა, არ სჩანს.

კომისიის ოთახი: ახ. მუშაქმა ხელი-დან გამოსტაცა ყურმილი სამმართველოს უფროსს, რომელიც, უნდა ითქვას, რომ წუთით შეეცადა, გაძალიანებოდა კიდეც ამ მეტისმეტად შინაურულ უესტს და მძი-მედ აათვალიერა (ბოლოს და ბოლოს, და მართლაცდა, რომ უნდა ითქვას, რომ) ეს მეტისმეტად მკვირცხლად ეგზალტირე-ბული ჭაბუკი.

– როგორ თუ წავიდა, რა უფლება აქვს?! როგორც გინდათ, ისე მოძებ-ნეთ. ჩვენ იგი მეცნიერულად მომზადე-ბული მეტოქის გვერდით უნდ დავაყე-ნოთ, დავამარცხოთ და ისე განვდევნოთ თვითმარქევია! როგორ თუ... მოძებნეთ... დიახ, იცით, უნდა მოძებნოთ! რადგან მოგეხსენებათ, რომ... – ეს ბოლო სიტ-ყვები სამმართველის უფროსს ეკუთ-ვნოდა, რომელმაც დინჯად დაიპრუნა ყურმილი, მაგრამ მყისვე შეჩერდა და გაკვირვებით გახედა ოთახის მეორე ბო-ლოში გადაადგილებულ ხაზის ყურმილში გაცხარებით მოლაპარაკე ახალგაზრდას: – თქვენთან იყო აქამდე, თქვენ გვაც-ნობეთ, თქვენ დარბაზში კითხულობდა, თქვენ უნდა მოძებნოთ, თქვენი ვალია! –

და სამმართველოს უფროსს მიუბრუნდა: – ბ-ნო ომარ, სხვაგვარად, მეტოქის გარეშე მუშაობის დაწყებას აზრი არა აქვს.

ოთახში ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოწვა. სამმართველოს უფროსმა ღრმად და ნელა ამოისუნთქა, თითქოს ძალიან მძიმეს თქმას აპირებდა, მაგრამ ვიღაც აჩქარებით წამოვიდა ოთახის ბოლოდან და შეკრებილებს და სამმართველოს უფროსს ერთად მიმართა:

– ამხანაგებო. ჩვენ მაინც გავიდეთ მოსაცდელ დარბაზში, იმ ადგილას, იქნებ, გამოჩნდეს?!

ვაგზლის დარბაზში კომისიის წაცნობი სახეები ჩანს. გადი გამოდიან, წყვილ-წყვილად საუბრობენ, ხელებს შლიან. სჩანს, რომ ეს მგზავრთაგან ბევრს უკვირს. ორი წაცნობი თეთრპერანგიანი ყმაწვილი ცნობისმოყვარედ და დაუინებით ეძებდა ვიღაცას. დღეს უჩანთებოდ იყვნენ. ხელში წიგნები ეჭირათ. აი, რომაელმა ყავისფერმანტოიანმა „მეტოქემ“ შეკრებილთა წინ გაიარ-გამოიარა, თანმხლებისაგან პაპიროსი მოითხოვა, მიიღო და ისე გააფუტა, შეატყობდით, მწეველი არ იყო. ყველანი აქ იყვნენ. ის-მოდა რეპლიკები: „შეიძლება მოვიდეს“, „მოვა... ჩემი აზრით გამოჩნდება“. ლიტერატურულ ჯგუფში ცხელი ვერსია დაიბადა:

– და, თუ არ მოვიდა... რომ წარმოვიდგინოთ, რომ მოვიდა?! – უეცრად შესთავაზა ერთმა მათგანმა თავის თანამოსაუბრეს, რომელიც სულ სხვა საკითხე საუბრობდა და ამ იდეამ წინ აღმართული კედელივით წააფორხილა. – ეს, მართლაც საინტერესოა, თუმცა ერთმხრივად ძნელია, – წამით მაინც ჩაულრმავდა თეატრალურ ვერსიას. – მდაა... მოდით, მან გადაწყვიტოს, – მიუთითა ახალგაზრდა მუშაკისაკენ და ასე აირიდა თავიდან ახალი ნოვაცია. მოშორებით მდგარი ახალგაზრდა მუშაკის რკინიგზის სამმართველოს უფროსთან აჩქარებული საუბარი გავლილი მატარებლის პუბუნში იკარგებოდა: – მის გარეშე კითხვამ შე-

ჯიბრის ფორმა რომ არ დაკარგოს, უნდა დავაზუსტოთ, ბოლოს რას კითხულობდა. მე მგონი, ეს საკმაოდ წაგვადგებოდა.

მერე ზოგი დაჯდა, ზოგი ფეხზე დარჩა და ერთად მოუსმინეს კლასიკური მუსიკის ჰანგებს. თან ხშირ-ხშირად იყურებოდნენ შემოსასვლელი კარისაკენ.

მოკლედ, ყველა აქ იყო: მოთვალთვალები, კომისიის ყველა წარმომადგენელი, მოპატიუებული საპატიო სტუმრები: ბ-ნი სერგო, ბ-ნი კახაბერი და მათთან შეჯგუფული სხვა სახეებიც. ჩია მოხუცი, სადგურის პერსონალი: დამლაგებლები, მილიციელი, მორიგის შემცვლელიც, პირზე მუჭაფარებული მორიგეც, რა თქმა უნდა და ასევე ბევრი წაცნობ და უცნობ მგზავრთა სახეები. აი, ყვავილებით ხელში, ტანდაბალი, მაგრამ ძალიან სანდომიანი ახალგაზრდა პედაგოგი ქალი ხალისიანად შემოუძღვა უმცროს კლასელებს დარბაზში. ახალგაზრდა მუშაკთან სარიტუალო ეტიკეტივით მიიყვანა (წარადგინა) ბავშვები, დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა და დარბაზს, ანუ სიტუაციას ღიმილით გადახედა სადაც ყველა, ანუ ყველაფერი ძალიან დაბნეულად გამოიყურებოდა. ახალგაზრდა მუშაკი მისკენ დაიხარა და იდუმალი იერით (როცა რაღაცის ეშინიათ) ხმადაბლა წასჩურჩულა:

– შეგიძლიათ ახლა... ბავშვს რაიმე ლექსი ათქმევინოთ აქვე, ხალხის წინაშე? გნებავთ, თქვენ თვითონ, ნუ, იმპროვიზაციულად! – და სახეზე მყისიერად შეეტყო, რომ თავად სანდომიანი პედაგოგი ქალბატონიც ძალიან დაიბნა!

კლასიკური მუსიკის ამარკორდული ჰანგები ამაოდ ებრძოდა ვაგზლის ყოველდღიური, ბუნებრივი ხმაურის მზარდ დინამიკას.

...გამოხდა ჟამი, ანუ ხელბარგიანები მატარებელში ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ. აი, ერთი მათგანი მეზობელ სადგურამდე გაჰყვა მატარებელს და ჩამოვიდა. იქიდან კი ვიღაც სხვა ამოვიდა ვაგონში, თუმცა ჩვენს სადგურზე არ

ჩამოსულა, თავის მატარებელს გაჰყვა. დარბაზში სულ ახალი სახეები ჩანდნენ, ხალხი ფუსფუსებდა. მკითხველის სკამ-თან ბოშა ქალი იჯდა და იღეჭებოდა.

კომისიის ოთახთან ადამიანები გადი-გამოდიოდნენ, მაგრამ კარს „კომისია მუშაობს“ აღარ ეწერა.

მორიგე გახედავდა ხოლმე ტელეფონს, რომელიც აღარ რეკავდა და ისევ თავის ქალალდებს ჩაპერკიტებდა.

დამლაგებლები წმენდდნენ დარბაზს, აღარ ბრაზობდნენ. მილიციელი გაივლიდა ხოლმე დარბაზში და მგზავრები ადგილზე სწორდებოდნენ: ვიღაც სიგარეტს ჩუმად აქრობდა, დაგდებულ ქალალდს იღებდა, თავს იმძინარებდა ან იფხიზლებდა და ა. შ.

ახალგაზრდა მუშაკი კიბეს ნელა აუყვა: ოო, თვალები გაუბრწყინდა – ოთახს იგივე აპრა ეკეთა: „კომისია მუშაობს“. იგი შევიდა კაბინეტში და ცოტა ხანში უკანვე გამოვიდა, თან უცნობი ქალბატონის თავი კარსა და ზღურბლს შუა თავაზიანი ღიმილით გაიყინა.

– კი, კომისია მუშაობს ახალგაზრდავ, მაგრამ სულ სხვა თემაზე. ეს სულ სხვა კომისიაა. ახალგაზრდა მუშაკი მისკენ უტყვად, მაგრამ ძალიან გულდაწყვეტით იმზირებოდა.

მორიგესთან ოთახში მილიციელი ზის:

– ეჲ, დღეს წავაგე ჭადრაკი. ესე იგი შენ ამბობ, რომ ყველაზე კარგი ხინკალი ახალ ბაზართან კეთდება?!

– რა თქვი? კი, მანდ ჯობია.

მერე მორიგე ადგა, კართან მივიდა, ნელა გამოალო და გახედა დარბაზს. ისე-თი გაოცებული და მსასოებელი მზერით გახედა, თითქოსდა ახალი სამყაროსავით პირველად დაინახა მთელი ამ ხალხის სისავსე და მისი ყრუ ბუბუნი. ხალხი ისევ ისე ფუსფუსებდა. „იმ ადგილს“ გახედა, სადაც ის კითხულობდა ხოლმე, ახლა ბავშვიანი ქალი იჯდა. წინ კარტოფილის მომცრო ტომარა ედოთ. მორიგემ რუ-

ტინული დისციპლინური ჩვევის გამოცდილებით თავს ძალა დაატანა და რაღაც სხვა, განსხვავებული ლოიალობითა და ძალდატანებითი პოეტური დაუინებით დააცერდა ამ ქალსა და ბავშვს. მის-თვის ჯერ გაუგებარი ფილოსოფიური მიდგომით... ეს, მართლაც, რაღაც ახალი იყო, რაღაც პირველი, მაგრამ ფრთხილად მონდომებული გადაწყვეტილება, ასე და-ენახა... აი, მაგალითად, სწორედაც ეს ქალი და ბავშვი, თითქოსდა – „რატო-მაც არა?“ და, მართლაც, იტყოდი, რომ უცერდა, როგორც რენუარის ნახატს... მაგრამ მოულოდნელად ბავშვმა კარტოფილი აიღო და ჩაკბიჩა: „ხრამ-ხრუშ“.

– რას შვრები, ეგ ვაშლია, ბიჭო, ვაშლია, ჰა? – ენერგიული მონდომებით წაუთაქა დედამისმა.

აი, დიქტორის ხმაც გაისმა:

– მატარებელი წმერი ორი გადის... წავედით, წავედით! – ქალმა ტომარა აიღო და ბავშვს ხელი ენერგიულად ჩა-ავლო.

მორიგის მრავალეანრულად დაპზარული მზერა მათ ფეხებთან მოქანავე იმ ტომარას მიეყინა, რომელშიც ქალმა ჩაკბერილი კარტოფილი ჩააბრუნა და თვალმოუცილებლად გაჰყვა, თუმცა შემდეგ სხვა ტომრებში და ჩანთებში აერია და საბოლოოდ დაეკარგა. სხვადასხვა ხელებზე მორგებული ჩანთები მრავლად ირეოდნენ ხმაურიან დარბაზში...

იგი სერიოზულად იმზირებოდა და ამიტომ ძალიან შეუსაბამოდ გამოჩნდა, რომ უცებ პირი ძალიან დიდზე დააღდა და დაამთქნარა, თან ხმაურით, ისეთი ფატალური დისციპლინულობით და-ამთქნარა, რომ ცოტა ხნით დარბაზის ხმებიც გადაფარა და... – „ა ა-ჰე“ – და-ხურა პირი, თუმცა რა... რაც მართალია, მართალია, აბა, რა ექნა: ისიც ხომ ბევრი სხვასავით ჩვეულებრივი კაცია, ადამიანი და... პირს ღიას ხომ არ და-ტოვებდა...?!

გიორგი არქანია



ქრისტეს პერანგივით დაუსრულებელი

- არ მჯერა.
- ასე იყო. ის თეთრ ლოგინში იწვა, ჩვენი სახლიც თეთრი ზენრებით იყო მორთული, ამ ბიბლიოთეკასაც თეთრი ზენარი ეფარა...
•
- რამე გითხრა?
- კი... მადლობაო და წავიდა...

რაც სახლთან, პირველ რიგში, მაკავშირებს, ბაბუაჩემია.

ბაბუა ჩია კაცი იყო, თავზე რკალივით გასძევდა დაბერებული თმა, რომელშიც ერთ ნასერსაც ვერ იპოვიდა კაცი, ოთხმოცდაორი ზამთრის მნახველ მოხუცს ნახშირივით შავი წვერი ამოსდიოდა...

პროფესიით ინჟინერი იყო. თავის დარგში კარგა ხანს იმუშავა და როცა პენსიაზე გავიდა, ყმანვილობის დროინდელი ოცნების აღსრულებას მიჰყო ხელი... მიუჯდებოდა საწერ მაგიდას და ისტორიულ ნაშრომებს კითხულობდა, თან აკონსპექტებდა, მნიშვნელოვან თარიღებს, ფაქტებს, პიროვნებებს აღნუსხავდა...

ბავშვობაშიც უყვარდა კითხვა, სადღაც, ცხრა მთას იქით, დევებისა და ჭინკების სოფელში ნაშოვნ გაცრეცილ წიგნს დაითრევდა, აცოცდებოდა ყველაზე მაღალი ხის ყველაზე მაღალ

ტოტზე და იქ კითხულობდა...

კითხულობდა მთელი დღე. მისთვის საკვები წიგნში ამოკითხული ამბები და ხის მუავე ნაყოფი იყო...

– ჩუმად, ბავშვებო, ხელს ნუ უშლით, სხვაგან ითამაშეთ! – საიმედო დარაჯივით გარეკავდა ხოლმე ჩემი ბებია ხის ძირში მოთამაშე ფეხშიშველა ბავშვებს.

დრო კი ჩემი სოფლის მდინარესა-ვით მიცურავდა...

●
ბაბუას ბებია სკოლაში შეუყვარდა, იმის მერე ეს სიყვარული არ შეწყვეტილა...

ის მკაცრი ხასიათის კაცი იყო, გრძნობების გამოხატვა დიდად არ ეხერხებოდა. არასდროს მინახავს ბებია და ბაბუა ჩახუტებული ან მოსიყვარულე. არც ყვავილები უყიდია ბებიასთვის დაბადების დღეზე და რვა მარტს...

მაგრამ მათი სიყვარული მაინც ძალიან კარგად იგრძნობოდა. ყოველ შემთხვევაში, მე ერთი შეხედვით ვამჩნევდი ამას.

მესმოდა ხოლმე ღამით, გვერდითა ოთახიდან, მათი საუბრის ხმა...

მშვიდად უყვებოდნენ ერთმანეთს ჩავლილი დღის ამბებს და მომავალი დღის გეგმებს ადგენდნენ...

ბებიას წარსულიდან რაღაც ან ვი-
ლაც გაახსენდებოდა და ეს იქცეოდა
მათი მასლაათის თემად...

ბევრჯერ დამიგდია ყური მათთვის,
იქნებ, ჩემზეც ეთქვათ რამე...

ბოლოს, როცა ხმა მიწყდებოდა,
ვხვდებოდი, რომ ორივე ძილის მორევ-
ში გადაეშვა...

•

ბაბუა რომ ჯარში წავიდა, ბები-
ას წერილი დაუტოვა: „დამელოდე, მე
დავბრუნდები“, ზედ საგულდაგულოდ
გადაღებული ფოტოც დაურთო, „მაგ-
რამ თუ რამე მოხდა, ასეთი გახსოვდე
მუდამ...“

ჯარში ოფიცრის ჩინს მიაღწია, მაგრამ
სამხედრო კარიერა ალარ გააგრძელა.

ციმბირიდან ათასობით კილომეტრე-
ბით დაშორებულ სოფელში მას ახალ-
გაზრდა საცოლე, დატანჯული დედა
და მამისეული სახლ-კარი ელოდა...

ის დაბრუნდა.

ცოლი მალევე შეირთო, მუშაობა
დაიწყო და უნივერსიტეტშიც ჩააბარა.

ვინ იცის, რამდენი თავგადასავალი,
გაჭირვება თუ კურიოზი გადახდა თავს
სოფლისა და ქალაქის დამაკავშირებელ
გზაზე.

ასე დადიოდა ხუთი წლის განმავ-
ლობაში, თან სწავლობდა, თან მუშაობ-
და, თან შვილებს პატრონობდა...

რამდენჯერ უთქვამს უარი მეგობ-
რებთან ერთად რესტორანში წასვლა-
ზე, დიდი ხნის წინ გამოწერილი ტომე-
ბის მორიგი წიგნი რომ ეყიდა. ასე და-
აგროვა ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა,
რომელიც დღემდე მასპინძელივით ეგე-
ბება ჩვენი სახლის სტუმარს...

გი დე მოპასანი, ლევ ტოლსტოი,
თეოდორ დრაიზერი, უოლტერ სკოტი
და შტეფან ცვაიგი ჩვენს წარლვნის-
დროინდელ სოფელში ბაბუას წყალო-
ბით შემოვიდნენ....

ბაბუასთვის მე ყველაფერი ვიყავი

და ის ყველაფერი იყო ჩემთვის...

დედაჩემს ჩემს დასთან უწევდა ყოფ-
ნა დიდ ქალაქში. ქალაქში, სადაც ბევ-
რი ხალხი ცხოვრობდა, ბევრი შენობა
იდგა და ბევრი, ძალიან ბევრი მანქანა
დადიოდა...

დედის ნაცვლად სკოლას ბაბუა
აკითხავდა...

მახსოვს, გამოჩენდებოდა სკოლის
ეზოში, ბავშვები დაიწყებდნენ ძახილს:
„ბაბუაშენი მოვიდა! ბაბუაშენი მოვი-
და!!!“

ამის გაგონებაზე ისეთ ადგილას
მივდიოდა, მას რომ არ დავენახე. თით-
ქოს მრცხვენოდა, რომ თვეში ორჯერ
მაინც სკოლაში დედის ნაცვლად მოხუ-
ცი ბაბუა დადიოდა.

მას კი სკოლაში სიარული არ ეზარე-
ბოდა. პირიქით, არც ერთ მშობელს არ
უვლია სკოლაში ბაბუაჩემზე ხშირად.

შემოვიდოდა ეზოში, ჭიშკრიდან და-
იწყებდა მასწავლებლებთან ჩემზე მას-
ლაათს. ეკითხებოდა ნიშნებზე, სთხოვ-
და, რა მქონდა უარყოფითი, ეთქვათ.
როცა პასუხად შექებას მიიღებდა, ეშ-
მაკურად გაეღიმებოდა...

ერთადერთი სასკოლო ღონისძიე-
ბა, რომელიც გამოტოვა, ჩემი ბანკეტი
იყო.

შეიძლება უნდოდა კიდეც წამოს-
ვლა, მაგრამ არ მითხრა...

•

მეექვსე კლასამდე ბაბუასთან მეძინა.

ცხოვრებაში, ალბათ, ვერასდროს
დავიძინებ ისე თბილად და გემრიელად,
როგორც მაშინ, ჩია მოხუცის ღუნდუ-
ლა სხეულის გვერდით...

ყველაზე მეტად სწორედ ეს მიკვირ-
და – როგორ შეეძლო ასეთი სითბო ეფ-
რქვია ადამიანს, რომელიც ძვლისა და
კანის ასხმას მოჰგავდა.

ხშირად მეუბნებოდა, პატარა რომ
ვიყავი, ჩემი უფროსი ბიძაშვილები ჩა-
მიგორებდნენ საწოლში და ჩემით თბე-
ბოდნენ.

ბაბუასთან დაძინება ჩემთვის რიტუ-
ალს წააგავდა. გვიანობამდე ტელევი-
ზორს ვუყურებდით, მერე ის ადგებო-
და და მეც ვხვდებოდი, რომ დაწოლის
დრო მოახლოებულიყო.

ბაბუას ვაცდიდი, საწოლი უნდა გა-
ეთპო. მერე მეც ჩავუგორდებოდი და
ტკიპასავით მივეკრობოდი მთელი დღის
შრომისაგან გათანგულ სხეულს...

მასაც ყველაფერს ერჩია ეს რიტუ-
ალი. დანაოჭებულ ხელებს ლიპზე შე-
მომხვევდა და დაიწყებდა...

დაძინებამდე მთელი ქვეყანა ჩვე-
ნი იყო, მთელი სამყარო ჩაბნელებულ
ოთახში იყრიდა თავს... ისტორიები,
მითები, ზღაპრები, დევისხელა წინაპ-
რების ამბები – ეს ყველაფერი ყოველ
სალამოს ჩვენთან ერთად იძინებდა...

პირველად მაშინ გავიგე ოჩოკოჩის
შესახებ. უძველესი ზეპირსიტყვიერე-
ბის ბევრი ნიმუში სწორედ ბაბუამ გა-
მაცნო, პირველად მასთან ვეზიარე ჩე-
მი ქვეყნის ისტორიას...

„ამდენი მტერი თუ გვყავდა, რა
ჯანდაბამ გადაგვარჩინა?“ – წამოვრო-
შავდი ხოლმე.

„მტრები იმისთვისაა, ბაბუ, რომ გა-
გაძლებინონ, ცხოვრების გაგრძელების
უინი გაგიორკეცონ, ხვალინდელ დღეს
ფხიზლად შეხვდე, აპა, უმტრო კაცი –
მტერს!“

და ასე შემდეგ...

„განა გინახავს, ბაბუ, აჩუ და ძორ-
გო¹ ერთად შეექცეოდნენ ბალახს?!“

„არა!“

„ჰოდა, არცაა გაჩენილი ბუნებისგან
ასე – ცხენი ცხენთან უნდა იყოს, კამეჩი
თავის სწორს მონახავს. ასეა ადამიანის
ბუნება, შენც შენისთანას იპოვი, დაი-
ამხანაგებ. იმას, ვისაც ცუდისკენ უჭი-
რავს თვალი, ხელი გაუწოდე, დაარიგე,
დაუშალე ვაგლახი საქმე, მაგრამ, თუ
არ გისმინოს, არასდროს მიჰყვე უკან!“

ასე ჩამეძინებოდა ხოლმე.

ასე ჩაეძინებოდა მასაც.

დრო კი ჩემი სოფლის მდინარესა-
ვით მიცურავდა...

•

ქირსეშ ოსარეჯგუა უგუთებელქ
იღუ“!

ბაბუასგან ხშირად გამეგო ეს სიტ-
ყვები, მაგრამ დიდ ყურადღებას არას-
დროს ვაქცევდი. მას სჩვეოდა საუბრის
დროს ძველზე ძველი ფრაზების გამო-
ყენება.

ერთხელ, როცა ბუხრის წინ, კერას-
თან ვისხედით, მან ყველაფერი ამისსნა.

– უძველესი დროიდან ჩვენს ქალებს
შობის დღესასწაულზე წესად ჰქონი-
ათ ქირსეშ ოსარეშ, ანუ ქრისტეს პე-
რანგის ქსოვა, მაგრამ მხოლოდ ერ-
თადერთი რიგი უნდა ამოეყვანათ, ეს
აუცილებელი იყო. ასე გრძელდებოდა
წლების განმავლობაში, ყოველ წელი-
წადს ქსოვილს ახალი რიგი ემატებოდა.
იმ ასაკამდე ვერც ერთი ვერ აღწევდა,
პერანგის დასრულება რომ მოეხერ-
ხებინა. თუ დედა გარდაიცვლებოდა,
მის საქმეს ქალიშვილი აგრძელებდა,
მაგრამ მას უნდა დაეშალა დედის მი-
ერ გამოყვანილი ქსოვილის ყველა რი-
გი, გარდა პირველისა, შემდეგ თვითონ
აგრძელებდა, შემდეგ მისი შვილები,
შვილიშვილები, შვილთაშვილები კის-
რულობდნენ ამ საქმეს და ასე, დაუს-
რულებლად...

– ნუთუ ვერც ერთმა ვერ მოახერხა
ამ საქმის ბოლომდე მიყვანა?

– ამბობენ, რომ იყო ერთი ქალწუ-
ლი, ოხაჩქუს მთის რომელიღაც მღვი-
მეში უცხოვრია მარტოს ას წელზე მე-
ტი იცხოვრა და მისი წეშტი ახლაც იმ
მღვიმეში განისვენებსო ქრისტეს პე-
რანგთან ერთად.

– და რატომ აკეთებდნენ ამას?

¹ „ქრისტეს პერანგივით დაუსრულებელი
გამოდგა“.

¹ მეგრულად – კამეჩი.

– ამით ჩვენი ქალები ქალწულ მარიამის დამსგავსებას ცდილობდნენ – ხომ იცი, რომ ის თავად უკერავდა ქრისტეს პერანგებს. ჩვენთვის დედობის საწყისი ხომ ღვთისმშობელია.

– დედაშენს თუ ჰქონდა ასეთი პერანგი, ბაბუ?

ბაბუს სევდა ჩაუდგებოდა თვალებში.

– ჰქონდა... შობის ლამეს, როცა ჩვენ მხიარულებას მივეცემოდით, დედა თავის ოთახში იჯდა და დილამდე ქსოვდა. მაშინ არ ვიცოდით თუ რატომ აირჩიმებდა ამ საქმეს მაინცდამაინც შობის ლამეს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მამაჩემი შორეთში არ გადაასახლეს და სახლი არ გაგვიძარცვეს. ის პერანგიც მაშინ დაიკარგა. იმის მერე ქსოვის ხელახლა დაწყება დედას აღარ უცდია...

– და ეს შეიძლებოდა?

– ეს სიმბოლური იყო, ბაბუ, პერანგის ქსოვა კი არაა მთავარი, უსაზღვრო, დაუსრულებელი სიკეთეა ყველაფრის თავი და თავი. ქრისტეს პერანგიც იმ დაუსრულებელ, სრულყოფილ სათნოებას განასახიერებს, რომლის მიღწევა ადამიანს არ შეუძლია, მაგრამ მასზე ფიქრი და მისკენ სწრაფვა ღმერთთან უფრო აახლოებს მას. ახლა მე და ბებიაშენი ვესოვთ ასეთ პერანგს. მე რომ აღარ ვიქნები, თქვენ უნდა გააგრძელოთ, განსაკუთრებით შენ, მერე შენმა შვილმა, მერე შვილიშვილმა და ასე, სამარადისოდ...

და იმ ღამეს მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მეც უნდა მომექსოვა სიკეთის და მარადისობის პერანგი...

•

ბაბუა სისხამ დილით ადგომას იყო მიჩვეული.

სანოლიდან ჰალაიასავით¹ გაუჩინარდებოდა, საპანს კარგად დამაფარებდა და ოჯახის საქმეებზე მიდიოდა.

¹მეგრულად – ციყვისებრთა ოჯახის ცხოველი.

ძროხა უნდა მოეწველა, ველზე გაერეკა, აგვარა დაესუფთავებინა, ღორები დაეპურებინა, ქათმებისთვისაც უნდა შეელო თავიანთი სასახლის კარი...

ბაბუს საოცრად უყვარდა ცხოველები, ხშირად მიხუმრია, შენს ჭრელაზე გაგვცვლი ყველას-მეთქი.

ძალიან აფასებდა პაპის პაპის მიერ დატოვებული რიტუალების შესრულებას.

ჭრელა ხბოს რომ მოიგებდა, ერთი კვირის განმავლობაში რძის ნაწარმს პირს არ ვაკარებდით, ბებია მონაწველს მოაგროვებდა და კვირის ბოლოს უამრავ რამეს გაამზადებდა: ხაჭაპურს, ყველიან კვერებს, მანონს, გებუალიას, ელარჯს, ჭვიშტარს, სულუგუნს...

მე და ბაბუა ყველაფერს ტაბლაზე დავაწყობდით და ეზოში გავიტანდით.

ბაბუა ჭრელას და თავის ხბოს მოიყვანდა, რქებზე სანთლებს მიამაგრებდა, ზედ დაუნთებდა... მერე სუფრას მივუსხდებოდით. დაიწყებდა დალოცვას, მადლობას ეტყოდა უფალს სარჩოს მოცემისთვის... ერთ სადლეგრძელოს მეორე მოსდევდა, მეორეს – მესამე, მესამეს – მეხუთე... მე ვუსმენდი და თიხის ფიალის მოჭაზუნების მერე ვგრძნობდი, ახალი რაღაც რომ უნდა მეთქვა, მაგრამ ისევ მის ნათქვამს ვიმეორებდი...

ასე შევზარხოშდებოდით. ერთ ლიტრ ლვინოს მოვულებდით ბოლოს.

არც არასდროს დამილევია სასმელი იმაზე გემრიელად...

არც არასდროს ჰქონია საჭმელს იმაზე უკეთესი გემო, ვიდრე ბაბუას მიერ მოტეხილ და ნაწილადებ ყველიან კვერს ებადა...

დრო კი ჩემი სოფლის მდინარესავით მიცურავდა...

•

სკოლა დავამთავრე და ბაბუა ცუდად გახდა.

ერთ დღესაც აღმოაჩინა, რომ რაღაც სჭირდა...

ოპერაცია გავუკეთეთ...

ავთვისებიანი სიმსივნე გამოდგა, მაგრამ მისთვის არ გაგვიმხელია.

მან კი სიცოცხლის ბოლომდე არ გაგვიმხილა, რომ ყველაფერს ხვდებოდა...

აგვისტოდან იანვრამდე თებერვლის თოვლივით ჩამოდნა...

ვამჩნევდი მის ფერისცვალებას: ჯერ მისალების ტახტზე წამოწვებოდა ხოლმე... მერე მისალების ტახტზე დაწვა...

მერე საბოლოოდ დაწვა...

•

მე მხოლოდ 31 დეკემბერს ვიგრძენი, რომ ის დიდხანს ვერ იქნებოდა.

თორმეტს სუთი წუთი დააკლდებოდა და მას ეზოში გასვლა ჩვეულებად ჰქონდა.

ავიდოდა მაღალ აივანზე და იქიდან უცქერდა ფოიერვერკებით განათებულ ქალაქს. ქალაქს, რომელშიც ცოტა ხალხი ცხოვრობდა, ცოტა შენობა იდგა და ცოტა, ძალიან ცოტა მანქანა დადიოდა...

შემდეგ ნედლი ხის ტოტებს მოკრეფდა და სახლში ლოცვით შემოვიდოდა:

– ხვავი და ბარაქა, ბედნიერება და ჯანის სიმრთელე, ეს წელი სიკეთისა ყოფილიყოს!

ახლა კი ყველაფერი სხვაგვარად იყო.

ბაბუა თავისი რიტუალის შესასრულებლად ტახტიდან არ ამდგარა...

მეც ულიმლა-მოდ შევხვდი ამ ახალ წელს იმ ადგილას, სადაც წინა წელს ის იდგა.

ნედლი ტოტები მოვაგროვე, შემოვედი სახლში და იგივე სიტყვები გავიმეორე.

ბაბუას კი...

ბაბუას თავი წამოუყვია ტახტიდან, ცალი ხელით სხეულს იმაგრებდა, ცალით კი ფარდა ჰქონდა გადაწეული... ფანჯრიდან უყურებდა ფოიერვერკებით განათებულ ქალაქს...

ქალაქს, რომელშიც ცოტა ხალხი ცხოვრობდა, ცოტა შენობა იდგა და ცოტა, ძალიან ცოტა მანქანა დადიოდა...

•

იანვარში ბაბუა ჩემს ოთახში გადავიყვანეთ.

ჩემი ოთახი პირდაპირ მისალებს ებ-მოდა, მე დიდ ქალაქში ვსწავლობდი და ისიც დაცარიელდა...

ბაბუას ყველაზე დიდი ოცნება ჩემი ოქროს მედალი იყო.

ოღონდ ეგ მანახა და იმ დღეს მომკლაო.

კუთვნილი ჯილდო თებერვალში უნდა მოეცათ, მაგრამ დირექტორს ვთხოვე, წამოღების ნება ყოველგვარი ცერემონიების გარეშე დაერთოთ.

დირექტორმა სახლში თავისი ხელით მომიტანა ბაბუას ყველაზე დიდი ნატვრა.

– ბაბუ, მალე მოვლენ, შენი მედალი უნდა მომიტანონ!

წვერზე მოისვა ხელები:

– ასე ხომ ვერ შევხვდები სტუმარს, ბაბუ, წვერი უნდა გავიპარსო!



წვერი მე გავპარსე.

ჩავარდნილ ლოყაზე ჩემი ხელით ვუსვამდი საპარს ფირფიტას. ის პირში ჰაერს ჩაიგუბებდა და ოდნავ მიადვი-ლებდა ამ საქმეს.

მედალი რომ დაინახა, სახე გაუბ-რწყინდა, განათდა და გამოკეთდა. ვინ იცის, რამდენჯერ აკოცა მოოქრულ მე-ტალს.

იმ წუთის მერე ბალიშის ქვეშ ედო და მნახველებს დიდი სიამაყით აჩვენებდა:

– აი, ნახეთ, ჩემმა ბიჭმა ოქროს მე-დალი აიღო, განა ცოტა საქმეა ეს?!

იმედი მომეცა.

იმ დღეს მეგონა, რომ ბაბუა დღეს თუ არა, ხვალ მაინც გამოკეთდებოდა, საწოლსაც თავს მიანებებდა და ყველა-ფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგებოდა.

•

მეორე დღეს ისევ ცუდად გახდა.

ლამეს ვუთენებდი. საწოლის გვერდით, ტახტზე ვიწექი. ცალი თვალით ვთვლებ-დი, ცალით მოხუცს ვზვერავდი.

დილის ხუთ საათზე ტკივილდამა-ყუჩებელს ძალა ეკარგებოდა და ახალი უნდა მიმეცა...

ჩამეძინა.

გამაღვიძა ფუსფუსის ხმამ.

თვალი ოდნავ გავახილე.

ბაბუამ თავი წამოყო, შემომხედა, დარწმუნდა, რომ რულში წავსული-ყავი და გვერდით მდგარი სკამისკენ ფრთხილად წაიღო ხელი. ხელის კან-კალით წამალი აიღო, წყალი დააყოლა, შემდეგ ისევ წამოიწია, ისევ გადამა-მოწმა და თავი ბალიშში ჩაუშვა...

არ ვიცოდი, რა მექნა.

არ ვიცოდი, რა მეფიქრა.

არ ვიცოდი, რა მეთქვა.

მხოლოდ მდინარის ცურვის ხმა მეს-მოდა.

•

დიდ ქალაქში დაპრუნების დღეს გა-მოსამშვიდობებლად შევედი:

– აბა, ბაბუ, შენ იცი, გამოცდებს ჩა-ვაბარებ და მალე დავბრუნდები, გაუ-მაგრდი!

მან ორიოდე თბილი სიტყვა მითხრა და, რაც ყველაზე მეტად გამიკვირდა, მომიგო:

– ლმერთი გიშველის ბაბუ!

მიუხედავად იმისა, რომ ის მორწმუ-ნე კაცი იყო, არასდროს არ გამიგონია მისგან ასეთი სიტყვები.

– არ შეგეშინდეს შენ, აი ნახავ, მალე დავბრუნდები!

ერთხელ ვაკოცე ლოყაზე და წამო-ვედი.

მან დამიძახა, მოვიხედე...

ორივე ხელი მაღლა ასწია, შემდეგ ერთ მუშტად შეკრა და ასე დამემშვი-დობა.

ჩემი წასვლის შემდეგ გონი დაუკარ-გავს.

დაფეთებული კითხულობდა თურმე:

– „ჩემი ბიჭი სადაა?“ „რატომ არ მნახულობს?“

•

სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

გარდაიცვალა ისე, როგორც მთელი ცხოვრება გაატარა – კვნესის და წუხი-ლის გარეშე.

ხუთი დღე თავში ვგეგმავდი გამო-სამშვიდობებელ სიტყვას, ვიხსენებდი ყველაფერს. ვაწყობდი წინადაღებებს. ვფიქრობდი ბევრს. ვფიქრობდი ბაბუ-ზე, ვფიქრობდი ჩემზე. ვფიქრობდი ბე-ბიაზე. ვფიქრობდი სახლზე, რომელიც დამფუძნებლის გარეშე დარჩა. ათასი აზრი ტრიალებდა ჩემ გარშემო.

გამომშვიდობების დროც დადგა...

ბაბუა რომ ეზოში ჩამოასვენეს, ენა ჩამივარდა. გონებიდან ყველაფერი წა-მეშალა.

დამავიწყდა წარსული.

დამავიწყდა მასთან გატარებული წუთები.

დამავიწყდა მისი ყველა შეგონება.
მივედი და ერთადერთი სიტყვის
თქმა მოვახერხე:

„მადლობა“.

თვალს ცრემლი მოსწყდა და ზუს-
ტად გულზე დაეწვეთა.

მიგვქონდა სასახლე და მეგონა, რომ
მარტო მე მეკუთვნოდა ის.

მარტო მე უნდა მეტვირთა და ამე-
ტანა ამ დაუსრულებელ ფერდობზე.

მარტო მე...

და

რატომძაც

მდინარის ცურვის ხმა აღარ მესმოდა.

•

მეორმოცე დღეს დამესიზმრა.

მისმა ცხოვრებამ შავ-თეთრი ფილ-
მივით ჩამირბინა თვალწინ.

თავიდან ჯანმრთელად იყო. ყველა-
ნი კარგად ვიყავით.

მერე ცუდად გახდა.

ვამჩნევდი მის ფერისცვალებას: ჯერ
მისალების ტახტზე წამოწვებოდა ხოლ-
მე... მერე მისალების ტახტზე დაწვა...

შემდეგ საბოლოოდ დაწვა...

და სიზმარშიც ის პერანგი გამახსენ-
და, სიკეთის და მარადისობის პერანგი,
ბაბუას მიერ დატოვებული, ანი მე რომ
უნდა მექსოვა...

– არ მჯერა.

– ასე იყო, ის თეთრ ლოგინში იწ-
ვა, ჩვენი სახლი თეთრი ზეწრებით იყო
მორთული, ამ ბიბლიოთეკასაც თეთრი
ზეწარი ეფარა.

– რამე გითხრა?

– კი... მადლობაო და წავიდა...



ნუციკო დეკანოზიშვილი



ათასწლეულებს გადაუფრენს ის სიყვარული,
რითაც გეძებდი და ვერ გიპოვე.
და მომეჩვენა, თითქოს მერე სულ არ იყავი,
და ხეებივით ხელს მიქნევდი (სულ არ იყავი),
და შემოდგომა ცვიოდა ფეხქვეშ – ისეთი ხმელი,
რომ გიპოვე და ველარც გითხარი.
გამოგიგზავნე თეთრი ხმები – თეთრი ბატკნები,
გამოგიგზავნე ოქრომკედით დასვრილი გული,
იყავი, მაგრამ სხვაგან წასვლა გამოიგონე
და არსად არ ხარ, როცა გიგონებ,
გარშემო გივლი.
ზანზალაკები ანკრიალდნენ – ისევ გამოთბა
და სიტყვებს გიშრობ გახურებულ გზებზე, ჰაერზე.
არა ხარ, მაგრამ ერთი წუთით მაინც გამოდი,
და თუ ხარ, ერთი წუთით კიდევ გამოდი,
დავიმალოთ და ასე გავერთოთ.
ვითვლი იმხელა უშენობას, ველარც დავითვლი,
და თუ არა ხარ, არაფერი დამიკარგია.
მაგრამ როდესაც თმას ვიშლი და ვგრძნობ,
მითვალთვალებ,
ეს ციფრებიც ხომ არად მარგია,
ეს დღეებიც ხომ არად მარგია,
და რა კარგია, რომ მე თვითონ გამოგიგონე,
არ იყავი და, რომ ვერ დაგთვალე.

●
ჩახედე მაინც, როგორ არ გვსურს ზევით ახედვა,
ჩახედე ჩვენი სულის ღია – ფრიალო ღრმულებს,
რომ დავემსგავსეთ ღობის ძირში მიბმულ სახედრებს,
ღამეები კი სევდიანი ძალლივით ვყმუით.
ჩქარა მიხედე! ღია თვალში ჩახედე ჩქარა!

ჩვენ რომ გვგონია, ცოცხლები ვართ, მხოლოდ გადავრჩით
და გვეჩვენება – დამარხული ათასი მკვდარი
როგორ დგება და როგორ გვესვრის თეთრი დამპაჩით.
მერე რა არის? – დილა, სადაც შორიდან ვხედავთ
თავებს და ფორთხვით რომ მივაღწევთ კედლის სარკემდე,
ვდგავართ შეშლილნი, ველოდებით უჩინარ მედდას,
გარღვეულ სახეს ღიმილით რომ გადაგვიკერავს
და ჩვენს ბედნიერ, ლამაზ, ამაყ, გონიერ თავებს
დაგვადგამს მხრებზე და ღილინით გადაგვნერს პირჯვარს,
რომ გავათრიოთ ერთი დღეც და მივადგეთ ლამეს –
ალენილები, დაღლილები და როგორც გვიჯობს,
ისე ვთქვათ კიდევ ერთი დიდზე დიდი ტყუილი,
რომ არ გავიგოთ, რომ ვერ მივხვდეთ, რომ არ გვეგონოს,
რომ ამ ლამესაც მივაწყდებით ცაზე ყმუილით
და წერილს მივწერთ ძველებურად ყოფილ მეგობრებს
ან უხერხული პაუზებით – მიყვარხარ – ვიტყვით,
და ჩვენი მკვდრები აზიდავენ ჩხრიალით ჩონჩხებს,
რომ ჩვენი სისხლით – ფერმკრთალი და წყალწყალა
სისხლით
ლოყები ხარბად შეიფერონ და სიკვდილს მორჩნენ.



მასწავლე, როგორ მოგიყვე ამბავი,
რომელიც ჩვენზეა
და, ლამისაა, უფრო ადრე მოხდეს,
ვიდრე მოხდება,
და, ლამისაა, ფეხქვეშ გამომეცალოს – მინასავით,
და, ლამისაა, დამაყრუოს, ისე მეძახის.
მომიყევი, როგორ მოგიყვე ამბავი,
რომელიც გაჩნდა და ტირის
და არავინ ჰყავს პატრონი, რომ გაზარდოს,
და არავინ ჰყავს მტერი, რომ მოკლას.
გაჩნდა და იცდის – აბლავლებული,
როდის ავიყვანთ ხელში და ვაჭმევთ.
შეძელი გამაგებინო, როგორ მოგიყვე ამბავი,
ან შეძელი და მოკალი.
რადგან
ის დასჯილია – გაჩნდა და ცოცხლობს.



კოცონს გადაახტი –
თვალებში მიყურებდი შენ.
კოცონს მარჯვნიდან შემოუარე –
მაძალებდნენ სხვები.
არ ჩაქრეს, ჩქარა –
მეშინოდა მე.

მეშინოდა მე და ვჩეარობდი,
 და ჩემი გული ფართხალებდა დილასაყოლილი ჩიტივით,
 და ჩემი თვალები ინვოდნენ სიყვარულისგან,
 და ჩემი ტანი ლლვებოდა შენზე,
 და ჩემი შუბლი ითხოვდა ტყვიას,
 და ჩემი სიცოცხლე შეუძლებელი ხდებოდა.
 ავდექი და – პირდაპირ შევედი,
 ავდექი და – ცეცხლში შევედი,
 ავდექი და – აღარ შემეშინდა.
 გამოდი, ყველაფერი ტყუილია –
 მიყვიროდნენ ისინი,
 არ მეგონა, თუ შეხვიდოდი –
 მეჭიდებოდნენ შენი ხელები,
 არ ვიწვი, ღმერთო! –
 ვლულლულებ მე.
 და ისე მომაქვს წამურული ფრთები,
 როგორც მკვდრის საფლავზე მომწვარი სანთლები,
 და ისე მომთრეცს დამწვარი სამოსი,
 როგორც ბებერი, დავიწყებული სამყარო,
 და ცეცხლიანი თითებით ისე ვუკრავ შენში,
 როგორც ასი წლის წინ მოკლული სპილოს ძვლისგან
 გაკეთებულ თეთრი როიალის კლავიშებზე.
 აღარც სხვები მომძახიან – დავავიწყდი.
 აღარც სხვებს ვეხმიანები – დამავიწყდნენ.
 კოცონიც, რახანია, წაცრადქცეული,
 შემოდგომის ქარს შეერია.
 შენ თვალს თვალში მიყრი და მეუბნები – გადავახტე,
 მე აღარ მეშინია და – პირდაპირ შევდივარ,
 ცეცხლი გვინდა,
 ცეცხლი, რომელიც ჩაქრა და ქარმა წაილო,
 ქარმა წაილო და აღარ მოიტანს.
 შენ დგახარ ისე, როგორც წამუსმონმენდილი წერონი,
 მე კი, აი, უკვე მერამდენედ
 პირდაპირ შევდივარ კოცონის ადგილზე
 და ვლულლულებ:
 ღმერთო, აანთე ცეცხლი და
 არასოდეს მასწავლო მარჯვნიდან შემოვლა.

ვერიცვალება

როგორც ყოველ წელს,
 ახლაც ისე ჩვეულებრივ მოვედი,
 თითქოს, არ ვიცოდე, რომ აქ არაფერი გესაქმება,
 რომ ეს სასაფლაოები ჩვენი ყველაზე დიდი ტყუილია,
 რომ ტყუილია ამ შუა მზისგულზე მოსვლა და
 მწიფე ატმების, ყურძნების, ვაშლების გადმოგორება.

სანთლებზე აღარაფერს ვამბობ – სანთლები თავის
თავზე ჰყვებიან.
როგორც ყოველთვის, ისევ მიძნელდება საფლავზე
სიარული,
გარედან ვუვლი – რა ვიცი, არაფერი გატკინო.
რა ვიცი, მაინც, რა ვიცი, სად ხარ.
ეს ორქოფობა მომაქანებს, ეს გაურკვევლობა.
და შენს დახრილ საფლავზე თავბრუ მეხვევა,
და შენს დახრილ საფლავზე გატეხილი მარმარილო
მაკრთობს,
და ყველა მიზეზი მაქვს, რომ დავჯდე და ვიტირო,
მზის სათვალესაც ვისტინი,
რა მოხდა, ვზივარ და
მამის საფლავზე ვტირო.
ხომ ვერავინ მიხვდება, რაებზე აღარ ვტირო,
ხომ ვერავინ მიხვდება, რა გაუმართლებელი უტიფრობაა –
ყოველ გაგანია ფერიცვალებას ამოხვიდე მამის
საფლავზე და
შენს თავს გლოვობდე.
აი, როგორ გიყვარს შენი სუსტი გოგო,
აი, რატომ მოკვდი ასე მალე –
შენ ხომ იცოდი, სადმე უნდა დავმჯდარიყავი
და გულიანად მებლავლა,
შენ ხომ იცოდი შენი დამრეცი საფლავის
სიმყუდროვის შესახებ.



მთავარია, სადმე არ გადამეყარო –
ფრთხილად უნდა ვიყო.
ადგილები უკვე ველარ მაშინებენ,
ადგილები, სადაც დავრჩით.
ეს ის ადგილებია, საიდანაც ველარ გამოვალწიეთ,
სადაც შეუჩერებელი ვარდნაა,
სადაც ჰაერზე შევდექი და დაგიძახე – მოდი!
შენ კი უკანმოუხედავად გაიქეცი – ჩემსკენ.
ეს ის ადგილებია, სადაც მიახლოებისას გული მერლვევა
და ასე გაფატრული, გულლვიძლგადმობრუნებული
შენში ვკანკალებ.
მაგრამ ისე შევეჩივი, მაგრამ ისე უსაფრთხოა ეს
სიკვდილი,
ჩუმი ამოკივლებასავით – ტრიალ მინდორში,
სადაც მხოლოდ ბალახები გაიგებენ შენ არყოფნას,
სადაც მხოლოდ ბალახები იქნებიან მშვიდად,
როცა ღრუბლები ადამიანებივით გადაგივლიან თავზე,
უცრემლოდ, უყველაფროდ და
იქნება დიდი გვალვა

და არ იქნება მისხალი გლოვა,
მხოლოდ რამდენჯერმე დაიქუხებს ჩვენი მონატრება,
მხოლოდ რამდენჯერმე შეტორტმანდება და
უსულოდ დაეცემა ძირს.

ეს ის ადგილებია,
ეს ის ადგილებია,
საიდანაც ვერ გამოვედით,
სადაც ქალაქში გასასვლელი გზები წყდება,
საიდანაც ყოველთვის მეძახი:
ფრთხილად, მე ვცოცხლობ!
ადგილები ვერაფერს მაკლებენ,
რადგან მე ამ ადგილებად ვიქეცი და ვთრთი –
შემთხვევით სადმე გზაში არ გადამეყარო.



ჩემი გარსია ეს სიცოცხლე, შენი ნაწილი,
ისევ ვერ გხედავ – ვერ გხები და ვეღარც გტოვებ,
შორს ვარ და თავი სასიცოცხლოდ უკვე გავწირე,
ახლოს მივდივარ, ვეტოლები სივრცეებს – ტოლებს.
ჩრდილები მთების, მოგონების, სახლის ჩრდილები
მტოვებენ, გზებზე რომ ვიარო და არ დავეცე,
გზად – უტიფარი მომხდურები და მორჩილები –
მიცნობდეთ, – ისევ დავივიწყე, ისევ გავეცი!
ისევ მივდივარ, სხვა არავინ, არავინ მომდევს,
აღარ ვიგონებ მოგონებებს, მთებს და სახელებს,
ჩამოკრავს სადღაც არეული, გუგუნა გონგი,
მოდის საღამო – ერთადერთი უხმო მნახველი
და ხელებს მაცლის, სათითაოდ მოჰყვება თითებს,
კისერთან მჭიდროდ მობჯენილი – ყელში ამოდის,
მივდივარ, ისევ არვინ არის, მივდივარ – ვითმენ,
მომყვება ჩრდილი მარტოობის – თეთრი მამონტი.
ვერ შეგიცანი და ვერ გნახე, გდარდობ – ვინა ხარ?
ზაფხული. ტბები. სიცხეები. მზე და მანტოვა.
მივდივარ ისევ. ვერ გპოულობ. გნერ და გინახავ,
ჩემი ხორცი ხარ და სისხლი ხარ... „და კვლავ მარტო ვარ“.



გამოგიტყდები: გამითავდა ლექსებში სევდა
ანდა, ისედაც უსუსურებს, სწყდებათ კისრები,
გამითავდა და, აღარ ვიცი, რაღა ვთქვა მეტი –
სევდა მერევა, მიგუბდება, სევდით ვისვრები.

შენი ხელები, შენი მხრები, შენი წუხილი
დამყვება – ისევ აღარ ვიცი, ვის შევეფარო,
ყოველი დილა მანიოკებს ავი კრუხივით
და დგას შუადღე – ჩაძირული, ფსკერზე გემბანი.

რომ აღარ ვიცი, ვის მივმართო, რომ ეს ფარსია,
რომ ზურმუხტისფერ დინებაში იხრჩობა წყალი,
მალე მაისი და ივნისი მზეებს გაცვლიან,
მერე თიბათვე გაშიშვლდება მალე, სულ მალე.
და დამადგება ლამე, როგორც კარაბინერი,
დამადებს ძილის ბორკილებს და მაკოცებს ნაზად.
გამოგიტყდები – აღარც ვიცი, როგორ ბინდდება,
გამოგიტყდები – აღარა აქვს არაფერს აზრი.




საკვირველია, არაფერი ვიცი სიყვარულის შესახებ,
საკვირველია, რადგან ვერც ერთხელ ამოვათქმევინე
სიტყვები,
არადა, ხელში მეჭირა, ისეთი მოუხელთებელი, ისეთი
მართალი...

ყველაფერი გაქრება იმის გარდა, რასაც გწერ, ჩემო,
არაფერს დაიტოვებს მიწა,
ვიღას ექნება სხეულის ტარების თავი?
ვიღა გამახსენებს აკანკალებულ აპრილს –
ცისთვალების შრიალში,
როგორლაც დაეხსენი, ჩემო, ამ შავთვალა დევებს,
მათი დედები ბევრს იცინიან,
მათი დედები უტიფრად იცინიან,
მათ არასოდეს სწყდებათ გული, როგორც
მაღალი ხიდან დაგარდნილი საღი ნაყოფი.
აჲა, გაჩეჩებ,
თუმცა, არაფერი ვიცი მის შესახებ,
საკვირველია,
ჰო, როგორი საკვირველია,
რაც დავიბადე, ატატებულს ხელით ვატარებ
და ღამდამობით ჩემს სიცოცხლეს ვაწოვებ მშვიდად.
და მაინც – ერთხელ დამანახვე,
გამაგებინე, როგორია?
თვალები რა ფერი აქვს?
შენ უფრო გგავს თუ მე?

ასე გწერ – ჩემო,
და ეს სიტყვები – (შენ ეს იცი) –
ჰაერს უთვალავჯერ შეაზანზარებს.

გივი ჩილვინაძე



რა ჩამოეჭარა მთვარეს?

ფერდობის თავში, კორდთან მდგარ პანტას მოფარებული მეველე შემკრთალი უცქერდა ყანაში დღისით, მზისით მოურიდებლად შესულ დათვს, გულმოდგინედ რომ აგებდა დაბლა სიმინდს და ჯერ კიდევ ჭყინტ ტაროებს აჩქარებით თქვლეთდა. მრავალი ყანა გაეტიალებინა იმ ზაფხულს ამ უზარმაზარ, მოურიდებელ მხეცს და ახლა კოლმეურნეობის სოფლისგარე ნათესებს მისდგომოდა. ვესროლო თუ არ ვესროლო, ფიქრობდა ცალლულიან თოფმომარჯვებული პაპუნა, რომ ვერ მოვარტყა საჭირო ადგილას, მერე მეორედ და მესამედ სროლას დამაცდის? – ვაითუ, ამიცდეს კიდეც და ხომ გამპრდლების აქავე ეს ოხერი? რამ-ხელა თანაც, მიმაყოლებს ამ სიმინდს... ხმაურზე წავა, მაგრამ მოკვლაც რომ მინდა? არა, უნდა გადავიდე სოფელში და წამოვიყოლო ვინმე. ეს ისე გულმოდგინედ მოჰყვება ამ ყანას ქვემოდან, გაძლიმდე არ გაადგამს ფეხს აქედან. ჩემს გადასვლა-გადმოსვლაში კი დაფენს მთელ ყანას ძირს, მარა რა ვქნა, სული ტკბილია, ვერ შევპედავ...

წელა გამოიძურნა სამალავიდან მეველე და ყანას გამომცდარი თითქმის სირბილით დაადგა სოფლისკენ მიმავალ გზას...

მის მეზობელს, ივანეს, სახერხი მუშა ჰყავდა. ეზოში ხარაჩოზე მორი შეედოთ და ზემოდან და ქვემოდან საზედაო ხერხს ჩაჭიდებული ორი კაცი გულდადებით ხერხავდა საჭერე ლამზას. გახვითქული პაპუნა აჩქარებით შევარდა ეზოში:

– გამარჯობა თქვენი. ჰე, მიშველეთ ახლა, დიდი დათვია გადალმა ყანაში, სპობს სიმინდს. მარტო ვერ გავპედე, უნდა წამომყევთ ახლავე, სანამ წავიდოდეს, გადაცუსწრებთ და გავაგორებთ, ჩვენი წერაა დღეს ის, საღამოს დათვის მწვადებზე ვიქეიფებთ...

– კაცო, სანამ ჩვენ იქ გადავალთ, წავა ის დათვი, ეს მუშაც უნდა მომიცდეს, რავარი საქმეა, ჲა?..

– გაფიცებ ყველაფერს, ივანე, გამომყევი ახლავე შენი მუშით, თუ არა, წავიდა ჩვენი მეზობლობა, ხმას არ გაგცემ ცხოვრებაში...

რაღას იზამდა ივანე? – არ გაუვიდა უარი და თავის მუშიანად გაჲყვა მეველეს...

საათ-წახევარი მოუნდნენ პატარა ქედის გადავლას და დათვისთვის გამეტებულ ყანაში გადასვლას... კორდთან წელა მიიპარა სამივე თოფმომარჯვებული და ფრთხილად გადახედეს ფერდობზე ყანას... მაგრამ სადღა იყო ყანა?

– გულს შემოეყრებოდა კაცს – დათვს თითქმის მთლიანად გაენადგურებინა სიმინდი, თვითონ კი აღარსად ჩანდა...

– ე, ხომ გითხარი, პაპუნა, ტყუილად მაცდენ-მეთქი, – უსაყვედურა ივანემ მეზობელს, – ეს ერთი დღის ნაქნარი არ არის, მთელი კვირა ყოფილა ის დათვი ამ ყანაში და შენ ახლა დაინახე, შევარცხვინე შენისთანა მეველე, შეიძლება, სულაც არ იყო დღეს და ახლა ამბობ, ჩემს გადასვლა-გადმოსვლაში მოსპოტ ყანა დათვმაო...

– რას ჰქვია, დღეს არ იყო, რა ერთი კვირა, კაცო? ბოლოდან მოყვებოდა, მე რომ სოფლისკენ გამოვიქეცი, აი, ა, ხედავ ამას, ხომ ხედავ? – დათვს ყანაში მოესაქმებინა და წასულიყო, – აგრ სულ ახალი ნაქნარია, დაადე ხელი, თუ თბილი არ იყოს ისევ...

– რას ამბობ, კაცო, რას დავადო ხელი, დათვის მწვადებზე გაქეიფებთო და მის ნეხვს მთავაზობ?!

– შეგირცხვა შენ ნამუსი, ამისთვის მაცდენ, ამისთვის გადმომიყვანე აქ? მართლა არ ლირებულა შენთან მეზობლობა, დამანებე ერთი თავი, – შემობრუნდა ივანე, – წამოდი, პეტრე, თუ კაცი ხარ, უსადილოდ დაგვტოვა მაგ ოხერმა და ახლა ნეხვში ურიე ხელიო...

შერცხვენილი, იმედგაცრუუბული და წაწყენი მეველე მარტო დარჩა და მხოლოდ ერთს ფიქრობდა, როგორმე იმ დათვის ჯავრი ამოეყარა...

სამი დღე ათევდა ღამეს წამხდარ ყანაში პაპუნა იმ იმედით, რომ დათვი ისევ მოვიდოდა და სამაგიეროს გადაუხდიდა, მაგრამ ნადირი აღარ გამოჩენილა... ამასობაში სოფელმა გაიგო მეველეს თავს გადამხდარი ამბავი და მის დანახვაზე ყველა მხიარულად იცინდა, თან ეკითხებოდნენ, როგორ იყო პაპუნა თქვენი ნადირობაო...

ერთ საღამოსაც დაადგა მეველე გზას ყანისაკენ თავისი ძველი თოფით. გადახედა გათქერილ სიმინდებს და კარავში შევიდა. მალე ღამე ჩამოწვა ტყი-

ან მთებზე. თივადაგებულ ფიცარზე წამოწოლილი პაპუნა სახურავთან დარჩენილი ლიობიდან მთვარეს უცქერდა და ათასი ფიქრი უტრიალებდა. დათვი აღარ ახსოვდა. ყმანვილკაცობის ერთი შემთხვევა აგონდებოდა ახლა: მთიდან მომავალი ზაფხულის მთვარიან ღამით ქალწულის ბანაობას რომ შეესწრო ამ ყანის იქით ჩამომდინარე პატარა მდინარის ჩანჩქერში. ისევ წარმოუდგა თვალწინ დედიშობილა მდედრის საოცრად მოხდენილი სხეული, მდინარისპირა ხეების კენწეროებიდან ღამის მნათობის ჩამოლწეული სხივები რომ ეფერებოდნენ. ახლოს მისვლა ვერ გაებედა, არ შევაშინოო, შორიდან კი ვერ იცნო მეზობელი პატარა სოფლიდან გამოსული ღამეული მშვენება, ასე რომ მოხიბლა სამუდამოდ... ამ ფიქრებში გართულმა შეამჩნია, რომ უცებ ქედის თავიდან მომზირალ მთვარეს რაღაც ჩამოეფარა და მთელი კარავი ჩრდილში მოაქცია. ღრუბელი არ იყო ცაზე და ამან გააკვირვა. ეს ჩრდილი ერთხანს მოძრაობდა თითქოს, მერე კი გაჩერდა. ნელა წამოინია საწოლიდან პაპუნამ და გარეთ გაიჭვრიტა. კარავი ბორცვის ცოტა დაბლა, მყუდროში იყო ჩადგმული, ბორცვზე კი ნაცნობი, უზარმაზარი დათვი გახევებულიყო. სწორედ ის ჩამოფარებოდა მთვარეს, კარვისკენ იცქირებოდა და ხევიდან მონადენ ნიავს ყნოსავდა თითქოს. თუ არ მოვასნარი რამე, ალბათ, კარავს დაეცემაო, ჩათვალა გულაბაგუნებულმა მეველემ. ვერ შეველევი შენ გამო მთვარის შუქსო, გაიფიქრა დათვის მისამართით, თითქოს მეტ დანაშაულს არ მიაწერდა მას. გადადო წყნარად თოფის ლულა თხილის წნელით ამოლობილ კარვის კიდეზე, კარგად ამოილო მიზანში დათვის თავი, ესროლა და იქვე უსულოდ გააგორა ნადირი. მერე გამოვიდა გარეთ, დაათვალიერა გულმოდგინედ წანადირევი, შებრუნდა კარავში და ისევ წამოწვა. გათენებამდე ორიოდე საათი

დარჩენილიყო. დილაადრიან სოფელში გადმოსულს არავინ დაუჯერა დათვის მოკვლის ამბავი, მხოლოდ ძმას შეებრალა და გაჰყვა ხარ-ურმით.

გალალდა სოფელი მსუქანი დათვის ხორცით...

შემომწყრალ მეზობელთან თვითონ გადაიტანა დიდი გობით ნანადირევის საუკეთესო ნაწილი პაპურამ და ისევ საუკუნოდ შემოირიგა...

ტყეებისა და მთების გასახსენებლად

ზაფხულში შინ მოტანილი, ზამთარში ქვაც კი გაიკვნიტებაო, უთქვამს ხალხს. ზაფხულში მრავალჯერ ვიყავით მთებში, მაგრამ ახლა შემოდგომისას გიყვებით: ტყეები რომ კარგად გადაყვითლდა, მთისძირებისკენ გაგვინია გულმა. ამ დროს უხვნაყოფიანია ჩვენი ტყე – მრავლადაა თხილი, წაბლი, წიფი, ზღმარტლი, პანტა, მაუალო, ძახველი და სხვა. სოკოც იშოვება თბილ დღეებში. განა შინაური ხილი გვაკლია, მაგრამ გარეულიც მოვიტანოთ, ზამთარში ტყეებს გაგვახსენებს, თოვლიან მთებს წარმოგვადგენინებს და არა მარტო ოცნებით ვიქნებით მათთან, ამ მცირე თავშესაქცევით ტყის ჯანსაღ გემოებსაც ვეზიარებითო... მოდი და ნუ აუპამ მხარს, ასეთ რამეს რომ გეტყვის სულ საქმეში გართული ქალი...

ჯერ ტყისპირების თხილები დავათვალიერეთ. არა, აღარ ესხა, ძირს ჩამოცვენილიყო მთლიანად კარგად შემოსული ნაყოფი. ავკრიფეთ ბლომად, ერთგან ხეზე ციყვები დავლანდეთ, ალაგ-ალაგ დატოვეთ, მითხრა მან, ციყვებმაც ხომ უნდა იხეირონ წლის მოსავლითო. თითქოს მეტი თხილი არ იყო ტყეში ან ჩვენს უკითხავად ერთი არ ექნებოდათ აღებული ციყვებს... მეღიმება მის ზედმეტ ყურადღებაზე ტყის პინადრების მიმართ. ამას წინათ დედას ჩამოცილებული დათვის ბელი

შეგვხვდა. იმდენი სდია, სანამ თავისი ნახელავი ნამცხვარი არ დააგემოვნებინა... შინ წავიყვანოთ, რახან ასე მოგნონს-მეთქი. არაო, ძალიან სულელია, ვინ მოუვლის ამასო, იცინოდა... მერე კი გადმოუტრიალდა გული, დედა დათვი რომ გამოჩნდა უცებ ახლოს. კიდევ კარგი, მოცილებულები ვიყავით ბელს საკმაო მანძილზე, თუმცა ახლოსაც არ მოგვარებია, შორიდან გადაგდებული ნამცხვრის ნატეხი გადასანსლა... მე მსხვილი ტყვიები ჩავაწყვე თოფში ყოველი შემთხვევისათვის. აუ, ეგ არაო, თან მიშლიდა, თან კანკალებდა და მეკროდა მხარზე. ერთი მოგვხედა დათვმა, მერე ნაჟკრა ტორი იმ თავის ბელს, გაიგდო წინ და მიიმაღნენ ტყეში...

მერე წიფლის ნაყოფი – წიფი ვაგროვეთ. ის ხომ უამრავია, თუ გინდა, ალპურ სათიბებამდე აჟყევი უკიდეგანოდ გადაშლილ წიფლნარებს. მე სულ ზევით და ზევით მივარბენინებდი, სადმე უფრო მსხვილნაყოფიანი წიფლები შეგვხვდება-მეთქი. ხვდებოდა, წიფლის ნაყოფის შეგროვებას შემოდგომის ტყეებში ხეტიალი რომ მერჩივნა, იცინოდა და მომყვებოდა ხალისით, მასაც ხიბლავდა შორეული, უკაცრიელი და იღუმალებით მოცული უღრანები. ერთგან ქედზე ავიმაღლეთ. დავსხედით ხმელი ფოთლებით დაფენილ კორდზე, მომეყრდნო ზურგით და ღიმილჩამდგარი თვალებით დიდხანს უცქერდა აყვითლებული ტყეების იქით გარინდებულ მთის წვერებს. თან მესაუბრებოდა თავისი ლამაზი, უცნაური და უსათუთესი წარმოდგენების შესახებ... მასაც მიზეზი უნდოდა – ტყის ნაყოფების შეგროვების საბაბით იქაური სანახებით ტკბებოდა...

მერე მთის ნაკადულთან მზიან ნაპირზე გავჩერდით კარგა ხანს. ანკარა წყალს წითელ-ყვითელი ფოთლები მოჰყვებოდა. მოლივლივე ნაკადში გადახრილი მზის სხივები ირეკლებოდა და მისი ლიცლიცით მოხიბლული დიდ-

სანს აკვირდებოდა გაღიმებული წყნარად მოცერიალე დინებას. ნაპირებზე ხმელი ფოთლები დაფენილიყო და შემოდგომის უბადლო სურათი იხატებოდა ხევში. შემდეგ მაღლა ავუყევით და წყლის პირას ფერდობზე წაქცეულ ხმელ ხეზე უამრავი მანქუვალა სოკო ვნახეთ. თითქმის ახლად მოსული, თეთრი და სუფთა. ის ლამის აცეკვდა სიხარულით, ჯერ კარგად დაათვალიერა ხის ტანი, მერე მიჰყვა ბოლოდან და ნელ-ნელა დანით დაუწყო აჭრა. დიდი საველე ჩანთა გავავსეთ, ცოტა დაგვრჩა კიდეც, თუმცა არ დაგვნანებია, იქნება, სხვამაც ნახოს ეს ხე და გაუსარდება, თქვა ნაპოვნით კმაყოფილმა...

წაბლებისაკენ ვეღარ გადავედით. ამჯერად თხილით, წიფით და მანქუვალით დავკმაყოფილდით. ცოტა წითლად დაბრანწული მაჟალოც წავკრიფეთ გზის პირას შინ მომავლებმა... მაჟალო ტყის ვაშლია.... ჰო, ვამლზე გამახსენდა... ზამთარში ვაშლს თუ გათლიან, კანს გახურებულ ღუმელზე დადებენ ან ცეცხლში ჩაყრიან, რომ შეიბრაწოს და სუნი გაუვიდეს. ეს ძველი ჩვეულებაა, ამბობენ, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ერთი ჩიტი ამ ვაშლის დამწვარი ქერქის სუნით ცოცხლობსო – ჰო, ასეთი მცირე რიტუალიცაა ხალხში დარჩენილი... და თუკი ჩიტი ცოცხლობს ვაშლის კანის სუნით, რა გასაკვირია, რომ გარეული მცირე ნაყოფებით ზოგჯერ ჩვენც ვიხსენებთ მთებსა თუ ტყეებს და ამ გახსენებით სიცოცხლეს ვიღამაზებთ...

მუხა გზის პირას

ახალი წლის წინა კვირას სამუშაოდან მონავალა ბიჩინა, სადურგლო იარაღებით სავსე ჩანთა ჰქონია გადაკიდებული მხარზე. დიდი თოვლი ყოფილა ირგვლივ და კვლავ თოვდა თურმე. ბასილა უნახავს ჭალაში, გაჩერებულიყო, ნაჯახი ამოეჩარა ილლიაში და მუშტრის თვალით შესცეკერდა გზის პი-

რას ბუჩქნარში აღმართულ დათოვლილ მუხას... გახსენებია ბიჩინას, ვიღაცას ეთქვა, ბიძაშვილთან აქვს ცოტა ნაწყენბა, ორივეს უნდა შერიგება, მაგრამ არ თმობენ, არ იმდაბლებენ თავს, არც ერთი არ აპირებს, პირველმა გადადგას შესარიგებლად ნაბიჯიო. მიახლოებია, მისალმებიან და მოუკითხავთ ერთმანეთი.

– რას აკეთებ აქ ამ თოვაში, ბასილო?

– რა ვქნა, ჩემო კეთილო, მოსავლის აღების მერე საშოვარზე ვიყავი წასული, ცოტა ფული შემოვაგდე ოჯახში, მარა შეშა დამირჩა მოსატანი, ერთი ღერი არა მაქვს ეზოში, სიცივით მიწყდება ბოვშები. აგერ ჩამოვედი, კი ხედავ, იმხელა თოვლია, გზიდან გადასვლა გაგიჭირდება კაცს, ჰოდა, ეს მუხა უნდა გავიმეტო. იქნება, დავაპო, როგორმე ცოტა-ცოტა ავათრიო სოფლამდე და ახალ წელს მაინც გავათბო კარგად სახლიო, – უპასუხნია ბასილას.

მისი მომდურავი ბიძაშვილის სახლზე მრავლად მიყუდებული, დაპობილი და მზეზე გაფიცხებული შეშა გახსენებია ბიჩინას. ისიც წარმოუდგენია, თუ რამდენი უნდა ეწვალა ამ ნაშრომ კაცს, თოვაში შეშა რომ მოეჭრა და მერე მხარზე გადებული წვალებით აეტანა გრძელ აღმართზე. ჩაუცინია ერთი და უთქვამს:

– შეშა არ ვიცი მე, შენთან უნდა ვიქეიფო დღესო!

შეცდუნებულა ბასილა, მაგრამ მას-პინძლობაზე როგორ უნდა ეთქვა უარი სოფელში სამართლიან, მშრომელ და კარგ ხელოსნად მიჩნეული კაცისათვის?

– კი, წამობრძანდი, ჩემო კეთილო, მარა ერთ-ორ ფიჩხს მაინც მოვძებნი სადმე და წამოვიღებო, – უთქვამს მორიდებით.

– შეშის დარდი ნუ გაქვს, გამიძეხი წინო, – ისევ მოუთხოვია ბიჩინას.

– კარგი, ჩემო კეთილო, არ დავეძებ

შეშას, წამოდიო, – გაულიმია ბასილას ნაძალადევად, შემობრუნებულა და გამოძლოლია სტუმარს წინ.

გამოჰყოლიან ლაპარაკით თოვლიან გზას. შეშა აღარ უხსენებია არც ერთს. კარგა ხნის შემდეგ ამოსულან სოფელში და მიღვიმიან ბასილას ეზოს.

– მობრძანდი, ჩემო კეთილოო, – გაულია ჭიშკარი მასპინძელს.

– შედი შენ სახლში და მეც მალე მოვალო, – უთქვამს ბიჩინას.

შესულა ბასილა შინ. ბიჩინას კი დაუძახინა მასპინძლის მომდურავი ბიძაშვილისთვის, მეზობლადვე რომ ცხოვრობდა თურმე, ერთი ლობე რომ ჰყოფდათ, გამოუხმია გარეთ და უთქვამს:

– აიღე ახლა ოთხი-ხუთი კარგი შეშის ნაპობი, გადმოაწყვე ამ შენი ბიძაშვილის ეზოში და შენც აქ გადმოდიო!..

ჩაღიმებია ბასილას ბიძაშვილს, მიმზვდარა ბიჩინას ჩანაფიქრს.

– კაი, ჩემო ბატონოო, – უპასუხნია, – ოთხი კი არა, შვიდი იყოსო, – და მართლაც შვიდი თუ რვა კარგი დიდი წიფლის ნაპობი გადაუწყვია ბიძაშვილის ეზოში.

რვა ნაპობი უკვე ერთი ურემი შეშაა, რასაც ბასილა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, სამი დღე ვერ ამოიტანდა ჭალის ტყიდან.

შესულა ბიჩინა ბასილას ბიძაშვილთან ერთად ეზოში და დაუძახინა მასპინძლისათვის, გამოდი გარეთო.

გამოსულა გარეთ ბასილა, გაკვირვებით შეუხედავს ბიძაშვილისა და იქვე დაყრილი ნაპობებისთვის.

– ჯერ ბიძაშვილს მიესალმე, მერე ხერხი და ნაჯახი მოიტანე და შეშა დავჩეხოთ! – უთქვამს ბიჩინას.

მიმხვდარა ყველაფერს ბასილაც, გახსარებია, გადახვევია ჯერ ბიძაშვილს, მერე ბიჩინას.

– შენ აგაშენა ღმერთმა, ეს რა საქმე გამიკეთე, ბიძაშვილიც შემარიგე, ტყეში წვალებასაც ამარიდე ამ სიცივეში და შეშაც გამიჩინე ეზოშიო!..

– კარგი, ახლა საქმეს მივხედოთო, – უთქვამს სტუმარს.

დაუწყიათ სამივეს შეშის დახერხვა და დაპობა. ცოტა რომ დაუჩეხავთ, ბიჩინას უთქვამს მასპინძლისთვის:

– შეუტანე ეგ შეშა ქალებს სახლში და მარანში წადი, დანარჩენს ჩვენ მივხედავთო.

ქალები უკვე ემზადებოდნენ სტუმრების დასახვედრად, მაგრამ ამდენი ხმელი შეშა რომ დაუნახავთ, უფრო ხალისიანად დატრიალებულან. ბასილას საუკეთესო ღვინო ამოუღია, ხოლო მის შემორიგებულ ბიძაშვილს და ბიჩინას ამ ხნის განმავლობაში მთლიანად დაუხერხავთ და დაუპიათ შეშა. მერე ბავშვებიც გამოუხმიათ გარეთ, ამ დაჩეხილ შეშას თოვაში ხომ არ დავტოვებთო და ფარდულში შეუტანიათ.

დამსხდარან გახურებულ ღუმელთან, გაშლილა სუფრა. თამადად, როგორც შეხვედრის მოთავე, ბიჩინა დაუნიშნავთ ახლად შერიგებულ ბიძაშვილებს და დაუწყიათ ქეიფი. რაც იქ ითქვა, ყველაფრით არ შეგაწყენთ თავს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საუკეთესო ღვინით იქებდა ბასილა თურმე თავს და გულით სთავაზობდა სტუმრებს:

– დალიეთ, დალიეთ, მარტო წვენია, ჩემი ვენახის ცრემლია, წვეთი წყალი არა აქვს გარეულიო...

რა პატარა ბიძგი ჰყოფნის ზოგჯერ ადამიანს სიკეთის, სიყვარულისა და სათნოებისაკენ მოსაბრუნებლად! – სამი თვის დამდურებული ბიძაშვილები თურმე ისე შეხმატებილებულან, თვალში რომ ჩავარდნოდნენ ერთმანეთს, ხელს არ ამოისვამდნენ...

მერე, ამინდი რომ გამოსულა, ისევ ბიჩინას რჩევით, ხარიანი კაცები მოუხმარებია ბასილას, ზეხმელი წიფელი მოუჭრიათ მთის ძირას და ახალი წლის წინა დღეს მთელი ზამთრის სამყოფი შეშა მიუტანიათ...

დღეს აღარც ბასილაა ამქვეყანაზე, აღარც მისი ბიძაშვილი და აღარც ბიჩი-

ნა. არც ამ ამბავს იხსენებს ვინმე. ჭალაში, გზის პირას, სადაც იმ თოვლიან დღეს სტუმარ-მასპინძელი შეხვდა ერთმანეთს, ისევ დგას უკვე ხანში შესული მუხა და მშვიდად გასცექრის ხევის აქეთ-იქით აღმართულ ტყიან ქედებს...

სალოცავი ტყიან ქედზე

თბილი მზე დაჟყურებს სოფელს და მის ირგვლივ აღმართულ ტყიან ქედებს. ერთ-ერთ ქედის ამაღლებულ თხემზე მდებარე ძველ სალოცავზე ვიღაც მშვიდად დამდგარი კაცი თვალს ხან ხატებს ავლებს, ხან ცას, ხან მთების წვერებს და ჩურჩულებს – მგზნებარედ ლოცულობს. იქვე, ძველი ტაძრის შემორჩენილი საფუძვლის ყველაზე დიდ, გაშავებულ ქვაზე რამდენიმე სანთელი ანთა... შორიდან ძალლის ყეფა ისმის, ლამის წყავნებული გადასული – მწევარი მისდევს სადღაც ტყეში გარეულ ცხოველს... მშვიდი მზით დაფენილ სალოცავს, სავარაუდოდ, ღვთის თვალი დატრიალებს, რადგან მლოცველი კაცი უცნაური შეგრძნებებით ივსება, თითქოს მაღლა იწევს მიწიდან და ღვთიურ-მზიან სიმშვიდეში ლივლივებს სულით... თან ეს საამო ლივლივი მარადისობას-თან აკავშირებს, წარსულსა და მომავალში გადახედებს... თავის წარსულსა და მომავალში კი არა, იმ დროებში, ამ სალოცავის ირგვლივ რომ ტრილებდა და რომ დატრიალდება... ხედავს, როგორ ინგრევა პატარა, მიტოვებული ტაძარი ქარიშხლიან ღამეში, ჯერ ერთი მხარე ჩამოენგრევა... მერე წვიმები და თოვლი შლის ნელა მის კედლებს... იმასაც ხედავს, როგორ ყრის აქედან ჯვრიან ლოდებს ვიღაც სულელი კაცი ხევში... ციცაბო ფერდობზე თვალსაც მიაღევნებს მათ, რომ დაიმახსოვროს, სად გაჩერდებიან, რათა მერე მოძებნოს და ამოიტანოს... მაგრამ ამჩნევს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მოდიდებული მდინარის ტალღები მიაგორებს

იმ ლოდებს და ამ მღვრიე ტალღებში ეკარგება თვალსაწინერიდან... მერე მომავლისკენ გაიხედავს და შორიდან, ხევში გაშლილი სოფლიდან აღდგენილ პატარა თეთრ ტაძარს მოჰკრავს თვალს აქ, ამ ადგილზე, სადაც ახლა თვითონ დამდგარა... ღროთა ბრუნვით იცვლება მის ფიქრებში შემოგარენი... მაგრამ წაართმევენ ამ ხილვას, გამოიყვანენ უჩვეულო სანახაობიდან და აწმყოში დააბრუნებენ უცებ – მოახლოებული ძაღლის ყეფა გამოარკვევს... დამფრთხალი შველი ამოირბენს ფერდობს, ნატაძრალის გადარჩენილ კედლებს შეაფარებს თავს და განსაცდელის მოლოდინში გაირინდება. მლოცველი კაცი შვლისკენ გაინევს, დაამშვიდებს, ნუ გეშინიაო, ეტყვის... შველიც თითქოს მიენდობა მას, მეტი გზა მაინც არ აქვს – წინ ფრიალო კლდეა, უკან ძაღლი მოსდევს; ცალი მხრიდან მონადირის ქშენა ისმის უკვე, ხოლო მეორე მხარეს ნატაძრალის კედელია და ეს, მლოცველი, გადარჩენას რომ ჰპირდება...

– გამოეცალე, კაცო, უნდა ვესროლო!
– ყვირის მოახლოებული მონადირე.

– რას უნდა ესროლო, უგნურო, სალოცავზე ხარ! – აღშფოთდება მლოცველი.

– ღვთისია, სალოცავი არ ვიცი მე, მთელი დღე დავდევ მაგ შველს, ფეხები აღარ მივარგა, ხელცარიელი რომ მივიდე კიდევ სახლში, ჯერ ჩემი კაპასი ცოლის წუწუნი შემშლის – ტყუილად დაეხეტებიო – მერე ცარიელ პურზე დარჩენილი ბატვების საცოდაობა...

– შე მართლა საცოდავო, მაგათ შეგშალონ, გერჩიოს, ვიდრე ღვთის წყრომა მოგეწიოს. დაუშვი თოფი და გააჩუ-მე ეგ ოხერი ძაღლი!..

– რა გინდა, ღვთისია, შენ ეზოში შემოვედი თუ რა?! მონადირე ვარ მე და არა მლოცველი...

– შევარცხვინე შენისთანა მონადირე, ხეცია, სალოცავი ყველასთვის რომაა, არ იცი შენ?!

– გამოაგდე ეგ ოხერი აქეთ და სხვა-
გან ვესვრი, მოვერიდები მაგ სალო-
ცავს, მეტი რა ვქნა?

– ეს რახან სალოცავზე შემოვიდა,
ვერსადაც ვერ ესვრი, გაიგე?!

– რა გინდა, ღვთისია, დამანებე ეგ
შველი!..

– გააჩუმე ეგ ოხერი ძალლი და მო-
ვილაპარაკოთ, – მონადირისკენ გად-
მოადგა ფეხი ღვთისომ.

– რაზე მოგელაპარაკო, კაცო, შენი
გაზრდილია, რომ არ მაკვლევინებ?!

– არა, დაგვითმე მე და სალოცავს...
სამაგიეროდ რამეს მიიღებ?..

ამასობაში შველს ერთი მხარე გა-
უთავისუფლდა, რადგან მყეფარს ად-
გილი ეცვალა, პატრონს ამოდგომო-
და გვერდში, ჰოდა, ისკუპა გარეულმა
ცხოველმა და ტყეს მისცა თავი.

– ე, ბიჭო, გაიქცა, რა მიქენი ეს,
ღვთისია, რავა გამომაცალე ლუკმა ხე-
ლიდან, მიშველე, კუსა, ეცი, არ გაუშ-
ვა!..

ძალლმა სალოცავის გავლით მოინ-
დომა შვლის დადევნება, გაქანდა და ის
იყო, სანთლებიან ქვას უნდა გადახტო-
მოდა, რომ ღვთისიას წიხლი მოხვდა
ყბაში და უკან გამოვარდა აკივლებულ-
ანკუმუტუნებული...

– რას შვები, შე უპატრონო, გარეუ-
ლის მოკვლა არ შეიძლება სალოცავზე
და შინაურის შეიძლება?!

კარგა ხანს ისმოდა ნატაძრალის ქე-
დიდან კაცების კამათი... მზის ჩასვლი-
სას ჩაწყნარდა იქაურობა, მშვიდმა ნი-
ავმა იქროლა ერთხანს ხეებს შორის და
მერე ღამის ბინდმა მოიცვა არემარე...
– რავა მორიგებულან მერე? – ეკით-
ხება მეორე დღეს მოხუცი ლაზარე თა-
ვის კბილა ბასილას.

– დაუთმია ღვთისოს, ნამოუყვანია
სახლში და იმ გაქცეულ შველში ცხვა-
რი მიუცია – აპა, დაუკალი და აჭამე
ცარიელ პურზე დარჩენილ ცოლ-შვილ-
სო, თითქოს იმ სალოცავისთვის შემე-

წიროსო. მეც დავაშავე, ძალლი გავლა-
ხე სალოცავზე... მართლა უვარგისია
ის ოხერი ხეცია, სალოცავზე ნადირობა
როგორ უნდა იკადროს კაცმა?!

– ჰო, ჰო... მე სხვა რამესაც ვფიქ-
რობ...
– სხვას რას ფიქრობ?..

– გადაგვარდა ხალხი, – დანანებით
თქვა ლაზარემ. – უყურე ახლა შენ, ნა-
დირობის უინი შინაური ცხოველის შოვ-
ნით დაიცხრეს, სათნოების გამოხატვა
თუ ბუნების დაცვა ქრთამით მოახერ-
ხეს და ნანადირევიც შინაური ცხოვე-
ლით ჩაანაცვლეს. ჰა, ასე არ მოხდა?..
შვლის მაგიერი ცხვარი გახდა, მე-
რე ირმის მაგიერ ძროხას მოითხოვენ,
დათვის მაგიერ – ხარს... გაგვიცვლია
შინაური ცხოველები გარეულში და
ეგაა!.. ცხვარი კი არ უნდა მიეცა, უნდა
შეეგნებინებინა მაგ ხეციასთვის, სადაც
არ შეიძლება მოკვლა, რატომ არ შე-
იძლება და სხვაგან გაეგზავნა სანადი-
როდ... გადაგვარდა ხალხი, გადაგვარ-
და... ღმერთო, ღვთისმშობელო, სამება
ძლიერო, თქვენ გვიშველეთ! – ქუდს
იხდის, ქედის სალოცავისკენ იყურება
ლაზარე და პირჯვარს იწერს...

ნაახალწლევს

ზამთრის მზე თვალის მომჭრელად
აელვარებს სოფლის ვენახ-საყანეებში,
გზებსა და ტყიანი მთების ფერდობებ-
ზე სქლად დადებულ თოვლს. დილის
სუსხს შემთხარი ჰაერი ცვლის. სიმო-
ნას ჭიშკარს ბახო მიდგომია და მოუთ-
მენლად ეძახის მასპინძელს.

– მოდი, კაცო, რა შორიდან იძახი? –
სახლის კარს აღებს სიმონა და ეპატი-
უება მეზობელს...

იქვე მისი ცოლიც გამოყოფს თავს
და ისიც შინ შესვლას სთხოვს ბახოს...

– მობრძანდი, ბახო, ნაახალწლევია,
დაილოცე...

– არა, არა, რამდენჯერ დავილო-
ცე უკვე!.. არ მცალია მანდ მოსასვლე-

ლად... შემოიცვი რამე და ბიჩინასთან გადავიდეთ ცოტა ხანს, – მიმართავს თანდილას...

– ხომ მშვიდობაა? – მღელვარება შეეტყობა მასპინძელს. – წამოგეყვანა აქეთ, ვილაპარაკებდით, ძროხა მოვლი-ლი ეყოლება უკვე...

ბიჩინა მათი მეზობელია, ოღონდ უფრო ხნიერი. მათ ახლოს ცხოვრობს. ცოლი მეორე კვირაა ქალაქში ჰყავს გაგზავნილი შვილებთან – ცოტა ვერ გრძნობდა თავს კარგად და ექიმთან გავუშვი გასასინჯად, თან შვილიშვი-ლებთან გახალისდება, მომჯობინდება და ნაახალნლევს ჩამოვაო. ოჯახს თვი-თონ უვლის მარტო. მეზობლები, ბახო და სიმონა, ხშირად შეუვლიან, გაშლიან საღამოს ღუმელთან სუფრას, საუბრო-ბენ, იგონებენ ძველ ამბებს, ამბობენ სადლეგრძელოებს და ცოტა-ცოტას წრუპავენ წითელ ღვინოს. ორიოდე დღის წინაც, ახალ წელს, მეკვლეებად იყვნენ მასთან.

გამოდის სიმონა სახლიდან, გაცვე-თილი ქურქი მოუხურავს მხრებზე და ინტერესით შეჰყურებს ბახოს თვალებ-ში.

– რა იყო, ცუდად ხო არაა ი კაცი, ბიჭო? – მიახლოებისთანავე ეკითხება მოუთმენლად.

– კარგად არ უნდა იყოს იმის საქ-მე...

– რა ჭირს, ხომ არ გაცივდა, გუშინ საღამოს აღარ მინახავს. სიცხე აქვს თუ ისეა სუსტად?

– არ ვიცი ჯერ, ვნახავთ და გავი-გებთ, – მოკლედ ამბობს ბახო და თოვ-ლიან ბილიკს მიჰყვება.

– კაცო, თუ არ გინახავს, რატომ გვინია ცუდად? – უკვირს სიმონას.

– მგონი, აურია მოხუცმა, ვეღარ უნდა იყოს ჭკუაზე...

– ნუ იცი ხოლმე შენ კაცის წაკე-ნა... რატომ ვერ უნდა იყოს ჭკუაზე?..

– მაცალე, სიმონა, და გეტყვი... არა, მე რა ვიცი, მარა... ასე მგონია, რომ

მარტო ყოფნით და ფიქრით ცოტა ჭკუ-იდან გადასული უნდა იყოს... ის ქალიც რაღას აკეთებს იქ? კარგად ყოფილა და ჩამოსულიყო, მიეხედა ე კაცისთვის...

– რატომ უნდა იყოს, ბიჭო, ჭკუიდან გადასული? გუშინ დილას კარგად იყო კაცი...

– გუშინ დილას კი იყო კარგად, მაგ-რამ დღეს?.. მივიდეთ, გადაიხედე ეგერ ეზოში და ნახავ შენც სანახვს...

– რას ვნახავ, კაცო?! – მოთმინე-ბა ელევა სიმონას და მეზობლის ეზოს-კენ უკვე შეშფოთებული იყურება. – რა ხდება ეზოში?

– რა ხდება და, – წუთით ჩერდე-ბა ბახო. – ამდგარა ეგ შენი ბიჩინა და კარგი დიდი თოვლის ბაბუა დაუდ-გამს... ოთხმოცდასამი წლის კაცი რომ თოვლის ბაბუას დადგმას დაინყებს, კარგად იქნება მისი საქმე, ჰა?!

– რას ამბობ, კაცო?! – ახლა უკვე ღიმილნარევი შიში ისახება სიმონას სა-ხეზე. – იქნება, სხვამ ქნა ვინმემ, ბავ-შვმა...

– რომელმა ბავშვმა, კაცო... სამიო-დე ბავშვია ამ ჩვენს უპანში და რაღა ბიჩინას ეზოში შეიძარებოდნენ თოვ-ლის კაცის დასადგმელად?..

ამ ლაპარაკით შედიან ბიჩინას ეზო-ში და ამაყად წამომართულ თოვლის ბაბუას აკვირდებიან.

ირგვლივ სიწყნარეა. ლეკვობიდან გამოსული რუხი ნაგაზი ერთს შეჰყეფს, მერე მიუახლოვდება მოხუცებს და კუდის ქიცინით ფეხებზე გაეგლა-სუნება. მეზობლები სახლის კარს მია-ჩერდებიან მოლოდინით... თოვლის ბა-ბუა კი გარინდებულა ზამთრის მზეში და შეფიქრიანებულ მოხუცებს თითქოს ღიმილიანი მზერით უყურებს ნახშირის თვალებით...

– ბიჭო, ეს სტაფილო სადღა იშო-ვა ამხელა თოვლში, – თოვლის ბაბუას სტაფილოს ცხვირს აკვირდება თანდი-ლა. – ბოსტანს გადათოვლიდა ახლა ეგ ერთი სტაფილოსთვის?..

სახლის ფანჯარაზე ფარდა გადაი-
წევა. ცოტა ხნის მერე კარი იღება და
აპრნყინებული თოვლის გამო ხელით
თვალმოჩრდილული ბიჩინა ღიმილით
გამოხედავს თოვლის ბაბუასთან გაჩე-
რებულ მეზობლებს.

– რას უყურებთ, კაცო, მაგას, არ
მოგწონთ?..

მეზობლები ერთმანეთს გადახედა-
ვენ, მერე სიმონა პასუხობს გაუბედა-
ვად:

– მოგვწონს, კაცო, რავა არ მოგ-
ვწონს...

– როდის გააკეთე, ბიჩინა, ეს? –
კითხვას ბედავს ბახო.

– რა გავაკეთე, ბიჭო? – ახლა ბი-
ჩინაც გაკვირვებული უყურებს მეზობ-
ლებს. – ვის დასცინით თქვენ?.. მოდით
აქ, მაგის გამკეთებელმა დაგინახათ და
ბებიამისთან ერთად სუფრას გიშლით
უკვე...

– ვინ, კაცო, ჩამოვიდა ვინმე?


– ჩამოვიდნენ, ჰო, ჩამოვიდნენ...
ფეხით ამოსულან სოფლის ბოლოდან,
მანქანას ვერ ამოულნევია დიდი თოვ-
ლის გამო აქამდე. ნიაკო ჩამოყვა ბე-
ბიამისს და გუშინ დაღამებამდე აკე-
თებდა მაგას... იმის ძმებიც ჩამოვლიან
სამიოდ დღეში...

სახლიდან მაღე თორმეტიოდე წლის
გოგონა გამოდის და ღიმილით ესალ-
მება თოვლის ბაბუასთან დამდგარ ბა-
ბუებს... მერე ბებიაც გამოდის გარეთ,
მეზობლებს მოიკითხავს და შინ ეპატი-
უბა:

– მობრძანდით, ნაახალნლევია, და-
ილოცეთ, თან ნიაკოს ჩამოსვლაც ალ-
ვნიშნოთო...

სამი ბაბუა სახლში შედის. ბებია
სუფრასთან იწვევს, ხოლო ნიაკო, ქვე-
ყანას გუშინ საღამოს მოვლენილი მე-
ოთხე ბაბუა და მუდამ კუდმოქიცინე
რუხი ძალი გარეთ რჩებიან თოვლიანი
ეზოს გასახალისებლად...





ისა ქაძოევი

გაბრიელიადა

პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური თვითმხილველი და თანაგანმცდელი იყო ინგუშთა ტრაგედიისა, იმ უსამართლო დროებისა, როდესაც ლვიძლშვილთაგან დაიცალა ინგუშეთი/ღილლო. ინგუშთა ნგრეული აულების მემატიანემ, გაბრიელ ჯაბუშანურმა, თავისი პოეტური სიტყვით მოვითხრო უკაცურობით დალონებულ ღილლოს ბედსა და ისტორიაზე. ინგუშები მას თავიანთი ქვეყნის ცამეტწლიანი დაკარგული ისტორიის მემატიანედ მიიჩნევენ, მწერალი ისა ქაძოევი (ისა კოაზო), ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე, ინგუშეთის საზოგადოებრივი მოძრაობა „ნიისხოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ქართველ პოეტს უძლვნის ესეის სახელწოდებით „გაბრიელიადა“.

მაშინ ჭაბუკი ვიყავი...

1958 წლის შემოდგომაზე ჯაირახის მონახულება გადავწყვიტე, თბილისის ავტობუსიდან ჩმისთან ახლოს ჩამოვედი და ფეხით გადავიარე თერგზე გადასასვლელი ხიდი. ვიდრე არამხის მივუახლოვდებოდი, ორ ქვეითს წამოვენიე. მიდიოდნენ და თან გამუდმებით ძირს იხრებოდნენ. მოგვიანებით შევიტყვე, რომ სიმინდის მარცვლებს აგროვებდნენ, გამვლელებს ფეხით რომ არ გაეთელათ – ეს ხომ ცოდვაა. თურმე ვიღაცას სიმინდი დასაფქვავად წამოელო, ტომარა კი გარღვეული ყოფილა. ერთ-ერთმა მგზავრმა მითხრა, რომ ის სულთან ცუროვი იყო და იმხანად სოფლის საბჭოს თავკაცობდა.

სულთანს ყაზახეთიდან ვიცნობდი, იმ ინტერნატის მნედ მუშაობდა, რომელშიც ვცხოვრობდი. სულთანმა თანამგზავრზე მიმანიშნა:

– გაბრიელ ჯაბუშანურია, ხევსური. იცი, წერს.

მისი ნათევამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. გამოვემშვიდობე! არ გვეწერა ერთმანეთის გაცნობა...

ხამხი

როდესაც ხამხის კოშკები ცას მიაბჯინეს, ბერძნებს ის-ის იყო, ესწავლათ ქსლის ბეჭვა.

როდესაც ქაქებალის მიდამოები გაზაფხულის ყვავილივით გაიფურჩქნა, რომაელებმა სწორედ მაშინ დაიწყეს ტიპრთან მიწურების თხრა.

ათასწლეულები გავიდა და ბედუკულმართობამ სრულიად დააცარიელა ქაქებალის კოშკები. ხევსურეთიდან ხამხიში ჩამოსახლდა ორი ხალხის წარმომადგენელი, მომავალი პოეტი გაბრიელ (ჯაბრაილ) ჯაბუშანური.

•

გადმოხვეწილებმა ქაქებალის ველზე დაივანეს. მათთან იყო აღფრთოვანებული

ყმაწვილიც, იქაურობას ყურადღებით აკვირდებოდა... საუბრისას ჯერ კიდევ იხსენებდნენ ჩხუბს, თარეშს, შურისძიებას, ჩასაფრებას, ორთაბრძოლებს...

თვალწინ კი სულ სხვა სურათი იშლებოდა.

მუშტსაც იქნევდნენ და ერთურთსაც ებრძოდნენ, რა თქმაუნდა. ან ამის გარეშე სად გინახავთ ცხოვრება? განა მომხდარა ისე, მინდორში კოჭობანას თამაშის დროს ბაგშვებს არ ეპაექროთ?

გაბრიელი შეიცნობს ჭეშმარიტებას. ის ხედავს, ეს ქვეყანა იმ ხალხს ეკუთვნის, რომელიც ოდითგანვე აქ ცხოვრობდა.

ეს ქვადქმნილი სასწაული ამ ხალხის მარჯვენამ შექმნა.

ღობესთან მოეკლათ ერთგული ნაგაზი

ღობესთან მოეკლათ ერთგული ნაგაზი.

ეგდო ავტომატის ჯერით

დაცხრილული.

ბენგს შესწებებოდა სისხლი

გაყინული.

ღობესთან მოეკლათ ერთგული

ნაგაზი.

ცხოველი ვერასგზით გახდება
მუხთალი.

ახლოს არ მიუშვებს უცხოს და
დარაჯობს

პატრონის ეზო-კარს, სახლსა და
ხარაჩოს.

ცხოველი ვერასგზით გახდება
მუხთალი.

კაცი ყოფილიყო, გმირად
შევრაცხავდით.

ძალლზე მსჯელობა კი არც ვისი
ვალია.

თუმც ძალლად რომ იშვა, რა მისი ბრალია?

კაცი ყოფილიყო, გმირად
შევრაცხავდით.

ღობესთან მოეკლათ ერთგული
ნაგაზი.

ეგდო ავტომატის ჯერით

დაცხრილული.

ბენგს შესწებებოდა სისხლი
გაყინული.

ღობესთან მოეკლათ ერთგული
ნაგაზი.

ჰადიშათ

ჰადიშათ, ლამაზო, გამიქრე

ნაღველი:

ხომ არ გყვარებია ჭაბუკი
ლილღელი?

არაო, – მითხარი, მახარე, იხარე,
სხვაზე ნუ იფიქრებ, გთხოვ, მე შე-
მიყვარე.

ჰადიშათ, ღიმილი ცრემლებად

გეცევია,

ეგ ბუდე სისხლისმსმელ გველს
დაურბევია,

მტერმა ღილლო ქელა, მოსრა და
დაქოლა...

სად ხარ, ბედისწერამ საით
გაგაქროლა?!

გაბრიელის სიზმარი

– ჰეი! გაბრიელ, მიცანი?

– ჰადიშათი ხარ? სახლს დაუბრუნდი?

– წავიდეთ, გაბრიელ, გავმხიარულ-
დეთ, ხომ წამოხვალ?

– როგორ არ წამოვალ, ჰადიშათ, მე
ხომ მიყვარხარ!

ჰადიშათი წინ მიდის. გაბრიელი უკან
მისდევს, თავქუდმოგლეჯილი, მაგრამ
ვერ ეწევა. ვაჟს მის გვერდით ყოფნა
სწადია, უნდა, ჩახედოს თაფლისფერ
თვალებში, ფეხსაც უჩქარებს, მაგრამ
მაინც ვერ ეწევა.

– მოიცა, ჰადიშათ, ჩემო ნაცარა
გვრიტო. დამელოდე, ფეხი აგინყო,
შე მადლიანო. ჩამოვხმი შენი სიყვარუ-
ლით. შეიძლება, ჭკუიდან შევიშალო.

მხიარულად კისკისებს ჰადიშათი და
გარბის. გაბრიელს განუზრახავს, და-
ეწიოს და მოიხელოს. უეცრად ნისლი
ჩამოწვა.

ჯანღის კედელი წამოიმართა...

შეშინებულმა გაბრიელმა თვალები

დახუჭა, მერე ისევ გაახილა.

ვაიმე! – თეთრ თოვლზე წევს ჰადი-
შათი, ერთიანად გალიგვებული.

სმამალლა ატირდა პოეტი, დაიყვი-
რა... გამოერკვა...

– გაიყინა, – უთხრა თავისიანებს,
რომლებიც მის შეყვირებაზე გამოფხიზ-
ლდნენ. ქალი უსულოდ იწვა თოვლზე...

ოჯახის წევრებმა მწუხარე მზერა
გაცვალეს, ამოიოხრეს, სინანულით თა-
ვები გადააქინიეს.

საწოლზე კი პოეტი იჯდა, ამ სამყა-
როში უნებლიერ გზააბნეული.

გაბრიელი, წყარო და ჰადიშათი

იმ დილით ადგა და სათიბში
შესცურა,

შრომით დაიღალა კვლავ და
შინისკენ მავალი ქშინავდა ხევსური
გაბრიელს წყურვილი ჰელავდა.

გრანიტის შესადარ კლდეებსაც
ალბობდა

ბროლივით ანკარა წყარო.

„ჰა, შემსვი, გაბრიელ!“ – წყლის
ჭავლი ამბობდა,

ხომ ვიცი, მწყურვალი ხარო.

როცა ჩაიმუხლა წყაროსთან
ხევსურმა,

გაყვირდა, გული ვით ძგერდა:

წყალს სვამდა პეშვიდან და

ხელისგულებზე

საყვარელ არსებას მზერდა.

ჰადიშათ, შენ ჩემო სიზმრების
ფერიავ,

შენ – მუზავ და ნატვრისთვალო!

გთხოვ, შენი ამბორის უფლება

მომეცი,

მითხარ, რომ გიყვარვარ, ქალო!

პეშვში მოციალე იცინის ჰადიშათ –
ვერ გაკოცნინებო, ვერა.

პოეტმა წყლის ჭავლი სახეზე
შეისხა
და უცებ გაუთბა მზერა.

ასე აიჩემა წყარო გაბრიელმა,
თითქოს სწყურებოდა წყალი...
ზოგი დასცინოდა, ის კი მიდიოდა,
რომ კოცნით დაეთრო ქალი.

მოხუცი ხევსური

მოხუცი ხევსური ხამისი ციხესიმაგრის იქით გაშლილ უზარმაზარ ველს ქვებით ღობავს, თითქოს მის შემორაგვას ცდილობსო.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კეთილი მოხუცო! რა განგიზრახავს, რა-ტომ ღობავ ქვებით მინდორს?

— აი, ამ ადგილას ორი წლის წინათ, როდესაც მთიდან ღლილვები განდევნეს, ბევრი მათგანი დახვრიტეს — სენ-მორეულნი ფეხზე ვერ დგებოდნენ... ბალლები და უძლური მოხუცები დაუნდობლად ჩაცხრილეს და რიგებად ჩაამწკრივეს... მზემ სისხლი გამოუშრო. ქარმა მტვრით დაფარა ფერფლად ქცეული სისხლიანი ნაფეხურები. ყმაწვილო, თავადაც გაიგე და ჩვენს ხალხსაც უთხარი: ღილლები შინ აუცილებლად დაბრუნდებიან. და არ მინდა გვისაყვედურონ, რომ ფეხით ვთელავდით მათ სისხლს.

პირჯვარი გადაისახა მოხუცმა ხევსურმა და თავი მიწამდე დახარა.

გაბრიელ ჯაპუშანური მოხუცთან ერთად ლოცულობდა.

გაბრიელი და კატა


იმ მწარე ოთხშაბათს ეზოდან
რომ გადაიხვენა,
შემზარავმა ყვირილმა და
ჯარისკაცების სროლამ
დააფრთხო.
აბა, მხნეობა რა მისი საქმეა,

ის ხომ ერთი ციდა ცხოველია,
ადამიანის ხელისგულზეც რომ
დაეტევა.

არც იმის ჭკუა ჰყოფნის,
მიხვდეს, რა მოხდა სინამდვილეში.
ყველა ქმნილებას თავის ხვედრი
არგუნა ღმერთმა.

კატა ტყიდან ბრუნდება —
თავისი ეზო მოენატრა.
ეიმედება, რომ მშობლიური
ხელისგული მიუაღერსებს.
კატა ბრუნდება ტყიდან,
რათა გათბეს მშობლიურ კერასთან,
სადაც ცეცხლზე შემოდგმული
ქვაბიდან

დიასახლისი საგანგებოდ მისთვის
იღებდა პირველ ნაჭერს.
კარგი ყონისვა აქვთ კატებს,
საყვარელ სურნელს ათას სხვაში
გამოარჩევენ.
ჭიშკრის ბოძზე მოკალათებული



კატა
 მოწყენილ გორგალს დამსგავსებია.
 ალარ სცემს მშობლიური სუნი.
 ხოლო ხევსურ გაბრიელ
 ჯაბუშანურს
 კატის სევდა საკუთარ სევდად
 გაუხდია.
 ასეთია პოეტის ხევდრი.
 კატის კრავილი ადამიანის კითხვას
 ჰქოვს ზოგჯერ:
 „სად გაქრნენ ისინი?“
 გაბრიელ ჯაბუშანურმა კატას
 ვერაფერი უპასუხა.
 თავი ჩაღუნა ხევსურმა,
 თითქოს დამნაშავე ყოფილიყოს.
 ჩამოხტა მიწაზე კატა
 და ტყისკენ გაქანდა,
 ოდესლაც იქიდან მოსულიყვნენ
 მისი ველური წინაპრები.
 ის ხელმეორედ გააველურეს.

ხათუთა სულთანის ნაამბობი

ერთ ხევსურს, რომელსაც ხათუთა
 გულში ჩაჰვარდნოდა, გაბრიელი სამა-
 ჭანკლოდ მის ოჯახში გაეგზავნა. გაბ-
 რიელს თავი არ დაუზოგავს – სათქმელი
 გულდინჯად და მწყობრად ჩამოაყალიბა.

– ღმერთმა გადლეგრძელოს, გაბრი-
 ელ, ნამდვილი ხევსურივით ენაწყლია-
 ნო. არ დავიწუნებდი შენს მეგობარს,
 თუ საერთოდ გავთხოვდებოდი. მაგ-
 რამ უგულო ვარ. რად გინდათ უგულო
 სარძლო? გაგანდობ ჩემს საიდუმლოს,
 კარგად რომ გამიგო.

ქალიშვილი სიჭაბუკეში ნორჩ ხეს
 წააგავს ან მზის ქვეშ გაშლილ ალპურ
 ყვავილს.

არხოტის გზაზე მხედარი მიქროდა.
 უეცრად შეჩერდა და რაღაცის თქმა
 დააპირა. ხევსურულად მოუქცია:

– ხევსურეთში, ყოველ მეორეს მზე-
 ქალა, ყოველ მესამეს კი ხათუთა ჰქვია.
 მისასუხე, ქალიშვილო, ოლონდ – გულ-
 წრფელად, შენ რომელი ხარ ამ ორიდან.

– ხათუთა ვარ, – ვუპასუხე და მზე-
 რა შევავლე.

– ღმერთო ჩემო! – თქვა ღილლვმა
 და ჩამოქვეითდა. – შენ მზექალა უნდა
 გერქვას, ჩემო მზეთუნახავო ხათუთა!

და ტაში შემოჰკრა, როგორც ქის-
 ტებს სწევევიათ.

ირგვლივ ცბიერად მიმოიხედა,
 ემანდ, ახლომახლო ხევსური არ იყოსო.
 მერე მოულოდნელად მტაცა ხელი და
 ისე ჩამიკრა გულში, ძვლებმა ტკაცატ-
 კუცი დამიწყო. რეტი დამესხა.

– შე ღილლვო, შენა, ერთი ჩემმა
 ძმამ გაგიგოს.

მისი კოცისგან ღაწვზე ალმური შე-
 მომენთო, გული დატყვევებული ჩიტი-
 ვით მიცემდა. უნდა გავბრაზებულიყა-
 ვი, მაგრამ რაღაც მაკავებდა. მხედარი
 უკვე ბედაურს მიაგელვებდა და შავი
 ნაბადი მოეხვია.

– შენ მზის სხივი ხარ, წყაროს წყალ-
 ზე რომ აბრჭყვიალდება, აბრეშუმის
 სიმივით ხმატკბილი. ჩემი რომ ხარ, ეს
 შენს ლოყაზე კოცნით დავადასტურე.
 დავბრუნდები და დაწყებული საუბარი
 დავაბოლოოთ.

ღმერთმა ცოლქმრობის სიხარული
 არ განგვაცდევინა. ის აბრაგი იყო, ხე-
 ლისუფლებასთან შეურიგებელ ბრძო-
 ლაში დაიღუპა ჩემი თოვბათი. გაბრი-
 ელ, ვერ გაეხდები სხვა ოჯახის რძალი.

გაბრიელმა სევდიანად გაიქნია თა-
 ვი, მიუხვდა გულისტემას. გოგონას
 თვალები ცრემლებით აევსო.

– ბედნიერო თოვბათ, ერთგული სა-
 ცოლე აგირჩევია! – წამოიძახა გაბრიელმა
 და მეგობარს ქალის უარი შეუთვალა.

და ქუჩდა დამეში დღე

იქ, მთის მწვერვალზე, გრუბუნებენ
 უტყვი ქვემეხნი,
 იქ, მთის მწვერვალზე, თვალს
 აბრმავებს ტყვიების ბზინვა,
 იქ, მთის მწვერვალზე, შეჰევირიან
 ზეცას ღილლვები,

იქ, მთის მწვერვალზე, ისმის მსხვერპლის სულთქმა და გმინვა.

საკაცებით იჩქარიან
მწვერვალებისკენ,
დაჭრილთა კვნესა მოედება ფერდსა
და ბექობს,
იქიდან ხშირად სულმიხდილთა
ცხედრები მოაქვთ,
გრგვინვის და ზათქის შეირჩენენ
კლდეები ექოს.

ესმის გაბრიელ ჯაბუშანურს და
უხარია,
ცხადლივ ვერ იტყვის, მე ამ
გუგუნს მადლად ვიღებო,
ჩაელიმება და თავისთვის
ჩაბუტყუტებს:
„მკლავ გინინამძღვრდეთ,
მოგემართოთ ხელი, ღილღვებო!“

იქ, მთის მწვერვალზე, გრუხუნებენ
უტყვი ქვემეხნი,
იქ, მთის მწვერვალზე, თვალს
აბრმავებს ტყვების ბზინვა,
იქ, მთის მწვერვალზე, შეჰყვირიან
ზეცას ღილღვები,
იქ, მთის მწვერვალზე, ისმის მსხვერპლის სულთქმა და გმინვა.

ცხენი

ცხენი ჯაგნარში მიიმწყვდიეს, გარს შემოერტყნენ, დაიჭირეს. მოკლული მხედარი კი ბრძოლის ველზე ეგდო. გუშინ აქ ომიბდნენ. შეიპყრეს ცხენი. პირში ლაგამი ამოსდეს. ვინრო უნაგირი დაადგეს, სცადეს მისი დაურვება. ყველაზე მამაცი ბედაურს შემოატა.

ცხენი ყალყზე შედგა. საზარლად დაიხვისვინა. გადაქანდა და მინას დაენარცხა გულგახეთქილი. დამაფიქრებელი ამბავია და მაგალითადაც გამოდგება იმისთვის, ვისაც მოსმენა და ცხოვრების ფხიზლად განჭვრეტა ძალუძს.

ცახცახებდა აგონიაში მყოფი და, მხედრის მსგავსად, სული ამოსდიოდა ოთხფეხა მეგობარს.

ნეტავ, ყველა ორფეხიც ასეთივე ერთგული იყოს.

ეზდიელ-ზნეობანი გაბრიელის ნაამბობი

მიყრუებულ ხევსურეთში ძველ კოშკში გამოკეტილიყო ას ოც წელს გადაბიჯებული მოხუცი ლომია. აქ მარტო, სულ მარტო ცხოვრობდა.

მოხუცი უცხოელს სათოფეზე არ იკარებდა. როგორც კი ვინმეს დალანდავდა, მაშინვე კაუის თოფს მოიმარჯვებდა და გამაფრთხილებელი გასროლით ეგებებოდა მისკენ მომავალს. ტყვია მგზავრის ფეხებთან ეცემოდა და მტვერს აყრიდა.

– შეპრუნდით და იქით წადით, საიდანაც მოსულხართ! ეს ჩემი ქვეყანაა.

ისინიც შეტრიალდებოდნენ და მიდიოდნენ.

ამბობდნენ, მოხუცი ლომია ისე გამხეცდა, მისი არა მარტო ადამიანებს, სიკვდილსაც კი ეშინიაო. აი, სადამდე მივიდა. იმასაც ამბობდნენ, ლომია ღილღვ აბრაგებთან ახლობლობსო.

თუმცა ლომია ადამიანი იყო და არა მხეცი. ადამიანი კი ადამიანების გარეშე ვერ ძლებს. ჰოდა, მას ხანდახან სტუმრობდნენ მისნაირი მოხუცნი და უშვილძირონი, თუმცა იშვიათად.

ის თოფის სროლით ეგებებოდა მოსულს და, ვისაც ხევსურული სამოსი არ ეცვა, ახლოს არ იკარებდა. გადანუყიტა გაბრიელმა ლომიასთან სტუმრობა. თავზე ბოხოხი ჩამოიფხატა და გზას გაუდგა. დიდხანს იარა და საღამოს ძლივს მიაღწია მოხუცის კოშკს. უშიშრად აუყვა ძველ ბილიკს. თოფის ხმა ექოდ გახმიანდა, ქვების ნასხლეტები შეაცვივდა გაბრიელს ფერდზე.

– ჰეი, შენ, გიაურო! ახლავე უკან გაბრუნდი! ეს ჩემი მიწა!

– ნუ ისვრი, ლომია, მეც ხევსური ვარ! – შესძახა გაბრიელმა. – შორიდან მოვდივარ შენს სანახავად.

– შენ ხევსურს არ ჰგავხარ! – ის-მოდა კოშკიდან. – თოფს ისევ ვტენი, გირჩევ, წახვიდე!

– კილოზე ვერ ხვდები, რომ ხევსური ვარ?

– გხვდები და ვიცი, რომ ცხონი მე-ლიასავით გაიძვერანი და გველივით ვერაგნი არიან.

– თავზე მთიელის ქუდი მახურავს.

– ეს ქისტური ბოხოხია, ისინი კი უცხოტომელებმა განდევნეს. არ მჯერა შენი. რატომ არცხვენ ქისტურ ქუდს, სამასხარაოდ რად შემოსილხარ?

იძულებული გახდა გაბრიელი, დან-ვრილებით ჩამოეთვალა თავისი წინაპ-რები, რათა ლომია დაერწმუნებინა, რომ წმინდა წყლის ხევსური იყო.

– კარგი, კეთილი იყოს შენი მობრძა-ნება!

ორი დღე სტუმრობდა გაბრიელი ხევსურ ბერიკაცს.

– შვილო, მაშ, ხევსურები დაცარიე-ლებულ ღილლოში დასახლდნენ? კარ-გი, ჯობს, ჩვენ ვიყოთ, ვიდრე სხვები. ისე, ცუდია სხვის მიწაზე ცხოვრება, როდესაც საკუთარი გაქვს, ცუდია, არასწორი. გამოდის, რომ პატივს არ სცემ წინაპრებს. ღალატობ მათ. ისი-ნი, ქისტები, დაბრუნდებიან. ამ მიწის სიყვარული სისხლში აქვთ გამჯდარი. და როდესაც ღილლვები მოვლენ, მე-ურნეობას კი არ შეხედავენ, საფლავებს მიაშურებენ, სადაც წინაპართა ძვლები ეგულებათ. იცოდეთ, არ შეეხოთ მათ საფლავებს, რადგან, ამის გარდა, ყვე-ლაფერს გაპატივებენ.

ლომიას ნაამზობი

– ათი წლის ბიჭი ვიყავი, როდესაც მამაჩემი, სიმონი, ამ ამბავს მომიყვა. იყო დრო, როდესაც ხევსურები და ღილლვე-ბი ამ მთებში ერთად ცხოვრობდნენ, ერ-

თმანეთს ვაჟუკაცობაში, ხანაც საქონლისა და ქალების მოტაცებაში ეჯიბრებოდ-ნენ... ზოგჯერ სასტიკადაც იქცეოდნენ. შეებმებოდნენ მოქიშპენი, არ ზოგავდნენ ერთმანეთს... რას იზამ, ხდება ხოლმე. ხევსურეთში ვიღაცამ ასეთი ტრადიცია დაამკიდრა: მოკლული მტრისთვის მარ-ჯვენა უნდა მოეკვეთათ და ქავის კარზე ჩამოეკიდათ, რათა ყველას შეეტყო მათი გმირობის ამბავი. პაპა იხსენებდა: მო-უსავლიანი წელიწადი იყო. ხევსურები დამშეულიყვნენ. მთაში არავის უკვირს ქურდობა. მაგრამ ვინ უნდა გაძარცვო? რა თქმა უნდა, მეზობელი ღილლვები, აბა, შინაურ ხევსურს ხომ არ ააწიო-კებ?! ჩაუსაფრდა პაპა ელიზბარი ქისტ შოვხალას, რომელსაც ათიოდე ცხვარი ჰყავდა. ხელსაყრელ მომენტს დაელოდა, შოვხალა მოკლა, მარჯვენა მოაჭრა და ცხვარი გამორეკა. შოვხალას ვაჟიშვილი დარჩა, გორდანი. გავიდა დრო და გორ-დანი გაიზარდა. რასაკვირველია, ის სის-ხლის აღებას ცდილობდა, ვიდრე მტერს არ მოკლავდა ან თავად არ გამოასალ-მებდნენ სიცოცხლეს. ელიზბარი მაინც არ ცხრებოდა და ხშირად სტუმრობდა ღილლოს კოშკებს. მიაგნო გორდანმა მის კვალს და მოკლა მოსისხლე.

რა უნდა ექნა სიმონს, როგორ ჩაეგ-დო ხელში მამის ცხედარი და ქრისტი-ანულად დაემარხა? დაფიქრდნენ. შეი-ყარნენ უხუცესი – ზოგი მათგანი ას წელზე მეტი ხნისაც კი იყო. ქისტები პატივს სცემენ ჭალარას. იახლეს მამა-ჩემი სიმონი. წავიდნენ ღილლვებში, უი-არალოდ. ხევსურებს ქისტი უხუცესე-ბი შეეგებნენ. სტუმრებმა მასპინძლებს მოსვლის მიზეზი ამცნეს:

– გამოსასყიდს მოგართმევთ. ცხე-დარს ვითხოვთ.

– კარგი, წაიღეთ, – დათანხმდნენ ღილლვები, – მკვდარს რალას მოს-თხოვ? გამოსასყიდი საჭირო აღარ არის.

ფანჩატურში, საკაცეზე, წაპადში გახვეული ელიზბარის ცხედარი ესვენა.

მივიღნენ ხევსური უხუცესი და მიცვალებულს ნაპატი გადახადეს, რათა ენახათ, მართლაც ელიზბარი იყო თუ არა. დახედეს, მერე ერთმანეთს შეავლეს გაკვირვებული მზერა – მიცვალებულისთვის მარჯვენა არ მოეკვეთათ.

ამ დროს ხევსურთა თავკაცმა ღილავთა უხუცესს მიმართა:

– რად არ მოჰკვეთეთ თქვენი კუთვნილი მარჯვენა?

– ეზდიელის გამო, – უპასუხა ქისტმა მოხუცმა.

– ეგ რაღას ნიშნავს?

– ჩვენი ზნეობა ეზდიელია, ჩვენი წესია, რომელიც გვიკრძალავს, მტერიც რომ იყოს, მოკლულის შეურაცხყოფას.

ხევსურებმა ელიზბარის ცხედარი შინ მიასვენეს, მაგრამ, ვიდრე ქრისტიანს მინას მიაბარებდნენ, მამაჩემმა სიმონმა ღილლოში აპრეშუმის ქსოვილში გახვეული შოვხალის მარჯვენა წაიღო. ეს ამბავი თვითონ მიამბო. ასე შერიგდა და დამეგობრდა ორი ხალხი – ღილლვები და ხევსურები. ბავშვობასა და სიჭაბუკეში თვეობით ვსტუმრობდი მათ. ვიცი მათი ენა და ადათი, ვიცი ეზდიელი.

– ლომია, იქნებ უკეთ გამაგებინო, რა არის ეს „ეზდიელი“.

– ეს ღილლვთა კანონია, ნამდვილი მეცნიერება-ზნეობანი. უფროსები უმცროსებს ასწავლიან, როგორც მოიქცნენ, ღირსება და პატიოსნება რომ შეინარჩუნონ. მტკიცედ იცავენ ამ ჩვეულებას, ამიტომაც არ უყვართ ისინი უცხოელებს. ქისტები დაბრუნდებიან, შვილო, მაგრამ ვინ, რამდენი და როგორ, ეგ ღმერთმა იცის.

მერე ლომია მოკვდა. როცა მამაპაპეულ სასაფლაოზე მარხავდნენ, უეცრად ღილლვ აპრაგთა ჯგუფი გამოჩნდა.

დიდხანს იდგნენ ქისტები და ახლად მინამიყრილ ბორცვს დაშტერებოდნენ. ალბათ, გულში ლოცულობდნენ. შემ-

დეგ თავები ჩაჰავდეს და უჩუმრად წავიდნენ.

გაბრიელი და აბრაზი ხევსურის მოთხოვნა

ჭაბუკი აბრაზი ჭოგრიტით იყურებოდა.

– ეზოს ორი ჯარისკაცი იცავს. ოფიცრის ცხენი ღობეზე მიუბამთ, სხვა არავინ ჩანს. ალბათ, ჩხრეკენ. ნეტავ, რას ეძებენ ამ მთის სოფელში. იქაურებს არაფერი გააჩნიათ. ეს ვიღაა.

აპმადის შემდეგ ბინოკლი ქართველმა ჭაბუკმა მოიმარჯვა.

– ვეფხია, რას ხედავ? ახალს იტყვი რამეს?

– იმ ეზოში ჯაბუშანურები ცხოვრობენ. მშვიდობიანი ხალხია. არავის ერჩიან, არც ძალაუფლების წყურვილი კლავთ. საჭმელს გვინილადებენ ხოლმე, გადასახადს არ იხდიან. ასეთები არიან... – ამბობს ჭაბუკი და ჭოგრიტს თვალს არ აცილებს. – უფროსო! ეზოში გამოვიდნენ. მათი ვაჟი მიჰყავთ, გაბრიელს რომ ეძახიან.

ვეფხიამ ბინოკლი დადო და აპმადს დაჟინებით ჩააცქერდა.

– რა მოგივიდა, შვილო?

– მიჰყავთ გაბრიელი, არადა, ისეთ რამებს წერს...

– რას წერს?

– ქართულად ლექსი ჰქვია, სიტყვებია, სიმღერასა ჰგავს. უფროსო, წაიყვანენ და მოკლავენ.

– ამ მოკლავენ, ვეფხია, არა. განადაუშვებთ, ის მოკლან, ვინც ლუკმას გვიყოფდა!?

ვეფხიამ ისევ ჩახედა ბინოკლს.

ოფიცერი ამხედრებულიყო. ჯარისკაცები კი ფეხით მისდევდნენ. მიჰყავდათ გაბრიელი.

ლაილალთან ჩაუსაფრდნენ: აპმადი, ვეფხია, იედალბი, ელმურზა, ყამბულათი. საკმაოდ არიან.

ვეფხია ისევ ბინოკლს ჩასცქერის.

– გვიახლოვდებიან. იმ საწყლისთვის ხელები შეუკრავთ, ჩანთა კისერზე ჩამოუკიდიათ, ქართველები „გაბრიელს“ ეძახიან, ინგუშურად „ჯაბრაილი“ გამოდის... თოვის მეორე ბოლო ოფიცერს უჭირავს.

– ძალიან კარგი, – ამბობს აპმადი. – სროლის ხმაზე დამფრთხალი ცხენი ფეხსაც არ დაძრავს. ოფიცერს მე მოვუვლი. თუ წინააღმდეგობას არ გაგინევენ, ჯარისკაცები არ დახოცოთ. ზედმეტი სისხლი არ გვჭირდება. ვინც გაიქცევა, გაუშვით.

აპრაგები ჩასაფრდნენ და გაიტრუნენ. ისმის ფლოქვების თქარათქური. აი, ერთმანეთს გაუსწორდნენ.

– შეჩერდით! – წამოიმართა აპმადი, – ხელები მაღლა ასწიოს ყველამ, ვისაც თავი არ მოჰქმებობია!

ოფიცერი ავტომატს დასწვდა. ორჯერ იქნება აპმადის მაუზერმა: „ბახ! ბახ!“

მტერი ცხენიდან გადმოვარდა, ყელ-თავქვე დაეკიდა და უსულოდ დაენარცხა მიწას.

– ხელები მაღლა, – გაისმა ბრძანება. ჯარისკაცები დამორჩილდნენ.

– მიდი, ყამბულათ, იარაღი აპყარე!

ყამბულათმა ხელთ იგდო ორი ავტომატი, სამი შაშვანა, ერთი პისტოლეტი. სერუანტს მუხლები უკანკალებს.

– ჯარისკაცებო, გინდათ, იცოცხლოთ?

– გვინდა! ძალიან გვინდა!

– ასე იყოს. დღეს სიცოცხლეს გაჩუქებთ. ერთ თქვენგანს ჩახმახისთვის თითო რომ გამოეკრა, არ გაცოცხლებდით, სისხლის გუბეში იცურავებდით. გასწით, უკან აღარ მოიხედოთ. თუ რომელიმე თქვენგანი დაბრუნდება, სიკვდილი არ ასცდება. ნაბიჯით იარ!

– ზურგში რომ გვესროლოთ? – იკითხა სერუანტმა.

– ეგ თქვენი წესია, ჩვენ კავკასიელები ვართ. აქედან დაიკარგეთ, იჩქარეთ, იქნებ, ვახშმად ბორშჩისაც მიუსწროთ.

უფროსებს გადაეცით, მოვიდნენ და ეგ თქვენი ბრიყვი დაასაფლაონ, ხელს არ შევუშლით.

ჯარისკაცები მიდიან. ახლა მათ იარაღი და პატრონტაში აღარ ამძიმებთ.

გაბრიელი თოვისგან გახეხილ მაჯებს ითავისუფლებს. ოჟ! რა ტკბილია თავისუფლება. ახლალა მიხვდა.

კისერზე ეკიდა ლამაზი, ფოჩიანი ჩანთა. შიგ ხელი ჩაყო და რაღაც ქაღალდი ამოილო. კითხულობს. ათვალიერებს. ჩაიკითხავს და ისევ ჩანთაში ჩადებს.

არავითარი დაბნეულობა და შიში არ დასტყობია იქ მომზდარის გამო.

აპრაგები განაცვიფრა მისმა საქციელმა.

– ვეფხია, ჰეკითხე: რა კაცია?

– ხევსური ვარო, ამბობს.

– ხევსური რომ არის, სახეზე ეტყობა. რატომ დააპატიმრეს?

– რაღაც დაუწერია.

– დაუწერია? რა დაუწერია?

– სიმართლე, ის, რაც ხდება. ასე ამბობს.

– ამ მზისქვეშეთში სიმართლე მხოლოდ ერთ წიგნში წერია – ყურანში.

– ზოგი ბრძენი იმ სიმართლეზე ლაპარაკობს, რომელსაც ჩასწვდა. ამიტომაც...

აპმადი ჩაფიქრდა, თავი გადააქნია:

– საინტერესოა მისი სიმართლის მოსმენა.

– ის ქართულადაა დაწერილი.

– შენ ხომ იცი ქართული. ყამბულათმაც იცის, გვითარგმნით. თუმცა ჯერ მყუდრო ადგილი ვიპოვოთ.

ვიდრე წავიდოდნენ, მოკლულ ოფიცერს კიტელი გახადეს და სახეზე გადააფარებს.

– მართალია, მტერია, თანაც ვერაგი, მაგრამ მაინც ადამის მოდგმისაა, – შემგონებლურად თქვა იედალბიმ.

უღელტეხილზე, სოფელ ღულისთან, ჩრდილში ჩამოსხდნენ, ამ კაცის მართალი სტრიქონები რომ მოესმინათ.

წართქმით კითხულობდა, ისე, წყა-

რო რომ მორაკრაკებს ქვებზე. ხანაც ხმა უთროთდა, უღელავდა ასას დაუ-დეგარი ზვირთებივით.

ეს იყო გაწონასწორებული, მწყობრი მეტყველება. ქართული ენა თავისთავად ლამაზია. და თუ მას მელოდიაც ერთვის, ნეტარებისგან გული გეწურება.

იოლად გამოარჩევ ერთმანეთისგან მშვიდსა და ვნებამორეულ აზრებს. ის დიდხანს კითხულობდა. მაგრამ, რაც უნდა დიდხანს იღაპარაკო, ოდესმე ხომ უნდა გაჩუმდე! აი, უკანასკნელი სიტყვა ამოთქვა, მუქი ფურცელი მინაზე დადო და ქვა დააფარა, ქარს რომ არ წაელო. შემდეგ ამოიოხრა და თავის აუდიტორიას შეავლო თვალი.

ისინი მონუსხულებივით ისხდნენ. გახევებულნი. აპმადს ესმოდა სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ წაკითხულის შინაარსს ვერ ჩაწვდომოდა, ვერ გაეგო მთავარი. სამაგიეროდ, ზუსტად მიხვდა, რომ პოეტი ფასეულ საკითხებზე ლაპარაკობდა.

— ყამბულათ, ვეფხია, ახლა გვითარ-გმნეთ წაკითხული, ხომ უნდა ვიცო-დეთ...

— იცი რა, აპმად, სიტყვასიტყვით თარ-გმნას ვერ შევძლებ, ცოდნა არ მეყოფა, ეს მხოლოდ ენათმეცნიერს ძალუძს, მაგრამ ვეფხიას დახმარებით იმას აგიხსნით, რაც გავიგე... ეს ამდერებული სიტყვებია, გაბრიელი ჩვენი ხალხის, სამშობლოდან განდევნილი ადამიანების ტანჯვაზე წერს. ის წყევლა-კრულვას უთვლის ანტიქრისტე სტალინს. ამის გადმოცემა ჩვენ ენაზე შეუძლებელია, ისე ლამაზად ქლერს ქარ-თულად... როგორც შევძლებ, ისე გეტ-ყვით, აზრი რომ გაიგოთ... მომისმინეთ. აი, ერთი ადგილი — გაბრიელი სტალინს მიმართავს:

06გუშური ვერსია

შენ ეს სამყარო ჰქმენ ავზნიანი და კუპრის ღრუბლით დაშრიტე გზნება,

შენ დაამონე ადამიანი, თავისუფალი მოუსპე ნება. ავი დემონის მოდგმავ და ტომო, შენ გამო ყველა ხდება თავნება... ცოდვასთან ახლა აღარც ვინ ომობს, წმინდა ტაძარის შენ ჰქმენ თავლე-ბად.

შორს მიაქანებ კვლავ წყეულ მარხილს, და თავს კვლავ ბოროტ დილემას იხვევ... მონობისათვის გასწირე ხალხი, მთელი ქვეყანა აქციე ციხედ, ვერ გაექცევი, შენი დროც მოვა, ღრუბელმა ზეცა რომ არ დაბინდოს, ხმაწართმეულთა მოგისწრებს გლოვა, რომელიც მოგსრავს და არ დაგინდობს.

დაუტირებლად მოკვდი, ვნებულო, მხეცო, მარადის შეჩერებულო!

გაბრიელ ჰაბუშანური ამონარიდი

შენ დააბნელე მსოფლიო თალხით, მზეს მოერკალე კუპრის ღრუბლებად, თავისუფლება წაართვი ხალხებს და თავისუფლად ფიქრის უფლებაც.

შენ, უბოროტეს დემონის ჯუფთი, მერეხელობ ურცხვად, ზვავად, თავნებად.

შენ უწმინდესი ტაძრები უფლის გადააქციე ცხენის თავლებად.

შენ წყეული ხარ შენივე აზრით, შენ ბოროტების კიდემდე მიხვედ, შენ ეს ქვეყანა მონების ბაზრად

შენ ეს ქვეყანა აქციე ციხედ.

ოდეს დადგება უამი განკითხვის,
როს წარუდგები უფალ-იესოს,
რათა სასჯელი ტანჯვის,
განკითხვის
მოგეზღოს, მხეცო, უსაზიზღესო!

ჩაძალლდი, მხეცო, გაუმაძლარო,
შენთვის არავინ არ ატირდება

როდესაც ყამბულათი გაჩუმდა, იე-
დალბიმ ქუდი მოიხადა და სახელოთი
სახიდან ოფლი მოიწმინდა.

— კურთხეულ იყოს მართალი სიტყვა!
თანაც რა ძლევამოსილია, ტყვიასავით
მიზანში ხვდება. მე კი მეგონა, პოეტებს
მხოლოდ თავიანთი მარჩენალი ხელისუფ-
ლების ქება შეეძლოთ. გასაოცარია...

აჰმადი გამოერკვა და იყითხა:

— გაპრიელ, სტალინმა როგორ გაი-
გო, მას რომ ღერძი მიუძღვენი? ვინმე
დაგასმინა?

— არა, თავად ჩავდე კონვერტში და
სტალინის სახელზე მოსკოვში გავგზავნე.

— შენი სახელი და მისამართიც მია-
ნერე? — აჰმადს გრძნობები მოაწვა და
დაიძაბა.

— ჰო, მივანერე. ორი კვირაა, რაც
გავგზავნე. სპეციალურად წავედი ძა-
უგში, რომ საფოსტო ყუთში ჩემი ხე-
ლით ჩამეგდო.

გაოცებულმა აპრაგებმა ტაში შე-
მოჰკრეს.

— ვაი, ვაი! ეს რა კაცი ყოფილა? გასა-
გებია, როდესაც ადამიანი ხელში თოვს
იღებს და უსამართლობას ებრძვის. შე-
იძლება, მრისხანებამ მკვახე სიტყვაც
ამოგათქმევინოს, მაგრამ ასე... შიშველი
ხელებით ეკვეთო გველეშაპს... მხოლოდ
ვაუკაცობა არ კმარა, ეს სულ სხვა რა-
მაა... ამაში ღმერთის ხელი ურევია...

იედალბი შეირხა და მანამდე უცნობი
პოეტისთვის თვალი არ მოუცილებია.

— უფალმა დააკისრა მას სიმართლის
მაძიებლის მისია და აღასრულა კიდეც.

ღმერთმა გადლეგრძელოს, მართალი
სიტყვის მთქმელო. აღმაფრთოვანე!

ბებერმა იედალბიმ ხელი გაუწოდა
გაბრიელს და გადაეხვია.

აჰმადმა ჩახმახი აახმაურა:

— გასროლილი ტყვია ერთს კლავს,
— ამბობდნენ ძველად, — ენით კი ცხრა-
საც დაკოდავ. ღირსეული სიტყვის ფა-
სი იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა. მაგრამ
ამ ხევსურის სიტყვა უფრო ძვირად
ფასობს. ვიდრე წუთისოფელი იარსე-
ბებს, მისი სიტყვები დაამარცხებს ბო-
როტებას და უსამართლობას. ამ იარა-
ლის ტყვიანამალი არასოდეს გამოილე-
ვა, მარად სიმართლეს დაიცავს... იცი,
გაბრიელ, რას ნიშნავს შენი სახელი
ღლილურად? ჩვენებურად ჯაბრაილი
სარ! ჩვენთვის იცოცხლე. თავს გაუფ-
რთხილდი! მთავრობა არასოდეს მოგას-
ვენებს. სტალინი მხეცია, რომელმაც
ადამიანის სისხლი იგემა, მაგრამ ჩვენ
ძალას არ დავიშურებთ, რომ თავიდან
ერთი ღერი თმაც არ ჩამოგვარდეს.

აპრაგები წამოიშალნენ. დრო არ იც-
დიდა.

გაბრიელი ყველას გამოეთხოვა და
შინ, ხამხის კოშკებისკენ გასწია.

ფრთაშესხმული მიდიოდა. ხალხმა
პირველად დააფასა მისი შემოქმედება.
გამოდის, უქმად არ უცხოვრია, ამაოდ
არ გაუტეხავს ღამე.

ახლა სიკვდილიც აღარ აშინებს.

და ეს მოხდა 1952 წლის აგვისტოში.
შემდეგ კი...

შემოდგომა დამდგარიყო. ხეები
ფოთლებისგან იძარცვებოდნენ. თუმცა
აქა-იქ კიდევ შერჩენოდათ მშვენება,
ცეცხლისფრად ღვიოდნენ.

გამთენისას სოფელი ალყაში მოაქცი-
ეს. ყველაფერი გულდასმით გაჩხრიკეს.
გაბრიელს ხუნდები დაადეს და წაიყვანეს.

ფეხით მიჰყავდათ, „ენკავედეს“ წარ-
მომადგენლები — ოფიცრები და რიგი-
თები გათქვირულ ცხენებზე ისხდნენ.

მაიორი რუს იორდას შემოხტომოდა.
ამაყად იმზირებოდა. მკერდზე ორდენი

უბრნებინავდა. მუხლებს ახალთახალი ავტომატი უმშვენებდა. ყანიმის ღვედი უჭრაჭუნებდა. მარჯვენა თეძოზე „ტეტე“ მოეგდო, მარცხენაზე – ოფიცრის ჩანთა. იმაში ეწყო გაბრიელისთვის ჩამორთმეული ფურცლები.

ხამხი სადილამდე ალყაში იყო.

– სოროებში მიმალულან შენი მე-გობრები, ქართველო. ნამდვილი კურდლები!

გაბრიელმა კი იცოდა, სინამდვილეში ვინ იყო „კურდლელი“. „რას იზამ? ერთი გაეგოთ ღილველ აპრაგებს, რაც იქ მოხდა... მაშინ სხვანაირად ამღერდებოდა ეს ბეჩავი ოფიცერი. ხელსაც ვერ მახლებდა. გაუმართლა. უთუოდ მომკლავენ, მაგრამ გზაში არა. ძაუგში ჩამიყვანენ და იქ მომაშთობენ, ალბათ. ჩემნაირები დაკითხვაზე სიკვდილის პირას მიჰყავთ. თავად ვარ დამნაშავე. ფრთხილად უნდა ვყოფილიყვავი. აკი აპრაგებმაც მირჩიეს. მათ ხომ არ შეუძლიათ, მთელი დღე მიდარაჯონ! მჯერა, შურს იძიებენ, ჩემს სისხლს ღილვები არავის შეარჩინენ“. დიდი ვერაფერი ნუგეშია მოსაკლავად გამეტებული ხევსურისათვის.

მიჰყავთ გაბრიელი. მთელი განყოფილება შეყრილა, ცამეტი კაცი – ორი ოფიცერი და თერთმეტი მილიციელი.

იცის მაიორმა თავისი საქმე. აპრაგები ვერ გააცურებენ. ყველგან თავისი ხალხი ჰყავს: ლოვშხოში, შოანხოს ხეობაში, ღულისთან, ლაილალთან – ყველგან, სადაც აპრაგები ეგულება. მაიორს თავი დიდ სტრატეგოსად მოაქვს.

გზას გაუდგნენ, მალე მათლოამის მთაც გამოჩნდა. მზეც მიიწურა.

ერთი დღის სავალზე შეისვენეს. ნაბრძანებია, ტუსალი ცოცხლად და უვნებლად ჩაიყვანონ. ალბათ, მოსკოვში გაგზავნიან, რათა საფუძვლიანად დაპკითხონ.

გაბრიელი ქვაზე ჩამოჯდა. წყალი მიაწოდეს.

– დალიე, კაცო, დალიე! ჩემი ნება იყოს, ადგილზევე გაგათავებდი. გიუი

ხომ არა ხარ? ვის აუმხედრდი?! თვით სტალინს?! გენერალისიმუსს?! გენერალურ მდივანს?! მსოფლიო შუქურას?! თავად ვინა ხარ? ხორცმეტი! დალიე, დალიე! მეტს ვეღარ ეღირსები. იქნებ, სიკვდილამდე ჭკუა ისწავლო.

გზა განაგრძეს. უღელტეხილი. დალმართი.

„რა ლამაზია ეს ქვეყანა: მთები, ბროლივით ნაკადულები, ზეცა!.. აი, იმ კოშკებს გარეში ჰქვია. იქ ცხოვრობდნენ ღილვები... ნუთუ ვერასდროს დაბრუნდებიან სამშობლოში... როგორ მინდოდა მათთან შეხვედრა... არ მიწერია...“

– ეი, ქეციანო მჯღაბნელო, სადარიან შენი ქომაგი აპრაგები? – იცინის მაიორი. – ჩირგვებში ჩამიალნენ, სოროებში გამოიყეტნენ?..

მაიორის კითხვას შაშხანამ უპასუხა, კლდიდან რომ დაიქუხა. სახეზე ღიმილი გაუქრა, დაილია, როგორც ჩრდილი მზის სინათლეზე. ხელები მოსწყდა. თავი ცხენის ფაფარს ჩამოაყრდნო, მიწაზე დაეშვა. ბებერი იედალბის ტყვიამ მოუღო ბოლო.

კიდევ ოთხი მილიციელი დაეცა, დანარჩენებმა თავს უშველეს და ანგუშტისაკენ გაქუსლეს.

ერთი დაჭრილი ცხენმა ათრია. ტკივილისა და შიშისგან სასონარკვეთილი გაპკითხდა. ქვები თავს უჩერჩევავდა.

კლდის საფარიდან გამოვიდნენ აპმადი და ყამბულათი. მაიორს ჯიბიდან გასაღები ამოაცალეს და გაბრიელს ხელბორკილი შეხსნეს.

გაბრიელმა მაჯები მოისრისა:

– ო, რა ტკილია თავისუფლება!

მოკლულ მაიორს ჩანთა აართვა, იქიდან საკუთარი ხელნაწერი ამოილო და უბეში ჩაიდო.

აპმადს ჩაეცინა.

– ჯაბრაილ, ხევსურო, თავს გაუფრთხილდი! ცუდი დროა: დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები. სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტებდით.

გაბრიელი თავს უქნევს, ეთანხმება: აქაოდა, ამიერიდან ვიფრთხილებო.

შედგა, ჩაფიქრდა.

– ქისტებო, თქვენ გარეშე ეს მთები ვერ გაძლებენ... აქ უნდა იცხოვროთ მარად... რაღაა კავკასია უთქვენოდ.

გაბრიელმა ხელი ჩაიქნია, მიბრუნდა და ხამხის მიაშურა, იქით გასწია, სადაც მისი ოჯახი სახლობდა.

●

ხევსურები ცხვრის ფარას მიუვალ მთებში უმაღლავდნენ ხელისუფლებას. ააგეს სამი-ოთხი მწყემსისთვის განკუთვნილი თბილი მიწური, ეზოში ცეცხლი დაანთეს.

გაბრიელი კოცონს მისჯდომია, მუხლებზე ფიცარი უდევს, ზედ კი ფურცელი – ლამაზი, თეთრი... შავი ფანქარი მიმორბის და წვრილი ასოებისა და მწყობრი სტრიქონების კვალს ტოვებს.

ქალალდი ძვირად ფასობს, რადგან ცოტაა.

შესწორებებს იმახსოვრებს კოცონთან მჯდომი თუ ღამით ქოხში მიწოლილი.

ქალალდზე მხოლოდ მზა სტროფები გადააქვს.

– გაბრიელ! გაბრიელ! გაგათავი-სუფლეს! იცი, აქ რა წერია?!..

გაბრიელმა თავი ასწია. ამ მწყემსს დემეტრე ჰქვია. სოფელში იყო სიმინდის ფქვილის ჩამოსატანად.

– რა გაყვირებს, დემეტრე?

– კარგი ამბავი მოგიტანე: თავისუ-ფალი ხარ, თა-ვი-სუ-ფა-ლი!!!

ჭაბუკი მწყემსი გაბრიელს გაზეთ „კომუნისტს“ თვალწინ უფრიალებს.

– წაიკითხე, აქ წერია! შენი თვალით ნახე! დამთავრდა შენი დევნა-წვალება.

იმით უკმაყოფილო გაბრიელმა, რომ საქმეს მოსწყვიტეს, ნახევრად შეგვებული ფურცელი გვერდზე გადადო, ქვა დააფარა, ქარს რომ არ წაეღო და უინტერესოდ დააცქერდა გაზეთს. კითხვას შეუდგა. რამდენიმე სტრიქონი ჩაიკითხა, სახე შეეცვალა, თვალებში გაკვირვება გამოეხატა.

გაზეთს მოსწყდა და დემეტრეს ახედა.

– ხომ გითხარი, გაბრიელ, აღარ მოგიწევს მალვა. თურმე შენი მტერი ცუდი კაცი ყოფილა, სოფელში მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ. შალვა ჩამოვიდა თბილი-სიდან, ამბობს: ქალაქში ერთი ამბავია, ხალხი გამოვიდა ქუჩებშიო. ქართველები იმას აღუშფოთებია, რომ ჩვენი სტალინი შეურაცხყვეს. ხალხის სიამაყე...

– ხალხის სიამაყე?... სტალინის მსგავსთ ხალხის სიამაყეს ვერ ვუწოდებ. ქართველებს ჰყავდათ საამაყო შვილები, ილია...

მან ისევ ჩახედა გაზეთს და თვალი აღარც მოუწყეტია. ადგა, გაიმართა, ხელები გაშალა, გაიზმორა, შემდეგ სიცილი აუტყდა.

– წადი, დემეტრე, გამოიტანე ჭაჭა და ფიალები! ეს დიდი დღესასწაულია, უფალი ვადიდოთ. ყველაფერი მოიტანე, რაც გაგვაჩნია. ეს დღე უნდა აღვნიშნოთ. ასეთი დღე ას წელინადში ერთხელ დგება!

ქოხიდან სამფეხა მაგიდა გამოიტანეს. დააწყვეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ. არაყი ჩამოასხეს თიხის ჯამებში. მაგიდას შემოუსხდნენ. უხარიათ მწყემსებს იმიტომ, რომ გაბრიელს უხარია. რა სადღეგრძელობი იცის! მთელ ხევსურეთში ვერ ნახავ მის დარს. მოსასმენად გაემზადნენ.

გაბრიელმა ფიალა შემართა. ადგა. მწყემსებიც წამოდგნენ.

ჯამს ჩააცქერდა. დიდხანს იდგა ასე. სახეზე ჩრდილები აუთამაშდა.

– დიდება შენდა, ღმერთო! – თქვა მან. – შენი განგებით ყველაფერს აქვს დასასრული. შენ ამოართვი ტირანს მკერდიდან გული და მისი სისხლიანი დროშა ხალხის ფერხთით დაანარცხე. დიდ არს შენი სახელი!

ხარება

– როგორ მოიქცევი, გაბრიელ, თუ ქისტები დაბრუნდნენ. მაშინ ხომ ამ ქვეყნიდან წასვლა მოგიწევს?

– ერთადერთ თხას დავკლავ, გადა-
ნახულ ღვინოს გამოვიტან, კარგ სუფ-
რას გავაწყობ და ვიზეიმებ ჩემი ხალხის
დაბრუნებას.

დაახლოებით ასე უპასუხა მან ჯაი-
რახელ სულთან ცუროვს.

ღილღვი ჯაბრაილის (გაბრიელის) საფლავზე

ჩვეულება აქვთ ღილღვებს ასეთი –
ახლობელთა საფლავები მოინახულონ,
რომ იქ იფიქრონ წუთისოფლის ავან-
ჩავანზე.

ღილღვები ქალაქში (თბილისში) ჩას-
ვლასაც დაეჩვივნენ, რომ ფიქრს მიეცნენ
ჯაბრაილის (გაბრიელის) სასაფლაოზე.

მეც ვფიქრობ ხოლმე: საკუთარ ბედ-
ზე ანდა ბედზე კავკასიისა, წუთისოფ-
ლის ბედისწერაზე...

აქ კაცს ერთიორად მარჯვედ გე-
ფიქრება...

გაბრიელი

საფლავთან თქმული

შენ, რა თქმა უნდა, კარგი ქართვე-
ლი პოეტი ხარ, თუმცა შენი შემოქმე-
დების უმნიშვნელოვანესი ნაწილი მათ
მიუძღვენი, რომელთაც ღილღვებს

ეძახდი – ჩვენ, ქისტებს.

გაბრიელ ჯაბუშანურო, მადლო-
ბა ხევსურებს, რომელთაც გშვეს, აღ-
გზარდეს და ქართული წერა-კითხვა
გასწავლეს.

შენ შეგვაყვარე ხევსურები.

ბედისწერამ უძველეს ღილღურ სო-
ფელ ხამხიში მოგახვედრა. ღილღოს
ასული გახდა შენი პოეტური მუზა, უფ-
ლის წყალობით.

ხევსურად დაიბადე, მაგრამ ქისტე-
ბის ბედი გაიზიარე.

ჩვენებური – ჩვენად მიგიღეთ.

ასე რომ, გაბრიელ, შენ უკვე ჩვენი
ხარ, თუმცა ჯერ შენ გვცანი ნათესა-
ვად.

და ვიდრე ჩვენ, ღილღვები, ამ მიწა-
ზე დავიარებით, შენი საფლავი არ გა-
უკაცურდება, რადგან არავისგან გვეს-
წავლება ჩვენიანის დაფასება.

მშვიდად განისვენე, გაბრიელ-ჯაბ-
რაილ, ქართულად მთხზველო ღილღვებს
პოეტო!

თარგმნეს

ქეთევან ქურდოვანიძემ
და გია ჯოხაძემ

ქელტური პოეზია

კელტური ბალადების ლაიტმოტივი სიყვარულია. საერთოდ, კელტური მუსიკალური ფოლკლორი სავსეა სამიჯნურო თემატიკით და ერთობ ინტიმური, ადამიანური ვნებებითაა გაჯერებული. ტექსტთა ერთ ნაწილს დედნის ენაზე არა აქვს რითმა, მეტრული თანაზომიერება, სასიმღერო ტექსტებია და სალექსო აქსესუარების გარეშეც სასიამოვნოდ უდერს. თარგმნისას შევეცადე, დედნისეული ღირსებების საკომპენსაციოდ ეს ტექსტები გამერითმა და ერთგვარი მეტრული წესრიგიც მიმენიჭებინა, რათა საკითხავადაც კარგი ყოფილიყო. რა გამოვიდა, მკითხველმა განსაჯოს. ხუთი მათგანი ფოლკლორს განეკუთვნება, ხოლო ერთის ავტორი რობერტ ბერნსია, მისი შემოქმედება კი, მოგეხსენებათ, ხალხურთან არის გაიგივებული. ამ ლექსში გათხოვილ ქალთან პოეტის გამიჯნურებისა და მასთან განშორების რეალური ამბავია გადმოცემული.

მთარგმნელი

ერთხელ შავწყალა მღინარის პირად

დილადრიან, სანაპიროსთან, მოსეირნეთა რიგს შევუერთდი.
თვალი ეძებდა, და ჰპოვა კიდეც – ირლანდიელი
დავლანდე ერთი.
ნამს სიყვარულმა იფეთქა ძალუმ და გულსაც ცეცხლი
მოედო მყისვე.
არ გვიძინია, შუალამემდე თავდავიწყების მორევში
ვყვინთეთ.
როს ისინათლა, ვაჟი წამოდგა, სამოსელს თვისას
მოჰვია ხელი.
„ან კი, მშვიდობით“, – ესა თქვა მხოლოდ და ააჩქარა
ნაბიჯი ნელი.
„განა, ეს იყო, რასაც შემპირდი, როს დაეწაფე ჩემს
მკერდს ალერსით?
ყველა ფუჭი და რიოში დარჩა, რაც სიტყვა დასცდა ენას
ალესილს.
მტილს მიაშურე მამიშნისას. იქ ცრემლით გული უფრორე
ლნდება.
ამ უილბლობას ვერ დაივიწყებ, სულისწარმწყმედელ უინსა
და ვნებას“.

ვიდრე შენ ჩემზე დაქორწინდები ანდა ქალს ნახავ
ჩემებრ თვინიერს,
უმალ თევზები ცაში იფრენენ, ზღვები დაშთების
წყლისა თვინიერ.

როგორთ პერსი

• • •

ბატკნები მწვანე ჰელობზე

მწვანე ფერდობზე დაკუნტრუშებს ბატკნების ფარა.
მარწყვის მდელოა სახაპირო, ოკეანეს აფრები ფარავს.
ამხედრებულა პატარძალი ჩაუქად, ლალად,
მაყრიონს უძლვის, მონასტრისკენ მიიწევს მალლა.

ფეხდაფეხ მივდევ, საბრალო გულს დარდი მეგზურობს.
უნდა დავესწრო სატრფოს ქორწილს, საუბედუროდ.
მობრუნებულებს ეს შევძახე (მესამოდა რეტი):
„თუმც იქორწინე, ვერვინ გაგვყრის სიკვდილის მეტი“.

ნეფე შემომწყრა: „უგუნურო, ერთს გეტყვი მხოლოდ.
მისმინე, თორემ ჩემი ხმალი მოგიღებს ბოლოს.
გვიანი არის ახლა ოხვრა, ჭმუნვა და გმინვა,
ტურფა ასული შენ ყოყმანმა დაგაკარგვინა“.

„მზე ჩაესვენა, მხოლოდ ბნელეთს უნდა ვუცქირო,
ჩქარა სამარე გამითხარეთ ფართო, უძირო.
თან ჩამატანეთ სურნელოვან ყვავილთა წნული,
რომ დაამშვიდოს სიყვარულით მბორგავი გული“.

მოლი მალოუნი

ლამაზმანებით დუბლინს, ალბათ, არ ჰყავს მოცილე.
როცა შევნიშნე, მოლი მალოუნს მზერა დიდხანს ვერ
მოვაცილე.
თვლიან ურიკით დაჰყვებოდა ქუჩებს განიერს,
ეფინებოდა წკრიალა ხმა იმერ-ამიერ:

„აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები...“
თევზით ვაჭრობდა მოლი ლამის დღიდან გაჩენის,
მშობლებისთვისაც თევზი იყო თავის სარჩენი.
რეკლენენ ქუჩებში მათი ხმები, როგორც ზარები:

„აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები...“
მოლი ციებამ შეიწირა, ვერ შეძლეს შველა.
გაფრინდა იქით, სადაც ბოლოს მიფრინავს ყველა.
დუბლინის ქუჩებს ახლა სტუმრობს მოლის აჩრდილი.
ექო კი არა, წკრიალა ხმა ისმის, ნამდვილი:

„აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები“....

ბრიგის ბაზრობა

აგვისტოს ხუთი, დღე გათენდა პირმშვენიერი:
ფრთაშესხმულივით მივაშურე ბრიგის ბაზრობას.
მიმაქანებდა სიყვარულის ძალა ძლიერი,
გული საგულეს არ იცდიდა, წინ-წინ გარბოდა...

რა წამს შემეხო შროშანივით თეთრი ხელები,
მყის დამიამდა გული, ტრფობით განახელები.
კვლავ აფართქალდა სიყვარული განაყუჩები.
თრთოლით, ცახცახით აჩურჩულდნენ სატრფოს ტუჩები:

„წარსულში დარჩა განშორების მწარე ფიქრები,
ამიერიდან საუკუნოდ ერთად ვიქნებით“.
ძალუმ ვიგრძენი ისევ შეყრის სიტკბო, სიამე,
რომ განშორება გულში აჩენს მხოლოდ იარებს.

ვინც სიყვარულის ნერგს დააჭნობს, მოსხიპავს ყლორტებს,
ის უკანასკნელ ავაზაკზე უფრორე სცოდავს.
მე მირჩევნია, რომ, საერთოდ, დავმინდე, მოვკვდე,
ვიდრე ფიქრშიაც ვულალატო ჭეშმარიტ გრძნობას.

ერთი კოცნაც და...

განშორებისას ერთი ტკბილი კოცნაც მისაგზლე.
ცრემლები წვიმად ეფინება ლამის მიწამდე.
სიტყვას ვიძლევი, არ მოვიკლო ოხვრა და ვიში.
ტკივილი მომკლავს, ისე როგორც ტკივილით ვიშვი,

მე ჩემს სიყვარულს, აბა, აუგს როგორ შევკადრებ.
უძლური ვიყავ მის წინაშე ერთობ, მეტადრე.
ნენსის დანახვამ შემომაგზნო ცეცხლი დამდაგი
და მონა გავხდი ყურმოქრილი მისი მარადის.

ეს სიყვარული უსაშველო, ბრმად მოარული,
ორივეს გვემტრო, უმოწყალოდ მოგვიკლა გული.

მშვიდობით, ჩემო დაუმშრალო სიცოცხლის წყაროვ; ეს განშორება სიკვდილს უდრის, დაუვიწყარო.

მაინც მადლობას ვწირავ უფალს, არც ვის ვემდურვი, ეს სიყვარული იყოს შენი შემწე, მეგზური. მე რაც მეკუთვნის, ის მარგუნე, ბედო ტიალო – სულმა და ხორცმა რომ ცალ-ცალკე იხეტიალოს.

გზას მიიპვლევდა დახლებს შორის ჩემი სიყვარული

მან მითხრა, დედამ დასტური ბრძანა, მამაც არ ჰქილავს შენს სიღარიბეს. მალე დადგება დღე სანატრელი, როცა დავიდგამ პატარძლის რიდეს. ეს მითხრა მხოლოდ, ნაზად შემეხო, მერე გამშორდა ჩემი ფერია, დახლებისაკენ გასწია მშვიდად, აგნიასებულ ხალხს შეერია. მიაცილებდა მას ჩემი მზერა და სიყვარული, შთენილი ობლად. ერთი ვარსკვლავი ფხიზლობდა ცაზე, წინ მიუძლოდა გზის მანათობლად. ამბობდნენ, თურმე, რომ აქამომდე არვის უხილავს წყვილი ამგვარი – ერთმანეთისთვის დაბადებული და სიყვარულის ცეცხლით დამწვარი. თუმც მაინც ვგრძნობდი, რომ მისი სული დარდს ისრუტავდა, როგორც ღრუბელი, ჰაეროვანი სხეულით მძიმე დაჰქონდა სევდა, გამოუთქმელი. როცა ბაზრიდან ნავაჭრით ხელში მიგოგმანებდა სახლისკენ ნელა, თურმე, ვხედავდი მას საბოლოოდ, თურმე, ვხედავდი უკანასკნელად. წუხელ მეახლა მკვდარი მიჯნური, ფეხაკრეფით და რიდით მოვიდა. აქ სულეთიდან მობრუნებულმა კვლავ გამომიხმო სიმარტოვიდან. ნაზად და კრძალვით შემახო ხელი და აჩურჩულდა ჩემი საპედო: ძალიან მალე დავქორწინდებით, აღარ ვიცხოვრებთ უერთმანეთოდ.

თარგმნა თამაზ ხარაიშვილმა




რუსული პოეზია

მარინა ცვეტაევა

●

ამიერიდან ვერ გავიყოფთ მე და შენ ვნებას,
გასაოცარო მეგობარო, რჩეულო ჩემო,
გადავეყარე მშვენიერს და ნათელთვალებას,
უძლებ უფლისნულს. სულ სხვა გრძნობას გავუგი გემო.
შენ პალატების და სასახლის ხარ მებატონე,
ის – ტრამალების, ველ-მინდვრების უნაპიროსი,
შენ – ჯარისა და ურიცხვ სპათა ბატონ-პატრონი,
ის – ზღვებისა და ქვიშიანი სანაპიროსი.
ახლა წყლებს ვსერავ მასთან ერთად!!! ხვალ მომლოდინე
არის უღრანი ტყე და ტევრი... მგლები მშიერი;
ქვა და ოორლია სარეცელი, მიწა – ლოგინი,
დავეხეტები და უსაზღვროდ ვარ ბედნიერი.
იგი ალდგომის საოცარი ნათლის დარია
და უყვარს, როცა ყველაფერი ანთია რწმენით,
არ ენანება ჩვენთვის მთვარეს ნათელმთვარიანს
ვერცხლისფერ სხივთა ელვარება, უთქმელი ენით.
ერთ დროს მხედრულად წინ უძლიდა სამეფო ჯარებს
და სასახლეში ქედს უხრიდნენ მეფის ხასები...
დამინახა და რანამს თვალი მოჰკრა ჩემს თვალებს,
მყის მიატოვა პალატები და დარბაზები.

იოსიფ ბროდსკი



დიდი ელეგია ჯონ დონს


ჯონ დონი თვლემს და ირგვლივ ყველაფერს სძინავს:
ლოგინს, მაგიდას, ურდულს, კაუჭებს რამდენს,
იატაკს, ბუფეტს, სანთლებს, კარადებს, მინას,
კედლებს, სურათებს, ჩარჩოებს, შუშებს, ფარდებს.
სძინავთ ბოთლებს და ღამის ნათურებს სძინავთ,
პურს, პურის დანებს, ირგვლივ რამეა თუკი,
საათს, კარს, კიბეს და საფეხურებს მწერივად,
ბროლს და ფაიფურს... არსად არ აღწევს შუქი.
ძილი კი ყველგან, ყველა კუთხეში აღწევს.
ფურცლებს შორისაც... და გამზადებულ სიტყვას,
მაგიდებს, ლოგინს, თვალებს სიბნელე აწევს,
ბუხრის ცივ კედელს, საჩხრეკს და შეშას მიმქრალს.
სძინავთ ჩექმებს და ნინდებს, სარკეებს, ჩრდილებს
ჯვარცმაში, ზეწრის ნაოჭში, სკამის ზურგზე,
სარკის მიღმა და სკამზე მუნდირის ღილებს,
ფეხსაცმელს, ტაშტს და ცოცხს, აყუდებულს ზღურბლზე.
სძინავთ ფანჯრებს და ფანჯრების მიღმა ზამთარს,
მეზობლის სახლის თეთრ სახურავს და გორაკს,
სასრიალოებს, ფერდობს და ნაცნობ კვარტალს,
ფანჯრის ჩარჩოს რომ გაუგლეჯია ორად.
არსად შუქ-ჩრდილი, სამარისებურ ძილით
თვლემენ თაღები, მოაჯირები მუქი,
აღარც ჭრიალი, აღარც უდარუნი რკინის.
თვლემს ყვავილნარი... არსად გაკრთება შუქი,
სახელურები, ბოქლომები და კავი,
თვლემენ კარები, კარის რკალები, კლიტე.
არსად ხმაური, ჩუმი შრიალი, ჩქამიც...
განთიადი კი შორს არის, შორს, ჯერ კიდევ.
სძინავთ ციხეებს და მათ კლიტეებს სძინავთ,
სასწორსაც სძინავს, მათ შორის თევზის დახლებს

და ღორის სუკებს, სახლებს, ეზოებს, ბინებს,
სარდაფში კატებს, თეოზე მიბმულ ძაღლებს.
თაგვებს და ხალხსაც. ლონდონს ღრმა ძილი აწევს,
ნავსადგურს, აფრებს. თოვლიან ზღვის წყალს ეს სურს,
წყლის ანარეკლი მთვლემარე ცის თაღს არწევს
და ერთმანეთში გადადნებიან ერთსულ.
ჩათვლიმა ჯონ დონს, ზღვაც მასთან ერთად ჩათვლემს,
სძინავთ ღრმა ძილით ცარცის ნაპირებს ამ ზღვის,
მშვენიერ ბაღებს დიდი ურდული ადევს,
მთელი კუნძული ჩაუთრევია ღრმა ძილს.
ფიჭვებს და ნაძვებს, სოჭებს, ნეკერჩალს, რცხილას,
ცივ ნაკადულებს მთის ფერდობზე და ბარში
ბილიკებსაც და მგლებს ბილიკებზე... სძინავთ,
დათვის ლოგინთან ქარი თოვლს თეთრად გაშლის.
ალარ გალობენ, ჩასძინებიათ მგოსნებს,
ყურს ვეღარ მოჰკრავთ შორიდან კივილს ჭოტის,
ყვავის ჩხავილი არ აფრთხობს ტყეს და ფრთოსნებს,
თაგვი კი თითქოს ბრალდებულივით მოდის.
ღრმა ძილით სძინავთ მკვდრებსა და ცოცხლებს – ყველას,
გადაქცეულან საყოველთაო ძილად,
მიკედლებია ზოგი ზღვის მდორე ღელვას,
ზოგი კი ერთურთს შემოხვევია ტკბილად.
სძინავს ყველაფერს: მდინარეს, მთებს და ყანებს,
ნადირს და ფრინველს, მკვდარ სამყაროს და ცოცხალს.
მხოლოდ თოვლის ფიფქს ვერ შეაჩერებს ღამე
და ღამის ციდან თოვს, თეთრი თოვლი მოჩანს.
ცაში მეოხი ალარ ჰყავს მინას შეშლილს,
სძინავთ ანგელოზთ, წმინდა სინდისით სრულით,
სძინავს სამოთხეს, გეენას – მფრქვეველს ცეცხლის,
გარეთ არ გადის ამ დროს არც ერთი სული.
ჩათვლიმა ღმერთმაც, გაუუცხოვდა შორი
სამყარო... ახლა ყრუა და ბრმაა თითქმის,
გამქრალა მტრობა, ზამთრის ღამეებს შორის,
სძინავს სატანას, მასთან – თოვლიან ინგლისს.
თვლემენ მხედრები, ტაძრის თარებქვეშ ფშვინვენ,
თვლემენ რაშები და ტალღებივით თრთიან,
ერთურთს ეკვრიან, რომ არ გამორჩეთ ვინმე
ქერუბიმთა დასს, მთავარანგელოზთ ფრთიანს...
სძინავს ჯონ დონს და სძინავთ ლექსებს და რითმებს,
სახეებს – სუსტებს, ძლიერებს; სიტყვის კონებს,
ახლა ცოდვა-ბრალს ყველა სულგრძელად ითმენს,
წვანან და სძინავთ ლექსთნყობას და სტრიქონებს.
აქ ერთმანეთის ძმობა აქვს ყველა სტრიქონს,
გრძნობის სიწმინდე, როგორც ნიშანი, ელავს,
სამოთხის კარი მათგან შორსაა თითქოს
და სიღარიბე აერთიანებს ყველას.

სძინავთ სტრიქონებს, იამბის მტკიცე ტაეპს,
გუშაგად მდგარი იქვე ქოროც თვლემს ტკბილად,
ლეთეს წყლის ხილვებს ზვირთები ანანავებს,
მათი დიდებაც გადაქცეულა ძილად.
თვლემს განსაცდელი ტანჯვა, ვაება, დარდი,
სძინავთ ღვთისმეტყველთ, სითეთრე ბრწყინავს ციდან,
ვნებებსაც სძინავთ, შეერთდა ცოდვა-მადლი;
ბოლმა შავ ლაქებს დაეძებს ერთი ციდა.
ყველაფერს სძინავს, წიგნების გროვას მათთან,
სიტყვის მდინარეს დაუძინია თითქმის,
თავდავიწყების ყინული აწევს მათ და
ფრაზებს და სიტყვებს... რაც კი სიმართლედ ითქმის.
ღრმად სძინავს ყველას: წმინდანებს, ღმერთს და ეშმაკს,
ბოროტ მსახურებს შური რომ ხეთქავს გულზე
და თოვლის ვარდნის ჩქამი თუ ესმის ბნელ გზას,
სხვა ხმა არც არის აქ, დედამიწის ზურგზე.
მაგრამ ჩუ, ნახე, ცივ უკუნეთში ვიღაც
წყვდიადის შიშით ტირის და ვაივიშობს,
ნახე, რომ ზამთრის ანაბრად დარჩა იქაც,
იქ ვიღაც ტირის, მარტო დარჩენას შიშობს.
წვრილი ხმა, ნემსის მსგავსი, უძაფო ნემსის,
მიცურავს თოვლზე, ცივი წყვდიადი ახლავს,
მარტოსულია, მისი არავის ესმის,
განთიადს ღამეს შეაქსოვს სადღაც მაღლა.
„ვინ მოთქვამს იქ, ეს შენ ხარ, მარტო რომ დავალს,
დაბრუნებას და თოვლის ქვეშ ზაფხულს ელი?
თუ ჩემს სიყვარულს, ბნელი გზით ჩემკენ მავალს,
ეს შენ ყვიროდი წყვდიადში?“ – პასუხს ველი.
„ეს თქვენ იყავით ქერუბიმების დასი,
ცრემლიანმა ხმამ მაფიქრებინა ასე,
თქვენ მიატოვეთ ჩემი მთვლემარე ტაძრის
საკურთხეველი?“ – პასუხს არავინ არ მცემს.
„ეს შენ ხომ არ ხარ, პავლე, შენი ხმის ტემპი
სათქმელს უცნაურ უმოწყალობას სძენდა,
შენ შეაფარე წყვდიადს ჭაღარა ტევრი,
იქ შენ ტიროდი?“ – ისევ დუმილი ჟღერდა.
„შენი ხელია, ღმერთო, რომელმაც სხივი
გადაფარა და წყვდიადი დახმა თანაც,
იქაც ტვიფარი დაადო ღვთაებრივი...
სხვა რიგის ხმაა, სხვა რეგისტრია რაღაც“.
ქვეყანა დადგა, მდუმარებს ცა და მიწა,
რაღაცა ყეფს, თან ძალიან მაღალ ხმაზე,
შენ ხარ, გაბრიელ, საყვირს უყვირებ იმ ცა?
მხედრებს ელიან ცხენები, დგანან ყალყზე.
მძინარ ქვეყანას წყვდიადი იძვრებს სულში,
ციდან ეშვება ძირს მაძებრების ხროვა,

„შენ ხარ, გაბრიელ, საყვირით ზამთრის სუსტი,
რომ იტირებ და მხსნელად არავინ მოვა?“
„შენი სული ვარ, ჯონ დონ, ცას დავუზავდი,
აქ შევეხიზნე ზეცას, გავშორდი იმედს,
ვიგლოვ სიმწრით და ვაებით რასაც ვთხზავდი:
გრძნობას, ვნებებს და ფიქრებს, ჯაჭვივით მძიმეს“.
შენ კი ამ ტვირთით შეგეძლო ცაში ფრენა
ვნებებს და ცოდვებს შორის უკიდეგანოდ,
ფრინველად გაჩნდი, ხედავდი შენს ხალხს ზენარ,
დაფრენდი თავზე სახურავების ქანობს.
ზღვებს და სივრცეებს ჭვრეტდი საფრენს და უფრენს,
საკუთარ სულში ჯოჯოხეთს ჭვრეტდი ვერაგს,
სასუფეველსაც – ნათელს და ენით უთქმელს,
ჯერ არსმენილს და თვალით არნახულს ჯერაც.
შენი ცხოვრება ჰგავს შენს საკუთარ კუნძულს
და ოკეანეს – უკიდეგანოს, უვალს,
ყოველი არე შემოუხაზავს უკუნს...
შენც უკუნიქეც, როს ჩაუქროლე უფალს.
ვერ ინავარდებ ცაში, რას უზამ ამ ჯვარს?
ციდან ქვეყანა მოჩანს ვრცელი და მშვენი
და ჩვენი ყოფა სულაც არ არის ტანჯვა,
და საშინელი სამსჯავრო, საშინელი.
იმ სივრცეებში ჰავა უცვლელი რჩება,
იქიდან არის წარმომავლობით ღმერთი...
უშორეს სახლში მბჟუტავ სარკმელში კრთება
შუქი და მკრთალად ნისლიან ღამეს ერთვის.
განა ვრცელ მინდვრებს ყოველთვის ხნავენ გუთნით,
არც საუკუნე ხნავს და მით უფრო – წლები,
მხოლოდ ტყეები დგანან მაღალი ზღუდით
და ბალახებში წვიმა იცეკვებს ვნებით.
იმ პირველ ტყის მჭრელს, რომლის გამხდარი ცხენიც
დაბურულ ტევრში შიშით გაურბის ლანდებს,
დიდ ფიჭვზე ამძვრალს თავის მდუმარე ველზე
მოჩვენება ცეცხლი – ასული ცამდე.
შორს, ძალიან შორს დარჩა ყოველი არსი,
სახურავებზე დაცურდა მშვიდი მზერა.
აქ სინათლეა. ძალლის ყეფაც კი არსით
არ ისმის... აღარც ისმის ზარების უღერა.
როგორც კი მიხვდა, არ არის სხვა გზა რამე,
მოატრიალა ცხენი და უკუიქცა,
იმწამსვე თვითონ, აღვირი, ციგა, ღამე,
ჯაგლაგი ცხენიც ბიბლიურ სიზმრად იქცა.
მე კი ვტირი და ვტირი, არ არის ბედი,
უნდა დავბრუნდე, ისევ ეს არის ბოლო,
მაგრამ სხეულში მყოფმა როგორ გავპედო,
იქ სული უნდა ფრენდეს მხოლოდ და მხოლოდ.

ეს მე კი არა, შენ, შენ მოთქვამდი, ჯონ დონ,
იწექი მარტო, იქვე ჭურჭელიც თვლემდა,
ჩაძინებულ სახლს თოვლი ეფინა ვიდრე
და ვიდრე თოვლი ზეცის თაღიდან ფრენდა.
სძინავს საკუთარ ბუდეში, ჩიტის მსგავსად...
თავის გზა-სავალს და სიხარულის წყურვილს
მიანდობს ცაში აკიაფებულ ვარსკვლავს,
აკიაფებულს, მაგრამ ღრუბლებში ცურვილს.
ჩიტივით სუფთა და ნათელი აქვს სული.
თუმც დიდებულ გზებს თან ახლავს ცოდვა-ბრალიც,
შოშიებს არ ჰგავს ყვავივით მარტოსული.
ჭეშმარიტია, მაღალმხედი და მფრთხალი.
ადგება დღისით, ძილი რომ მოიშოროს,
თეთრი სუდარის ქვეშ სძინავთ, შეწყდა თოვა...
სივრცე სულსა და მძინარე სხეულს შორის
თოვლის და ძილის გვირისტით მოიქსოვა.
ღრმა ძილით სძინავს ქვეყანას, მაგრამ ბოლო,
ბოლო სტრიქონებს ძალა აღარ აქვთ მოცდის,
ღვთაებრივ ტრფობას აბატი მოძღვრავს, ხოლო
ამქვეყნიური – შთაგონებაა მგოსნის.
ვის წისქვილზედაც არ უნდა ასხა წყალი,
სამყარო ისევ ისეთს გამოფქვავს ხორბალს
და თუ სიცოცხლე ჩვენი სხვებისაც არი,
სიკვდილი როგორ წარვტაცოთ პედის ბორბალს?
დახვრეტილი და გაცვეთილია ნარმა,
ხევს ყველა, ვისაც არ ეზარება ხევა,
ერთი ნახტომიც... და თვითონ ზეცის თაღმა
მკერავის წემსით წყვდიადი გამოკერა.
ძველი პერანგი დაიხვრიტა და გაცვდა,
იძინე, ჯონ დონ, დაგლლის ფიქრები მწველი,
შეხედე ღრუბელს, ვარსკვლავი ისევ გაჩნდა –
შენი სამყაროს უერთგულესი მცველი.



ბორის პასტერნაკი

მაგდალელი

ღამესთან ერთად ჩემთან ჩნდება დემონი ერთი,
ძველ ცოდვებსა და წარსულს ასე რომ მაზღვევინებს,
ცეცხლად მედება ფიქრი, რომ არ მახსოვდა ღმერთი,
კაცების გარყვნილ ფანტაზიებს, ვნებას ნაღვინებს,
როგორ ვმონებდი, მერე ქუჩას თავს ვაფარებდი.

ვიდრე დადგება და გაქრება დრო-ჟამი მწველი,
ვით მყიფე ჭურჭელს, საიდანაც მირონს გაპკურებ,
დავამსხვრევ... მაშინ ამოსუნთქვა უკანასკნელი
სამარისებურ მდუმარებად დაისადგურებს,
რომ ალებასტრის ნამსხვრევებად იქცეს ჭურჭელი.
მერე შენს ფეხევეშ მე ჩემს ცოდვებს გავანადგურებ.

ჩემმა ცრემლებმა ყველა ცოდვა ვით გადაწონა,
რომ შემიყვარე, როგორ მენდე, როგორც ტკბილ დობილს?
იქ ბნელი ლანდი და ვნებები მყავდა ბატონად...
ჩემო მოძლვარო და მეგზურო მარადისობის,
სად ვიქნებოდი ახლა, შენ რომ არ გეპატრონა,
ტაბლასთან სხვა ვინ დამიცდიდა ახალმინდობილს?!

განუზომელი ჩემი სევდა ჩემი წილია;
გამოვექეცი ბოროტებას. ცოდვების წყება –
გეენის ცეცხლი, ჯოჯოხეთი და სიკვდილია?
– გთხოვ, ამიხსენი, ცოდვის არსი, რა არის ვნება?
გამოვექეცი სინამდვილეს თუ იდილიას
და შეგეზარდე, ვით ლტოლვილი ხეს შეეზრდება.

ზეცას გაარღვევს ოთხფრთიანი ძელის ლალადი...
გულზე ჯვარივით მივისუტე ტანჯვით სნეული
წმინდა ტერფები დავასველე ცრემლის ნაკადით...

უნდა დაგმარხო, მივაპარო მიწას სხეული.
ზეცას გაარღვევს ოთხფრთიანი ძელის ღალადი...
2

დღესასწაულის წინ ლაგებას იწყებენ სახლის,
მე ამ ჭედვაში ბრძოს გავარღვევ და ტანჯვით დაღლილს,
მოგძებნი – ძვირფასს, უსაყვარლესს, სამყაროს მეფეს,
მირონს ავიღებ წმინდა ჭურჭლით, რიტუალს ნამდვილს
აღვასრულებ და უშურველად შენს ფერხთით დავღვრი,
მერე დაგილტობ ამ მირონში უწმინდეს ტერფებს.

ცრემლები მოწვიმს, სიყვარულის მადლის დამნთები,
ვერაფერს ვხედავ, თვალის ჩინი მაქვს დაბურული,
ხელის ფათურით ვეძებ სანდლებს, მაგრამ სანდლები
არ ჩანს, დამლილი მაგ შენი თმების ფარავს კულული.

ყელში მომდგარი ბურთი მწარე ცრემლებად იქცა,
შენი ფეხები ჩემს კალთაში გამოვიხვიე,
მერე, ცრემლები მძივებივით რომ აიკინძა,
სისხლიან ტანზე დაგენვეთა უკვე მიღმიერს.

მიწა ძალუმად შეირყევა, ცოდვა-მადლს დაცდის,
შევებრალები, სისხლის ცრემლის ნაკადს შემამჩნევს,
ხვალ კრეტისაბმელი გაირღვევა მთავარი ტაძრის,
ხარების უამს რომ ყოვლადწმინდას ეპყრა დედაშენს.

ატყდება დიდი ქარტეხილი, შიში, ვაება,
მიწა პირს გახსნის, ჩამოარღვევს ტაძრებს და თაღებს,
მხედრებს რიგები დაეშალათ, თავგზა აებნათ,
ჯვარი ფრთებს გაშლის, მოიხილავს ზეცის სანახებს.

მე იქვე მოვკვდი, მაგრამ მაინც ცოცხალი დავრჩი,
მოვიკვნეტ ბაგეს და მიწაზე მოვიცელები,
შენ კი, ჯვარცმული და ტანჯული, ორსავ ხელს გაშლი,
რომ გულში მაგრად ჩაიხუტო შენი მკვლელები.

წინ სამი დღეა, მძიმე სამი! – რა საზარია!
რა ნელა გადის, გავიზარდე, თუმც ამ სამ დღეში,
სწორედ ის სამი როცა ჩვენი ღმერთი მკვდარია –
ჩვენი სამყაროს შექმნის დღიდან უსაზარლესი.



სერგეი ესენინი

შირაზის ვარდო, მშვენიერო ჩემო შაგანე

შირაზის ვარდო, მშვენიერო ჩემო შაგანე,
მე, ჩრდილოელი, მზად ვარ, დიდი გულის ფანცქალით
გიამბო, ჩვენში ჭვავის ყანებს როგორ აქანებს
და ამხელს მთვარის საიდუმლო გულისთქმას ქარი.
შირაზის ვარდო, მშვენიერო ჩემო შაგანე.

მე ჩრდილოეთის სიყვარული არ დავახანე,
მთვარე იქ უფრო დიდია და მშვენი მზის დასის,
ვრცელი ველებიც იქაური უფრო ღალანებს,
ვიდრე ლამაზი და წარმტაცი თქვენი შირაზის.
გამლილო ვარდო, მშვენიერო ჩემო შაგანე.

მინდა, გიამბო თვალუწვდენი ველების ლოცვა,
ღამე – მინდვრებზე გაწოლილი, ისე ჩუმი, ვით
ჭვავის ყანები... ეს თმა ჭვავის თავთავმა მომცა,
თუ გინდა, ხელზე დაიხვიე აბრეშუმივით,
უგრძნობელი ვარ, ტკივილს არ ვგრძნობ, გიყურებ როცა.

ამ მოღალანე ყანის რხევა, მთვარის ნათელში
ჩემი დალალის, დატალული თმის რხევას რო ჰევას,
გთხოვ, მოგონებას სევდანარევს ნუ აღძრავ ჩემში,
ნუ მოიწყენ და გაუღიმე ყანების როკვას...
ამ თავთავების ქარით რხევას მთვარის ნათელში.

შირაზის ვარდო, მშვენიერო ჩემო შაგანე,
იქ, ჩრდილოეთში, ერთი გოგო გგავს გასაოცრად.
როდესაც გხედავ, თვალნინ მიღვას, იმას გადარებ.
ვინ იცის, დარდობს კიდეც ჩემზე, მიგონებს როცა?
შირაზის ვარდო, მშვენიერო ჩემო შაგანე.

თარგმნა ჭანა ამირეჯიბმა



დინო ბუცატი

ჩეარი მატარებელი

— ეს შენი მატარებელია?
— დიახ, ეს არის.

სადგურის გაჭვარტლული სახურავის ქვეშ მდგარი ორთქლმავალი გაცოფებულ ბუღასავით ქშენდა და მოუთმენლად ტორავდა დედამინას ჩილიქებით.

— ნამდვილად ამ მატარებლით მიემგზავრები? — მყითხეს მე.

ორთქლის წვრილი ნაკადი საშინელი სტვენითა და ქოთქოთით უბერავდა ღრიფოებიდან.

— ნამდვილად, — ვუპასუხე მე.
— საით მიღიხარ?

დავასახელე ჩემი მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტის მისამართი. ალბათ, სიმორცხვის გამო, აქამდე მეგობრებთანაც არ მიხსენებია მაღალი... არა, უზენაესი საზღვრის მომაჯადოებელი სახელი. ახლაც კი არ მყოფნის ძალები ამ სიტყვის დაწერისათვის.

მაშინ კი, როდესაც ეს სიტყვა ხმამაღლა წარმოვთქვი, ზოგიერთმა ისეთი მრისხანებით შემომხედა, როგორც ზღვარგადასულ თავხედს უყურებენ; ზოგმა ეჭვით სავსე თვალები მომაპყრო იმის გამოსაცნობად, ვხუმრობდი თუ შევიშალე. მავანი იმ ყველასათვის ნაცნობი თანგრძნობით მიცქერდა, როგორც ილუზიების სამყაროში ჩაკარგულ ადამიანს შეხედავენ ხოლმე. დანარჩენები კი... დანარჩენები უბრალოდ

დამცინოდნენ. ერთი ნახტომი — და უკვე ვაგონში აღმოვჩნდი; ფანჯარა ჩამოვწიე, გადავიწიე და მეგობრების სახეებს დავუწყე ძებნა... ჰმ, არავინ ჩანდა, აღარავინ მაცილებდა...

ძალიანაც კარგი! რახან ასეა, მაშ, გაფრინდი, ჩემო ორთქლმავალო, დროს ნულარ კარგავ! გაქუსლე, რაც ძალი და ღონე გაქვს! ბატონო მემანქანევ, გევე-დრები, არ მოაკლო ქვანახშირი რკინის ლევიათანს. დაე, ბოლო ზღვრამდე აი-ნიოს წნევის ბარომეტრმა.

აი, გაისმა რკინის ბორბლების ნანატრი კაკუნი, შეირყნენ ვაგონები, სადგურის სვეტებმა ერთიმეორის მიყოლებით შემოიჭყიტეს ჩემს ფანჯარაში...

მერე კი სახლები, სახლები, ფაბ-რიკები, საქვაბები, სახურავები...

სახლები, სახლები, ქარხნების მილები, ვიწრო შუკები...

სახლები, სახლები, ხეები, ბოსტნები, სახლები...

ბორბლების რაკუნი, ბორბლების კაკუნი, მინდვრები, ველები...

ღრუბელთა სრბოლა და ხელში თიკუნი...

მიაწექ, მემანქანევ! მიაწექ ბოლომდე და გააყრევინე წყლის ორთქლი და ალის ნაპერნკლები შენს მანქანას.

ოჳ, ღმერთო, როგორ მივიჩქაროდით! ამ სიჩქარით ხომ... — ალტაცებული ვფიქრობდი გულში. — სულ მალე მივაღწევთ N-1 სადგურს, მერე — მე-

ორეს, მესამეს, მეოთხეს და ბოლოს მივაღწევ მთავარს – მეხუთეს, სადაც უბრნებინვალესი გამარჯვებები მელიან!

კმაყოფილი სახით ვუცქერდი, როგორ იწეოდა დაბლა ელექტროხაზები. ქვემოთ ეშვებოდა, ეშვებოდა ხაზები და უცებ, წამის მეასედში – ბრახ – ისევ თავის სიმაღლეზე დგებოდა – ესე იგი, კიდევ ერთმა ბოძმა ჩაგვიფრინა. სიჩქარე კი ყოველ წამს ხელშესახებად იმატებდა.

ჩემ პირდაპირ, ხავერდის სავარძლებში ორი ბატონი იჯდა, რომელთაც სახეზე ეწერათ, რომ ნამდვილად ერკვეოდნენ და ზუსტად იცოდნენ, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი მატარებელი. ჩემდა გასაკვირად, მალ-მალე იღებდნენ ჯიბიდან საათებს და უკმაყოფილოდ დასცქეროდნენ.

ბუნებით მორცხვი და ჩაკეტილი ადამიანი ვარ, მაგრამ იმ წუთში მხნეობა მოვიკრიბე და ვიკითხე:

– ბატონებო, თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ, იქნებ, ამიხსნათ, რას მივაწერო თქვენი უკმაყოფილება?

– აბა, როგორ უნდა ვიყოთ კარგ ხასიათზე, – მომიგო უფრო ხნიერმა.

– ამ ჯაგლაგის შემხედვარე, ყველგან დავიგვიანებთ, სადაც შეიძლება და არ შეიძლება...

არაფერი მიპასუხია, თუმცა გავიფიქრე: რა უცნაურია ადამიანი, ვერასოდეს ასიამოვნებ; ათასი ლომის სიმძლავრე, ათასი ლეოპარდის სისწრაფე ხომ სწორედ ჩვენი ორთქლმავლის გულშია განივთებული. ასეთი სიჩქარით უმგზავრია ვისმე განა? თუმც, ყველამ ხომ ვიცით, თუ რა უმადურ, წუწუნა, მტირალა და უკმაყოფილო კასტას წარმოადგენენ მგზავრები საზოგადოდ.

ამასობაში მინდვრები ელვის სისწრაფით რჩებოდნენ უკან და გავლილ გზას ჰორიზონტს უერთებდნენ.

სადგურ N1-ში თითქოს დანიშნულზე ადრე ჩავედით, თუმცა საათის შემოწმებისას დავრნწმუნდი, რომ ზუსტად განრიგის მიხედვით ვმოძრაობდით. ამ სადგურზე ინჟინერ მორფინის უნდა შევხედოდი. ვაგონიდან ჩამოვხტი და პირველი კლასის რესტორანში შევედი, სადაც მორფინის, ჩემს მოლოდინში, სადილობაც მოესწრო.

მისალმების შემდეგ მაგიდას მივუჯექი. მოულოდნელად, საქმის მაგიერ, მორფინიმ, ათასგვარ სისულელეზე დაინყო საუბარი, თითქოს უამრავი თავისუფალი დრო გვქონოდა. მთელი ათი წუთი გავიდა (მატარებლის გასვლამდე მხოლოდ შვიდი იყო დარჩენილი), სანამ



პორტფელიდან საჭირო ქაღალდებს გა-
მოაძრენდა. უცრად მან შენიშნა, რომ
მალიმალ დავცექროდი საათს.

– ახალგაზრდავ, თქვენ ჩქარობთ?
– ირონიულად შემეყითხა იგი. – იცით,
რას გეტყვით? მე არანაირ სიამოვნებას
არ მანიჭებს, როდესაც ვინმე მაჩქარებს
გადაწყვეტილების მიღების დროს...

– ბატონო ინუინერო, თქვენ სრულ
ჭეშმარიტებას ამბობთ, – ყოყმანით შე-
ვეპასუხე. – მაგრამ რამდენიმე წუთში
ჩემი მატარებელი გადის და ამდენად...

– რახან ასეა, – მკვახედ მომიგო
ინუინერმა და ფურცლები მაგიდიდან
ენერგიულად აკრიფა. – რახან ასეა,
ვწუხვარ, ჩემი ბატონო, მაგრამ მოდი,
ჩვენი საუბარი იმ დროისთვის გადა-
ვდოთ, როდესაც უფრო თავისუფალი
იქნებით, – და ამ სიტყვაზე ფეხზე წა-
მოდგა.

– მაპატიეთ, – წავიბურტყუნე მე. –
ჩემი ბრალი არ არის, უბრალოდ, მატ-
არებელი...

– არა უშავს, მესმის; ძალიან კარგად
მესმის, – მოწყალედ გამილიმა მორფინი.

მარჯვედ შევხტი უკვე დაძრული
ვაგონის საფეხურზე. ვერაფერს იზამ!

– გავიფიქრე. – შემდეგისთვის გადა-
ვდოთ; ახლა, მთავარია, ჩემს მარშ-
რუტს მივყვე.

მივქროდით ველებზე და კვლავ
ადი-ჩადიოდნენ ელექტრონხაზები ეპი-
ლეფსიურ კონვულსიებით; ჩრდილოე-
თის მიმართულებით თვალუწვდენელი
ხდებოდა სივრცეები, გაიშვიათდა და-
სახლებული ადგილები.

ძველი თანამგზავრები აღარსად ჩანდ-
ნენ; კუპეში ახლა მხოლოდ კეთილსახიერი
პროტესტანტი პასტორი იჯდა და გამუ-
დმებით ახველებდა. სარკმელში ერთ-
მანეთს ცვლიდა ტყეების, მინდვრებისა
და ჭაობების სურათები. უკან დარჩენი-
ლი სივრცე კი იზრდებოდა, იბერებოდა
უსაშველოდ და იტანჯებოდა, როგორც
ცოდვებით დამძიმებული სინდისი.

საათს დავხედე უსაქმობით გაბეზრე-

ბულმა. ხველებით დატანჯულმა პასტორ-
მაც მომბაძა, თავისი საათი ამოიღო,
თვალმოჭუტული დააკვირდა და თავი
უკმაყოფილოდ გადააქნია. ამჯერად აღარ
მიკითხავს, რამ დააღონა ასე, რადგან
კარგად ვუწყოდი მიზეზს... უკვე 16 საა-
თი და 45 წუთია. თხუთმეტი წუთის წინ
უნდა შევსულიყავით სადგურში, ის კი
თვალსაწიერზეც არ ჩანდა.

N2 სადგურში როზანა უნდა შემხ-
ვედროდა. პერონზე უამრავი ხალხი
ირეოდა, მაგრამ როზანა არსად ჩანდა.
მატარებელმა მთელი ნახევარი საათი
დააგვიანა. პლატფორმაზე გადავხტი
და სადგურის შენობაში შევირბინე,
იქაც არ იყო; შენობიდან გამოსულ-
მა სადგურის მოედანს გადავხედე და
იქით, შორს, ხეივნის ბოლოში მიმა-
ვალი, მობუზული, თავჩაქინდრული
სხეული ვიცანი.

– როზანა! – მთელი ხმით შევყვირე.
– როზანა!

მაგრამ სიყვარული ჩემი ძალიან
შორს წასულიყო ჩემგან; ერთხელაც კი
არ მოუხედავს უკან. მითხარით ვინმემ
– თუ ღმერთის გწამთ, მითხარით –
განა შემეძლო, ყველაფერზე ხელი ამე-
ლო და მას გავკიდებოდი?

ხეივნის სიღრმეში უკვალოდ გაქრა
როზანა, მე კი გავაცნობიერე, გავი-
სიგრძეგანე, რომ დიად მიზანს კიდევ
ერთი მსხვერპლი შევწირე და დამძიმე-
ბული გულით შევპრუნდი ვაგონში.

და გაქროლდა ჩქარი მატარებელი
ჩრდილოეთის უკიდეგანო სტეპებზე
იმასთან შესახვედრად, რასაც, ჩვეუ-
ლებრივ, ბედისწერას უწოდებენ. ბო-
ლოს და ბოლოს, სიყვარული ხომ არ
არის მთავარი????

დღეები მისდევდნენ დღეებს. ლი-
ანდაგების გასწვრივ ისევ ნერვულად
როკავდნენ ელექტრონხაზები. თუმც
ბორბლების კაუნში რატომ აღარ ის-
მოდა ძველებური უინი, სისწრაფით
აღტყინება, რატომ მოიზლაზნებოდნენ
ხეები ჩემი ფანჯრებისკენ და რატომ

აღარ ქრებოდნენ ელვის სისწრაფით, როგორც დამფრთხალი კურდლები?

N3 სადგურზე დამხვდურთა მცირე ჯგუფი გველიდა. არ იყო საზეიმო მისალმებები, არ ისმოდა მუსიკა. ცნობათა ბიუროს მივაშურე და ვიკითხე:

– უკაცრავად, მაგრამ აქ რაღაც კო-მიტეტი უნდა დაგვხვედროდა, ხომ არ შეგინიშნავთ ბატონები და ქალბატონები დროშებითა და ორკესტრის თანხმელებით?

– დიახ, დიახ, ძალიან დიდხანს გელოდნენ. მერე კი გადაწყვიტეს, რომ მათგან საკმარისია და დაიშალნენ.

– როდის მოხდა ეს ამბავი?

– დაახლოებით სამი ან ოთხი თვის ნინათ.

ამ დროს სასტუენის ხმა გაისმა ნიშნად იმისა, რომ წასვლის დრო დამდგარიყო.

მშვენიერია! თამამად, თამამად გასწინი წინ, ორთქლმავალო! მატარებელმა მართლაც უმატა სვლას, თუმც ეს აღარ იყო ის სიჩქარე, მგზავრს რომ ატყვევებდა. ნუთუ უხარისხო ქვანახშირია?.. იქნებ, გაიშვიათებული უანგბადის ბრალია?.. მემანქანე ხომ არ დაიღალა?.. ამასობაში შორეთი შემზარავ უფსკრულად გადაქცეულიყო, თავბრუდამხვევ, შემზარავ უფსკრულად.

N4 სადგურზე დედა უნდა დამხვედროდა, მაგრამ, როდესაც მატარებელი სადგურზე ჩამოდგა, ბაქანზე არავინ ჩანდა. ბარდნიდა უსაშველოდ.

მთელი ტანით გადმოვიწიე სარკმლიდან. ჩემი თვალები გამალებით დაეძებდნენ ნაცნობ სხეულს და როცა იმედგაცრუებულმა ფანჯრის დახურვა გადავწყვიტე, მოსაცდელ დარბაზში მოვკარი თვალი. ნაქსოვ შალში გამოხვეულს, მოკუნტულს ჩასძინებოდა სკამზე. ღმერთო, დიდებულო, როგორ დალეულა!

მატარებლიდან ჩამოვხტი და მასთან მივირბინე. ჩახუტებისას ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ადამიანს კი

არა, პეპელას ვეხებოდი – სიცივისაგან აკანკალებულ პეპელას.

– დე... ძალიან დიდხანს გალოდინე?

– არა, შვილო, რას ამბობ, – მომიგო სიხარულით აცრემლებულმა. – სულ რაღაც ოთხი წელიწადია.

იატაქს ჩასჩერებოდა, თითქოს დაკარგა რამე.

– რას ეძებ, დედა?

– არაფერს... ბარგი სად არის, შვილო? ბაქანზე დატოვე? ალბათ, ძალიან მძიმეა. მებარგულს დავუძახებ.

– არა, დე, ბარგი მატარებელშია.

– მატარებელში? – იმედგაცრუება დაეფინა სახეზე. – როგორ, ჯერ არ გადმოგიტანია?

– დედა, გამიგე... – არც ვიცოდი, რა უნდა მეთქვა იმ წუთს.

– წუთუ ახლავე მიდიხარ? ერთი დღე მაინც არ დარჩები ჩემთან? – შიშჩამდგარი თვალებით მიყურებდა დედა.

მე ამოვიოხრე.

– ჯანდაბას მატარებელი. დაე, წავიდეს. ახლავე გავიქცევი, ბარგს ჩამოვიტან. შენთან ვრჩები, გადავწყვიტე... შენ ხომ ამდენ ხანს მელოდე...

ჩემმა სიტყვებმა ჯადოსნურად იმოქმედა დედაზე. სახე აუფაკლდა, გაიღიმა, სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში მიღიმოდა;

– რას ამბობ, შვილო, შენ ვერ... არ გინდა, არ ჩამოიტანო ბარგი... – ვედრებით გამოიწოდა დამჭუნარი ხელები; – რა გაგაჩერებს ამ მიყრუებულ ადგილზე. ჩემზე ნუ დარდობ; წუთსაც ნუ დაკარგავ ჩემი გულისთვის... ახლავე უნდა წახვიდე, სიმართლეს ვამბობ; შენი ვალი უნდა აღასრულო... მე ხომ ნატვრა უკვე ამისრულდა – გნახე, მეტი არც არაფერი მინდოდა...

– მტვირთავო, ჩემთან! – შევყვირე მე და მებარგული სოკოსავით ამოიზარდა თვალწინ; – სასწრაფოდ გადმოტვირთეთ სამი ჩემოდანი!

– არავითარ შემთხვევაში! – გაჯიქდა დედა. – ასეთი შანსი აღარ

გექნება. ახალგაზრდა ხარ და შენს გზას ბოლომდე უნდა მიჰყვე. ადი, ადი მატარებელში! მიღი! სწრაფად! – ძალისძალად იღიმოდა დედა და მსუბუქად, ნაზად მკრავდა ხელს. – იჩქარე, თუ ლმერთი გწამს, იჩქარე, სანამ კარები დაუკეტავთ.

არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი – მე, საბრალო ეგოისტი – კუპეში, როგორ ჩამოვწიე სარკმელი, როგორ ვიქნევდი ხელს დამშვიდობების ნიშნად...

ორთქლმავალმა ჭრიალით დაძრა ვა-გონები. სულ მალე დედა კიდევ უფრო დაპატარავდა. თითქოს გაქავებული დარჩა იგი ცარიელ, თოვლით გადაპენტილ ბაქანზე... ცოტაც და, მისი სხეული შავ, უსახო ლაქად გადაიქცა, სამყაროს სივრცეებში ჩაკარგულ უმნეო წერტილად. ბოლოს კი გაქრა... მშვიდობით, დე!

დაგვიანება უკვე წლებს ითვლის, ჩვენ კი ჯიუტად ვაგრძელებთ გზას. საით მივიჩქარით, ნეტავ?

სალამოვდება, გაყინულ ვაგონში თითქმის აღარავინ დარჩენილა. ისინი კი, ვინც ჯერ კიდევ აქ არის, შეუვალი, მკაცრი სახეებით ჩასჭიდებიან თავიანთ სავარძლებს. დიდი ხანია სიცივისაგან გაფიჩეულან, მაგრამ არასოდეს აღიარებენ ამას.

მაშ, საით მივიღტვით? კიდევ შორს არის დასასრული? ოდესმე მივალნევთ ბოლო სადგურამდე? ღირდა კი მშობლიური ადგილების, საყვარელი ადამიანების უკანმოუხედავად მიტოვება? სად ჯანდაბაში წავიდე, ნეტავ, სიგარეტი?.. აი, ისიც – პიჯაკის ჯიბეში მქონია. არა! ყველა გზა მოჭრილია!

მაშ, მიაწექი, მემანქანევ! ნეტავ, როგორ გამოიყურები? რა გქვია? არ გიცნობ და არასოდეს მინახისარ, მაგრამ მხოლოდ შენი იმედი დამრჩენია. მაგრად დადექი, მემანქანევ! შეაგდე ლუმელში ნახშირის უკანასკნელი ნატეხები, იქნებ, გზა განაგრძოს ბებერმა

ჯაგლაგმა. გთხოვ, მემანქანევ, იქნებ, აუჩქაროს და ოდნავ მაინც დაემსგავოს იმ ახალ, მპრწყინავ ორთქლმავალს, გზის დასაწყისში რომ ყოჩალობდა! იქნებ, გააპოს გულის წყვდიადი. გაფიცებ, გულით საყვარელს გაფიცებ, არ შედრკე, არ შეჩერდე, არ ჩათვლიმო, მემანქანევ... იქნებ, ხვალ, ალიონზე მივაღწიოთ ბოლო სადგურამდე.

მეგობრები

ვიოლინოს ოსტატი ამადეო ტორდი მეუღლესთან ერთად სასტუმრო ოთახში ყავას მიირთმევდა. ბავშვებს ეძინათ უკვე. უკანასკნელ ხანს უბრად ყოფნა დასჩემდათ. ახლაც მხოლოდ საათის წიკიპი არღვევდა გამეფებულ სიჩუმეს. უეცრად ქალმა დუმილი დაარღვია: – არც კი ვიცი, როგორ ავხსნა... მთელი დღის განმავლობაში ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს... თითქოს აპაშერი უნდა მოვიდეს სტუმრად.

– იცი, რას გეტყვი?! – უკმეხად შეუღლინა ქმარმა. – ჩემს მეგობრებზე ასეთი უკბილო ხუმრობა აქამდე არ გჩეოდა!

მართლაც, ოდნავ უხერხულად უღერდა ქალის სიტყვები, რადგან იციოდე დღის წინ ტონი აპაშერის ცხედარი მინისთვის მიებარებინათ.

– ბოდიშს ვიხდი, მეც ვგრძნობ... კარგად მესმის... ეს ხომ საშინელებაა! – თქვა შეწუხებულმა ქალმა, მაგრამ იქვე დაამატა: – ვერაფერს ვუხერხებ თავს... ამ შეგრძნებას ისევე ვერ ვიცილებ, როგორც აკვიატებულ მელოდიას.

– ე-ეჲ, ნეტავ... – ნაღვლიანად ამოიხსრა ტორდიმ, თუმცა წინადადება ალარ დაასრულა, თავი გადააქნია მხოლოდ.

ოთახში კვლავ სიჩუმემ და სიმყუდროვემ დაისადგურა. ათს თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც ვიღაცამ სადარბაზოს კარებზე დარეკა. უთუოდ

შინაური გახლდათ მოსული, რადგან ზარი დიდხანს და დაუინებით რეკვდა. ცოლ-ქმარი შეკრთა.

– ნეტავ, ვინ მოეხეტა ამ შუალამისას? – იკითხა სენიორა ტორდიმ. დერეფანში მოახლე ინესას ფეხების ფრატუნი გაისმა, რასაც კარის გაღების ხმა და საუბრის გაურკვეველი ხმები მოჰყავა. ინესა სირბილით მოაწყდა სასტუმრო ოთახის კარებს და შემოიხედა. გოგონას სახე მიტკალივით გაფითრებოდა.

– ინესა, ვინ გვესტუმრა? – იკითხა დიასახლისმა.

– ბატონი ტორდი, თუ შეიძლება, ერთი წუთით მოპრძანდით. ოჳ, ღმერთო! წამოუდგენელია!..

– რა ხდება, აღარ იტყვი, ვინ არის? – თავზარდაცემული ქალბატონი ტორდის შეკითხვაში თითქოს ისიც გამოკრთა, რომ მშვენივრად იცოდა, თუ ვინ იდგა შემოსასვლელ კარებთან.

ინესა წინ გადმოიხარა, თითქოს საშინელი საიდუმლოს გამხელა სურდა, მაგრამ ვერ ბედავდა. ბოლოს ამოიოხრა და ჩურჩულით ამოთქვა:

– იქ... იქ... ბატონი ტორდი, გამოპრძანდით, რა?.. მაესტრო აპაშერი დაბრუნდა!..

– რა სისულელებს ბოდავ! – გაღიზიანებული ტორდის სიტყვები მეუღლისთვისაც იყო განკუთვნილი. – გავალ... ვნახავ... აქ დამელოდე!

ბერელ დერეფანში გასულმა ტორდიმ ფეხი კარადის კუთხეს ისე ძალუმად წამოჰკრა, თავი ძლივს შეიმაგრა. გამნარებული კარის სახელურს დასწვდა და სწრაფად გამოაღო.

სადარბაზოში უხერხულად აწურული აპაშერი იდგა. პოზა ნაცნობი, ზუსტად ისეთივე ჰქონდა, როგორც ადრე, მაგრამ... მაგრამ თითქოს ნაკლებ ხორციელად გამოიყურებოდა... მისი სხეულის კონტურები სივრცეს შერწყმოდა. ნუთუ აპაშერის აჩრდილს ხედავდა ტორდი? როგორც ჩანდა, პირდალებული მასპინძლის წინაშე კლასიკური აჩრდილი არ იდგა,

რადგან იგი სრულად ვერ გათავისუფლებულიყო იმისაგან, რასაც მატერიას ვუწოდებთ... თუ მაინცდამაინც აჩრდილს დავარქებულით იმას, რაც ასე მორიდებულად ჩამომდგარიყო კიბის თავში, მას ნამდვილად შემორჩენოდა სხეულებრივი ნაშთები. ჩვეულებრივი სამოსი ეცვა – ნაცრისფერ კოსტიუმსა და ცისფერზოლიან პერანგში გამოწყობილს წითელი ჰალსტუხი ეკეთა. ხელში უაზროდ აწვალებდა ყველასათვის ნაცნობ, განუყრელ ფეტრის ქუდს (იქნებ, ჯობდა გვეთქვა: კოსტიუმის ლანდი, ჰალსტუხის ლანდი; არა ქუდი, არამედ ქუდის ლანდი...).

ემოციურ ადამინად არასოდეს ითვლებოდა ამედეო ტორდი, მაგრამ იმ წუთში ისიც გაქვავდა, ძლივს ამოისუნთქა, სუმრობა ხომ არ არის, ოცი დღის წინ დაკრძალული საუკეთესო მეგობარი შუალამისას სახლში რომ მოგადგება!

– ამადეო! – წარმოთქვა საბრალო აპაშერმა და საწყლად გაიღიმა, თითქოს შექმნილი უუხერხულესი მდგომარეობიდან გამოსვლას ცდილობდა.

– მენ? შენ აქ ხარ? – შეჰერია ტორდიმ და ამ შეძანილში ყვედრება უფრო მოისმიდა, ვიდრე სხვა რამ. ათასმა გრძნობამ, რომლებმაც ალყაში მოაქციეს იგი, ბოლოს მიმართულება მიიღო და მრისხანებაში გადაიზარდა. ნუთუ გარდაცვლილი მეგობრის უეცარმა, წარმოუდგენელმა დაბრუნებამ უზომით სიხარული არ უნდა მოჰყვაროს ადამიანს? განა ამგვარი სასწაულისთვის ტორდი თავის მილიონებს არ დათმობდა? მაშ, რატომ არ განიცდის ენით უთქმელ ბედნიერებას? საიდან გაჩნდა მის გულში მრისხანების ეს საშინელი, დამთრგუნველი შეგრძნება? რატომ ხდება ასე?.. როგორ ხდება?.. ბანალურია, მაგრამ განა მეგობრის დაკარგვით გამოწყებული ელდის, დაკრძალვის ცერემონიალის აუცილებელ პირობითობებთან დაკავშირებული ღელვისა და განამანის შემდეგ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს? დასაფლავების

დღეს აპაშერისადმი განკუთვნილი ნაზი გრძნობების წყარო დამშრალიყო და ვაი, რომ სამუდამოდ დაკარგულიყო...

— ჰო, როგორც ხედავ, მე ვარ, — უპა-სუხა აპაშერმა და ქუდის ფარფლების ჭმუჭვნას უმატა. — ჩვენი ურთიერთობა ხომ გვაძლევს უფლებას... მოკლედ, პირდაპირ მითხარი... თუ ჩემი მოსვლა უხერხულია...

— უხერხულია? შენ ამას უხერხულობას უწოდებ?! — ტორდი წყობიდან გამოვიდა. — შუალამისას სადღაც ჯანდაბიდან გამომეცხადე, თანაც ასეთ ფორმაში... და ეს, შენი აზრით, უხერხულია?! რა თავხედობა! — წამოისროლა მასპინძელმა ეს სიტყვები და ხმაჩავარდნილმა დააყოლა: — ანი რა მეშვეოლება?.. რაღა უნდა ვქნა?..

— მისმინე, ამადეო. — ალაპარაკდა აპაშერი. — გთხოვ, ნუ მიბრაზდები... მე უდანაშაულო ვარ... იქ, — მრავალმნიშვნელოვნად ასწია თავი ზემოთ, — რაღაც გაუგებრობა მოხდა... მოკლედ, როგორც ჩანს, მთელი თვე მომინევს აქეთ დარჩენა, შესაძლოა, ოდნავ მეტიც... ჩემს სახლში უკვე სხვები ცხოვრობენ...

— მოიცა, მოიცა! იმის თქმა გსურს, რომ ეს ერთი თვე ჩემთან უნდა იცხოვოთ? ჩემთან იძინო?..

— მე ხომ ალარ მძინავს... საქმე რაშია, იცი? მხოლოდ ერთი კუთხე მჭირდება... ხელს არაფერში შევიშლი — არ ვჭამ, არ ვსვამ, არც... ტუალეტითაც არ ვსარგებლობ... მთავარია, სადმე ჭირქვეშ ვიყო, რომ არ დამარციმოს...

— დაგაწვიმოს? ნუთუ სველდები?

— არა, არა, რა თქმა უნდა, არ ვსველდები, — ჩუმად ჩაიხითხითა ტონიმ. — მაგრამ, უნდა ვალიარო, რომ ძალიან უსიამოვნო გრძნობაა...

— მაშ, გადაწყვიტე, რომ ყოველ ლამით აქ მოხვიდე, ჩემს სახლში...

— თუ, რა თქმა უნდა, ნებას დამრთავ...

— ა-ა჊, თუკი ნებას დაგრთავ! იცი,

რას ვერ ვიგებ? ყოველთვის გონიერ კაცად გიცნობდი, ჩემო მეგობარო... როგორც ამ შემთხვევაში იტყოდნენ, შენ შენი ცხოვრება უკვე გალიე... როგორ ვერ ხვდები, რომ... თუმცა, არც მიკვირს, შენ ხომ ოჯახი არასოდეს გყოლია!

შემკრთალმა აპაშერმა უკან დაიხია.

— მაპატიე, გთხოვ, მაპატიო.. მეგონა... მხოლოდ ერთი თვე...

— შენ უბრალოდ არ გსურს შეხვიდე ჩემს მდგომარეობაში! — შეეპასურა განაწყენებული ტორდი. — ხომ იცი, ჩემს თავს არ დავეძებ... ბავშვები მყავს, გამიგე, ბავშვები... როგორ ფიქრობ, უცებ რომ დაგინახონ, რა მოხდება? ათი წელიც არ შესრულებიათ ჯერ...

ეს შენთვის არაფერს ნიშნავს? ბოლოს და ბოლოს დაფიქრდი, რას წარმოადგენ ამჟამად?! ალბათ, სისასტიკეში ჩამითვლი, მაგრამ შენ ხომ... შენ მოჩვენება ხარ... იქ კი, სადაც ჩემი შვილები ცხოვრობენ, მერწმუნე, მოჩვენებების ადგილი არ არის! ასე რომ, ჩემო კარგო...

— მაშ, ერთ ღამესაც ვერ გამათევინებ?

— ვერც ერთი წუთით ვერ შემოგიშვებ, სათქმელიც არაფერი მაქვს...

— ტორდის სიტყვა გაუწყდა; აპაშერი ანაზდად გაქრა. ისმოდა მხოლოდ, რომ ვიღაც თავქუდმოგლეჯილი ჩარბოდა კიბეზე.

საათმა პირველის ნახევარი ჩამოჰკრა, როდესაც კონცერტის შემდეგ კონსერვატორიის დირექტორი მაესტრო ტამბერლანი ტორდის მეზობელ სადარბაზოში, საკუთარ სახლში დაბრუნდა.

გასაღები კლიტეს მოარგო და ის იყო, ერთხელ გადაატრიალა, რომ ვიღაცამ ყურში ჩასჩურჩულა: „მაესტრო, მაესტრო!“ მკვეთრი მოძრაობით შეპრუნდა ტამბერლანი და... აპაშერი დაინახა! მაესტროს წინდახედული, დახვეწილი დიპლომატის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მას მშვენივრად ეხერხებოდა ნებისმიე-

რი სიტუაციის სათავისოდ გამოყენება. სწორედ ამ ღირსებების (თუ უღირსობის) გამოისობით, საზოგადოებაში იმაზე ბევრად მაღალ მდგომარეობას მიღწია, ვიდრე საკუთარი ნიჭით იმსახურებდა. ახლაც თვალის დახამხამებაში შეაფასა სიტუაცია. – ო-ოჳ, ჩემო ძვირფასო მეგობარო! – ნაზი და მღელვარე ხმით მიაპყრო ხელები აპაშერისაკენ, თუმც შეეცადა, მისგან ერთმეტრიანი დისტანცია შეენარჩუნებინა.

– ო-ოჳ, ძვირფასო, ჩემო ძვირფასო!.. რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ ყველას...

– უკაცრავად, რა თქვი? ვერ გავიგე! – დაეკითხა აპაშერი. – ალბათ, გსმენიათ, რომ მოჩვენებებს შეგრძნებები დაჩილუნგებული აქვთ, – სწორად გამიგე, როგორიც მქონდა, ისეთი სმენა აღარ მაქვს...

– რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად მესმის... მაგრამ ყვირილს ხომ არ დავინყებ, ხომ იცი, ადას უკვე სძინავს... და საერთოდ...

– მაპატიე, მართალი ხარ... ხომ არ შეგიძლია, წუთით სახლში შემომიშვა, თორემ მთელი დღეა ფეხზე ვდგავარ...

– რას ამბობ, ვერაფრით ვერ შემოგიშვებ! ღმერთმა დაიფაროს, ბლიცმა რომ იყნოსოს რაიმე.

– ვინ იყნოსოსო, რა თქვი?

– ვითომ არ გახსოვს! ჩემი ნაგაზი, ბლიცი ატეხავს ერთ ამბავს! ხმაურზე კონსიერჟიც გაიღვიძებს და აყალმაყალიც მოხდება!..

– მაშ, არ შეიძლება?.. თუნდაც რამდენიმე დღით მაინც...

– რამდენიმე დღით, რა? ჩემთან დარჩენა? შეძლებით როგორ არ შეიძლება, ჩემო მეგობარო, რას ამბობ, შენთვის რას არ გავაკეთებ... აბა, რას ვიზამ! მაგრამ ძალლს რა ვუყო?..

ასეთმა პასუხმა აპაშერი დააბნია... მერე გადაწყვიტა, როგორმე მოელბო ამ ადამიანის გული.

– მაესტრო! იქ, სასაფლაოზე, გამო-

სათხოვარი სიტყვა როცა დაასრულე, სანამ მიწას დამაყრიდნენ, ხომ ქვითინებდი... აღარ გახსოვს? გვინია, არ მესმოდა? ყველაფერი მესმოდა...

– ნუ გამახსენებ, ძვირფასო, შენ ყველას ისე გვატკინე გული, – ტამბერლანიმ გულზე ხელი დაიდო. – ოჳ, ღმერთო, „ბლიცმა,“ მე მგონი, რაღაც იყნოსა!.. – მართლაც, კარს უკან, ნაგაზის ყრუ, გამაფრთხილებელი ღრენა გაისმა.

– ერთი წუთით დამელოდე, შევალ, დაეგანუნარებ ამ საზიზღარს... მხოლოდ ერთი წუთით.. – ამ სიტყვებით ტამბერლანი თაგვივით შეიძურნა შინ, კარი მიაჯახუნა და ურდულით გადაკეტა. სიჩუმე ჩამოვარდა.

აპაშერმა რამდენიმე წუთით შეიცადა, შემდეგ კი ხმადაბლა დაიძახა: – ტამბერლან, ტამბერლან!

პასუხი არ იყო.

მაშინ მან ფრთხილად დააკაკუნა კარზე. მაესტროსთან დუმილი გამეფებულიყო!

ღამე უსაშველოდ გაიწელა. აპაშერმა გადაწყვიტა, გულკეთილ მეძავთან, ჯინასთან ეცადა ბედი, რომელთანაც სიცოცხლეში მრავლად გაეტარებინა ტკბილი წუთები. ჯინა გარეუბანში, ძველ, მრავალსადარბაზოან შენობაში ქირაობდა ბინას. სანამ აპაშერმა იქამდე მიაღწია, ოთხი საათიც შესრულდა. საბედნიეროდ, როგორც რაგინდარა ჯურის ხალხის საცხოვრისს სჩვევია, სადარბაზოს კარები მოღიავებული დახვდა. მთელი ლამის ხეტიალით გათანგულმა აპაშერმა ძლივს აათრია ფეხები მეექვსე სართულზე. სიბნელეში უცებ მიაგნო საჭირო კარებს და ფრთხილად დარეკა. სანამ ნაცნობ შარიშურს გაიგონებდა, რამდენჯერმე მოუხდა დაკაკუნება. როგორც იქნა, ნამდინარევი ხმა შემოესმა:

– ვინ არის, ამ შუალამისას ვის გავახსენდი?

– ტონი ვარ!.. შეიძლება, კარი გამიღო?..

– რაღა დროს მოსვლა იყო? – ჯინა
სტუმრობით აღფრთოვანებული ნამდ-
ვილად არ ჩანდა, თუმცა, მორჩილად
დაამატა: – მოიცადე, ახლავე...

კარების ღრიჭოში შუქი გაკრთა,
გაისმა გასალების გადატრიალების
ხმა და სიტყვებით – რა ქარმა გადმო-
გაგდო ამ შუალამისას? – ჯინამ კარი
გაალო. სტუმრის შესვლას არც კი და-
ელოდა, შებრუნდა, რომ სასწრაფოდ
ლოგინში ჩანოლილიყო, „კეთილ ინ-
ებოს და თვითონ ჩაჟეტოს კარები!“
გაიფიქრა თუ არა, სწორედ ამ დროს
მისმა მთვლემარე გონებამ აპაშერის
უცნაური შეხედულება აღიქვა, ელდა-
ნაკრავივით შეჩერდა და თითქოს ცივი
წყალი გადაასხესო, გამტკნარებული
ხმით წაიჩურჩულა: – შენ?! კი მაგრამ,
შენ ხომ... შენ ხომ... – და წამოიკივლა:
– წადი! წადი! გემუდარები, გევედრები,
წადი!.. – შიშისაგან დაზაფრული ჯინა
უმწეოდ თრთოდა.

აპაშერი შეეცადა, როგორმე აე-
სნა მისთვის თავისი ამბავი: – ჯინა,
გთხოვ... შემოვალ, ცოტას დავისვენებ,
სულ ცოტა ხნით დავისვენებ... აღარ
შემიძლია...

– არა! არა, წადი! სასწრაფოდ წადი
აქედან!.. არც იფიქრო!.. გავგიუდები,
ჭკუიდან შევიშლები! ისე ვიკივლებ,
მთელ უბანს ფეხზე დავაყენებ!

აპაშერი ადგილიდან არ დაძრულა.
ქალმა კომოდის უჯრა გამოგლივა
და რაღაცას გაშმაგებით დაუწყო ძებ-
ნა, ისე, რომ სტუმრისთვის თვალი არ
მოუცილებია. ბოლოს მიაგნო... აპაშე-
რისკენ რომ შებრუნდა, ხელში დიდი,
მძიმე მაკრატელი ეჭირა.

– კარგი, კარგი, მივდივარ, – ამო-
ლერლა დაბნეულმა აპაშერმა, თუმცა
ჯინას აღარაფერი ესმოდა, შიშისაგან
ძალამიცემული თავგანწირვით მივარ-
და ტონის და ეს სულელური იარალი
მკერდზე მიაბჯინა; მაკრატლის ალესი-
ლი პირები არანაირ წინააღმდეგობას
არ შეხვედრიან, ისე შეცურდნენ მოჩვე-

ნების სხეულში.

– ვაიმე, ტონი, მაპატიე, არ მინდო-
და! – შეჰერებულა ჯინამ.

– არა... არა უშავს... ღმერთო, როგორ
მეღიტინება! – ისტერიულად გადაიხარ-
ხარა აპაშერმა. – ღვთის გულისათვის,
თავი დამანებე, როგორ მეღიტინება! – და
სიცილისგან კინაღამ იატაკზე გაგორდა.

ეზოში ვიღაცამ ფანჯარა გამოაღო
და გაშმაგებულმა დაიღრიალა: – რა
ამბავია, რა ხდება?! უკვე ოთხი საათია!
ჭირსაც წაულისართ ყველანი!

აპაშერმა ღონე მოიკრიბა და იქაუ-
რობას ქარის სისწრაფით გაშორდა.

კიდევ ვისთან შეიძლება მისვლა?
იქნებ, ქალაქის კარიბჭესთან მდებარე
სან-კალისტოს ეკლესიის მოძღვართან,
გიმნაზიისდროინდელ მეგობართან,
ღონ რაიმონდოსთან სცადოს ბედი?
ბოლოს და ბოლოს, სწორედ მან გააპა-
ტიოსნა მუსიკისის ცხედარი და ლოც-
ვით გააცილა უკანასკნელ გზაზე.

– განვედ ჩემგან, ბოროტო სულო,
ჯოჯოხეთის მოციქულო! – კრულვით
დაუხვდა სტუმარს ლირსი მამა.

– მამაო, ვეღარ მიცანით? მე აპაშ-
ერი ვარ... ღონ რაიმონდო, გევედრები,
ნება დამრთე, რომ სადმე, მიყრუებულ
კუთხეში მივწვე... მთელი ღამეა, ქუჩაში
დავძრნივარ, აგერ, საცაა გათენდება
კიდეც... ამ ძალლთაპირმა ჩემმა მეგო-
ბრებმა შინ არ შემიშვეს... მიგანეს...
შენ მაინც იყავი გულმოწყალე...

– მე არ ვიცი, შენ ვინ ხარ, – ზიზლი-
თა და ამპარტავნობით აღსავსე ხმით
მიუგო მოძღვარმა. – ისიც არ ვიცი,
მოჩვენება ხარ თუ ეშმაკეული, მაგრამ,
თუ ნამდვილად აპაშერი ხარ, მაშინ
შემოდი... აი, ჩემი საწოლი, შენთვის
დამითმია, დაისვენე...

– გმადლობთ, მამაო, გმადლობთ,
ვიცოდი, რომ...

– შენ არ იდარდო, – დაშაქრული
ხმით განაგრძო მღვდელმა. – დიდი
საქმე, რომ ეპისკოპოსი დაწინაურებას
მიპირებს... არ ინაღვლო ამაზე... მერე

რა, რომ შენი აქ ყოფნით დიდ უსია-
მოვნებაში ვყოფ თავს... მოკლედ, ჩემზე
არ იდარდო. რაკი გამოგგზავნეს, ესე
იგი, ჩემი დალუპვა სურთ! რას იზამ,
ასეთია, ჩანს, ნება ღვთისა!.. აპაშერ!..
საით?.. უკვე მიდიხარ? აპაშერ!

აი, რატომ ხდება, რომ მიზეზთა
გამო დედამიწაზე ჩარჩენილი უბე-
დური სული ჩვენს გვერდით არავითარ
შემთხვევაში არ სახლობს. თავს აფ-
არებს იგი მიტოვებულ სახლებს, ტყე-
ში მიგდებულ სამრეკლოებს, გავერ-
ანებულ ციხე-კოშკებსა და უკაცრიელ
კლდეებს, რომლებიც ნელ-ნელა ირ-
ღვევინ ჟამთა მსვლელობისა და ზღ-
ვის ტალღათა მინარცხებისაგან.

სააღდგომო პვერცები

სამეფო რეზიდენციის პარკში თორმეტ
წლამდე ასაყის ბავშვებისათვის საერთა-
შორისო ორგანიზაციის – „იასამნისფერი
ჯვრის“ თაონობით „სააღდგომო კვერ-
ცხზე გრანდიოზული ნადირობა“ მოქმედ.
ბილეთი ოცი ათასი ლირა ღირდა.

მდელოზე გაფანტულ თივის გროვებ-
ში საგულდაგულოდ გადამალეს საა-
ღდგომო კვერცხები. თამაშის წესების
მიხედვით, რამდენი კვერცხიც უნდა
ეპოვა ბავშვს, ყველა მის საკუთრებად
ცხადდებოდა. მუყაოს, სპილენძის, შო-
კოლადის – რაგინდარა ზომის, ფორმი-
სა და ფერის თითოეულ კვერცხში
ულამაზესი საჩუქრები მოეთავსებინათ.

დიასახლისისაგან შეიტყო ეს ამბავი
ჯილდა სოზომ – მაზერატების მოახლეობა.
სენიორა მაზერატიმ გადაწყვიტა, ოთხ-
ივე შვილი წაეყვანა ამ საქველმოქმედო
აქციაზე, რაშიც დაუნანებლად იხდიდა
ოთხმოცი ათას ლირას.

ჯილდა სოზო თცდახუთიოდე წლის
გამხდარი, დაბალი ქალი იყო. ვერ
იტყოდით ლამაზიაო, თუმც, მახინ-
ჯიც არ გახლდათ. ბუნებით კეთლმა,
გულჩათხრობილმა ჯილდამ გადაწყვიტა,
მისი ოთხი წლის გოგონა – ლამაზი, უმა-

მობით დაჩაგრული ანტონელა გაეხარე-
ბინა.

როგორც იქნა, დადგა ნანატრი
დღეც. ფეტრის ქუდისა და ახალთახალ
პალტოში გამოპრანჭული ანტონელა
არაფრით გამოირჩეოდა ელიტარული
ბავშვებისაგან, მაგრამ თვით ჯილდამ
ვერაფერი მოირგო ისეთი, რაც მდი-
დარ დედიკოებს დაამსგავსებდა, ბევრი
ფიქრის შემდეგ თავზე ბამბის ქულასა-
ვით თეთრი, პატარა ქუდი წამოისკუ-
პა და უცებ დაემსგავსა უენევასა თუ
ნევშპატელში დიპლომირებულ, მილ-
იონერებთან სოლიდური კონტრაქტით
დაკავშირებულ პროფესიონალ ძიძას.

დათქმულ დროს სამეფო პარკის შეს-
ასვლელთან ბავშვთან ერთად მისული
ჯილდა შეჩერდა და დამფრთხალმა მი-
მოიხედა ირგვლივ – ეშინოდა, უადგილო
ადგილას დიასახლისს არ გადაყროდა.
მის თვალწინ ერთიმეორის მიყოლებით
ჩერდებოდნენ ავტომობილები, საიდანაც
თვალებგაბრწყინებული „კვერცხებზე
მონადირენი“ გადმოდიოდნენ. აი, სენიო-
რა მაზერატიც მობრძანდა ჯალაბითურთ;
ჯილდა სასწრაფოდ მოეფარა ხეს.

ნუთუ ამაოდ ჩაიარა ყველა მცდ-
ელობამ? მას ხომ არეულობის იმედი
ჰქონდა, რომ უბილეთოდ შეპარულიყო
პარკი, თუმც ხელსაყრელი სიტუაცია
არა და არ დგებოდა.

„ნადირობა“ სამ საათზე იწყებოდა.
ხუთი წუთით ადრე სამთავრობო მან-
ქანა მოსრიალდა; რომელიდაც მინისტრის
მეუღლე და შვილები საგანგებოდ ჩამო-
პრძანდნენ რომიდან. აქციის ორგანიზა-
ტორი, მისი მრჩევლები და „იასამნისფერი
ჯვრის“ ქალბატონი-პატრონესები უივილ-
ხივილით წამოიშალნენ და ასე ნანატრი
ქაოსი შექმნეს, რასაც ამდენ ხანს ელოდა
ჯილდა.

ასე მოხვდა ძიძად გადაცმული მოახ-
ლე პარკში. გზადაგზა შვილს უკანასკ-
ნელ რჩევა-დარიგებებს აძლევდა –
არ დაპნეულიყო და ნადავლი არავი-
თარ შემთხვევაში არ დაეთმო თავხედი

ბავშვებისთვის.

გაზონებზე, მდელოებზე, ხეების ქვეშ თივის ზვინები აქოჩილიყო. ერთი მათგანი სამ მეტრამდე აზიდულიყო. ვინ იცის, რამოდენა კვერცხი იდო მასში – გოლიათი? ერთი ციდა? იქნებ, სულაც არაფერი?

გაიჭრა საგანგებო ლენტი, გაისმა საყვირის ხმა და ბავშვები ყურისნამ-ლები ყიუინით გაქანდნენ „სანადიროდ“.

ამდენი, თანაც ასეთი ლალი ბავშვების დანახვაზე ანტონელა დაიბნა. ერთი ზვინიდან მეორისაკენ გადარბოდა, მაგრამ ვერაფრით გადაეწყვიტა თივაში ხელის შეყოფა. სხვა ბავშვები კი ამ დროს უცხოდ დაფერილი მუყაოს თუ შოკოლადის უზარმაზარი კვერცხებით ხელდამშვენებულები აღტაცებული სახეებით მირბოდნენ დედებისაკენ.

როგორც იქნა, ანტონელამ გაპედა; მორცხვად შეაცურა პატარა ხელი თივის ზვინში და რაღაც პრიალა, მაგარი იგრძნო! კვერცხი გვარიანად დიდი აღმოჩნდა.

– ვიპოვე! ვიპოვე! – და შეეცადა კვერცხი თივიდან გამოელო; უეცრად მასთან ვიღაც ბიჭუნა მიიჭრა და გამოცდილი რაგბისტივით მკერდით გადაეფარა კვერცხს. გაოგნებული ანტონელა ხედავდა, როგორ მიარბენინებდა უზარმაზარ კვერცხს ბიჭუნა, რომელიც უკან-უკან იხედებოდა, ემანჭებოდა და ენას უყოფდა გოგონას.

რა მარდები ყოფილან ეს ბავშვები! ნადირობა სამ საათზე დაიწყო, ოთხის თხუთმეტ წუთზე კი, თითქოს ძროხამ ალოკაო, ისე გაქრა კვერცხები. მხოლოდ ჯილდას გოგონა დარჩენილიყო ხელცარიელი; თვალებგაფართოებული ექცდა იგი დედა-ძიძის თეთრ ქუდს და ცრემლებს ძლივს იკავებდა – ამდენ ბავშვებთან ხომ არ იტირებდა.

ქერათმიანი, შვიდიოდე წლის მატრაკვეცა გოგონა უმშვენიერესი კვერცხებით სავსე კალათას მიაცუნცულებდა, ოჳ, რა ნადავლი ჰქონდა! საწყალი

ანტონელა, საბრალო ანტონელა მონუსულივით შეჰყურებდა მას.

– შენ რა, ვერც ერთი ვერ იპოვნე? – თანაგრძნობით დაეკითხა იგი.

– ვერა, ვერც ერთი, – ამოიოხრა ანტონელამ.

– თუ გინდა, ერთი ცალი აიღე.

– მართლა? – სიხარულით შეჰყივლა ხელმოცარულმა მონადირემ. – მაინც რომელი?

– რომელი? რომელი და უფრო პატარა.

– ეს შეიძლება?

– ეს? აიღე, აიღე.

– დიდი მადლობა! – ანტონელას ბედნიერებისგან თვალები აუწყლიანდა. – შენ რა გქვია?

– ინიცია, – უპასუხა ქერათმიანმა გოგონამ.

ამ დროს მათ მაღალი ქალბატონი წამოადგათ თავს – ალბათ, ინიციას დედა.

– რატომ მიეცი კვერცხი ამ ბავშვს?

– მე? არაფერიც... თვითონ აიღო!

– კაპასად მიუგო ინიციამ... საოცარია, მაგრამ ხანდახან ბავშვებს სრულიად გაუგებარი ბოროტების ჩადენა შეუძლიათ.

– ტყუილია! – შეჰყვირა ანტონელამ.

– მან ხომ თვითონ მომცა!

კვერცხი კი მართლაც მშვენიერი გახლდათ, ჭახჭახად დაფერილი მუყაო ყუთივით იხსნებოდა, მასში კი საჩუქარი იქნებოდა, ალბათ, სათამაშო – თოჯინა ან სულაც საქარგი ჩხირები.

უსიამო საუბრის გაგონებაზე მათკენ „იასამნისფერი ჯვრის“ წარმომადგენელი, თეთრებში გამოკვართული ქალბატონი გამოეშურა.

– ძვირფასო გოგონებო, მოხდა რამე?

– გაყინული ღიმილით იკითხა მან. – რატომ გაქვთ ასეთი სახეები?

– არაფერი მომხდარა, – უპასუხა ინიციას დედამ. – უბრალოდ, ამ პატარა მაიმუნმა – არც კი ვიცი, ვისია – ჩემს შვილს კვერცხი წაართვა, თუმცა, ჩემ-

თვის ეგ პრობლემას არ წარმოადგენს! დაიტოვოს, თუ ასე უნდა! ჩვენ წავედით! – და ბავშვს ხელი ჩასჭიდა.

მაგრამ უფლებამოსილმა ქალბატონმა ინციდენტი სულაც არ ჩათვალა ამონურულად.

– მართლა წაართვი ბავშვს კვერცხი? – გოროზად ჰყითხა გოგონას.

– არა, რას ამბობთ, მან თვითონ მომცა.

– რაო? რას მეუბნები? რა გქვია?

– ანტონელა.

– რა გვარი ხარ, ანტონელა?

– ანტონელა სოზო.

– ძალიან კარგი. დედა სად არის?

ანტონელამ მიმოიხედა და რამდენიმე ნაბიჯში მდგომი დედა შენიშნა, რომელიც უტყვად ადევნებდა თვალს ამ სცენას.

– აი, ჩემი დედა, – მიუთითა გოგონამ.

– ეს ქალია? – გაუმეორა კითხვა ქალბატონმა.

– დიახ.

– განა ის ძიძა არ არის?

ჯილდა მათკენ დაიძრა.

– რა გნებავთ, ქალბატონო?

პატრონესამ ქალი განცვიფრებით შეათვალიერა.

– უკაცრავად, სენიორა, თუ შეიძლება, თქვენი ბილეთი მაჩვენეთ;

– ჩვენ ბილეთი არ გვაქვს, – უპასუხა ჯილდამ და ანტონელას ორივე ხელი წაავლო.

– რატომ, დაკარგეთ?

– არა, ქალბატონო. არც მქონია.

– მაშ, უბილეთოდ შემოხვედით პარკში? ოოო, სენიორა, ეს საქმის ვითარებას სრულიად ცვლის. ამ შემთხვევაში კვერცხი უნდა დააბრუნოთ, – და ანტონელას კვერცხი ხელიდან წაგლიჯა. – არც კი გრცხვენიათ, – დაამატა მან. – გთხოვთ, სასწრაფოდ დატოვოთ პარკის ტერიტორია.

გოგონა თითქოს გაქვავდა; მის თვალებში ისეთი ტკივილი ჩადგა, უეცრად ცა მოიღრუბლა.

პატრონესა უკვე შორდებოდა მათ,

როდესაც ჯილდას სხეულმა ვეღარ შეძლო შეეკავებინა დაგროვილი წყენა, დამცირება, სურვილთა დათგუნვა და აფეთქდა. მაშინ საშინელი სიტყვებით შეამკო განრისხებულმა დედამ გოროზი ქალბატონი – შე „ძუკ...“, შე „ბო...“ შე „ნაბი...“... კიდევ სხვა და კიდევ უარესი ეპითეტების კორიანტელი დატრიალდა სამეფო პარკში...

ერთად შეგროვდნენ მაღალი საზოგადოების ელეგანტური ქალბატონები და მათი საჩუქრებით დატვირთული შვილიკები. ვიღაცები გალავნისკენ გაიძურნენ, დარჩენილები აღშფოთებას ვერ მაღავდნენ:

– რა სამარცხვინოა! სკანდალია! რა უბედურება ხდება ბავშვების თანდასწრებით! – გაისმოდა შეძახილები.

– უნდა დააპატიმრონ, აუცილებლად უნდა დააკავონ!

– გაეთრიე! აქედან გაეთრიე, შე უნამუსო, თორემ ახლავე პოლიციას გამოუძახებ! – დაიმუქრა გააფთრებული პატრონება. ანტონელა ისე ქვითინებდა, ქვასაც მოულბობდა გულს; ჯილდა კი თითქოს შეშლილიყო. სასონარკვეთილს სხეულში ზეპუნებრივი ძალები ჩაღვროდა.

– თქვენ უნდა გრცხვენოდეთ, ობოლი ბავშვისთის რომ კვერცხის წართმევა შეგიძლიათ! თქვენ ხომ...თქვენ ხომ... ნაგავო!

საიდანლაც ორი პოლიციელი გაჩნდა. ისინი ჯილდას მისცვივდნენ და ხელები გადაუგრიეს. ჯილდა შეეცადა, ხელიდან დასხლტომოდა, თან გაჟყვიროდა:

– გამიშვით! არ მომეკაროთ! ნაძირალებო!

როგორც იქნა, ჯილდა შებოჭეს და ჭიშკრისკენ წაათრიეს.

– სასწრაფოდ განყოფილებაში! კარცერში ჩაამწყვდიეთ! იქ მაინც შეაგნებინებენ, თუ როგორ უნდა მთავრობის შეურაცხყოფა!

ორი ზორბა მამაკაცი ძლივს იჭერდა ფარვანასავით ქალს.

— არა! არა! — გაჰეთიოდა იგი. — სად არის ჩემი შვილი? გამიშვით, გამიშვით, ნაძირალებო!

— დედა! დედა! — ტირილისაგან აცახცახებული ანტონელა ისე ჩაეკონა დედის კაბას, თითქოს მიეწეაო. ამ საშინელ ჯგლეთაში უმიზნოდ კრთებოდა მისი სხეული, როგორც პატარა ნავი გაშმაგებულ შტორმში.

ჯილდას მთელი ათეული დაეხვია თავს.

— გაგიუდა, ეს ქალი გაგიუდა! სასწრაფოდ ჩააცვით შლეგის პერანგი! — მოაყენეს პოლიციის ფურგონი, ჯილდა ხელში აიყვანეს, რომ უფრო იოლად შეეტენათ საკან-საბარგულში. „იასამრისფერი ჯვრის“ პატრონესას ანტონელასათვის მარწუხივით მოეჭირა ხელი.

— შენ ჩემთან წამოხვალ, დედაშენს კი, მერწმუნე, მალე ასწავლიან ჭკუას!

არავინ, არავინ ფიქრობდა იმ წამს, რომ უსამართლოდ დამცირებულ ადამიანს, შესაძლოა ენით აღუნერელი, ზეპუნებრივი ძალა მიენიჭოს.

— უკანასკნელად გაფრთხილებთ — გამიშვით! გირჩევნიათ, გამიშვათ! — შეჰყვირა ჯილდამ, როცა ფურგონში ტენიდნენ.

— გამიშვით, თორემ დაგხოცავთ!

— საკმარისია! — კბილებში გამოცრა პატრონესამ, რომელიც ძლიერ იჭრდა ანტონელას პანია ხელს. — წაიყვანეთ!

— აჟ! ასე არა? მაშინ, წყეულო, შენ მოკვდი პირველი! — გველებივით შემოხვეული ხელების ტყიდან გადმოსახა ჯილდამ.

— ოჟ, ღმერთო! — ამოიკვნესა თეთრმა ქალბატონმა და უსულოდ დაეცა მიწაზე.

— ახლა კი, რაკი ასე მიჭერ ხელებს, შენი ჯერია! და შენი! — გაისმა მოახლის ხმა.

ფურგონში ჯგლეთა უეცრად შეწყდა. ღია კარიდან პოლიციელი გადმოვარდა, აღარც განძრეულა. ჯილდამ სიტყვა დაასრულა თუ არა, მეორე პოლიციელი თავით დაასკდა ქვაფენილს.

უკლებლივ ყველა გაქვავდა ირგვლივ. ჯილდა გახევებული ბრბოს წინაშე მარტოდმარტო იდგა. მერე დედამ გოგონას წავლო ხელი და დაიძრა:

— გზიდან ჩამომეცალეთ!

ვინ გაბედავდა, დედა-შვილს შეჰქებოდა, თუმცა პოლიციელები ოციოდე ნაბიჯში მისდევდნენ მათ. სირენების გამაყრუებელი ხმის ფონზე გარბოდნენ შეძრწუნებული მოსეირენი. გამოჩნდა დამხმარე რაზმეული — სახანძრო და სასწრაფო მანქანები, პოლიციის ჯიპები. ოპერაციის ხელმძღვანელობა პოლიციის უფროსის მოადგილემ ჩაიბარა. გაისმა ბრანგება:

— მოამზადეთ ბრანდსპოიტები! ცრემლსანინაალმდეგო გაზი!

ჯილდა უშიშრად შემობრუნდა.

— მომიახლოვდეს, ვისაც გული ერჩის! შეურაცხყოფილი, დამცირებული დედის გულში წარმოუდგენელი, ენით უთქმელი სტიქია მძვინვარებდა.

შეიარაღებული პოლიციელების მიერ შეკრული ალყა შევიწროვდა. — ხელები მაღლა, შე უბედურო! — გაისმა გამაფრთხილებელი გასროლა.

— მაშ, თქვენ მხოლოდ ჩემი კი არა, ჩემი შვილის მოკვლაც გადაწყვიტეთ?!

— დაიყვირა ქალმა. — გზიდან ჩამომეცალეთ!

მან თამამად განაგრძო გზა. ვერავინ გაბედა მისთვის ხელის ხლება. ექვსი პოლიციელი კი მეყსეულად დაასკდა მიწას.

ასე მივიდა ჯილდა სოზო სახლამდე. ეს იყო დიდი, პირქუში შენობა ქალაქის განაპირას, რომლის გარშემოც სარეველებით სავსე მინდვრებს თუ დაინახავდა მხოლოდ მჭვრეტელი ვინმე.

მდევარს მეგაფონით შეიარაღებული კაცი გამოეყო — პოლიციის უფროსი. მან სახლის მცხოვრებთ მიმართა და უბრძანა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ შენობა. მეორე განცხადება ჯილდას ეხებოდა: მოსალოდნელი შედეგების თავიდან ასაცილებლად, მას სთავაზობდნენ, ბავშვი

ხელისუფლებისთვის გადაეცა.

ჯილდამ ფანჯრიდან გამოიხედა და რაღაც გაურკვეველი სიტყვები წარმოთქვა. იმავ წამს მოალყეთა ჯაჭვი, თითქოს რაღაც წინაღობას შეეჯახაო, ადგილზე გაქვავდა.

— საით? — ისმოდა ღრიალი. — შეკარით რიგები!

მაგრამ თვით ოფიცრებიც კი ბორძიკობდნენ და უკან იხევდნენ.

შენობაში დედა-შვილის მეტი აღარავინ დარჩენილიყო. ალბათ, ვახშამს ამზადებდა ჯილდა, რადგან საკვამურიდან კვამლის ვიწრო ზოლი აიჭრა.

დედამინაზე ნელ-ნელა წვეპოლა ღამე. სახლისთვის ალყა უკვე მეხუთე მოტორიზებული პოლკის ჯავშნოსან მანქანებს შემოერტყათ. ჯილდამ ისევ გამოიხედა ფანჯრიდან და რაღაც დაიძახა. ერთ-ერთი ჯავშნოსანი ჰაერში ახტა და გადაპრუნდა; მას მეორე მიჰყვა, მესამე, მეოთხე... ჯადოქრული ძალა აყირავებდა, ამტვრევდა მათ, როგორც კალის სათამაშოებს. დანანე-ვრებული ლითონის ჯართი საწყალობლად ეყარა სახლის გარშემო.

სასწრაფოდ შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა. გამოძახებული და საქმეში ჩართულ იქნა გაეროს ჯარები. ქალაქის მეტი წილი ევაკუაციას დაექვემდებარა. ალიონზე დაბომბება დაიწყო. ჯილდა და ანტონელა აივაზზე გამოვიდნენ და მშვიდად ადევნებდნენ თვალს სანახაობას. უცნაურია, მაგრამ არც ერთი ბომბი სახლს არ დასცემია. ყველა მათგანი ზემოთ, სახლიდან ოთხას, ხუთას მეტრში, ცაში ფეთქდებოდა. აფეთქებების ხმით შეშინებულმა ანტონელამ ტირილი დაიწყო და დედა-შვილი ოთახში შებრუნდა.

მთავარმა შტაბმა გადაწყვიტა, მათი წინააღმდეგობა ბლოკადით გაეტეხათ. გამორთეს წყალი; გადაკეტეს ბუნებრივი აირი, მაგრამ ყოველ დილით და ყოველ საღამოს საკვამურიდან ისევ იზღაზნებოდა კვამლის ზოლები —

უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ჯილდა რაღაცას, ალბათ, ძალიან გემრიელს ამზადებდა.

შეტევა ათ საათზე დაიწყო. სწორედ ამ დროს დედამინა რამდენიმე ასეულ კილომეტრზე შეზანზარდა, თითქოს მეორედ მოსვლა იყო. სატანკო არმიამ მასირებული შეტევა განახორციელა.

ჯილდამ ისევ გამოიხედა ფანჯრიდან.

— გეყოფათ! — შესძახა მან. — დამანებეთ თავი.

თითქოს უხილავმა დარტყმამ გადაუარა ტანკების არმიას. სიკვდილით დატვირთული ფოლადის მასტოდონტები საშინელი ღრჭიალით იგრიხებოდნენ, ნაწილებად იშლებოდნენ. რამდენიმე წუთში დედამინაზე რკინის კიდევ ერთი უზარმაზარი სასაფლაო გაჩნდა.

გაეროს გენერალური მდივანი წინ გამოვიდა და მაღლა ასწია თეთრი დროშა. ჯილდამ ნება დართო, ახლოს მოსულიყო.

მოსული სამშვიდობო ზავის პირობების შესათანხმებლად იღვწოდა: — ქვეყანა ველარ უძლებს ამ მდგომარეობას... მოიშალა ეკონომიკა, საბანკო სისტემა, მოსახლეობა დეპრესიის ზღვარზეა...

ჯილდა სტუმარს ფინჯანი ყავით გაუმასპინძლდა და ბოლოს თქვა:

— მე მინდა სააღდგომო კვერცხი ჩემი შვილისთვის.


ათი სატვირთო შეჩერდა სახლის სადარბაზოსთან. მანქანებიდან გადმოტვირთეს სხვადასხვა ზომისა და ფერის უმშვენიერესი კვერცხები, რათა ანტონელას მათგან ყველაზე სასურველი შეერჩია. სხვა ულამაზეს ნაკეთობათა შორის ერთი, დიამეტრით ორმოცი სანტომეტრი, ბაჯაღლო ოქროსაგან ჩამოესხათ და ძვირფასი თვლებით დაემშვენებინათ.

ანტონელამ პატარა, მჭახედ გაფერადებული მუყაოს კვერცხი აარჩია, ზუსტად ისეთი, ქალბატონმა-პატრონესამ რომ წაართვა.

თარგმნა ლაშა ხეცურიანმა

ვერკორი

ის დლე



ბიჭუნამ პატარა ხელი მამას ჩასჭიდა, ისე, რომ არ გაჰქვირვებია, თუმც კი დიდი დრო გავიდა. ბალიდან გავიდნენ. დედას სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე ნემსიწვერას ქოთანი დაედგა, როგორც ყოველთვის, როცა მამა შინიდან მიდიოდა. ეს ცოტათი უცნაური იყო.

კარგი ამინდი იყო, ღრუბლებიც მოჩანდა, მაგრამ – უფორმო და მთლად განენილი, მათი ცქერა არ მოგინდებოდა. ჰოდა, ბიჭუნა თავისი პატარა ფეხსაცმლის წვერებს დასჩერებოდა, რომლებიც გზაზე დაყრილ ხრეშს მიაგორებდნენ. მამა არაფერს ამბობდა. ჩვეულებრივ, ამ ხმის გაგონებაზე ბრაზობდა ხოლმე. ამბობდა: „ასწიე მაღლა ფეხები!“ და ბიჭუნაც ცოტა ხნით სწევდა ფეხებს, ხოლო შემდეგ, ეშმაკურად, თანდათან ისევ ფრატუზზე გადადიოდა. ცოტა არ იყოს, განგებ შვრებოდა ამას, თუმც არც კი იცოდა, რატომ, მაგრამ ამჯერად მამამ არაფერი უთხრა და ბიჭუნამაც შეწყვიტა ლანჩების ფრატაფრუტი. კვლავ მინას ჩასჩერებოდა – ანუხებდა, რომ მამამ არაფერი თქვა.

გზა ხეებქვეშ გრძელდებოდა. მათი უმრავლესობა ჯერ არ შეფოთლილიყო;

ზოგიერთი მათგანი ოდნავ გამწვანებულიყო ძალიან სუფთა და ხასხასა მწვანე ფერის პანაწინა ფოთლებით. იმასაც კი გაიფიქრებდით, ოდნავ დაშაქრულები ხომ არ იყო. მოშორებით, გზა უხვევდა, ისინი „დიდ ხედს“ დაინახავდნენ გრეზივოდანის დიდ კლდეს, რომელიც ციცაბოდ ეშვებოდა და მის ქვემოთ, სულ დაბლა, მთლად პატარა ხეებს, მთლად პატარა სახლებს, გზებს, ნაკაწრებს რომ ჰგვანან, მდინარე იზერს, რომელიც მსუბუქ ნისლში გახვეული მიიკლაკნება. გაჩერდებოდნენ და ყურებას დაუწყებდნენ. მამა ეტყოდა: „შეხედე პატარა მატარებელს“ ანდა „აი, იქ, ხედავ პატარა შავ წერტილს, რომლიც გზაზე მოძრაობს?“ ეს მანქანაა. შიგ ხალხი ზის. ოთხი ადამიანი, ქალბატონი პატარა ძალით და გრძელწვერა მუსიე. „ბიჭუნა შეეკითხებოდა: „როგორ ახერხებ ამის დანახვას?“ – „ხომ იცი, რომ მარცხენა თვალში პატარა ლუპა ჩავასმევინე“, – ეტყოდა მამა. – „შეხედე“, – ეტყოდა და თვალს დააჭყეტდა, – „ვერ ხედავ?“ და ისიც, რადგან სრულიად როდია დარწმუნებული, მართალია ეს თუ არა, უპასუხებდა: „ჰო... არც ისე კარგად...“ შესაძლოა, ამ წუთას მამას გასცინებოდა და მხრებზე

¹ვერკორი – ფრანგი მწერლის, უან ბრიულერის (1902-1991) ფსევდონიმი

შემოესვა ბიჭუნა, კისრის ორივე მხარეს ჩამოშვებული ფეხებით, მაგრამ მან დაბნეულად გახედა დიდ ხედს და არც კი გაჩერებულა. თავისი ბიჭუნას პატარა ხელი მაგრად ეჭირა, ისე მაგრად, რომ, როდესაც ოდნავ მოშორებით იმ ადგილს ჩაუარეს, სადაც თხრილის ნაპირი მაღლა ადის და შემდეგ ჩადის, ბიჭუნამ ვერ შეძლო, მამას დასხლტომოდა, რათა პატარა ბილიკზე ამხტარიყო და ეთქვა: – „შეხედე, მამა, ვიზრდები... ვიზრდები... ვიზრდები... შეხედე, შენზე დიდი ვარ... ახლა კი ვპატარავდები... ვპატარავდები... ვპატარავდები...“ ამან, ცოტა არ იყოს, გული დასწყვიტა, რადგან ძალიან იყო მიჯაჭვული ჩვეულებებს. გამოდიოდა, რომ ეს გასეირნება, მთლად ისეთი არ იყო, როგორც სხვა დროს.

ოდნავ მოშორებით კვადრატული ფორმის ქვის ლოდი ეგდო. ჩვეულებრივ, იქ სხდებოდნენ ხოლმე. აინტერებდა, ამჯერადაც დასხდებოდნენ თუ არა. კვადრატული ქვის ლოდი ახლოვდებოდა და ბიჭუნა ეკითხებოდა საკუთარ თავს – დასხდებოდნენ, თუ არა. მას, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, რომ შესაძლოა, არც დამსხდარიყვნენ. სულ ოდნავ ეშინოდა ნამდვილი შიმით. მამას ნელა მოქაჩა ხელი, როცა ძალიან ახლოს იყვნენ. საპედნიეროდ, მამა მის ნებას დაჰყვა და დასხდნენ. არაფერი უთქვამთ. ამ ქვაზე ჯდომისას მამა ხშირად არაფერს ამბობდა. მხოლოდ ზოგჯერ, როცა ძალიან ცხელოდა, ამბობდა: „უფ! რა კარგია.“ დღეს ძალიან არ ცხელოდა. არაპუნებრივი მხოლოდ ის იყო, რომ მამას მისი პატარა ხელი ისევ ეჭირა. ჩვეულებრივ, მამა აქ ხელს უშვებდა და ბიჭუნა, რომელსაც არ უყვარდა დიდხანს ჯდომა, დახტოდა ხეებქვეშ და გირჩებს ეძებდა. ხანდახან მარწყვსაც, მაგრამ მარწყვი ხშირად როდი იყო.

ისინი ჯერ ისევ ისხდნენ და ბიჭუნა საერთოდ არ იძვროდა. იმასაც კი აქცევდა ყურადღებას, რომ ფეხები არ ექნია. რატომ? არ იცოდა, ალბათ, იმი-

ტომ რომ მამას მისთვის ხელი ჰქონდა ჩაჭიდებული. მას არც კი შეეძლო, არც კი უნდოდა ეფიქრა გირჩებზე, მარწყვზე. გარდა ამისა, მარწყვი ნამდვილად არ იქნებოდა, ხოლო გირჩების შეგროვება არც ისეთი სახალისოა, მაგრამ უმოძრაოდ ყოფნის გამო ხელახლა შეეპარა შიში. ოჟ! ძალიან კი არა, სულ ცოტათი, სულ ოდნავ, იმის მსგავსად, როცა წევხარ და სიბნელეში რაღაც საგნების ტკაცუნი გესმის, თან მამისა და დედის ხმაც გეყურება, რომლებიც თავიანთ საძინებელში არიან და საუბრობენ. უხაროდა, რომ მამას მისი ხელი ეჭირა, რადგან ასე ნაკლებად ეშინოდა, მაგრამ მას ხომ სწორედ იმიტომ ეშინოდა, რომ მამას მისი ხელი ეჭირა... ამრიგად, ბიჭუნას, სეირნობისას, პირველად მოუნდა სახლში დაბრუნება.

თითქოს გულისითქმას მიუხვდაო, მამამისი ადგა, ბიჭუნაც ადგა, თანაც ფიქრობდა, უკან დაბრუნდებოდნენ თუ გრიზოზზე გადებულ პატარა ხიდთან მივიდოდნენ, როგორც სხვა დღეებში. მან არც კი იცოდა, რა ერჩივნა. პატარა ხიდისკენ გაემართნენ, ჰოდა, მით უკეთესი.

ხიდიდან მჩქეფარე ნაკადს უყურებდნენ. მამა ამბობდა, ნაკადულიაო, რომელიც ჩუხხუხით მიედინებოდა დიდი დრაჟების მსგავს ქვებს შორის. ერთ დღეს მამამ მას პატარა პარკი მოუტანა, რომელიც ამის მსგავსი პანაწინა „ქვებით“ იყო სავსე. ეს „ვები“ კანფეტები იყო. ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, ჯერ კიდევ შობამდე, კარგად ალარც კი ახსოვდა, რადგან ამის შემდეგ კანფეტები აღარასოდეს ჰქონია და უზომოდ მოსწონდა მდინარის ქვების ყურება, იფიქრებდით, რომ ეს სანახაობა მის თვალს ისევე სიამოვნებდა, როგორც კანფეტები – ენას.

მამამ თქვა:

– მას შემდეგ, რაც ეს წყალი მოედინება...

ბიჭუნას ეს უცნაურად მოეწივნა. დიდი ხნია, მოედინება. მაშინაც მოედინებოდა,

როცა აქ პირველად მოვიდნენ. გარდა ამისა, ხიდს არ აშენებდნენ, წყალი რომ არ ყოფილიყო.

- და როდესაც შენს ბიჭუნას გრძელი თეთრი წვერი ექნება, ეს წყალი კვლავ განაგრძობს დინებას. არასოდეს შეწყვეტს,
- თქვა მამამ, თანაც წყალს შესცეკროდა.
- ამაზე ფიქრი გამშვიდებს, – დასძინა მან, მაგრამ ჩანდა, რომ ეს ბიჭუნას კი არა, თავად მას ეხებოდა.

ისინი დიდხანს, ძალიან დიდხანს უყურებდნენ წყალს, ბოლოს და ბოლოს, უკან გამობრუნდნენ. ზღარბის გზით წამოვიდნენ. ბიჭუნამ ეს სახელი მას შემდეგ დაარქვა, რაც იქ ზღარბი იპოვეს. გზა, ცოტა არ იყოს, ოღონჩოლროდ მიდიოდა. ტყის წყაროს ჩაუარეს, სადაც გობში, რომელიც მუხისგან დამზადებულ ამოღრუტნულ ბურთულას წარმოადგენდა, ისეთი გამჭვირვალე წყალი ეშვებოდა და ისეთ ბროლივით წკრიალა ხმას გამოსცემდა, რომ მისი დანახვაც კი წყურვილს მოგვრიდათ, მაგრამ ძალიან არ ცხელოდა.

სულ მალლა ბილიკი ოდნავ უხვევდა და გორაკის მეორე მხრიდან ძირს ჩადიოდა. სულ ზემოდან თავიანთ სახლს დაინახავდნენ, ისინი მას ძალიან კარგად ხედავდნენ. ყველაზე უკეთ კი სამზარეულოს ფანჯარა ჩანდა, ნემსინვერას ქოთნით, რომელიც მზეში მთლად მწვანედ და ნარინჯისფრად მოჩანდა და მის უკან დედა იდგა, ოღონდ ისინი მას ვერ ხედავდნენ, მაგრამ მამა, ალბათ, დალლილი იყო, რადგან, სანამ მაღლა ავიდოდა, ჩამოჯდა. ჩვეულებრივ, არასოდეს ჯდებოდა ამ კუნძზე. დაჯდა და ბიჭუნა მუხლებთან მიიზიდა. თქვა: „არ დაიღალე?“ – „არა“, – თქვა ბიჭუნამ. მამა ილიმებოდა, მაგრამ ცალყბა ღიმილი გამოსდიოდა. ბიჭუნას ეფერებოდა თმაზე, ლოყაზე. ღრმად ამოისუნთქა და თქვა: – „დედიკოს ძალიან, ძალიან უნდა დაუჯერო“, და ბიჭუნამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ არ იცოდა, რა ეთქვა. „კარგი

ბიჭუნა“, – დასძინა მამამ და ადგა. ბიჭუნას იღლიებში მოჰკიდა ხელი და მაღლა ასწია, თავისი სახის სიმაღლეზე და ორჯერ აკოცა, ორივე ლოყაზე, შემდეგ მიწაზე დაუშვა და მტკიცე ხმით წარმოთქვა: „წავიდეთ!“

კვლავ გზას დაადგნენ. მაღლა ავიდნენ და დაინახეს ბალის კედელი, ორივე რბილნინვანა, სახლი, სამზარეულოს ფანჯარა.

ნემსინვერას ქოთანი იქ აღარ იდგა.

ბიჭუნამ მაშინვე დაინახა, რომ ნემსინვერას ქოთანი სამზარეულოს ფანჯარის რაფაზე აღარ იდგა. ეს უთუოდ მამამაც შენიშნა, რადგან გაჩერდა, პატარა ხელზე უფრო ძლიერ აღმოუჭირა, ვიდრე ოდესმე და თქვა: – „მოსახდენი მოხდა, სწორედ ამის მეშინოდა“.

უძრავად იდგა, უყურებდა, უყურებდა და იმეორებდა: „ღმერთო ძლიერო, როგორ შემეძლო... მე ხომ ვიცოდი, მე ხომ ვიცოდი...“

ბიჭუნას სურდა ეკითხა, თუ რა იცოდა, მაგრამ არ შეეძლო, რადგან მამა ასე ძლიერ უჭერდა ხელს და მას გული ასტკივდა, როგორც იმ დღეს, როცა ზედმეტად ბევრი წაბლის პიურე ჭამა.

შემდეგ მამამ თქვა: „წამოდი!“ და იმის ნაცვლად, რომ დაბლა ჩასულიყვნენ, სწრაფი ნაპიჯით იმავე გზას დაადგნენ, რომლითაც მოვიდნენ. – „სად მივდივართ, მამა? სად მივდივართ, მამა?“ – ამპობდა ბიჭუნა და გული სტკიოდა, როგორც იმ დღეს, წაბლის პიურე რომ ჭამა.

– „ქალბატონ ბუფერანთან“, – თქვა მამამ. უცნაური ხმა ჰქონდა, როგორც ფოსტალიონს, იმ დღეს, როდესაც მანქანა დაეჯახა და ველოსიპედიდან ჩამოაგდო. – „ის ძალიან სათხოა, – თქვა მამამ, შენ მას იცნობ, მასთან დაიძინებ.“

ბიჭუნას ძალიან მოუნდა, ეკითხა, რატომ, მაგრამ მამა ძლიერ უჭერდა ხელს ხელზე, ასე რომ, ვერ ახერხებდა შეკითხვას. ამის გამო თუ იყო, რომ უფრო და უფრო სტკიოდა გული. ისე

სტკიოდა, რომ სურდა, ძირს დაწოლილიყო, როგორც იმ დღეს, როცა წაბლის პიურე ჭამა, მაგრამ მამა მაგრად უჭერდა ხელს ხელზე, მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტად სწრაფადაც კი მიდიოდნენ და ახლა მას გული მარტო გულის არეში კი არ სტკიოდა, არამედ ყველგან: მუცელში, ნვივებში, თუ სისულელე არ იყო იმის თქმა, რომ გული გტკივა წვივებში.

როდესაც ქალბატონმა ბუფერანმა, რომელიც ძალიან მოხუცებული და მთლიად დანაოჭებული იყო, ორივენი ერთად დაინახა, გულზე ხელები დაიკრიფა და თქვა: „ღმერთო ჩემო!...“

მამამ თქვა: „დიახ, ასეა“ და ისინი შევიდნენ. როცა პატარა სასტუმრო ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც დარიჩინის სუნი იდგა, ბიჭუნამ მეტი ვეღარ გაძლო და ხალიჩაზე დაწვა.

უკვე გარკვევით აღარ ესმოდა, რას ამბობდნენ. ქალბატონი ბუფერანი ლაპარაკობდა წვრილი, გაბზარული ხმით, მას თითქოს ძილში ჩაესმოდა ეს ხმა.

მამამ აიყვანა ბიჭუნა და საწოლზე გადააწვინა. ის ბავშვს დიდხანს ეფერებოდა თმაზე და ძალიან მაგრად და დიდხანს ჰკოცნიდა, უფრო მაგრად და უფრო დიდხანს, ვიდრე ჩვეულებრივ, სალამოობით. მერე ქალბატონმა ბუფერანმა მას ჩემოდანი მისცა. მამამ გადაკოცნა ქალი და გავიდა, ქალბატონმა ბუფერანმა კი ბიჭუნას მოვლა დაიწყო – თავზე სველი ცხვირსახოცი დაადო, გვირილის ნაყენი მოუმზადა. ბიჭუნა კარგად ხედავდა, რომ მოხუცი ტიროდა, იგი შეძლებისდაგვარად იწმენდდა ცრემლებს, მაგრამ ეს მაინც ჩანდა.



მეორე დღეს კუბებით თამაშს მიუპრუნდა, როდესაც სასადილო ოთახიდან ქალბატონი ბუფერანის საუბარი შემოესმა.

კუბები ისე უნდა დაგელაგებინათ, რომ გამოსულიყო მამაკაცის პორტრეტი პატარა საყელოთი და ბუმბულიანი ქუდით. თვალი და ქუდი ჯერ კიდევ აკლდა. ბიჭუნა ადგა და ყური კლიტის ჭუჭრუტანას მიადო, რომელსაც თითის წვერებზე შემდგარი ზუსტად წვდებოდა. კარგად როდი ესმოდა, რადგან ქალბატონები ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ. ისინი ჩურჩულებდნენ. ქალბატონი ბუფერანი სადგურის შესახებ საუბრობდა. – „დიახ“, – ამბობდა ის. – „დიახ, ისიც... მატარებელში ცოლის დანახვას ცდილობდა, მათ იცნეს“. „ღმერთო მაღალო!“ – თქვა მეორე ქალბატონმა. – „მაშ, ვერ შეძლო თავის შეკავება?“ „ვერა!“ – თქვა ქალბატონმა ბუფერანმა. – „ვერ შეძლო, შეძლებდა კი ვინმე? სულ ამბობდა: „ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია!“ – და შემდეგ მასზე ისაუბრეს, ბიჭუნაზე. – „კიდევ კარგი“, – ამბობდა მეორე ქალბატონი. – „კიდევ კარგი, რომ თქვენ აქ იყავით“. ქალბატონმა ბუფერანმა საპასუხოდ სიტყვები წარმოოთქვა, მაგრამ მის ჩურჩულს რაღაც ალბობდა და გაგება შეუძლებელი იყო.

ბიჭუნა კუბებით თამაშს მიუპრუნდა. ძირს დაჯდა, თვალიანი კუბი მოძებნა და თავის ადგილზე მოათავსა. ჩუმად ტიროდა, ცრემლები მოსდიოდა და არ შეძლო მათი შეკავება. ქუდის მოძებნა უფრო ადგილი იყო. სრუტუნებდა და ცდილობდა, არ ესმაურა. ერთი ცრემლი ტუჩის კუთხესთან ჩაცურდა. ენით აიღო. მარილიანი იყო. ყველაზე უფრო ბუმბული უწყალებდა გულს, ვერასოდეს მიხვდებოდით, თავის ადგილზე იყო თუ თავდაყირა. ერთი ცრემლი, რომელიც ბუმბულს დაეცა, ჩაცურდა, შეყოვნდა, იქვე ჩამოეკიდა, როგორც ცვრის წვეთი.

თარგმნა ალინა ქადაგიშვილმა

ალინა ქადაგიშვილი

პადეტი, ანუ უმცროსი

2016 წლის ზაფხულში, „საზოგადოებრივი მაუნიკებლის“ კონკურსში გამარჯვებულმა ათმა ქართველმა რეჟისორმა გადაიღო სატელევიზიო ფილმები აკა მორჩილაძის მოთხოვნების მიხედვით. ეს იყო პროექტი სახელწოდებით „დღები და ღამები“ – ერთი იდეის გარშემო გაერთიანებული ათი რეჟისორის ათი ფილმი, ხოლო ნოემბრის თვეში საზოგადოებრივ არხზე მათი პრემიერა შედგა. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ქართული კინემატოგრაფის ასალორძინებლად გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მნიშვნელოვანია. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ ფილმების ავ-კარგიანობაზე საუბარი, მხოლოდ ერთ მათგანზე მოგითხოვთ – სანდრო ჯანდიერის „კადეტზე“...

სცენარის ავტორი და რეჟისორი ალინა გვარიშვილი, რომ, მართალია, ტელეფილმების სტუდიისგან დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ, სცენარის მოცემულობისა და სარეჟისორო ხედვის სათანადოდ ასახვას მწირი ფინანსური საშუალებები უშლიდა ხელს. ამან კი, თავისთავად ცხადია, ფილმების ხარისხზე იმოქმედა. „მე მაქსიმალურად შევეცადე, რომ ფინანსურ შეზღუდულობას შემოქმედებითად მივდგომოდი, მაგალითად, გადავიღე მიტინგის დარბევის სცენა მომიტინგების გარეშე (მომიტინგების რიგები, ძირითადად, გადამდები ჯგუფის წევრებისგან შედგა), პიკეტის



სცენა მოპიკეტების გარეშე. ამგვარი გადაწყვეტილება გარკვეული რისკის შემცველია და ყოველთვის არ ამართლებს. გარდა ამისა, შეუძლებელია ათმა სხვადასხვა ეტაპზე მყოფმა, სრულიად განსხვავებული გამოცდილების მქონე ადამიანმა სხვადასხვა ფილმით ერთნაირად კარგი შედეგი აჩვენოს“.

ამრიგად, აკა მორჩილაძის პიესა „მამის“ მიხედვით გადაღებულ ფილმს სანდრო ჯანდიერმა „კადეტი“ დაარქვა. „Cadet“ – ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც „უმცროსი“ და აგრეთვე სამხედრო სასწავლებლის მოსწავლეს ან ახალწვეულს ნიშნავს. ეს სიტყვა ასოციაციების მთელ ნაკადს წარმოქმნის: ჯერ გვახსენდება რუსი კადეტები – სამოქალაქო ომში წითლების მიერ უმოწყალოდ დახოცილი; იუნკრები, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისას რომ დაეცნენ ისევ წითელ არმიასთან ბრძოლაში. აკა მორჩილაძე იუნკრებს ახსენებს წიგნში „ქართულის რევულები“. მე-19 საუკუნის სურათების ბოლო თავში „შემოვიდნენ რუსებიი...“ 1921 წლის თებერვალში დაღუპული იუნკრების სიაში რეჟისორის სამი მოგვარე, სამი ჯანდიერია: ილია, იოსები და არჩილი...

ჩემი ვარაუდი, რომ ეს უბრალო დამთხვევა არ არის და ორაზროვნებას მართლაც აქვს ადგილი, ეფუძნება ფილმის ფინალს: სწორედ უმცროსი

ძმა მიაშურებს სამხედრო შტაბს და აფხაზეთის ომში წასასვლელად ენერება... მიდის მატარებელი და მიპყვება კადეტიც; მთავრდება ფილმი, უკვე ტიტრებს ვკითხულობთ, ბოლო წუთებილაა დარჩენილი. მოულოდნელად, მატარებელი სადღაც ჩერდება. ერთი შეხედვით, ვერ დაადგენ, რომელი სადგურია... იქაურობას სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ატყვია, „ნინ ამორტიზირებული და გაძარცვულვა-გონებიანი მატარებელი დგას, რაც, სავარაუდოდ, საომარ სოფელზე უნდა მიუთითებდეს“... ჩვენი მოხალისე ახალწვეული ვაგონიდან ჩადის, მატარებელი კი სვლას განაგრძობს... როგორც სანდრო ჯანდიერმა გვითხრა, „კადეტს“ ორი ფინალი აქვს, თუმცა მაყურებელი ზოგჯერ ტიტრების სტადიაზე ანებებს თავს ფილმის ყურებას და მეორე ფინალი „კადრს მიღმა“ რჩება... ალბათ, სიმბოლურია, რომ ფილმი რკინიგზის სადგურიდან დაიწყო და სადგურით მთავრდება, ოლონდ ეს სხვადასხვა სადგურებია. გარდა ამისა, ერთი ფერად ფირზეა აღბეჭდილი, მეორე – შავ-თეთრზე. ერთგან მშვიდობაა, მეორეგან კი – ომი.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ, „რიკოშეტივით“ გვიპრუნდება ფილმში გაგონილი ფრაზები: „ამათ დავბრიდავ ერთხელ რა“, – ამბობს გია, რომელსაც ყელ-ში ამოუვიდა, ნარკომანი უფროსი ძმა და მისი ძმაკაცები, რომლებიც ათასგვარ შავბნელ საქმეში არიან გახვეული, რათა „წამალი“ იშოვონ. მეზობელი ქალის მიერ გიას შესახებ ნათქვამი სიტყვებიც: „ეს გიუია...“ ნუთუ უმცროსმა ძმამ იმში წასვლა იარაღის გამო მოინდომა? მაგრამ ის ხომ ექიმია, მისი მოვალეობა ადამიანებისთვის სიცოცხლის შენარჩუნებაა და არა – წართმევა! ფილმში არის ერთი ძალიან საგულისხმო ეპიზოდი, რომელიც უფროსი ძმის, დათუკის მაგალითზე გვიჩვენებს, რომ ის, ვინც

საკუთარ სიცოცხლეს არ უფრთხილდება და ფუჭად ფლანგავს, ვერც სხვის დახმარებას, გადარჩენას შეძლებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, სამხედრო გადატრიალება, აფხაზეთის ომი... მიწასთან გასწორებულ საქართველოში სიკვდილი, შიმშილი და სიცივე აღარავის უკვირდა. ჩვენ ხშირად დაუფარავი გაღიზიანებით ვიხსენებდით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისგან გაგონილ სიტყვებს, საყვედლურივით რომ უღერდა: „თქვენ ომი არ გინახავთ...“ ყველა თაობას თავისი ომი აქვს, სამწუხაროდ. ყველა მათგანს მოაქვს სისხლი, სისასტიკე, სილატაკე და, მართალია, ის ომები, რომელებიც ჩვენ გვხვდა წილად, თავისი გამანადგურებელი ძალითა და გმირული სულისკვეთებით მეორე მსოფლიო ომს, დიდხანს სამამულო რომ ერქვა, ვერ შეედრება, მაგრამ მათ სამუდამო



რეჟისორი სანდრო ჯანდიერი

კვალი დატოვეს ჩვენს ცნობიერებაში, წაგებული ომების თაობად გვაქციეს, თაობად, რომელსაც გზა-კვალი აერია, რომელმაც დაკარგა ორიენტაცია და ლამის შეენიროს ღირებულებათა გადაფასებას. რასაც საბჭოთა დროში გვასწავლიდნენ, სიყალბე იყო, ჩვენი წმინდა იდეალები მედროვეთა ხელში შეიბლალა და ახლა, ამ ომების პირისპირ მდგარნი, საკუთარი თავის იმედად აღმოვჩნდით, სამშობლოს აღარ შეეძლო ჩვენი შველა, პირიებით, ჩვენგან მოელოდა დახმარებას. ასეთ დროს სუსტი ნებისყოფის კაცი, შეიძლება, ხელიდან წავიდეს, ძლიერმა კი იარაღს მოჰკიდოს ხელი და არა მხოლოდ საომრად. სწორედ ასე მოუვიდათ ფილმის გმირებს, ორ ძმას – დათუკისა და გიას. დათუკი მამას უფრო ჰყვარებია: „იმის იმედი მქონდა, ის ნიჭიერი იყო, თბილი და გულლია ბავშვი, ახლა კი ერთი დოზა „წამლის“ გულისთვის...“

სანდრო ჯანდიერი: „ფილმის საბოლოო სათაურია „კადეტი“, თუმცა ის პირველი არხის ეთერში გავიდა სათაურით „კადეტი 92“. აკა მორჩილაძის პიესას მითითებული ჰქონდა წელი, ამიტომ ლოგიკურად მომეჩვენა სათაურში წლის მითითება, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ფილმში ამბის ზოგიერთ ხაზს ისტორიული საფუძველი აქვს (მაგ. 1992 წლის 2 თებერვლის მიტინგის დაწევა და ა. შ.). ცხადია, ძირითადი ამბავი პროფესორის სახლში ვითარდება, მაგრამ მე შევეცადე, ფილმში ჩამერთო ისტორიული კონტექსტი, რამაც საშუალება მომცა, გამოვსულიყავი ტელესპექტაკლის უანრიდან და უფრო სატელევიზიო ფილმის ფორმატში გადავსულიყავი. მხოლოდ ინტერიერში განვითარებული მოქმედება, რაც არ უნდა კარგად იყოს გადალებული, მაინც მოსაწყენია (ორი გამონაკლისის გარდა, ესე-

ნია: ჰიჩკოის „თოკი“ და სიდნი ლუმეტის „12 განრისხებული მამაკაცი“. ცხადია, აქ შედევრებზე გვაქვს საუბარი – ორივე შემთხვევაში ჩაკეტილობა, სიუჟეტიდან გამომდინარე, აუცილებლობით არის გამოწვეული“. ისე მოხდა, რომ პროექტში მონაწილე ერთ-ერთი რეჟისორის ფილმს დაერქვა „საქართველო 1992“, ამიტომაც გადაწყდა, ფილმის სათაურიდან ამოელოთ „92“.

„კადეტის“ წარდგინებაში ვკითხულობთ: „ფილმის სიუჟეტი 1990-იანი წლების საქართველოში ვითარდება და მოგვითხრობს ველოდის – პროვინციელი ახალგაზრდა კაცის – სტუმრობის ამბავს დედაქალაქში. ველოდი შორეულ ნათესავს ეწვევა და აღმოაჩენს, რომ ყველასგან მივიწყებული პროფესორი დაცარიელებულ სახლში ბედის ანაბარადაა დარჩენილი: კედლებს ახლადჩამოხსნილი სურათების კვალი ეტყობა. სიმონის გარდაცვლილი მეუღლის, თამარა დეიდას პორტრეტი



აკა მორჩილაძე

ჯერჯერობით ისევ ამშვენებს კედელს. ველოდი ჩანთებს სიმონს აპარებს“.

პროვინციულ სტუმარს რომ სცოდნოდა, რაც ამ სახლში ხდებოდა, ასეთ შეცდომას ნამდვილად არ დაუშვებდა, მით უმეტეს, რომ იმ ჩანთებში რვაასი დოლარის საქონელი ეწყო – ნასესხები ფულით, გასაყიდად შეძენილი შოკოლადის კანფეტები – „სინიკერსი“, „ტვიქსი“...

აი, ასე, ერთი ოჯახის დრამატული ისტორიის მაგალითზე ვიგებთ, საერთოდ, ქვეყანაში დატრიალებული უბედურების შესახებ. სიმონის მეუღლის, დათუკისა და გიას დედის, თამარას გარდაცვალების შემდეგ მამასა და შვილებს მზრუნველობა მოაკლდათ, მათ ერთობას ნელ-ნელა საფუძველი გამოეცალა. მნიშვნელოვნად მიმაჩნია სათაურის ცვლილება, რეჟისორს მამიდან უმცროს შვილზე გადააქცევს აქცენტი, ანუ იმ ამბავში, რომელსაც სანდრო ჯანდიერი მოგვითხრობს, პროტაგორისატი უმცროსი შვილია... მამებისა და შვილების დაპირისპირების თემა, რომელიც თითქოს სამყაროსავით ძველია, ფილმში უფრო შეპირისპირება-შედარების სახეს იღებს – მაყურებელი ძალაუნებურად ადარებს ერთმანეთს უმცროს და უფროს თაობას და დანანებით აღმოჩენს, რომ ვაჟებს, სამწუხაროდ, არ გააჩნიათ ბატონი სიმონის ღირსებები: დიდსულოვნება, თავაზიანობა, განსწა-

ვლულობა. მძიმე სოციალურმა გარემომ, „ქუჩამ“ მათ შინაგან სამყაროზე უარყოფითად, თუმცა სრულიად განსხვავებულად იმოქმედა: სუსტს, უნებისყოფის სრულ არარაობად აქცევს, ხოლო ძლიერს სამართლიანობის აღდგენის სურვილმა, შესაძლოა, დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგოს.

როგორც მწერლისთვის, ისე რეჟისორისთვის ძვირფასია წარსულის მონატრება, ერთგვარი გაიდეალება, რაც თუნდაც თბილისის ძველი უბნებისადმი, მისი ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებულ, ფაქტზე დამოკიდებულებაში გამოიხატა. ამ თემას ეძღვნება აკა მორჩილაძის წანარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, თუნდაც, „მადათოვი“. სანდრო ჯანდიერი კინოხელოვნების სპეციალობას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ეუფლებოდა, ამიტომაც კარგა ხანს უცხოეთში მოღვაწეობდა. 2005 წელს გადაიღო თავისი პირველი მოკლე-მეტრაჟიანი ფილმი „გამცილებელი“ (ინგლ. Poppy Season), სადაც მთავარი გმირი დედაქალაქის ძველი უბნიდან ახალში, კერძოდ, ერთ-ერთ მიკრორაიონში მიემგზავრება. როგორც კი ტატო მეტროდან გამოდის, თბილისური აივნიან-შუშაბანდიანი სახლები და ვიწრო ქუჩაბანდები რკინა-ბეტო-



კადრი ფილმიდან „კადეტი“

ნის კორპუსებით იცვლება. კონტრასტი უზარმაზარია და დამთრგუნველი. ძალაუნებურად მოუხმობ იოსებ გრიშაშვილის აკვიატებულ სტრიქონებს: „შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა, ქორონიკონის კენტი და ლური, მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა რა სურათები მოქარგა უნინ“.

საერთოდ, სანდრო ჯანდიერის „გამცილებელი“ ლამაზი ფილმია – ყველგან პოეზიაა, რადგან ძალიან შეკუმულია და მხოლოდ მინიშნებებით თუ მიხვდები ავტორის სათქმელს.

სატელევიზიო ფილმი „კადეტი“, რომელიც ურთიერთნდობით გამსჭვალულ, გულახდილ საუბარს ჰევას მწერალსა და რეჟისორს შორის, აკა მორჩილაძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელ მთელ „არსენალს“ აამოქმედებს. „ფალიაშვილის ქუჩის ძალები“, „მოგზაურობა ყარაბაღში“, „აგვისტოს პასიანი“ და ბევრი სხვა – ამ ნანარმოებების გმირები ჩვენთვის „ნაცნობი“ ახალგაზრდები არიან და, შესაძლოა, მათ კიდევ დიდხანს არხენიად ეცხოვრათ მშობლების ხარჯზე, მეგობარ გოგონებთან დრო ეტარებინათ და გონიერად დაეპინდათ ათასგვარი ნარკოტიკული საშუალებებით, რომ უბედურ შემთხვევას, ომსა თუ პირად ტრაგედიას ერთხელაც მათთვის თვალი არ აეხილა.

ექსპრესიულობის თვალსაზრისით, ჯანდიერის ამ ფილმშიც ისეთივე სწრაფი ტემპით ვითარდება მოვლენები, როგორც აკას მოთხოვნებსა თუ რომანებში. არსებითად, აკა მორჩილაძე მოქმედების მწერალია, მასთან იშვიათად შეხვდებით მედიტაციურ პასაუქებს და თუ ასეთი მაინც გვაქვს, ძირითადად, მისი პერსონაჟების დიალოგებში. ჩემი აზრით, ფილმი „კადეტი“ ტექსტის სილრმისეულად წაკითხვის ნიმუშად გამოდგება, რადგან მომზადებული მაყურებელი იმთავითვე იცნობს აკა მორჩილაძის ხელწერას. ეს დიდი მიღწევაა ნებისმიერი რეჟისორისთვის. აკასთან უშუალოდ საომარი მოქმედე-

ბების აღწერას იშვიათად შეხვდებით. მწერალს ფრონტზე მეტად აინტერესებს ის, რაც ზურგში ხდება. ასე ცდილობს მაშინდელი ატმოსფეროს დახატვას, მის მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე, უფრო მეტად კი, ნანახ-გაგონილ-ნაგრძნობზე დაყრდნობით.

ბიჭები თითქოს ომობანას თამაშობენ, თითქოს სინამდვილეში არ ხდებოდეს ის, რასაც ვხედავთ, მაშინაც კი, როცა ჩვენ თვალწინ სისხლი იღვრება, რასაც მწერალი ძალდაუტანებლად, სამეტყველო ენისთვის დამახასიათებელი არაფორმალური მანერით მოგვითხრობს, ზოგჯერ ბოლომდე არცაა სარწმუნო: ჯერ ერთი, მისი სტილის-თვის დამახასიათებელი იუმორის გამო, რომელიც ყველაზე ტრაგიკულ სიტუაციებშიც კი იჩენს თავს, მეორეც, მისი გმირები ხშირად არაფხიზელ მდგომარეობაში არიან და ამის გამო მათი მონათხრობი ნაკლებად რეალისტურია. სწორედ ამ კომპონენტებით იქმნება განუმეორებელი აკასეული სამყარო, სადაც მუდმივად გინევს მოგზაურობა დოკუმენტურ სიზუსტესა და წმინდა წყლის გამონაგონს შორის, მწერლის ოსტატობა კი მათ ერთმანეთს ისე უხამებს, რომ გვიჭირს გარჩევა. ჯანდიერმა შეინარჩუნა აკას სტილის ეს თავისებურება: ფილმის იმ ხანმოკლე მონაკვეთებმა, რომლებიც ომს უკავშირდება, გამახსენა ოთარი იოსელიანის „ზამთრის სიმღერა“ (2015 წ.), სადაც ავტორი აბსურდსა და გროტესკს იშველიებს, რათა ომის უაზრობა კიდევ უფრო მწვავედ გვაგრძნობინოს.

...და მომინდა გამეგო, როგორი დამოკიდებულება პქნონდა სანდრო ჯანდიერს ბატონი ოთარის შემოქმედებისადმი. რეჟისორის პასუხი იმდენად საინტერესო და ამაღლვებელი აღმოჩნდა, რომ აუცილებლად მინდა, მკითხველმაც წაიკითხოს – ოდნავი შემოკლებით. აქვე ვიტყვით, რომ სანდრო, ფილმებზე მუშაობის პარალელურად,

წერს კრიტიკულ წერილებს კინოსა და ზოგადად, ხელოვნებაზე.

„ოთარ იოსელიანთან რეჟისორის ასისტენტად ვიმუშავე მის ბოლო ორ ფილმზე – „შანტრაპა“ (2010წ.) და „ზამთრის სიმღერა“ (2015წ.). ასე რომ შეფასებაში სუბიექტური ვიქნები, თუმცა, მგონი, არავის ენტინება, თუ ვიტყვი, რომ ოთარ იოსელიანი არის ცოცხალთა შორის ყველაზე დიდი ქართველი რეჟისორი, რომელიც ასეთ საპატიოცემულო ასაკშიც კი დაუღალავად იძრძვის საკუთარი ხედვის, ენის, მეთოდის გასაღრმავებლად და ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ მომეცა საშუალება, ამ მეთოდს დავკვირვებოდი და უშუალოდ მისგან მესწავლა.

მას შეუძლია საოცარი შეუპოვრობით მთელი დღე დაუთმოს ერთი სცენის გადაღებას, სანამ მათემატიკური სიზუსტით გამოთვლილ კამერის მოძრაობებსა და ზუსტ ემოციურ განწყობას არ მიიღებს მსახიობებისგან და ზოგადად მთელი სცენისგან. წარმოიდგინეთ მწერალი, რომელიც მთელი დღე ერთ წინადაღებას, ერთ აბზაცს წერს, სანამ არ მიიღებს იმ

სათქმელს, რასაც ეძებს, ანუ საუბარია ფლობერის ან ტოლსტოის ეპოქაზე. დღეს ამას ნაკლებად ვხვდებით. ასევეა კინოში.

ალბათ, 1985 წელი იყო და შესაბამისად, 11 წლის ვიყავი, როდესაც „მთვარის ფავორიტები“ გამოვიდა და დედაჩემთან ერთად კინოთეატრ „ამირანში“ ვნახე. დღემდე მახსოვს დეტალები, როგორ იჭედება სალათის ფურცელი ნიუარაში, როგორ ჭრის ყასაბი ხორცის რბილ ნაჭერს. ეს არის სამყარო დანახული გულუბრყვილო ბავშვის თვალით, რომელიც ამავე დროს გამჭრიახი და კრიტიკულია. ეს უცხო სამყარო მისთვის ჩვეული გახდა, დღეს ოთარ იოსელიანს საფრანგეთთან შემოქმედებითად ისეთივე მჭიდრო კავშირი აქვს, როგორც საქართველოსთან.

...წელი არ გავა, „იყო შაშვი მგალობელი“ არ ვნახო. ეს რაღაც თავისით, სპონტანურად ხდება, საახალწლო დღეებში ან შუა ზაფხულის რომელიმე ცხელ საღამოს შემთხვევით გადავრთავ და რომელილაც არხი აჩვენებს. ისმის სასულე ორკესტრის ხმა, კონსერვატორიის



კადრი ფილმიდან „კადეტი“

ოთახებიდან იღვრება რეპეტიციის გამები, ვხედავთ 1960-იანი წლების ქუჩებს, იმ ეპოქის თბილისს, რომელიც დღემდე ცელულოიდის ამ კადრებში საოცრად სუნთქავს. ასევე ცოცხალი და აქტუალურია გელა კანდელაკის არქეტიპული პერსონაჟი. მართალია, მცირერიცხოვანი, მაგრამ ისინი ჩვენ გარშემო არიან, ჩვენ ასეთ ადამიანებს ვიცნობთ“.

ერთი შეხედვით, შორს გადავუხვიეთ ჩვენი თემიდან, მაგრამ, ამავე დროს, სათემელთან ახლოს მივედით: ოთარ იოსელიანმა შემთხვევით როდი შეაჩერა არჩევანი სანდრო ჯანდიერზე, როგორც თანაშემწებე. ჩემი აზრით, მაესტრომ მასში უმცროსი თანამოაზრე დაინახა. ახალგაზრდა რეჟისორის მიერ სტუდენტობის დროს შექმნილი რამდენიმეწუთიანი ფილმებიდანაც ცხადი ხდება, როგორი თვითკრიტიკულობით ეკიდება ავტორი თითოეულ კადრსა თუ ეპიზოდს, როგორ ზრუნავს უმცირეს დეტალებზე და, რაც მთავარია, როგორ ბუნებრივად რთავს თავის სააზროვნო პროცესში მაყურებელს. ფილმის მსვლელობისას ძნელია, თვალი მოსწყვიტო ეკრანს, ხოლო, როცა ის მთავრდება, ისევ და ისევ უსიტყვოდ ჰქიმდებით საკუთარ თავს, რომ კიდევ ერთხელ უყურებ.

არც ყმაწვილკაცობისას ფილოსოფიის შესწავლას ჩაუვლია უკვალოდ – ავტორი ყურადღებას მუდამ იმაზე ამახვილებს, რაც არსებითი და მთავარია ამა თუ იმ ამბის თხრობისას. ამიტომ მასთან ვერ შენიშნავ ცოტათი მაინც განელილ კადრებს, მოსაწყენ პასაუებს... ტელეფილმის სპეციფიკიდან გამომდინარე, „კადეტი“ ახლო ხედს მოითხოვდა და სანდრო ჯანდიერმა აქაც დიდი ოსტატობა გამოამუდავნა: მან, ჩვეულებისამებრ, შექმნა თავისი პერსონაჟების დასამახსოვრებელი ფსიქოლოგიური პორტრეტები. მსახიობებმა ზუსტად იგრძნეს, რასაც მათგან მოითხოვდნენ და შედეგად მივიღეთ კარგი, „შეკრული“ ფილმი, სადაც მხოლოდ ერთი-ორი ფრაგმენტი თუ გვიტოვებს უკმარისობის განცდას... ფილმის გმირები: გია, დათუკი, ბატონი სიმონი, მეზობელი ქალი ნათელა, პროვინციელი ნათესავი ველოდი, დათუკის ბავშვობის მეგობარი საშა, ქურდბაცაცა შამო და სხვანი იმდენად ნამდვილ, რეალურად ხელშესახებ პიროვნებებად იქცნენ ჩვენთვის, რომ ბატონი სანდროს კვალად მეც გავიმეორებ: ისინი ჩვენ გარშემო არიან, ჩვენ ასეთ ადამიანებს ვიცნობთ.

განმარტება:

ჩვენი უურნალის 2016 წლის მეთორმეტე ნომერში არტრევიუს რუბრიკით გამოქვეყნებულ წერილებში გამოყენებულია ფოტოხელოვან ლაშა კუპრაშვილის ნამუშევრები.





ISSN 1987-5762



1987 576000